კვირის პალიტრა

ფეხი

24 (209) 10/VI.-16/VI.2004. ფასი 60 თ.

1168
2001

თემა: თავბრუდამხვევი კარიერა

რამ გასცა ირაკლი იმნაიშვილი — რატომ უთამაშებდა წარბები

ლორგი ჭანგურია-უმცროსი მამის იდეებისთვის ბრძოლას იწყებს

დამიანი, რომელიც რასოდეს დამავიწყდება — იკა მემანიშვილმა ოფი ლორენი ვერ იცნო



პირველი პაემანი — რას პოულობდა გია ბულაძე „ნატურშიცების“ ნაკვთებში

ანუ რა ფერისაა სიყვარული

ეკლესია!

გამოვიდა ივნისის ნომერი

ივნისი, 2004

ფასი 80 თეთრი

კეთილი ქალაქი

მართლმადიდებლური ჟურნალი



ივნისის თემა:
არ იპარო

დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი: ამბობენ, რომ ძალიან მკაცრი ვარ

ვის მივმართოთ – ფსიქიატრს, მოძღვარს თუ ორივეს ერთად?

დედებო, აბორტს ნუ გაიკეთებთ!

საქართველოს მუნიზმიც დაემუქრება?

შიგნალში საჩუქარია:
დაუჯდომელი წმიდისა
დედისა ჩვენისა და
მოციქულთა სწორისა
ქალწულისა ნინო ქართველთ
განმანათლებელისა

ნაბიჯი ჭეშმარიტებისაკენ

№24 (209)
10 - 16 ივნისი 2004
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
ლენინური შაბათობა მთავრობაში ანუ „თუ შეიძლება, თითო სკამით გადაXექით, რაა!..“ 3
სახელმწიფო
რას მოუტანს საქართველოს „ჰუმანიტარული ლაშქრობა“ ურჩ რეგიონებზე? 4
ერთი კითხვა 5
ექსპერტი
დოდონა კიზირია: „სააკაშვილი არ იყო ერთადერთი, ამერიკელებს სხვა კანდიდატურებიც ჰყავდათ...“ 7
საპატარძლო
„დიდი ხანია, რაც გეძებ...“ 9
სასიძო
„ჟურნალისტებმა ისე „დამაფრთხეს“, გოგონასთან ერთად ხალხში გამოჩენას ვერიდები“ 10
პირველი პაემანი
რას პოულობდა გია ბულაძე „ნატურშიცების“ ნაკვთებში ანუ რა ფერისაა სიყვარული 12
კრიმინალი
უგზო-უკვლოდ დაკარგული ქმარი ცოლმა 9 წლის შემდეგ ტრიალ მინდორში ნაპოვნი თავის ქალით ამოიცნო 14
თემა
თავბრუდამხვევი კარიერა 18
სამზარეულო
რით იკვებებიან ქართველი კანონმდებლები ანუ დააგემოვნეთ პარლამენტის სასადილოს პიცა 21
დეკლარანტები
გოკა გაბაშვილი კრედიტორი არ არის... „თუ ფულს გავასესხებ, ე.ი. ახლობელს მივცემ“ 22
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 24
პერსონა
გელა ჩარკვიანი – „კომუნისტური პრინცი“, პრეზიდენტების მრჩეველ-მასწავლებელი და ელჩების მეგობარი 24
გზავნილები
„ქალი ძალზე ცდილობდა ჩემთვის „კარგი ვარიანტის“ გამონახვას...“ 27

თავბრუდამხვევი კარიერა

რას განიცდიან ადამიანები, როცა მეტისმეტად სწრაფად აღწევენ წარმატებას? რა მოაქვს თავბრუდამხვევ კარიერას?.. ჩემი პირველი რესპონდენტი მოგვითხრობს ცნობილი პიროვნების ამბავს, რომელმაც ძალზე ახალგაზრდა ასაკში განიცადა აღზევებით მოგვრილი სიხარულიც და დაცემით გამოწვეული სიმწარეც.

18

დოდონა კიზირია: „სააკაშვილი არ იყო ერთადერთი, ამერიკელებს სხვა კანდიდატურებიც ჰყავდათ...“

– გლობალიზაციის პროცესში საქართველოს ჩართვა არ არის დამოკიდებული არც სოროსზე, არც ამერიკაზე და არც სხვაზე. ეს გარდაუვალია: მაგრამ არც იმის თქმა მსურს, რომ გლობალიზაცია მხოლოდ კარგს მოგვიტანს. მასში ბევრი საფრთხეც დევს...

7

სასიძო – „ჟურნალისტებმა ისე „დამაფრთხეს“, გოგონასთან ერთად ხალხში გამოჩენას ვერიდები“

როდესაც ჯაბა ქარსელაძესთან ინტერვიუს ჩასაწერად მივდიოდი, ვფიქრობდი, რომ ნაადრევი პოპულარობით გაყოყოჩებულ, თავგასულ და ოჯახის ნებიერ ბიჭთან საუბარი მომიწევდა. თურმე, ვცდებოდი...

10

მზად ვარ, ვემსახურო იმ იდეებისთვის ბრძოლას, რომლებსაც მამაჩემი შეეწირა



მახსენდება ერთი ეპიზოდი – როცა მამა ციხიდან გამოვიდა და ამის აღსანიშნავად, ღამის 11 საათზე ჩვენთან შამპანურებით ხელში მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია მოვიდნენ. საათ-ნახევრის შემდეგ გავიგონე, როგორ უთხრა ბატონმა ზვიადმა, უკვე ნასვამმა, მამაჩემს...

30

მამები და შვილები

გიორგი ჭანტურია-შმცროსი: „მზად ვარ, ვემსახურო იმ იდეებისთვის ბრძოლას, რომლებსაც მამაჩემი შეეწირა“ 30

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

ტესტი ერუდიციაზე 31

ადამიანი, რომელიც...

„დაბალი ფენის წარმომადგენელი“ იტალიელი ქალი მსოფლიოში ცნობილი კინოვარსკვლავი აღმოჩნდა 32

ტაძარი

რატომ ვიწოდებით მართლმადიდებელ ქრისტიანებად? 34

შემოქმედი

მომღერალი, რომელიც „ჭრიჭინას“ ტიტრებში არ ჩაწერეს 35

„ევრო-2004“

მორიენტესს 10-ნომრიანი მაისური ერგო 38

სპორტული მოზაიკა 40

ავტო 41

რომანი

რუსუდან ბერიძე. თავისუფალი თემა (გაგრძელება) 42

ვარსკვლავი

კატრინ დენევი – ფრანგული კინოს საყვარელი ქალი 46

ბომონდი 48

მოგზაურის დღიურები

ღომის, საცივისა და წითელი ღვინის იმედზე... ამერიკაში! 49

შუაბიზნესი 51

საკითხავი ქალებისათვის

რით სჯობს ქალი მამაკაცს? 56

ჯანმრთელობა

- ღვიძლის ციროზი 57
- ცხოველები გვიტევენ 58
- ხელსაწყომანია 59

ჰოროსკოპი

კვირის (14-20 ივნისის) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი

როგორია თქვენი თვითშეფასების დონე 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

„კომუნისტური პრინცი“, პრეზიდენტების მრჩეველ-მასწავლებელი და ელჩების მეგობარი

ჩვენს კაგას მოფერებით კატიკას ვეძახით. ამ რამდენიმე დღის წინ, აივნიდან გადავარდა და დაიკარგა. ჩემმა შვილებმა რომ გაიგეს, მაშინვე მოცვივდნენ და ძებნა დაუწყეს. საბედნიეროდ, კატიკა ვიპოვეთ, მაგრამ კუდი ჰქონდა მოტეხილი. ახლა ვმკურნალობთ...

24

კატრინ დენევი – ფრანგული კინოს საყვარელი ქალი

ვარსკვლავთა შორის ყველაზე უკარება და იდუმალმა ქალმა თავის ცხოვრებას ფარდა ახადა. კატრინ დენევი მუდამ ამბობდა – მემუარებს არასოდეს დავწერო. მიუხედავად ამისა, სულ ახლახან თავისი დღიურები გამოაქვეყნა.

46

რას პოულობდა გია ბუღაძე „ნატურშიცების“ ნაკვთებში ანუ რა ფერისაა სიყვარული

ძალიან საინტერესო ამბავი შემემთხვა: ჩემს კურსზე სწავლობდა ულამაზესი შავგვრემანი გოგონა. სურვილი გაუჩნდა, მისი პორტრეტი დამეხატა და ჩემთან შინ მოვიდა. მოკლედ, ფანტასტიკა იყო. „შევძვერი“ მის სახეში და დავიწყე ხატვა...

12

თავისუფალი თემა

გვანცამ პარლამენტის შემოსასვლელთან მდგარი უმარის ორი ახმახი მცველი მაშინვე შეიცნო...

– ერთად ხომ არ გვესადილა? – მიუბრუნდა უცბად უმარი გვანცას.

– სად? – მაშინვე დაუფიქრებლად ჰკითხა გვანცამ.

– სადაც გაგიხარდება! თუნდაც – ჩემს სასტუმროში.

42

ლენინური შაბათობა მთავრობაში ანუ „თუ შეიძლება, თითო სკამით გადაჯექით, რას!..“

ნათქვამია, პარასკევის სიზმარმა მალე იცის ახდენაო და მართალი ყოფილა: მთელი ღამე „ლენინურ შაბათობაზე“ ვმუშაობდი და ვეებერთელა მორებს დავათრევდი აქეთ-იქით. მერე ერთი მორი ფეხზე დამეცა და გამეღვიძა. გახარებული გამოვედი სახლიდან და ცხრა სართულის კიბე ისე ჩავირბინე, რომ ჩემდა გასაკვირად, არც კარტოფილის ნათალებზე დავცემულვარ და არც მესამე სართულზე მცხოვრები მეზობლის შვილიშვილის გამონაცვალ პამპერსში ჩამიკრავს ფეხი...

ეზოში რომ გამოვედი, სასწაული ვიხილე: ჩვენი პარლამენტარები ცოცხებითა და აქანდაზებით შესეოდნენ ჩემს ეზოს, რომელიც 1995 წლის მერე, რაც მეზობელმა სიდედრის ორმოცი გადაიხადა, არავის დაეგავა. ზოგიერთი ახალგაზრდა და პრანჭია პარლამენტარისათვის ყველაზე მოკლეტარიანი ცოცხები მიეცათ, რაც ათმაგად ზრდიდა დანარჩენების შრომისნაყოფიერებას.

ლენინი სულელი კი არ იყო, შაბათობებს რომ მართავდა და დასვენების დღეს მუქთად ამუშავებდა პატრიოტ ხალხს. მისმა ნიჭმა ჩვენს ხელისუფლებაშიც იჩინა თავი და ახლა პირადი მაგალითით ისინი გვიჩვენებენ, როგორ უნდა გვიყვარდეს შრომა...

გავდიდგულდი და ვიკითხე – კი, მაგრამ მინისტრები რატომ არ მუშაობენ, არ ეკადრებათ-მეთქი?

– ისინი, ბატონო, ზოოპარკს ალაგებენ, – მიპასუხა ერთ-ერთი ფრაქციის თავმჯდომარემ, რომელსაც მტვერზე აშკარად ალერგია ემართებოდა და წამდაუწუმ აცემინებდა. მეც ჯანმრთელობა ვუსურვე და ზოოპარკისკენ გავეშურე, სადაც საგრძნობლად გამდიდრებული ფაუნა მელოდა...

– პირველ რიგში, ვოლიერებს დაასუფთავებთ! – ბრძანა ბატონმა პრემიერ-მინისტრმა და გულმა რეჩხი მიყო, მოშივებულმა ცხოველებმა ამ ჩვენი მინისტრებით არ წაისაუზმონ-მეთქი, მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა:

ტანუხვმა (შეიძლებოდა, სიტყვა „ზორბატანისაც“ მეხმარა) ახალმა მინისტრმა, უძღებ შვილად რომ დაუბრუნდა სამშობლოს, დაინახა, მოხარშული ძროხის ბარკალი რომ ეჭირა ლომს ბრჭყალებით, დაუფიქრებლად შევარდა გალიაში და ერთ წამში, ლომი ეხვეწებოდა საცოდავი თვალებით, ძვალი მაინც დამიტოვე, პრივატიზებული მქონდაო... მეორე, ზემძიმე კატეგორიის მინისტრმა კი ბეჰემოთის სამფლობელო აირჩია, მასთან ერთად ჩადგაფუნდა აუზში, პირიც ბეჰემოთივით დააღო და რაც ვაშლი, ბურბუშელა, ბანანი თუ ნაყინი გადაუგდეს ბავშვებმა, ყველა მის პირში აღმოჩნდა.

დალაგება-დასუფთავებას რომ მორჩნენ, მინისტრების „უსტაბაშმა“ დასვენება გამოაცხადა და მინისტრებიც ატრაქციონებს შეესივნენ. ძალოვანებმა კი კარუსელი(!) არჩიეს: წინ გენერალური პროკურორი დაჯდა, მერე – უშიშროების მინისტრი, მერე – უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე, მის უკან თავდაცვის მინისტრი მოკალათდა და ბოლოს, შინაგან საქმეთა მინისტრმა დაიკავა ადგილი. თუმცა, თითოეული მათგანი ისე არაკომფორტულად გრძნობდა თავს, თითქოს სხვის სკამზე იჯდა. პრემიერის მზრუნველ თვალს ეს, რა თქმა უნდა, არ გამოჰპარვია და ბრძანა – თითო სკამით წინ გადაჯექითო...

ასე რომ, ბარამიძე ბეჟუაშვილის სკამზე „დაწინაურდა“, ბეჟუაშვილმა მერაბიშვილის სკამი დაიკავა, მერაბიშვილი ადეიშვილის სკამზე გადაჯდა, ადეიშვილმა ოქრუაშვილი წამოაყენა, მან კი „კრუგი“ დაარტყა, ბარამიძის სკამზე მოკალათდა და ყველანი ისეთი კმაყოფილები დარჩნენ ამ საოცარი დაწინაურებით, რომ ბატონ პრემიერს სიხარულის კურცხალიც კი ჩამოუგორდა ლოყაზე, ღილაკს თითი დააჭირა და „კარუსელიც წაღმა დატრიალდა“.

– ცოტა ხანი ასე გაერთეთ, მერე ისევ გადაგაჯენთ, – უთხრა, სკამზე ჩამოჯდა და იმაზე ფიქრს მიეცა, თუ როგორი გადაჯდომა ჩაეტარებინა არაძალოვან მინისტრებში. გვერდით მივუჯექი, გაზეთი გავშალე და ხმამაღლა დავიწყე იმ სტატიის კითხვა, რომელშიც რუსები მოსკოვში მცხოვრებ ცნობილ ქართველ მოქანდაკეს გვთავაზობენ კულტურის მინისტრად. ფანდმა უმალვე გაჭრა – იდეით დაინტერესდა. მეც ეგ მინდოდა და მინისტრების უმტკივნეულოდ ჩანაცვლების აპრობირებული ხერხი შევთავაზე: ხომ არსებობს თამაში, შუაში რომ მოთამაშეთა რაოდენობაზე ერთით ნაკლებ სკამს დგამენ და ცეკვით უვლიან გარს, მუსიკა რომ შეწყდება, ყველა იკავებს თითო სკამს, ერთი კი ფეხზე რჩება. აი, იმ ერთის ნაცვლად ჩამოვიყვანთ უცხოეთის მოქალაქე ქართველებს: კახი „კახიაშვილიდისს“ – საბერძნეთიდან და სპორტს ჩავაბარებთ; მეცნიერებას და კულტურას ჯონ-მალხაზ შალიკაშვილს მივანდობთ: მაინც ორი სახელი ჰქვია, ჩაჯდება „კარუსელში“ და მალე თავდაცვის მინისტრობაც მოუწევს... ასე ჩამოვიყვანთ სამშობლოში გადაკარგულ ქართველებს და საქმესაც ეშველება.

მოკლედ, მე და ბატონი პრემიერი კმაყოფილები დავშორდით ერთმანეთს. ეზოში რომ დავბრუნდი, აღარავინ დამხვდა. დეპუტატებს ძველი ნაგავი კი დაუგვიათ, მაგრამ დაღლილებს იმდენი ნაყინი უჭამიათ, რომ ეზო ქაღალდებით იყო მოფენილი და მომავალ შაბათობას მოუთმენლად ელოდა...

P.S. მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე:

– ბატონო პრემიერ-მინისტრო, მე შს მინისტრი წინა თვეში ვიყავი და ახლა რისი მინისტრობა მიწევს?

– ნუ მაწუხებ შეკითხვებით, თორემ, საერთოდ ისე დარჩები! რა მნიშვნელობა აქვს, რისი მინისტრი იქნები?! ამ თვეში გაიჭირვე, ენერგეტიკას მიხედე და მერე ვნახოთ...

პროვოკატორი

ორი უსისხლო რევოლუციის შემდეგ საქართველოს ხელისუფლება ახალი გამარჯვებისთვის ემზადება. ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკების ტერიტორიებზე ქართული იურისდიქციის აღდგენა არა ძალადობრივი გზით, არამედ ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედებით უნდა განხორციელდეს — ასეთია პრეზიდენტის გადაწყვეტილება, რომელსაც კონფლიქტების დარეგულირების საკითხში ოფიციალური რუსეთის მხარდაჭერის იმედი აქვს. „არძინბასა და კოკოითის დეფაქტო ხელისუფლება შეშფოთებულია და უშვებს ისეთ ტიპურ შეცდომებს, რომლებიც ძალაუფლებას უკანონოდ დაპატრონებული ჯგუფებისთვისაა დამახასიათებელი, რაც თავისთავად სეპარატისტული რეჟიმის დასასრულის დასაწყისია“, — ასეთია პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის კოტე გაბაშვილის პოზიცია, რომლის აზრით, სახელმწიფო იურისდიქციაში ცხინვალის რეგიონის შემოერთების პროცესი წლის ბოლომდე დასრულდება.

რას მოუტანს საქართველოს „ჰუმანიტარული ლაშქრობა“ ურჩ რეგიონებზე?

ედუარდ კოკოითს ან რკინიგზის უფროსობას შესთავაზებენ, ან – ქვეყნის ვიცე-პრემიერობას...

ხათუნა მაღრაძე

— გავრცელებული ინფორმაციით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მძიმე ტექნიკის გადაადგილება შეიმჩნევა. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ ამასთან დაკავშირებით?

— ცხინვალის რეგიონში შეიარაღებისა და მძიმე ტექნიკის თავისუფლად გადაადგილება ვერ მოხდება, რადგან ეს ტერიტორია ეუთოს სერიოზული დაკვირვების ქვეშ არის მოქცეული. ადგილობრივი „მიტროფანუშკები“ კი გაჰყვირიან, არაფორმალურ შეიარაღებულ რაზმებს შევქმნით და დაქირავებულ ბოევიკებს შემოვიყვანთო, მაგრამ ეს დრო წარსულს ჩაჰბარდა. მათ თავადაც მშვენივრად იციან, რომ არავითარი ოსეთის რესპუბლიკა არ არსებობს და ნებისმიერი შეიარაღებული პროვოკაცია ბუმერანგივით დაუბრუნდებათ.

— უფრო კონკრეტულად იქ არსებულ სამხედრო ტექნიკაზე რა შეიძლება ითქვას?

— ცხინვალის რეგიონში ერთადერთი ის მსუბუქი შეიარაღება არსებობს, რომელიც ადგილობრივ მილიციას ეკუთვნის. ძირითადი სამხედრო აღჭურვილობა ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუს სამშვიდობოებს აქვთ, თუმცა, არც ეს არის დიდი რაოდენობა, მით უმეტეს, რომ ცხინვალში არავინ აპირებს იარაღის ჟღარუნით ლაპარაკს. კატეგორიულად ავირჩიეთ ჰუმანიტარული გზა, რომელიც ჩვენი ქვეყნის პრობლემებს მოაგვარებს.

— აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლების პრემიერ-მინისტრ რაულ ხაჯინბას განცხადებით, აფხაზები და ჩრდილოკავკასიელები, კოკოითის მთავრობას შეიარაღებულ მხარდაჭერას ჰპირდებიან...

— კი, ხაჯინბას იმხელა არმია ჰყავს გამზადებული, რომ უნდა გვეშინოდეს... მას ურჩევნია, საკუთარ ცოლ-შვილს მიხედოს. მათ ვინმეს მხარდაჭერა რომ შესძლებოდათ, პირველ რიგში, აფხაზეთს მიხედავდნენ, პოლიტიკური სპეკულაციით გაუბედურებულ და გაჩანაგებულ კუთხედ რომ აქციეს... ოსებს კი ჩვენ თავად დავეხმარებით, შევუქმნით ადამიანური ცხოვრების პირობებს და გამოვიყვანთ იმ კრიზისიდან, რომელშიც წლების განმავლობაში ცხოვრობენ.

— რა შეგიძლიათ თქვათ რუსეთის დუმის აგრესიულ განცხადებაზე „ოსეთის გადარჩენასთან დაკავშირებით“?

— მასში საუბარი იყო ოსებისა და იქ მცხოვრები, რუსეთის მოქალაქეების გადარჩენაზე. მაგრამ მეორე დღესვე ამუშავდა მექანიზმი, რომლის დანიშნულება იყო დაემუხრუჭებინა დუმის წევრების სურვილი, რომ ეს ყველაფერი ანტიქართულ ისტერიაში გადაზრდილიყო. ეს პუტინის დამსახურებაა. რუსეთის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილთან თანამშრომლობს და ახერხებს რეალისტური პოლიტიკის გატარებას — იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებული იმ პერსონაჟებისგან განსხვავებით, რომელიც მრავლადაა წარმოდგენილი რუსეთის დუმაში.

— საქართველოს პრეზიდენტმა ბოდიში მოუხადა ოსებს, ცხინვალში წლების წინ განვითარებული მოვლენების გამო. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მთელი პასუხისმგებლობა ქართულმა მხარემ იკისრა?

— როცა ხარ სახელმწიფო და შენს რეგიონში ამა თუ იმ პრობლემას წყვეტ, მთელი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე უნდა აიღო. ჩვენ უნდა შევიცვალოთ აზროვნების სტილი და დავივიწყოთ, რომ ისინი სხვები არიან. ცხინვალი არის საქართველოს ნაწილი, მისი მცხოვრებნი კი — ჩვენი თანამოქალაქეები!

— კოკოითი ცხინვალის რეგიონში რკინიგზის ამოქმედების წინააღმდეგია. როგორც ამბობენ, თანხმობის სანაცვლოდ 3 მილიონ ევროს ითხოვს...

— მომწონს, რომ იგი ეკონომიკურ ენაზე საუბარს იწყებს, დანარჩენი, ვაჭრობის საკითხია..

— რაზე უნდა ივაჭრონ?

— ვთქვათ, იმაზე, თუ სად იმუშავებს კოკოითი — შესაძლოა, რკინიგზის უფ-

როსიც გახდეს *(იცინის)*... საერთოდ, ეკონომიკური ბერკეტები ძალზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური იარაღია. რკინიგზის გახსნას კი, წინ ვერაფერი დაუდგება, რადგან ვერც რუსეთი და ვერც რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაცია ვერ იტყვის – მატარებელმა არ იაროსო; ხალხს გადაადგილებისა და სიცოცხლის უფლებას ვერავინ წაართმევს. ისე, საკაშვილმა კოკოითს თბილისში ჩამოსვლა მართლა შესთავაზა. ჩემი აზრით, ურიგო არ იქნება, თუკი იგი საქართველოს მთავრობის წევრად მოგვევლინება, მე ვფიქრობ, ვიცე-პრემიერობისთვისაც შესანიშნავი კანდიდატურაა.

— ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედება კარგია, მით უმეტეს, თუ ხელისუფლებას სასუქის შეტანა კარგად აქვს დაცდილი...

– ხელისუფლებას კი არა – გლეხებს აქვთ კარგად დაცდილი, ეს მათთვის წლის მოსავალს ნიშნავს. თბილისელ „ასფალტოიდებს“ არ გვესმის, რას ნიშნავს სასუქი იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მხოლოდ მიწიდან მიღებული მოსავლით ცხოვრობენ. იგივე ითქმის სამედიცინო დახმარებაზეც. არა მგონია, ოსებმა ქართველი ექიმების მკურნალობას გმირული სიკვდილი არჩიონ, მით უმეტეს, რომ დღეს პრობლემა ერთ მუჭ სეპარატისტებშია და არა რეგიონის მოსახლეობაში.

— რაც შეეხება ჰუმანიტარულ გზას აფხაზეთისაკენ: ექსპერტები შეშფოთებას გამოთქვამენ იმ მოდელის გამო, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება სეპარატისტებს სთავაზობს...

– მე არ ვიცი, რას ეყრდნობა მათი არგუმენტები, მაგრამ ბოდენის დოკუმენტი ძალზე სერიოზული გზაა კონფლიქტის დარეგულირებისაკენ, რომელიც გაეროს მიერაა არჩეული. გაეროს რეზოლუციის უარყოფის უფლება კი არავის აქვს, რადგან გაეროსთან უთანხმოების გამო აშშ-საც კი შეექმნა პრობლემები. ამ დოკუმენტის მიხედვით, აფხაზეთს ექნება ძალზე მაღალი სუვერენიტეტი ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში.

— როგორ უნდა გავიგოთ „ძალიან მაღალი სუვერენიტეტი ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში“? სუვერენული ხომ თავისთავად, დამოუკიდებელს ნიშნავს?

– ეს ფედერალური მოწყობის ერთ-ერთი მოდელია. აფხაზეთის ტერიტორიიდან 200 ათასი კაცია გამოდევნილი, ამ ხალხის უკან დაბრუნების სანაცვლოდ ფედერალურ მოწყობაზე წინააღმდეგნი რატომ უნდა ვიყოთ? როცა აჭარაში მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა, ეს უკვე პრობლემის გადაწყვეტას ნიშნავდა. აფხაზეთში კი კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ დევნილების უკან დაბრუნებითაა შესაძლებელი. ეს იქნება ასიმეტრიული ავტონომია, სადაც დევნილების დაბრუნებისა და არჩევნების ჩატარების შემდეგ, ხელისუფლებაში არა მარტო არძინბა და მისი გარემოცვა, არამედ ხალხის მიერ არჩეული ადამიანებიც მოვლენ. ასეთ პირობებში შეიძლება, ცენტრალური ხელისუფლება დათანხმდეს იმაზე, რომ ბიუჯეტის მიღება და თანხების განკარგვა ადგილობრივმა პარლამენტმა იტვირთოს, გარდა ამისა, შემოსავლების დიდი ნაწილი ადგილზე დარჩეს. ოღონდ, ეს ურთიერთობები უნდა ხორციელდებოდეს ერთიანი ჯარის, ვალუტისა და საგარეო პოლიტიკის პირობებში. ეს მოდელი მათთვისაც მისაღები უნდა იყოს, რადგან დროა, მიხვდნენ, რომ დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლიათ, რუსეთთან შეერთებაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია – ამას არც პუტინი დაუშვებს და არც მსოფლიო საზოგადოებრიობა.

— თქვენი ინფორმაციით, აფხაზეთის მოსახლეობაში ამჟამად როგორი განწყობაა?

– როგორი განწყობა უნდა იყოს?! – ამდენი წლის განმავლობაში არძინბას მთავრობამ, მხოლოდ კონტრაბანდისა და კრიმინალური სამყაროს აყვავება მოახერხა, ხალხი უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობს. ქალაქები, ქუჩები, საწარმოები ისევ ისეთ მდგომარეობაშია, როგორშიც ომის შემდეგ დარჩა. აფხაზეთში ყოველწლიურად 7 მილიონამდე დამსვენებელი ჩადიოდა, რუსები 11 თვე იმისთვის შრომობდნენ, რომ ორი კვირა გაგრაში დაესვენათ. ახლა ორი გენერალი თუ ჩადის, შეშინებულ ცოლთან ერთად... სწორედ ამიტომაა, რომ საქართველოს ხელისუფლება ტურიზმის განვითარებით ინტერესდება. თუ რუსეთმაც განახორციელა ინვესტიციები ამ სფეროში და მიხვდა, რომ საქართველოსთან ეკონომიკური პარტნიორობა მეტ მოგებას მოუტანს, მაშინ ჩრდილოელი მეზობელი სტაბილური აფხაზეთითაც დაინტერესდება და არძინბას, ხაჯინბასა და მათ ამფსონებს ფეხების ფხაკუნი აღარ გამოუვათ. ■

„მთავრობამ ბიზნესმენები მოატყუა“

— მთავრობამ ახალი საგადასახადო კოდექსი 2-3 კვირის განმავლობაში უნდა წარმოადგინოს. არსებული პროექტის მიხედვით, ასრულებს თუ არა ხელისუფლება ბიზნესმენებისთვის ლიბერალური კოდექსის მიღების პირობას?

ნიკო ორველაშვილი, ექსპერტი:

– მთავრობას ახალი საგადასახადო კოდექსი პარლამენტში განსახილველად უკვე უნდა წარედგინა, მაგრამ შეტანის თარიღს განზრახ აჭიანურებს. ამის ახსნა რთული არ არის. მთავრობას უნდა, პარლამენტს ცაიტნოტურ სიტუაციაში მუშაობა მოუწიოს და სათანადო, ძირეული განხილვების გარეშე, დაჩქარებული ტემპით მიიღოს ახლი საგადასახადო კოდექსი. ეს მისი მუშაობის ტაქტიკაა: დაგვიანებით შეაქვთ დასახვეწი კანონპროექტები, რომ დეპუტატებმა მასში შესწორების შეტანა ვერ მოასწრონ. რაც შეეხება თავად ახალ საგადასახადო კოდექსს – ხელისუფლება მის საჯაროობაზე გამოტანას არ ჩქარობს. მე საშუალება მქონდა, გავცნობოდი მას და უნდა ითქვას, რომ პოზიტიური ვერაფერი ამოვიკითხე. მთავრობას უკან მიაქვს ბიზნესმენებისათვის მიცემული პირობა, ბიზნესის ხელშეწყობისა და კანონის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც – ამ პროექტის მიხედვით, ხელისუფლებას შეუძლია, ბიზნესმენებს ათეული წლების წინ გადაუხდელ გადასახადებზეც შეედავოს, წართმეულის უკან დაბრუნების რაიმე სამართლებრივი მექანიზმი კი, კანონპროექტში ჩადებული არ არის. დღემდე ეს პროცესი არაკანონიერად ხორციელდებოდა, ახლა კი ამის ლეგალიზება ხდება. გარდა ამისა, ფინანსთა სამინისტრო ცდილობს, ხელში ჩაიგდოს განუსაზღვრელი ძალაუფლება. როგორც ჩანს, ვერ გააცნობიერეს, რომ ხელისუფლებისთვის ადმინისტრირების ნაწილში განსაკუთრებული უფლებების მინიჭება, პოზიტიურს არაფერს მოგვიტანს. კარგი ბინზესკლიმატის შექმნისა და მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშესაწყობად ამ კანონპროექტში თითქმის არც ერთი პუნქტი არ არის ჩადებული. ■

„თუ დეზერტირების ბაზარი დაიხურა, 600-ზდე მოვაჭრე უმუშევარი დარჩება“

— სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის განცხადებით, დეზერტირების ბაზარი, სანიტარულ ნორმებს ვერ აკმაყოფილებს და ინფექციური დაავადებების გავრცელების საშიშროებას ქმნის. ერთ კვირაში გამოსწორდება ეს მდგომარეობა თუ დაიხურება დეზერტირების ბაზარი?

თეიმურაზ პაპუაშვილი, *ბაზრის დირექტორი:*

— დეზერტირების ბაზარში შვიდი წელიწადია, რაც მალფუჭებადი პროდუქტებისათვის დახლმაცივრები გვაქვს დამონტაჟებული. ამ მაცივრების ვარგისიანობის შესახებ ჯერ არავის გამოუთქვამს პრეტენზია, ახლა კი განაცხადეს, რომ მათი რაოდენობა საკმარისი არ არის და ისინი სტანდარტის შესაბამისად — 12 გრადუს ცელსიუსზე უნდა დამონტაჟდეს, დღეს ამ მაცივრებში ტემპერატურა 17-18 გრადუსია. დახლმაცივრების გადასაკეთებლად 10 ათასი ლარი გვჭირდება, ჩვენ კი ამ თანხის ნახევარიც არ გვაქვს, რადგან 5 თვის განმავლობაში ბაზრის ტერიტორიაზე შემოსული 300 გარემოვაჭრის ნაწილი გადასახადს არ იხდის. ბაზრის მოვლა კი გადასახადებზეა დამოკიდებული. სანიტარული ნორმების დასაცავად ბაზარში თევზეულით მოვაჭრეებს აღარ ვუშვებთ. მოწესრიგდა ნაგვის გატანის პრობლემაც: თუ აქამდე, ერთი მანქანა ნაგავი გადიოდა, ახლა დღეში ოთხი მანქანა გადის. გადაწყდა წყლით მომარაგების საკითხიც. მაგრამ ამის დანახვა არ სურთ. პრობლემები კიდევ არის, მაგრამ მის მოსაგვარებლად, ერთი კვირა ნამდვილად არ გვეყოფა. თუ დეზერტირების ბაზარი დაიხურა, 600-ზდე მოვაჭრე უმუშევარი დარჩება, მათზე მაინც ეფიქრათ და ეთქვათ — ვაჭრობის საფასური გადაიხადეთო. ამ თანხით სანიტარული პრობლემები მოგვარდებოდა და არც ჩვენს 600 თანამოქალაქეს დაემუქრებოდა უმუშევრად დარჩენის საფრთხე. ■

„ბენდუქიძე ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ჯერ ვერ გაერკვა“

— „ვყიდით ყველაფერს, ნამუსის გარდა“ — ასეთია ეკონომიკის მინისტრის განწყობა „დიდი პრივატიზაციის“ დაწყების წინ. თქვენი აზრით, რატომ მოხვდა გასაყიდთა სიაში, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები და ვინ განახორციელებს კონტროლს საქართველოს საზღვაო აკვატორიაზე?

რომან გოცირიძე, *პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე:*

— ძალიან მიხარია, რომ დადგა ის დრო, როცა აღარავინ კამათობს იმაზე, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის თავისუფალი ბაზარი არის საჭირო. ინვესტორების მოზიდვა და კაპიტალდაბანდება პოზიტიური და მისასალმებელი პროცესია. მაგრამ ყველაფრის გაყიდვა, მით უმეტეს, თუ მყიდველები რუსი მეზობლები იქნებიან, ძალზე სახიფათოა. მე ყოველთვის ვუჭერდი მხარს უცხოელი ინვესტორების შემოსვლას, მაგრამ ეს სტრატეგიული და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების გაყიდვის ხარჯზე არ უნდა მოხდეს, რადგან ჩვენ უსაფრთხოების გარანტიები არ გაგვაჩნია. სერიოზული ობიექტების გაყიდვაზე ფიქრის უფლება მხოლოდ მაშინ გვექნება, როცა საქართველო, ნატოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყანა გახდება: როცა ევროპული უსაფრთხოების ქვეშ მოვექცევით, შეგვიძლია, ეკონომიკური საკითხების მოგვარება უფრო პრიორიტეტულად ვაქციოთ, ვიდრე სამხედრო სტრატეგიაზე ზრუნვა. როცა საუბარია ფოთისა და ბათუმის პორტების გაყიდვაზე, ჩვენ ამით იმდენად დიდ საფრთხეში ვიგდებთ თავს, რომ წინასწარ ვერც წარმოვიდგენთ, რა შედეგები მოჰყვება. საზღვაო აკვატორიაზე მონოპოლია არც რუსეთს, არც თურქეთს და არც რომელიმე სხვა სახელმწიფოს არ უნდა ჰქონდეს. განსაკუთრებით დაუშვებელია, რომ სასაზღვრო სივრცე რუსეთის კონტროლს დავუქვემდებაროთ. პირადად მე, ვერ ვხვდები, რას ნიშნავს „დიდი პრივატიზაცია“, რადგან 15 ათასზე მეტი მცირე და საშუალო საწარმო და 1300-ზე მეტი მსხვილი საწარმო გაყიდულია; დარჩა მხოლოდ თავდაცვის ობიექტები და ახლა მათ მყიდველებს ეძებენ. როგორც ჩანს, კახა ბენდუქიძე ცუდად იცნობს ჩვენს პოლიტიკურ რეალობას. პარლამენტში მის ინიციატივას სერიოზული ოპონენტები გამოუჩნდებიან, რაც ჩემი აზრით, ეკონომიკის მინისტრს სხვაგვარად დაანახვებს არსებულ რეალობას. ■

„აჭარაში მხარს უჭერენ იმ გუნდს, რომელიც პრეზიდენტის ნდობით არის აღჭურვილი“

— ამბობენ, კობა ხაბაზმა პარლამენტარის მანდატზე უარი იმიტომ თქვა, რომ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეობა გარანტირებული აქვს. ასეთ პირობებში, 20 ივნისის არჩევნების დემოკრატიულობა ეჭვქვეშ ხომ არ დგება?

მიხეილ მაჭავარიანი, *პარლამენტის ვიცე-სპიკერი:*

— აჭარის არჩევნები აბსოლუტურად გამჭვირვალედ და დემოკრატიულად ჩატარდება. გამარჯვების შანსი „ნაციონალები — დემოკრატების“ გარდა, რესპუბლიკელებსა და „მრეწველებსაც“ აქვთ. რაც შეეხება სხვა პარტიებს — მათ აჭარაში ძლიერი პოზიციები არა აქვთ. კობა ხაბაზთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ ის ჩვენი პარტიული სიის სათავეშია და აუცილებლად გახდება აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე. ეს იქნება იმის დადასტურება, რომ აჭარაში მხარს უჭერენ იმ გუნდს, რომელიც პრეზიდენტის ნდობით არის აღჭურვილი. აჭარის მოსახლეობამ დაინახა, ვინ დამხო ასლან აბაშიძის დიქტატორული რეჟიმი და ვისი ძალისხმევით დაიწყო აღმშენებლობის პროცესი. ამიტომ პრეზიდენტის გუნდის მიმართ მათი კეთილგანწყობა ბუნებრივია. გარდა ამისა, კობა ხაბაზს კარგად იცნობს ადგილობრივი მოსახლეობა, იციან მისი მებრძოლი ბუნებისა და წესიერების შესახებ. კობა ხაბაზმა არაერთი წელი შეალია აბაშიძის დანაშაულებრივი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას. ის იბრძოდა მაშინაც კი, როცა აბაშიძის კრიტიკას ბევრი ვერ ბედავდა. აჭარაში ეს არ დავიწყებიათ. 20 ივნისს მოსახლეობა საკუთარ ნებას გამოხატავს და ყველა დაინახავს, როგორია ხალხის დამოკიდებულება პრეზიდენტისა და მისი გუნდის წევრების მიმართ. ■

მოამზადა ხათუნა მაღრაძემ

„გამორიცხული არ არის, რომ ჟვანიას შემცვლელი მოუძებნონ“

— კახა ბენდუქიძის ჩამოსვლის შემდეგ, კულუარებში საუბრობენ იმის შესახებ, რომ პრეზიდენტი ეკონომიკის ახალ მინისტრს მალე პრემიერ-მინისტრის პოსტს ჩააბარებს. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ასეთი პროგნოზი?

ფიქრია ჩიხრაძე, *„ახალი მემარჯვენეები“:*

— მიხეილ სააკაშვილის ნებართვის გარეშე წარმოუდგენელია, ასეთი ინფორმაციები გავრცელებულიყო. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ პრეზიდენტთან დაახლოებულმა პირებმა განაცხადეს, — პრემიერ-მინისტრად კახა ბენდუქიძე მშვენიერი კანდიდატურა იქნებოდაო... როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილს უნდა, რომ მაღალი თანამდებობის პირების შემცვლელი კანდიდატები ჰყავდეს, რადგან, ამგვარად, მათ ექნებათ იმის შიში, რომ შეცდომის დაშვების შემთხვევაში, მათი შემცვლელის მოძებნა არ გაჭირდება, მით უმეტეს, თუ ეს ალტერნატიული კანდიდატი, ამა თუ იმ მინისტრზე არანაკლებ სოლიდური ფიგურაა. ზოგადად ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ შევარდნაძისეული ინტრიგების ხლართვის სტილი გრძელდება. ინტრიგების ყველაზე წარმატებულ სპეციალისტად სწორედ ზურაბ ჟვანია ითვლება. მას ამ საქმეში დიდოსტატის ტიტული ეკუთვნის. როგორც ამბობენ, მოწინააღმდეგეს თავისივე მეთოდებით უნდა ებრძოლო. შესაძლოა, ბენდუქიძესთან დაკავშირებული ინფორმაციაც პოლიტიკური ინტრიგის ერთ-ერთი ნაწილი იყოს, რადგან ისეთი ფონი იქმნება, რომ ჟვანიას გარშემო ინტრიგების ხლართვა ნამდვილად დაიწყო. ჩაანაცვლებენ თუ არა მას ბენდუქიძით, ძნელი სათქმელია, თუმცა, გამორიცხული არაფერია. ამ ეტაპზე, მე ის უფრო მაინტერესებს, რატომ აღფრთოვანდა რუსული პოლიტიკური ისტებლიშმენტი საქართველოს ეკონომიკის მინისტრად მისი დანიშვნით. თუ ხელისუფლება რუსეთთან გარიგებაზე წავიდა, ე.ი. ჩვენ სახიფათო ზღვარს მივუახლოვდით. ■

ინდიანის უნივერსიტეტის პროფესორს, პოლიტოლოგ დოდონა კიზირიას ქართველი მკითხველის წინაშე განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ ათეულობით წელია, რაც ამერიკაში ცხოვრობს და მოღვაწეობს, — ყოველთვის აქტიურად ეხმიანებოდა საქართველოში მიმდინარე პროცესებს. საინტერესოა, რა რეზონანსი ჰქონდა „ვარდების რევოლუციას“ ამერიკაში და რა ცვლილებები დახვდა ქალბატონ დოდონას რევოლუციაგადატანილ საქართველოში — ის ხომ წელიწადში მხოლოდ ერთხელ სტუმრობს სამშობლოს.

დოდონა კიზირია:

სააკაშვილი ახ იყო ეროვანი, ამეიჯელებს სხვა კანდიდატებიც ჰყავდათ...

ნელი ცქიტიშვილი

— ვფიქრობ, ბევრი მნიშვნელოვანი რამ მოხდა ამ პერიოდში, მათ შორის — აჭარის პრობლემის გადაწყვეტა. პრობლემა კი თანდათან ისეთ მძიმე ხასიათს იძენდა, რომ შესაძლებელი იყო აჭარის დაკარგვის საშიშროების წინაშეც დავმდგარიყავით. თუმცა, არსებული ცვლილებებით გამოწვეული ეიფორიის მიუხედავად, არ შეიძლება არ დავინახოთ, თუ რა უმძიმეს პირობებში იმყოფება ქვეყანა, მოსახლეობა და ხელისუფლება, რომელმაც ეს პრობლემები უნდა გადაჭრას.

— ჯერ კიდევ ორი წლის წინ განაცხადეთ, რომ ამერიკა აღარ ენდობა შევარდნაძეს და დღევანდელ პოლიტიკურ ლიდერთა მიმართ თქვენი სიმპათიაც არ დაგიმალავთ...

— წლების განმავლობაში, აშშ-ის პოლიტიკური წრეები დადებითად იყვნენ განწყობილნი შევარდნაძის მიმართ, მაგრამ, ამ სიმპათიას არ ვიზიარებდი. მე დიდი ხნის განმავლობაში ვაკვირდებოდი დღევანდელი ლიდერების საქმიანობას, მიხეილ სააკაშვილს კი ჯერ კიდევ იმ დროიდან ვიცნობ, როდესაც ის აშშ-ში სწავლობდა და მუშაობდა. ვაფასებდი მის გულწრფელობას, მომწონდა მისი მტკიცე პოზიცია, რომ საქართველოში უნდა აღმოფხვრილიყო კორუფცია, აღდგენილიყო სამართლიანობა და ჩამოყალიბებულიყო ისეთი სისტემა, რომელშიც კანონიერება არ იქნებოდა დამოკიდებული ძალაუფლების მქონე ადამიანებზე.

ვფიქრობ, პრეზიდენტს სწორი კურსი აქვს აღებული, როცა ძველი ხელისუფლების დროს აღზევებულ კორუმპირებულებს იჭერს, მოპარულ ფულს სახელმწიფოსთვის აბრუნებინებს და შემდეგ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს: ასეთი ადამიანებით ციხეების გავსება ბიუჯეტს არაფრით წაადგება, მათი გადახდილი თანხები კი ნაწილობრივ მაინც გადაჭრის ზოგიერთ სასწრაფოდ გადასაწყვეტ ფინანსურ მოთხოვნას.

— თქვენი აზრით, რა როლი შეასრულა შეერთებულმა შტატებმა „ვარდების რევოლუციაში“?

— ამერიკამ „ვარდების რევოლუციაში“ დაიკავა სიმპათიურად განწყობილი დამკვირვებლის პოზიცია. ადრე კი საკმარისი იყო, შევარდნაძის სკამს ოდნავი რყევა დაეწყო, რომ ჩამოვიდოდა ვიღაც ამერიკიდან, კიდევ ერთხელ, ხალხის გასაგონად გამოაცხადებდა, თუ რა დიდი დემოკრატი და პოლიტიკოსი ედგა საქართველოს სათავეში და ეს ყველაფერი, უკვე საკმარისი იყო იმ ფსიქოლოგიური განწყობის შესაქმნელად, რომელიც ხელს უწყობდა შევარდნაძის პოზიციების გამაგრებას. ამჯერად ამერიკას ეს არ გაუკეთებია. და უკვე ის, რომ მან მხარი აღარ დაუჭირა სახელმწიფოს მეთაურს, დიდი დახმარება იყო ქვეყნისათვის. ჯეიმს ბეიკერის ვიზიტიც იმას ემსახურებოდა, რომ გადაეცა შევარდნაძისთვის ამერიკის ადმინისტრაციის სურვილი — ჩატარებულიყო სამართლიანი არჩევნები. კარგად იცოდნენ, თუ არჩევნები სამართლიანად ჩატარდებოდა, შევარდნაძე ვერ გაიმარჯვებდა. ამერიკის ერთ-ერთმა საინფორმაციო წყარომ ასეთი შინაარსის წერილიც დაბეჭდა: „შევარდნაძე დაჰპირდა ბეიკერს სამართლიანი არჩევნების ჩატარებას, თუმცა, მას ამაზე არც უფიქრია“. გარდა ამისა,ამერიკის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა საქართველოში, ბატონმა მაილსმა

შევარდნაძეს გადასცა ამერიკის ადმინისტრაციის პოზიცია და სურვილი – არ დაღვრილიყო სისხლი, არ გამოეყენებინათ ძალა დემონსტრანტების წინააღმდეგ. მას მიანიშნეს, რომ ასეთ შემთხვევაში ის აღმოჩნდებოდა ჰაგის სასამართლოს წინაშე, მილოშევიჩის გვერდით... არჩევნებზე მოვლენილი უამრავი დამკვირვებელიც მხოლოდ იმაზე მიანიშნებდა, თუ როგორ არ სურდა დასავლეთს შევარდნაძის გამარჯვება.

— ეი. საკაშვილი ამერიკის მხარდაჭერით სარგებლობდა...

– სხვათა შორის, საკაშვილი სულაც არ იყო ერთადერთი მისაღები კანდიდატურა – ამერიკელებს სხვა კანდიდატებიც ჰყავდათ მხედველობაში...

— კონკრეტულად ხომ ვერ დასახელებდით?

– ვფიქრობ, ამჟამად მათი დასახელება საჭირო აღარ არის. უბრალოდ, მინდა ვთქვა: ბევრს ჰგონია, რომ ყველაფერი, რაც საქართველოში ხდება, ამერიკაში დაწერილი სცენარის მიხედვით განვითარდა. ეს ასე არ არის და მიხარია, რომ ასე არ არის, რადგან ქართველებმა თვითონ უნდა იზრუნონ საკუთარი ქვეყნის თუ ოჯახის ბედზე და თვითონვე უნდა წარმართონ ისეთი პოლიტიკური პროცესები, რომლებიც უკეთეს მომავალს მოიტანს.

— თუმცა, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ სიტუაციის მომწიფებას, სხვადასხვა ორგანიზაციული საკითხის მოგვარებას სოლიდური დაფინანსება სჭირდებოდა. ამ კონტექსტში ხშირად გაისმოდა ჯორჯ სოროსის სახელი. შემდეგ ხელისუფლებაშიც ბევრი „სოროსელი“ აღმოჩნდა. ჩვენში იმაზეც მიმდინარეობდა დებატები, უნდა გადაუხადოს თუ არა სოროსმა საქართველოს მთავრობას ხელფასი...

– ძალიან გულუბრყვილო ადამიანი თუ იფიქრებს, რომ სოროსი აფინანსებს საქართველოს მთავრობას. რასაკვირველია, სოროსი აფინანსებს ბევრ დემოკრატიულ თუ კულტურულ ინსტიტუტს, სამეცნიერო პროექტს, გამოკვლევას და ა.შ. შევარდნაძემ არანაირი ფინანსური შესაძლებლობა აღარ დაუტოვა არც ქვეყანას და არც მომავალ ხელისუფლებას არსებობისთვის. და თუ სოროსი რაიმე თანხებს გამოყოფს ხელისუფლების ამა თუ იმ შტოს დასაფინანსებლად, ჩემი აზრით, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი სოროსის მითითებებით იმოქმედებენ. რასაკვირველია, სოროსი ალტრუისტი არ არის, ბიზნესმენია და ლიბერალიზაცია მისთვის ფინანსურადაც მომგებიანია. მას ექნება ფინანსური ინტერესები, კულტურული ინტერესებიც და არა ხელისუფლებაზე პოლიტიკური გავლენის მოპოვების ამბიცია. ქვეყანა ბედნიერი უნდა იყოს, ასეთი დახმარების გამო და საზელმწიფომ მისი გონივრულად გამოყენება უნდა შეძლოს.

— მცირერიცხოვან ერებს, მუდამ აქვთ იმის შიში, რომ უცხო ქვეყნის ინტერესებმა მათი თვითმყოფადობა არ შეიწიროს... რამდენად ემუქრება გლობალიზაციის პროცესი საქართველოს და როგორ შეიძლება, თავი ავარიდოთ იმ უარყოფით შედეგებს, რაც მას მოაქვს?

– გლობალიზაციის პროცესში საქართველოს ჩართვა არ არის დამოკიდებული არც სოროსზე, არც ამერიკაზე და არც სხვაზე. ეს გარდაუვალია: ვერ წარმომიდგენია, რა უნდა გააკეთოს საქართველომ იმისათვის, რომ გლობალიზაციის პროცესისგან იზოლირებული დარჩეს. თუ წარმოგიდგენიათ, რომ საქართველომ მისი საზღვრების გასწვრივ აღმართოს მაღალი ღობე, გაწყვიტოს საინტერნეტო კავშირი მთელ მსოფლიოსთან და იცხოვროს ჩაკეტილ რაღაც ნაჭუჭში?.. მაგრამ არც იმის თქმა მსურს, რომ გლობალიზაცია მხოლოდ კარგს მოგვიტანს. მასში ბევრი საფრთხე დევს, ამიტომ ფხიზლად უნდა ვიყოთ, გავითვალისწინოთ ყველა მოსალოდნელი საშიშროება და ამ პროცესს გავუმკლავდებით კიდეც. თუმცა, დანაკარგებიც გარდაუვალია, რადგან ყველაფრის შენარჩუნებაც გლობალიზაციის პირობებში შეუძლებელია. ავიღოთ თუნდაც დღევანდელი სიტუაცია: ქვეყნიდან მილიონზე მეტი ადამიანია წასული. ისინი ხომ სოროსს არ წაუყვანია?! მრჩება შთაბეჭდილება, რომ ყოველი მეორე ქართველი დღესაც გასაქცევად მზად არის. ეს მოვლენა კი უმძიმესი სოციალური პირობების გარდა, გლობალიზაციის შედეგიცაა: გაიხსნა საზღვრები, გაჩნდა უცხოეთში სწავლის თუ მუშაობის შესაძლებლობები და ყველას სურს, მდგომარეობა გაიუმჯობესოს. თითქოს მივეჩვიეთ, რომ ყველაფერი ცუდი, რაც ჩვენს თავს ხდება, სხვას დავაბრალოთ... არადა, ახალგაზრდები მძიმე არჩევანის წინაშე დგანან: საზღვარგარეთ დარჩნენ და მაღალანაზღაურებადი სამსახური ჰქონდეთ თუ სამშობლოში დაბრუნდნენ, გაურკვეველი პერსპექტივით.

— თქვენ რომ დადგეთ მსგავსი არჩევანის წინაშე, როგორ მოიქცევით?

– უკვე საკმაოდ ხანში შესული ვარ საამისოდ. 15 წლით უფრო ახალგაზრდა, აქ აუცილებლად დავბრუნდებოდი. თუმცა, დღესაც მზად ვარ, ასე მოვიქცე, თუკი ამის აუცილებლობას დავინახავ – მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არა მაქვს არც სახლი, არც სამსახური და არც იმის პერსპექტივა, რომ ეს ყველაფერი უახლოეს ხანში მექნება... საქართველოს მომავალი არა ჩემი ხნის ადამიანებზე, არამედ ახალგაზრდებზეა დამოკიდებული.

— თქვენ პოლიტოლოგი ბრძანდებით და საინტერესოა თქვენი აზრი ქვეყნის საგარეო კურსზე. პრეზიდენტს ზოგი რუსეთთან „ჩახუტებაში“ სდებს ბრალს, ზოგი კი, ამერიკის ინტერესების გამტარებლად მიიჩნევს. ადრე, წლების მანძილზე ბევრს მიაჩნდა, რომ შევარდნაძე ოსტატურად წარმართავდა ქვეყნის საგარეო კურსს დაბალანსების პოლიტიკის წყალობით. რას მივიღებთ ამჯერად?

– მე სასაცილოდაც არ მყოფნის იმის მოსმენა, რომ შევარდნაძე იყო კარგი დამბალანსებელი. მისი პოლიტიკა იყო ფლუგერის პოლიტიკა – იქითკენ მიტრიალდებოდა, საიდანაც მეტი ფულის მიღების შანსი გაჩნდებოდა, თანაც – არა ქვეყნისთვის, არამედ საკუთარი გარემოცვისა და კლანისთვის. რაც შეეხება საკაშვილის კურსს – ჯერჯერობით რასაც ვხედავ, ეს არის გამჭრიახი პოლიტიკა, სადაც როგორც რუსეთს, ისე ამერიკას ეძლევა ჯანსაღი კონკურენციის შანსი...

— რა მდგომარეობაში აღმოჩნდება საქართველო ამ ორი ქვეყნის ინტერესების მკვეთრი შეჯახების შემთხვევაში?

– საქართველოს ხელისუფლების მთავარი ამოცანაც ის არის, რომ ამ ინტერესების დაბალანსება შეძლოს. დღევანდელი ხელისუფლება ამას ჯერჯერობით კარგად ართმევს თავს და მიუხედავად მიხეილ სააკაშვილისადმი ჩემი სიმპათიისა, მე არასდროს დავუჭერ მხარს მის პოლიტიკას, თუკი დავინახავ, რომ მისი ნაბიჯები საქართველოსთვის სასიკეთო არ იქნება.

— როგორ აფასებთ „ურჩი რეგიონების“ მიმართ ხელისუფლების მიერ ბოლო დროს გადადგმულ ნაბიჯებს?

– აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემის გადაწყვეტაში მართლაც, დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკის, ცხოვრების დონის ამაღლებას. იქაური მცხოვრები, აფხაზი იქნება ეს, ოსი თუ სხვა, ამ ფაქტორით უნდა დაინტერესდეს. უამრავმა ქართველმა იმიტომ კი არ აიღო რუსული პასპორტი, რომ საქართველო არ უყვარს, არამედ ამისაკენ მას გამოუვალმა მდგომარეობამ, მატერიალურმა სიდუხჭირემ უბიძგა. რუსეთის მოქალაქეობაში დაინახა უპირატესობა და ცხოვრების გაუმჯობესების გზა... მიმაჩნია, რომ რაც შეიძლება მეტი ინვესტორი უნდა მოვიზიდოთ არა მხოლოდ რუსეთიდან ან ამერიკიდან, არამედ სხვა ქვეყნებიდანაც, რადგან რაც უფრო მეტი ინვესტორი იქნება, მით მეტი კონკურენციის სურვილი გაჩნდება და ქვეყანაც არჩევანს საუკეთესო წინადადებებზე შეაჩერებს. ინვესტიციების გარეშე საქართველოს ეკონომიკა ვერ გაიმართება. ■



„გზის“ წინა ნომრის „საპატარძლოს“, ჯგუფ „ენსის“ წევრის ნათია ნებიერიძის ინტერვიუს გამოხმაურებად მოსული „მესიჯების“ სიმრავლით თუ ვიმსჯელებთ, ეს გოგონა ძალზე ბევრი მამაკაცის კერპი ყოფილა. ვიდრე ამ გამოხმაურებებს გაგაცნობთ, უნდა შევახსენო მკითხველებს ის, რისი ხაზგასმაც კარგა ხანია არ დამჭირვებია, მაგრამ ბოლო დროს, კვლავ აქტუალური გახდა ჩემთვის: ტელეფონის ნომერი, რომელიც „საპატარძლოს“ ან „სასიძოს“ რუბრიკის ბოლოსაა მითითებული, ჟურნალისტისაა და არა რესპონდენტის, ამიტომ თაყვანისმცემლებს ვთხოვ, პაემანს ნუ მინიშნავთ და სიყვარულს რესპონდენტის ნაცვლად მე ნუ მიხსნით!..

მაშ ასე — ნათია ნებიერიძის სახელზე მოსული გამოხმაურებები.

„დიდი ხანია, რაც გეძებ...“

მარი ჯაფარიძე

„მე მახსოვს შენი თვალების ეშხი, სინაზე, სევდა... გამახსენდები? შენი ღიმილი თვალწინ მიდგება. გულიც მძიმდება და იძირება, და თუ დავიხრჩვი, ბრალი უთუოდ შენი იქნება“.

„დამშვიდობებისას ღიმილით გტოვებდი. კოცნა ჩემს ხელისგულზე დავტიე და სული შევუბერე. არ გეგონოს, ვინც იღიმება, ყველა ბედნიერია, რამეთუ გულიდან წამოსული ცრემლი თვალებამდე არასოდეს აღწევს...“

„ჩემში შენი მოწონება კივის და დიდი სურვილი დგება... მოდი, რა, ერთობლივად დავაყრუოთ ქვეყანა... ნათი, წამო, რა, ერთად ვიაროთ. მიყვარხარ კისერში. გეფერები სულ“.

„ნათი, კარგი ინტერვიუა, საღოლ! კარგი გოგოც ხარ. ნანუკაც კარგი გოგოა. აკოცე ჩემ მაგივრად და ჰკითხე — შია? სანდრო“.

„ნათია, მომეწონე. შენ ჩემი ოცნების ქალი ხარ. ძალიან საყვარელი და სანდო გამოხედვა გაქვს. ასე რომ, მართლაც იმსახურებ ყოველივე კარგს. მე შავგვრემანი და მაღალი ბიჭი ვარ“.

„ჩემო ლამაზო და ჩემო ტურფავ! რა მშვენიერი სახელი გქვია. შენ ლამაზი ხარ, რას შეგადარო? ისე ლამაზი, როგორც სალ კლდეზე ია“.

„მე მომენატრა შენი ხმა, იგი ისეთი ნაზია, ერთს კიდევ თუ არ მოვისმენ, გული გასკდება „შვაშია“. ნათი, მე შენი გაცნობა, იცი, რარიგად მწადია?“

„ვარ დაბალი, მსუქანი, მელოტი, ქერა, ლოთი, არაკონტაქტური, მაგრამ ძალიან მიყვარს სახლის სახურავზე „ზაგარის“ მიღება. ხ. ვიცი, ნათია ჩემს ნომერს მოგთხოვს, მაგრამ ძმურად, არ მისცე, რა! ცოტა იწვალოს და ისე მიხვდეს, ვინ ვარ“.

„ნათია, გამარჯობა. მე ვარ სიმაღლით 190 სმ, ასაკით — 30 წლის. სპორტული აღნაგობის. სამწუხაროდ, თბილისელი არ ვარ, მაგრამ ვარ შენი თაყვანისმცემელი.“

„მიკვირს, ასეთ კარგ გოგონას თაყვანისმცემელი რომ არ ჰყავს. ჩემი სახელია ბესო. კონცერტზე თქვენი გაცნობა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. დამიკავშირდი“.

„ნათი, ძალიან მომეწონე. ვარ შავგვრემანი, საკმაოდ სიმპათიური, 21/185/75. მოკლედ, ყველა შენს მოთხოვნას ვაკმაყოფილებ“.

„ბუნებრივად ლამაზი მანდილოსანი ბრძანდებით, მაგრამ საინტერესოა, შინაგანადაც ასეთი ლამაზი ხართ?.. მაშინ დამიკავშირდით“.

„ნათი, ძალიან მომხიბვლელი, ულამაზესი და უსაყვარლესი გოგო ხარ. სიამოვნებით გაგიცნობდი. პროფესიით ექიმი გახლავარ, ქუთაისელი“.

„პაწაწინა ნათი, მგონი, მე ვარ ის კაცი, რომელსაც შენს ინტერვიუში აღწერ. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, ეს „მესიჯი“ გამომეგზავნა. იქნებ, ბედია? ვადიმი“.

„როგორ ხარ, სიყვარულო? ერთი ჩვეულებრივი ბიჭი ვარ, რომელსაც შენთან ლაპარაკი სურს. დამირეკე, დარწმუნებული ვარ, მოგეწონები“.

„ნათი, როგორ ხარ? ძვირფასო, დიდი ხანია, რაც გეძებ და როგორც იქნა, ეს ოცნება ამიხდა. შენს სურათს რომ ვუყურებ, გული ტირის ხოლმე. იცი, რა ბედნიერი ვარ, რომ გიპოვე? მგონი, ჩემზე ბედნიერი კაცი დედამიწის ზურგზე არ დადის. მითხარი რამე, გთხოვ“.

„დღეს შენს თვალებს ვაკვირდებოდი და ძალიან ლამაზი იყო. სულ ბედნიერი რატომ ხარ?.. რაც გითხარი, არ გეწყინოს. ძალიან გიხდება ღიმილი. ალბათ, ყველა ამას გეუბნება“.

„უკაცრავად, თუ თქვენს მშვიდ ცხოვრებაში შემოვიჭერი. უკვე მერამდენე „მესიჯს“ გიგზავნი, თვლა აღარ აქვს. გთხოვ, დამირეკო (AA040)“

„დავიბადე 1983 წელს, მაისში. ვარ 185 სმ სიმაღლის. მაგრად მომწონს შენი „შხვართი“ ტანი და ლამაზი სახე. ძალიან გთხოვ, გამომეხმაურე. მაგარი გოგო ხარ, ნათი! ლუკა, ბათუმი“.

„შენ იცი, რა ხარ? ცისფერი ზღვა ხარ. შენ ჩემი უძირო გულის თქმა ხარ“. ნათია, მიყვარხარ, დარეკე, თუ „ძმა“ ხარ“.

„ნათია, მაგრად მევასები, ძალიან მაგარ „ვიდზე“ ხარ. მითხარი, სად გნახო? როგორ გაგიცნო?“

„ნათია, ძალიან მიყვარხარ და ძალიან მინდა გიცნობდე. შენ ჩემი ქალღმერთი ხარ. სამწუხაროა, რომ ვერასოდეს მოვახერხე შენთან დაახლოება. შენისთანა ლამაზ გოგოს ხელიდან ვინ გაუშვებს?“

„დამაგვიანდა, მაგრამ მაინც გეტყვი, რომ მიყვარხარ. შენ ერთადერთი ხარ, ვის ცოლად მოყვანასაც ვისურვებდი. მე ხომ ყოველდღე გელი, ჩემი ოცნების ქალო“.

„ნათი, კეკლუცი ხარ. კარგი იქნებოდა, ხაჭაპურის ცხობა რომ იცოდე...“

„მარი, იცი, როგორ მიყვარს ნათია? რა ვქნა? რა დავწერო ისეთი, რომ ჩემთან შეხვედრა ისურვოს? მგონი, ერთადერთი შანსი მეძლევა მისი გაცნობის და რომ ვერ გამოვიყენო, ჭკუიდან შევიშლები. მე ხომ მისი გამოხედვა გულს მიმგერებს, ერთი მიხრა-მოხრა — ტანში ჟრუანტელს მგვრის და წარმოიდგინეთ, მისი შეხება რას მიზამს? შესაძლოა, მიწაზე უსულოდ დავეცე. არა, არ მინდა მისი გაცნობა. ეს სიკვდილის ტოლფასი იქნება. „ასე შორიდან მიყვარდე უნდა, მსურს ასე ჩუმად გელოლიავო“.

„შენნაირ ქალებს ვეძახი ქალღმერთს. ისე დავთვრები, რომ გონი დავკარგო და არასოდეს გამოვფხიზლდე. მე ხომ ისედაც შენი სიყვარულით მთვრალი ვარ“.

„დამისხით, დამალევინეთ, დარდებს ჩავახშობ ღამეში, მოვეფერები ჩემს იმედს, მასაც ჩემსავით გალეშილს!“ ნათი, ამივსე სიყვარულის ფიალა და გეფიცები, ბოლომდე სულმოუთქმელად დავცლი“.

■

როდესაც ჯაბა ძარსელაძესთან ინტერვიუს ჩასაწერად მივდიოდი, ვფიქრობდი, რომ ნაადრევი პოპულარობით გაყოყოჩებულ, თავგასულ და ოჯახის ნებიერ ბიჭთან საუბარი მომიწევდა. თურმე, ვცდებოდი: ახალგაზრდა მომღერალი ძალზე თავმდაბალი, მოკრძალებული და საკმაოდ ენაწყლიანი რესპონდენტი აღმოჩნდა. დარწმუნებული ვარ, ბევრი მკითხველის გულს გავახარებთ, „სასიძოს ამპლუაში“ მისი წარდგენით. არც იმას დაგიმალავთ, რომ მასზე არჩევანი ერთ-ერთი თაყვანისმცემლის, ქუთაისელი გოგონას დაჟინებული თხოვნის შემდეგ შევაჩერეთ... ჯაბა „კავკასიის ბიზნესსკოლის“ სტუდენტია, პირველი კურსი წარმატებით დაამთავრა — სესიაზე მხოლოდ ერთი ოთხიანი მიიღო.

ჟურნალისტებმა ისე „დამაფრთხეს“, გოგონასთან ერთად ცალხმი გამოჩენას ვერიდები

მარი ჯაფარიძე

— **ჯაბა, გაგვაცანი შენი ოჯახი.**

— დედ-მამასთან ერთად ვცხოვრობ, მყავს და, რომელიც ჩემზე უფროსია, გათხოვილია და ცალკე ცხოვრობს...

— **რამდენი წლის ხარ?**

— 1 თვის წინ გავხდი 18 წლის. ადრე რომ დაგერეკათ ჩემთვის, ინტერვიუზე უარს გეტყოდით, რადგან არასრულწლოვანი ვიყავი და „სასიძოდ“ არ გამოვდგებოდი. ახლა კი უკვე შეიძლება...

— **ახლა სხვა ხელისშემშლელი მიზეზი ხომ არ გაქვს? იქნებ შეყვარებული ხარ?**

— არა, შეყვარებული არ მყავს, მით უმეტეს — საცოლე. მართალია, ამას წინათ, ერთ-ერთმა ჟურნალმა იმ გოგოს ფოტოც კი დაბეჭდა, რომელიც ვითომ ჩემი შეყვარებული და მეგობარია, მაგრამ ალალად გეუბნებით — ეს ტყუილია. მე ჯერ არჩევანი არ გამიკეთებია.

— **მაშ, იქნებ ჩვენ დაგეხმაროთ?! მოდი, საკუთარი თავი დახასიათე.**

— ძალზე ძნელია, შენს თავზე კარგი ილაპარაკო, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ ჩემს დადებით თვისებად მიმაჩნია ერთგულება. ასევე ის, რომ არ ვარ შურიანი. არასოდეს შემშურდება სხვისი სიკეთე...

— **იქნებ იმიტომ, რომ იღბლიანი ადამიანი ხარ და ყოველთვის გიმართლებს?**

— იცით, წინათ არ ვიყავი პოპულარული, განებივრებული, მაგრამ არასოდეს შემშურებია და არც არასოდეს შემშურდება ვინმესი.

— **ხომ არ თვლი, რომ ძალზე პატარა ასაკში მოიპოვე სექსუალური მამაკაცის იმიჯი?**

— შეიძლება ითქვას, რომ დროს გავუსწარი. ბავშვობიდანვე, ყოველთვის მაინტერესებდა ისეთი რამ, რაც ჩემი ასაკისთვის შეუფერებელი იყო. მაგალითად, 12 წლის ასაკში მომინდა, რომ ბუღალტერია შემესწავლა. იმის ნაცვლად, რომ ეზოში გავსულიყავი და ჩემს თანატოლებთან ერთად ბურთი მეთამაშა, ჩავუჯექი მათემატიკას და საბუღალტრო საქმე შევისწავლე. ახლა ცოტა გული მწყდება, რომ ჩემი ბავშვობიდან ორი წელი დავკარგე, მაგრამ სამაგიეროდ, ცოდნა შევიძინე. მეგობრებიც ყოველთვის ჩემზე უფროსი ასაკის მყავდა. რაც შეეხება ჩემს სექსუალურ იმიჯს, ეს წინასწარ ჩაფიქრებული არ ყოფილა. უბრალოდ, როდესაც პირველ კლიპს ვიღებდით ბუკა მანაგაძესთან ერთად, რეჟისორმა ის ცოტა ეროტიკულად გადაწყვიტა. შემდეგ მეორე კლიპი, მესამე და ეს იმიჯი თავისთავად მოვიდა...

— **თვითკრიტიკა გეხერხება?**

— არ მომწონს ის, რომ ფეთქებადი ხასიათი მაქვს. ძალზე მაღიზიანებს ღალატი. ჩემი გაბრაზება შესაძლოა, გამოიწვიოს ღალატმა და უსამართლობამ. როდესაც ვიცი, რომ მართალი ვარ და ვიღაცა რაღაცას ტყუილად მაბრალებს, შესაძლოა, ჭკუიდან გადავიდე. შემიძლია, ვაპატიო ტყუილი, მაგრამ უსამართლობა — არა.

— **შენ თვითონ ხშირად იტყუები?**

— არა მგონია, არსებობდეს ადამიანი, რომელიც არ იტყუება. მეც მქონია ისეთი სიტუაცია, როცა აუცილებელია ტყუილის მოშველიება, რომ გამოძვრე... მატყუარა არ ვარ, მაგრამ ხანდახან მიწევს სიცრუის თქმა. უბრალდოდ, იძულებული ვხდები და იმიტომ. მერე ვწუხვარ ხოლმე ამის გამო და ჩემს საქციელს ვინანიებ...

— **წყენა იოლად გავიწყდება?**

— კი, მალე მავიწყდება. თუმცა, პატიება შემიძლია მხოლოდ სამჯერ — შემდეგ ამ ადამიანს ვკარგავ. მართალია, ასეთი რამ იშვიათად ხდება, მაგრამ მაინც...

— **გაბრაზებას როგორ გამოხატავ?**

— თუ ვბრაზდები, უმეტესწილად, ვკამათობ ხოლმე. გააჩნია, ვინ გამაბრაზებს. თანატოლთან შესაძლოა, შევიგინო კიდეც, უფროსებთან კი — ზრდილობიანად ვკამათობ.

— **მშობლები რის გამო გსაყვედურობენ ხოლმე?**

— მათ არ უყვართ, როდესაც შინ მისვლას ვაგვიანებ. თუ კონცერტი მაქვს, მხოლოდ ამ შემთხვევაში არ აქვთ პრეტენზია. თუ მეგობრებთან ერთად ვარ, ფორიაქობენ და საყვედურებით მიკლებენ. ასევე ხშირად ვიღებ საყვედურს იმის გამო, რომ ბევრს ვმეცადინეობ. მამა ძალზე გვიან, დილის 5 საათზე იძინებს ხოლმე. ჩემს ოთახში ამ დროს ისევ სინათლე ანთია და არ მძინავს. ამის გამო უკმაყოფილებას გამოხატავენ...

— **ამ დროს მართლა მეცადინეობ თუ კომპიუტერთან ერთობი?**

— კომპიუტერთან ჯდომა არ მიყვარს, ვმეცადინეობ ხოლმე. იქ, სადაც მე ვსწავლობ, ძალზე დიდი სიმკაცრეა და არავითარი „ჩაწყობა“ არ მოდის: რასაც დაიმსახურებ, იმ ნიშანს მიიღებ. ამის

ჩემი მეუღლე უნდა იყოს ლამაზი, მომხიბლავი და განათლებული

გამო, ბევრს ვმეცადინეობ. მინდა, რომ ყველა საგანში ხუთიანი მქონდეს. იმის გამო, რომ სწავლის პროცესში არაფრისთვის დრო არ მრჩება, კლიპის გადაღებაც კი ვერ მოვახერხე. მე მიმაჩნია, რომ პირველ რიგში, უნდა ვიყო განათლებული ადამიანი, კარგი ბიზნესმენი და შემდეგ – მომღერალი...

— შენი მშობლები ალბათ, ამაყობენ ნიჭიერი და ჭკვიანი შვილით, ხომ?

– მამაჩემი არასოდეს არის კმაყოფილი არც თავისი და არც ჩემი მიღწევებით, თუმცა, არც შრომას მიკარგავს და მეტყვის ხოლმე – კარგია, მაგრამ უკეთესად შეიძლებოდა გაკეთებაო... ვფიქრობ, ეს ძალზე კარგია და მოდუნების საშუალებას არ მაძლევს. წინათ მწყინდა ხოლმე – რატომ არ მაქებს-მეთქი? – მაგრამ რომ გავიზარდე, მივხვდი, რომ სწორად იქცევა.

— როგორი გოგონები მოგწონს?

– ადამიანს პირველ რიგში, გარეგნულად აღიქვამ. მეც დიდ ყურადღებას ვაქცევ, როგორი ტანი, ფეხი და სახე აქვს გოგონას. მომწონს მაღალი, თხელი გოგონები, დაახლოებით ჩემი ასაკის. არ მომწონს უფროსი ასაკის ქალბატონები და ყურადღებას არ ვაქცევ თმისა და თვალის ფერს. მთავარია, იყოს მოხდენილი. შემდეგ ვიწყებ მისი შინაგანი სამყაროს გაცნობას. ხშირად მქონია შემთხვევა, რომ გოგონა მომწონებია, მაგრამ უინტერესო აღმოჩენილა. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ ვიტყვი, რომ გაუნათლებელი გოგონები არ მომწონს. მოკლედ, ჩემი მეუღლე უნდა იყოს ლამაზი, მომხიბლავი და განათლებული. არ მომწონს ცანცარა გოგონები, მაგრამ არც ძალზე წყნარები მხიბლავს. ახალგაზრდა გოგოს ცხოვრება უნდა უხაროდეს და ყოველთვის სიტუაციის შესაბამისად იქცეოდეს. თუ საჭიროა, მოილხინოს, თუ არა – სერიოზულად იმსჯელოს და იკამათოს ნებისმიერ საკითხზე.

— დარწმუნებული ვარ, ბევრი თაყვანისმცემელი გეყოლება.

– ძალზე ბევრი. იმისათვის, რომ სწავლაში ხელი არ შემშალოს და არ მოვცდე თაყვანისმცემლებთან ზედმეტი ლაპარაკის გამო, ძალზე ხშირად ვიცვლი მობილური ტელეფონის ნომერს და ყველას არ ვუმხელ. თუ დრო მაქვს და შინ დამირეკავს ვინმე, შესაძლოა, ვესაუბრო კიდეც... იცით, არ მესმის იმ გოგონების, რომლებიც მეუბნებიან, რომ თუ არ დაველაპარაკები ან არ შევხვდები, თავს მოიკლავენ, წყალში გადახტებიან და ა.შ. არასოდეს უნდა აქციო ჩვეულებრივი მოკვდავი კერპად. ერთი ჩვეულებრივი ბიჭი ვარ და მორჩა...

— ჭორები გაღიზიანებს?

– არა, ჭორებს ყურადღებას არ ვაქცევ, მაგრამ გულის სიღრმეში მწყინს, რადგან ხშირად ისეთ ჭორს მოვისმენ ხოლმე საკუთარ თავზე, რომ მიკვირს, როგორ იგონებენ ასეთ ტყუილს. ამას წინათ, პიანისტ ლევან შენგელიას კონცერტს დავესწარი ოპერაში, ჩემს მეგობართან, ხატია შამუგიასთან ერთად. ჩვენ დიდი ხნის მეგობრები ვართ და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ვგულისხმობ უბრალო, ადამიანურ მეგობრობას, რადგან ხატია ჩემზე გაცილებით უფროსია და გამორიცხულია, ჩვენ შორის ინტიმურ ურთიერთობებს ჰქონდეს ადგილი. ოპერაში უამრავი ჟურნალისტი იყო თავმოყრილი და ერთად რომ შევედით, მაშინვე შევნიშნე მათ სახეებზე ირონიული ღიმილი. მეორე დღეს კი, ერთ-ერთმა გაზეთმა დაბეჭდა სტატია სათაურით – „უყვართ თუ არა ხატიას და ჯაბას ერთმანეთი?“ ასე არ შეიძლება. ასეთი ტყუილის მოგონება დიდი ცოდვაა...

— ავტოგრაფს ხშირად გთხოვენ ხოლმე?

– ქალაქში ძირითადად, მანქანით ვმოძრაობ (საჭესთან მე არ ვზივარ, მძღოლი მყავს), ამიტომ უცხო ხალხთან კონტაქტი არ მიხდება. ამას წინათ, ქუჩაში ფეხით მიმავალს სამი გოგონა შემომხვდა და ავტოგრაფი მთხოვა. არ დავიზარე და საკმაოდ ვრცელი „ტექსტები“ დავუწერე. მეორე დღეს მეგობართან ერთად „რუსთაველში“ ვიყავი. ის გოგონები მოვიდნენ და ავტოგრაფი მთხოვეს. ალბათ, ჩემი გაშაყირება უნდოდათ. გაოცებით შევხედე და ვუთხარი: იცით, მე ის არ ვარ, ვინც გგონივართ,

ჭორებს ყურადღებას არ ვაქცევ, მაგრამ გულის სიღრმეში მწყინს

უბრალოდ ძალიან მგავს და ყველას ვეშლებით-მეთქი. – მართლაც, როგორ გგავსო?!. – ჩაილაპარაკეს და გამშორდნენ.

— თაყვანისმცემლები რომ გირეკავენ და გაწუხებენ, გასაგებია. შენ თვითონ თუ იჩენ ხოლმე ინიციატივას, რომ გოგონას გამოელაპარაკო ან დაურეკო და პაემანი დაუნიშნო?

– წინათ სწორედ ასე ვიქცეოდი ხოლმე, მაგრამ ახლა ჟურნალისტებმა ისე დამაფრთხეს, გოგონასთან ერთად ხალხში გამოჩენას ვერიდები. მეორე დღესვე ყველა ჟურნალ-გაზეთი დამაბრალებს, რომ გოგონა, რომელიც მახლდა, ჩემი შეყვარებული ან საცოლეა. ამის გამო თავს ვარიდებ ხალხმრავალ ადგილებში გოგონასთან ერთად გამოჩენას.

— შენს ყოფით პრობლემებს ვინ ჭრის? ვინ გაფინანსებს?

– მე ვთანამშრომლობ ერთ-ერთ ფირმასთან, სადაც მაქვს ხელფასი და ეს არის ჩემი შემოსავალი. წვრილმანებისთვის არასოდეს ვთხოვ ფულს მამას. „წვრილმანებში“ შედის ჩემი ტანისამოსი, მობილურის გადასახადი, ყოველდღიური ხარჯი... თუ სოლიდური თანხა მჭირდება, მამას ვთხოვ ხოლმე, მაგრამ ამას პირადად არასოდეს ვაკეთებ: მისი ძალზე დიდი ხათრი და რიდი მაქვს, ამიტომ მერიდება ფულის თხოვნა და დედას მივუგზავნი ხოლმე, რომ შუამავლის როლი იკისროს.

აი, ასეთია ჯაბა ქარსელაძე. გოგონებო, შანსი გეძლევათ, თქვენს კერპს დაუკავშირდეთ და ხმა მიაწვდინოთ ჩვენი საშუალებით. ამისათვის კი საკმარისია, დამირეკოთ ან „დამმესიჯოთ“ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. მე კი თქვენ შესახებ ინფორმაციას ჯაბას მივაწვდი. ■

შ.პ.ს. «დელტა»
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
მაღალი ხარისხი-მისაღები ფასები
მის: მ.ლაღიძის ქ.№9 ტ: 92 32 08; 92 14 95.

გია ბულაძე

რის პოულობდა „ნატურშიცების" ნაკვთებში ანუ რა ფერისაა სიყვარული

მხატვარ გია ბულაძეს მართალია, გოგონების გამო არ უჩხუბია, მაგრამ ერთი-ორი კონკურენტისთვის მკლავი კი გადაუწევია. შეყვარებულისთვის სიყვარულის დასამტკიცებლად, თავისი მოხატული კედლებიც მიუძღვნია. პირველი პაემნის კარგად დამთავრებაში კი, მისთვის პოლიტიკურ მოვლენას შეუშლია ხელი...

მერი კობიაშვილი

— დაახლოებით 14 წლის ვიქნებოდი, როცა პიონერთა სასახლიდან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაგვაგზავნეს რამდენიმე ბავშვი. ჭკუაზე არ ვიყავი. ახალგაზრდები ლაიფციგში, საერთო საცხოვრებელში მოგვათავსეს. იქ ჩამოვიდნენ სლოვაკი ბავშვებიც. ის პერიოდი იყო, როცა ჩეხოსლოვაკიაში ანტიკომუნისტური გამოსვლები მოხდა (1968 წ.), რომლის დროსაც განსაკუთრებით სლოვაკები აქტიურობდნენ... მე და ჩემი ერთი მეგობარი ფრენბურთს ვთამაშობდით ახალგაზრდული ცენტრის ეზოში. ორი სლოვაკი გოგონა მოგვიახლოვდა და ჩვენს თამაშს ადევნებდა თვალს. შევატყვეთ — ქართველი გოგონებისგან განსხვავებით, თამამები იყვნენ. ჩვენ თავი მოვიკალით, რომ რაც შეიძლება უკეთ გვეთამაშა... მოგვიანებით, მათი ინიციატივით, წყვილ-წყვილად დავიწყეთ თამაში. მერე ისიც გვითხრეს: — საღამოს თქვენთან შეხვედრა გვინდაო. ეს ქართველი ვაჟკაცები ძალიან ავღელდით. ერთ-ერთი გოგონასგან განსაკუთრებულ ყურადღებას ვგრძნობდი. მაშინ თეთრი, მრგვალი და მსუქანი ვიყავი. ის გოგონა კი ალბინოსი იყო, ვარდისფერი ლოყებით. ვერ ვიტყვი, ასეთი გოგონები მომწონდა-მეთქი, მაგრამ თავისთავად საინტერესო იყო მასთან ურთიერთობა. ცოტაოდენი ფული გვქონდა. საღამოსთვის მარილიანი ორცხობილები და გერმანული ლუდი მოვიმარაგეთ. დაახლოებით რვა საათზე ოთხივენი ჩვენს ნომერში ვისხედით. მართალია, ლუდის გემო არ მომწონდა, მაგრამ მაინც ვსვამდი, თან სხვადასხვა საკითხზე ვსაუბრობდით. ვხედავდი, რომ საკმაოდ აქტიური და შემტევი გოგონები იყვნენ, მაგრამ არ გასულა ნახევარი საათი, რომ კარი გაიღო და სლოვაკი ბიჭები შემოვიდნენ. ამით ჩვენი მოლოდინი და აღმაფრენა დაგვისამარეს: გოგონებმა მაშინვე მათ მუხლებზე გადაინაცვლეს. მაგრამ როგორც შევატყვე, ბიჭებს გოგონების საკითხი საერთოდ არ აწუხებდათ. საუბარი პოლიტიკაზე დაგვიწყეს. გვითხრეს — რუსები საშინელი ხალხი ხართო. ჩვენს აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. დავიწყეთ იმის მტკიცება, რომ ქართველები ვიყავით და არა რუსები, მაგრამ მათ საქართველოზე არაფერი იცოდნენ. მოკლედ, პაემანი პოლიტიკამ ჩაგვიმწარა.

— გამოდის, პირველ პაემანზე გოგონების ინიციატივით წასულხართ. თქვენ როდის დაუნიშნეთ პირველი პაემანი გოგოს?

— ამ მხრივ დიდი აქტიურობით არ გამოვირჩეოდი. არ მეგონა, რომ ჩემი გარეგნობის ბიჭი ვინმეს მოხიბვლას მოახერხებდა... ჩემს ახალგაზრდობაში, თუ ტელეფონის ზონარზე, რომ იტყვიან, თავს არ ჩამოიხრჩობდი, გოგოს ქუჩაში ვერ გამოიყვანდი. მე ამის გაკეთებას ვერ ბედავდი. 17 წლის ვიყავი, როცა ერთი გოგო ძალიან მომეწონა. ჩემი თანატოლი იყო, ამიტომ უფროსი ბიჭები მოსწონდა. მე კი ჯერ ნორმალურად წვერიც არ მქონდა ამოსული, სახეზეც რაღაცებს მაყრიდა... ამ ყველაფერთან ერთად, თმა გამიჭაღარავდა და ცვენაც დამეწყო. ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეში ვიქნებოდი? ამიტომ ასეთ გამოსავალს მივაგენი: ის გოგონა რომ დამეინტერესებინა, ვუთხარი — შენგან არაფერი მინდა, ვიცი, არ მოგწონვარ — უბრალოდ ყოველ შაბათს მოდი ჩემთან შინ და ის ნახატი ნახე, რომელსაც შენს მოსვლასთან დაკავშირებით დავხატავ-მეთქი. ეს იყო, კარგი გაგებით ეშმაკური ტიპის პაემანი. ამით ჩემს თავსაც სტიმულს ვაძლევდი. ის გოგონა 15-20 წუთი ჩერდებოდა ჩემთან სახლში, ნახატს ათვალიერებდა და რომ იტყოდა — ვაიმე, რა კარგიაო! — ეს ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო. ის რომ მიდიოდა, ახალ ტილოს ვეცემოდი და ხატვას ვიწყებდი. შეიძლება, ასე ნორმალური ადამიანი იქცეოდეს?! მაგრამ მე არ მქონდა ფული, არ მეცვა კარგი ტანსაცმელი, თმა მცვიოდა, მოკაუჭებული ცხვირი და კიდევ ბევრი სხვა ნაკლი მქონდა. ამიტომ ვცდილობდი, გოგოს ყურადღება ჩემი პერსონით მიმექცია. ერთხელ ულამაზესი გოგო მომწონდა. ვთხოვე — დაგხატავ-მეთქი, მაგრამ არ დამთანხმდა. მერე კიდევ დავურეკე: პიონერთა სასახლეში გამოფენა მაქვს და მოდი-მეთქი. კვირადღე იყო, რატომღაც დილის 11 საათზე დავუთქვი პაემანი. მეც კარგი ვინმე ვარ — მეცლია იმ კვირადღეს გამოძინება!.. არ მოვიდა და არც დაველოდე, 20 წუთის შემდეგ დარბაზიდან გავედი. სამაგიეროდ, 12 საათზე სხვა გოგო მოვიდა. ხელოვნებათმცოდნე აღმოჩნდა. მან სულ გადამავიწყა ჩემი ძველი სიმპათია. ეს ის გოგონა იყო, რომელიც ყოველ შაბათს ჩემი ნახატების სანახავად მოდიოდა ჩემთან სახლში. ის 9 წლის შემდეგ, ჩემი მეუღლე გახდა.

— მხატვრებზე ამბობენ — ხშირად, თავიანთი „ნატურშიცები" უყვარდებათო. თქვენც ხომ არ გქონიათ ასეთი შემთხვევა?

— „ნატურშიცა" იმ გაგებით, რასაც ჩვენთან გულისხმობენ, არც ერთი არ მომწონებია, მაგრამ პორტრეტებს რომ ვხატავდი, მათ სახის ნაკვთებს რომ ვაკვირდებოდი, ისეთ რამეებს ვპოულობდი, რაღაცნაირად ისე ვებმებოდი ხოლმე, რომ შეიძლებოდა, ცოტაც და ეს ყველაფერი სიყვარულში გადაზრდილიყო... ერთხელ, ძალიან საინტერესო ამბავი შემემთხვა: ჩემს კურსზე სწავლობდა ულამაზესი შავგვრემანი გოგონა. სურვილი გაუჩნდა, მისი პორტრეტი დამეხატა და ჩემთან შინ მოვიდა. სოლოლაკში სახლი ბელეტაჟზე მაქვს. ფანჯრები დაახლოებით 2,5 მ სიმაღლეზეა. ერთი სიტყვით, ჩემ წინ იჯდა გოგონა, რომელიც ბერძნულ ქანდაკებას ჰგავდა. ეცვა რძისფერი, მაქმანებიანი ზედატანი, შავი თმა და კუნაპეტივით შავი თვალები ჰქონდა... მოკლედ, ფანტასტიკა იყო. „შევძვერი" მის სახეში და დავიწყე ხატვა. ერთი დღის შემდეგ, თავს შევატყვე, რომ „მეფიქრებოდა" მასზე. მან, რასაკვირველია, იცოდა თავისი სილამაზის შესახებ და ამას აფიშირებასაც უწევდა. ვიცოდი, რომ ცოტა რთული გოგო იყო და ვერიდებოდი მასთან აქტიურ ურთიერთობას. მაგრამ მესამე სეანსზე რომ მოვიდა, ტვინი ისე ამერია, გად-

ამძლია ემოციებმა და ვცდილობდი, თავი საუკეთესო კუთხით წარმომეჩინა... ამ დროს მესმის, რომ ვიღაც ფანჯრიდან ეძახის მას. გადავიხედე და ჩემი კურსელი ბესო დავინახე. ათლეტური აღნაგობის, წარმოსადეგი ვაჟკაცი, კარგი წვერით, ხუჭუჭა თმით... ბესომ ძალიან კარგადაც იცოდა, რომ ჩემი სახლი იყო და მას ეძახდა. ის გოგოც მივიდა ფანჯარასთან... შესიციინებდნენ ერთმანეთს თვალებში. მოკლედ, რომეო და ჯულიეტასავით იყვნენ. გადახტა ის გოგო ფანჯრიდან, ბესომ აიყვანა ხელში და წაიყვანა. მე, რაღა უნდა გამეკეთებინა?! დაუმთავრებელ სურათს ნახევარი წელი ვინახავდი, მერე წავშალე...

— როგორ ფიქრობთ — სიყვარულის დახატვა შესაძლებელია?

— სიყვარული შეიძლება, ყველა მონახაზში და ყველა ხაზში გადმოსცე. შეიძლება, მარტო ყვავილი დახატო და ამით აჩვენო სიყვარული. ჩემს ცოლს ჩემზე არაჩვეულებრივი ტესტი აქვს შემუშავებული. სულ აკვირდება ჩემს ჩანახატებს. თუ დახატული ქალი მას ან ჩვენს ქალიშვილს არ ჰგავს, ეს იმას ნიშნავს, რომ თვალი სხვისკენ გამექცა (ოღონდ — მარტო თვალი და არა გული...). ყოველთვის ასე იყო. თავიდან ვხატავდი დედაჩემს, მერე — ლაშას დედას... საკმაოდ დიდი ხანი ჩემს ნახატებზე ქალები ჰგავდნენ ჩემს ცოლს ანის. ახლა ყველა ჩემს ქალიშვილს — ნინოს ჰგავს.

— თქვენი წარმოდგენით, სიყვარული რა ფერისაა?

— სიყვარულის ფერები რბილი და თბილია, მაგრამ გააჩნია, რა კონტექსტში ზის. შეიძლება, შავიც სიყვარულის ფერად მოგეჩვენოს. გიფიქრიათ ოდესმე — რატომ გიყვართ ქართველ ქალებს შავი ფერი? განა თქვენ სიყვარული გაკლიათ? არა, ამით თითქოს საკუთარ თავში იკეტებით და თქვენსავე თავში ეძებთ ძალებს. სწორედ ამიტომაა ქართველი ქალი საყვარელი. მართალია, მათ აქვთ თავიანთი პრობლემებიც, მაგრამ თუ გიყვარს, უნდა გაუგო. ამ ბოლო დროს ქართველმა ქალებმა წითელი, იასამნისფერი და ყვითელი ფერებით თავიანთი გრძნობების გამოხატვა დაიწყეთ.

— ქალის გარეგნობაში პირველ რიგში რა იპყრობს თქვენს ყურადღებას?

— თვალებს ჩემთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს. საკმაოდ დიდხანს ვიცხოვრე შვეიცარიაში. რომ ჩავედი, დაახლოებით თვე-ნახევარი შეწუხებული დავდიოდი ქუჩებში. თავიდან ვერ მივხვდი, რა მაწუხებდა. მოგვიანებით აღმოვაჩინე, ამის მიზეზი: ქუჩებში ლამაზი ქალები არ დადიოდნენ, რითიც თბილისში განებივრებული ვიყავი. რა თქმა უნდა, კარგია ძლიერი, მამაკაცური ქალებიც, მაგრამ მათ აკლდათ ის, რაც ქართველ ქალებშია: მათ თვალებში ჩაბუდებული მარადიული სევდა და მარადიული მშვენიერება.

— ქალებს ალბათ ყოველთვის რომანტიკულ საჩუქრებს უძღვნიდით...

— ნახატებს და წიგნებს ვჩუქნიდი. რადგან ძირითადად ჭკვიან ქალებთან მქონდა ურთიერთობა. ერთხელ საკმაოდ კარგად გაიყიდა ჩემი ნახატები გერმანიაში. მაშინ ახალი ნანახი მქონდა ფილმი „ლამაზმანი". რიჩარდ გირის გმირის მსგავსად ერთ პატარა ფრანგულ მაღაზიაში შევედი და არანორმალური სიჩქარით შევარჩიე 12 კაბა ანისთვის. არაჩვეულებრივი განცდა დამეუფლა, როცა უამრავი შეფუთული პარკით გამოვედი მაღაზიიდან... ■

„იმ დილით ქმარს თურმე უკანასკნელად ვხედავდი“

უგზო-უკვლოდ დაკარგული ქმარი ცოლმა 9 წლის შემდეგ ტრიალ მინდორში ნაპოვნი თავის ქალით ამოიცნო

საზარელი მკვლელობა, რომლის შესახებაც 9 წლის მანძილზე, არავინ არაფერი იცოდა, დედოფლისწყაროში, 1992 წლის 22 სექტემბერს მოხდა. იმ დღეს ბოროტმოქმედებმა ფიზიკური შეურაცხყოფის შემდეგ, ცეცხლსასროლი იარაღით სიცოცხლეს გამოასალმეს სრულიად უდანაშაულო, შუახნის ადგილობრივი მამაკაცი — რეზო (ოსვალდ) თამარაშვილი. გვამი უკაცრიელ ადგილას დამარხეს და თავად გაუჩინარდნენ. თამარაშვილის ოჯახის წევრები წლების მანძილზე უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნევდნენ და უშედეგოდ ეძებდნენ. მეუღლეს უბედურ შემთხვევასა ან მკვლელობაზე ფიქრი აშინებდა და ერთხანს თავს ირწმუნებდა, რომ ქმარმა ოჯახი მიატოვა და სხვა ქალთან ერთად საზღვარგარეთ გაიქცა. თუმცა, თავადაც და სხვებმაც იცოდნენ, რომ რეზო თამარაშვილის მიმართ ეს ეჭვი უსაფუძვლო იყო.

თამარაშვილის იდუმალ გაუჩინარებას მხოლოდ 9 წლის შემდეგ აეხადა ფარდა. 2001 წლის ნოემბერში ოჯახს შეატყობინეს, რომ კრიმინალებმა რეზო თამარაშვილის მკვლელობა აღიარეს და შემთხვევის ადგილზეც მიუთითეს. სამართლადამცავებთან ერთად გვამის ამოსაცნობად წასულ ნათელა ქადაგიძეს იქ მხოლოდ ქმრის ძვლები დახვდა. გამოძიების ვარაუდით, ბოროტმოქმედებმა მოკლულის გვამი სიჩქარეში კი არ დამარხეს, არამედ მხოლოდ ნაყარი მიწა დააყარეს და გარკვეული დროის შემდეგ, ის ზედაპირზე აღმოჩნდა.

ნათელა ქადაგიძე, მოკლულის მეუღლე:

„ამდენი წლის ტანჯვამ და უიმედო მოლოდინმა, რომ ოდესმე რამე გაირკვეოდა, ემოციებისგან დამცალა. ცნობას იმის შესახებ, რომ ქმარი 9 წლის წინ მომიკლეს და საქმე გაიხსნა, შესაბამისი, ბუნებრივი რეაქციით არ შევხვედრივარ. მითხრეს — ექსპერტს, გამომძიებელს და პროკურატურის სხვა თანაშრომლებს შემთხვევის ადგილას უნდა გაჰყვეთ, რათა ქმრის გვამი ამოიცნოთო. თან მთხოვეს, ცელოფანის პარკი წამეღო; მაშინ ვერ მივხვდი, რისთვის — თურმე, ძვლების ჩასწყობად სჭირდებოდათ. ინსტინქტურად ვმოქმედებდი და სამართალდამცავების მითითებებს სრულიად გაუცნობიერებლად ვასრულებდი.

დაუსახლებელ ადგილზე მივედით. დიდი, ტრიალი მინდორი იყო. იქვე, ხეთან ახლოს მიმიყვანეს და ადამიანის ძვლებზე მიმითითეს. ძვლის ფრაგმენტები სხვადასხვა ადგილას იყო მიმოფანტული. თავის ქალა მიჩვენეს. დავხედე თუ არა, მაშინვე ვიცანი ჩემი ქმარი. მისი ამოცნობა არ გამჭირვებია, ვიგრძენი, რომ ის იყო. ამას გარდა, განსაკუთრებული კბილები ჰქონდა, მილიონში გამოვარჩევდი. სწორედ კბილებმა დამარწმუნა, რომ ის რეზო იყო. ქალა ავიღე, მაგრამ ხელშივე შემომეფშვნა, მხოლოდ შუბლისა და ყბების ნაწილებიღა შემრჩა. იქ მყოფი სამართალდამცავები გაოცებულები მიყურებდნენ: რას შვრები, ასე ჭკუიდან შეიშლებიო! — მეუბნებოდნენ და ძვლებთან მიკარებას მიშლიდნენ, მაგრამ მათ არ ვუჯერებდი. გამწარებული და ქმარს დანატრებული ქალი ვიყავი, ბოლო წლებში იმის იმედი, რომ ცოცხალს ვნახავდი, გადაწურული მქონდა და ჩემი ერთადერთი ნატვრა ისღა იყო, თუნდაც მკვდარი მეპოვნა სადმე და მისი საფლავი მაინც მქონოდა. მერე იქვე დაგდებული ქმრის ბალთაც ამოვიცანი — ჩემი ქმრის იყო, სხვა ტანსაცმელი აღარსად ჩანდა“.

მოკლული რეზო (ოსვალდ) თამარაშვილი

შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი ძვლების ფრაგმენტები სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებს წარუდგინეს. ჩატარდა კომისიური ექსპერტიზა. დასკვნის თანახმად, ძვლები მამრობითი სქესის ადამიანს ეკუთვნოდა, ძვლოვანი ასაკი 40-50 წელს შეადგენდა, სიმაღლე 170 სანტიმეტრს, სისხლის ჯგუფი — მეორეს, ქვედა ყბაზე, მარცხნივ, მე-8 კბილის ადგილას ექსპერტებმა დააფიქსირეს ნიშნები, რომლებიც ნათელყოფს, რომ აღნიშნული კბილი სიცოცხლის პერიოდში იყო ამოღებული. დასკვნაში დაფიქსირებული მონაცემები სათითაოდ დაემთხვა ნათელა ქადაგიძის ჩვენებას ქმრის ფიზიკური აღწერილობის შესახებ.

ნათელა ქადაგიძე:

„1992 წლის 22 სექტემბერი იყო. რეზო საკუთარი მანქანით დილით გავიდა სახლიდან, საოჯახო საქმეებზე. ორ საათში ისევ შინ უნდა დაბრუნებულიყო და ბაზარში წავეყვანე. გავიდა ორი საათი, მეტიც, ის კი არ ჩანდა. ავნერვიულდი, რადგან დაგვიანება არ სჩვეოდა და ასეთ დროს, აუცილებლად გამაფრთხილებდა ხოლმე. ფეხით წავედი ბაზარში, ვკდილობდი, ცუდზე არ მეფიქრა. როცა მოსალამოვდა და ის მაინც არსად ჩანდა, შევშინდი. სადაც კი შეიძლებოდა, ყველგან მოვიკითხე, მაგრამ ვერსად ვიპოვე. თავის მანქანანად იყო გაუჩინარებული. მაშინ გადავწყვიტეთ ოჯახის წევრებმა, პოლიციაში განგვცხადებინა.

პოლიციამ განცხადება მხოლოდ მესამე დღეს მიიღო. გვითხრეს — წესია ასეთი, მსგავს განცხადებებს ადამიანის გაუჩინარებიდან მესამე დღეს ვაწერინებთ — იქნებ, მანამდე გამოჩნდესო. არც მომდევნო დღეებში გამოჩენილა. პოლიციიდან პოლიციაში დავდიოდი, ვეჭვობდი, რომ რომელიმე კრიმინალი ჩემი ქმრის ავტომანქანით (მუქი ლურჯი „ვაზ-2103“ ჰყავდა) ან ფულით დაინტერესდა და ამ მიზნით გაიტაცეს ან დააყაჩაღეს. თანაც იმ პერიოდში, სახლში რემონტს ვაკეთებდით, ამან ბევრის ყურადღება მიიპყრო, ჩემამდე მოდიოდა ხმები, თურმე მოსახლეობაში ლაპარაკობდნენ — რეზომ ტაქსის მძღოლობით ამდენი ფული როგორ დააგროვა?! — ქალიშვილი თბილისში, უმაღლესში მოაწყო, ახლა კი რემონტსაც აკეთებსო. ვფიქრობდი, რომ ქმრის

დაკარგვასთან ამ ხმებსაც ჰქონდა რაღაც კავშირი.

მკითხავებთანაც დავდიოდი. საქართველოში არც ერთი ცნობილი ნათელმხილველი არ დამიტოვებია, შემდეგ აზერბაიჯანში და თქვენ წარმოიდგინეთ, როსტოვშიც კი გავემგზავრე სამკითხაოდ. ერთმა მათგანმა მითხრა – თქვენმა მეუღლემ სხვა ქალთან ერთად საზღვარი გადაკვეთა და ახლაც მასთან ცხოვრობსო. არ მინდოდა იმის დაჯერება, რომ ქმარს რაღაც უბედურება შეემთხვა, თავს ვიბეჭულებდი, სხვა რამ მეფიქრა, სხვა მიზეზი მომეძებნა მისი გაუჩინარების და ერთხანს იმ მკითხავის ნათქვამი თითქოს დავიჯერე, ვამბობდი – ოღონდ ცოცხალი და ჯანმრთელი იყოს და სადაც უნდა, იქ იცხოვროს-მეთქი. თუმცა, ამის გაფიქრებისას წინააღმდეგობასაც ვაწყდებოდი: რეზო ქალების მოყვარული არასდროს ყოფილა, სხვა ქალით დაინტერესება მისთვის არასდროს შემიმჩნევია, თანაც, იმ დროს 49 წლის გახლდათ, უკვე სამი შვილიშვილი გვყავდა და დღე და ღამეს მათზე ზრუნვაში ატარებდა, ოჯახს იყო გადაყოლილი. დროთა განმავლობაში ეს ვერსიაც გამოვრიცხე. პროკურატურის თუ შს სამინისტროს კაბინეტების კარებს სათითაოდ ვაღებდი; როცა იქ მოხვედრას მოვახერხებდი, შიგნით მსხდომთ ვევედრებოდი – დამეხმარეთ, როგორმე ქმარი მაპოვინეთ-მეთქი. წლები გადიოდა და არაფერი იცვლებოდა. ბოლოს უკვე იმას ვიხვეწებოდი, – იქნებ, მკვდარს მაინც სადმე მივაგნოთ, საფლავი ხომ უნდა ჰქონდეს-მეთქი. ვგრძნობდი, რომ მაინცდამაინც გულთან ახლოს არ მიჰქონდათ ჩემი ქმრის ამბავი. ბოლოს მირჩიეს, შს სამინისტროში სისხლის სამართლის სამძებრის მთავარი სამმართველოს უფროსი – ფრიდონ კენკებაშვილი მეკითხა და მისთვის ამეხსნა ყველაფერი. ეს ადამიანი მართლაც, ძალიან დამეხმარა. ფაქტობრივად, მან და სამძებროს უფროსმა ინსპექტორმა – ალიკ ნაგიევმა გახსნეს ეს საქმე“.

ნათელა ქადაგიძის ეჭვები გამართლდა, როგორც გამოძიებით დადგინდა, რეზო თამარაშვილი ბოროტმოქმედებმა მართლაც დაყაჩაღების – ავტომანქანის წართმევის მიზნით გაიტაცეს და დედოფლისწყაროდან მოშორებით, კვალის დაფარვისა და პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად მოკლეს. ამაში თურმე, თამარაშვილის ერთ-ერთი ნაცნობის – ბალი ყურბანოვის ხელი ერია. სამართალდამცავები ყურბანოვსა და მის თანამზრახველებზე, სულ სხვა ყაჩაღობის ფაქტთან დაკავშირებით დაკავებული აბუსალამ მამედოვის დაკითხვის შედეგად გავიდნენ. როგორც გამომძიებლები აცხადებენ, მამედოვმა სხვა დანაშაულებთან ერთად რეზო თამარაშვილის დაყაჩაღებისა და მკვლელობის ფაქტიც აღიარა, თუმცა აღნიშნა, რომ მკვლელობაში თავად მას მონაწილეობა არ მიუღია. სწორედ მისი ჩვენების საფუძველზე დააკავეს სამართალდამცავებმა ბალი ყურბანოვი და შამსულა ეიბატოვი. თანამზრახველთა შორის მამედოვმა აზერბაიჯანელი არასტუნ კასუმოვიც დაასახელა. კასუმოვი ამჟამად გარდაცვლილია, მომხდარი ფაქტიდან ერთი წლის შემდეგ – 1993 წელს იგი ავარიაში მოყვა.

ბრალდებული, წარსულში სამჯერ ნასამართლევი აბუსალამ მამედოვი (დაბადებული 1957 წელს) ცოლ-შვილთან ერთად საგარეჯოს რაიონის სოფელ დუზაგრამაში ცხოვრობდა. არსად მუშაობდა. 1992 წელს იგი აზერბაიჯანში, ქალაქ აღსტაფაში გაემგზავრა და იქ შეხვდა თავის ნაცნობებს – 1967 წელს დაბადებულ, წარსულში ნასამართლევ შამსულა ეიბატოვს, მეტსახელად შამშადინას, და არასტუნ კასუმოვს, მეტსახელად ხოშტუს. საბრალდებო დასკვნის მიხედვით: 21 სექტემბერს სამივემ ერთად მოილაპარაკა, გამგზავრებულიყვნენ საქართველოში, აქ გაეტაცებინათ ავტომანქანა, გაეყიდათ ის და აღებული თანხა ერთმანეთში გაენაწილებინათ.

განზრახვის სისრულეში მოყვანას მეორე დღესვე შეუდგნენ. კასუმოვი თვითნაკეთი პისტოლეტით შეიარაღდა, რის შემდეგაც სამივემ საქართველოსკენ აიღო გეზი. ჯერ საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმუღანლოში ჩავიდნენ, იქიდან კი ავტობუსს დედოფლისწყაროსკენ გაჰყვნენ. დღის პირველი საათისთვის უკვე დედოფლისწყაროს რაიონულ ცენტრში იმყოფებოდნენ. იქვე, რკინიგზის სადგურის სასადილოში შევიდნენ და არყისა და ლუდის სმა დაიწყეს. სწორედ ამ დროს სასადილოში იორმუღანლოელი ბალი ყურბანოვი შევიდა. იგი კარგად იცნობდა მამედოვს. ეს უკანასკნელიც მეესალმა ძველ მეგობარს და სუფრასთან მიიპატიჟა იგი. შეზარხოშებულებმა ყურბანოვსაც გაანდვეს განზრახვა და შესთავაზეს, ისიც მათთან ერთად „გასულიყო საქმეში“. ყურბანოვი დათანხმდა და როგორც ჩანს, ობიექტიც მალე შეარჩია. დაახლოებით ერთ საათში, ოთხივენი, ნასვამები იმავე ტერიტორიაზე მდებარე ტაქსების გაჩერებასთან მივიდნენ. იმ დროს გაჩერებასთან საკუთარი „ვაზ-2103“-ით იდგა რეზო თამარაშვილი.

ყურბანოვი თამარაშვილს იცნობდა, ისარგებლა ამით და სთხოვა, დედოფლისწყაროს რაიონის ე.წ. „ტარიბანი“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მეცხოველეობის ფერმაში წაეყვანა ისინი. აღნიშნულ ფერმაში ყურბანოვი მწყემსად მუშაობდა, ამის შესახებ თამარაშვილმა იცოდა და ამიტომაც უყოყმანოდ დათანხმდა მას წაყვანაზე. ყურბანოვი მძღოლის გვერდით იჯდა, მამედოვი, ეიბატოვი და კასუმოვი კი – უკანა სავარძელზე მოთავსდნენ.

ბალი ყურბანოვი, (წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენებიდან):

„...მძღოლი მამედოვის კარნახით ტარიბანის მიმართულებით წავიყვანეთ. როცა მოფარებულ ადგილს მივუახლოვდით. მოტყუებით გავაჩერებინეთ მანქანა. ყველანი ჩავედით. შამშადინამ ჯიბიდან იარაღი ამოიღო (საბრალდებო დასკვნის მიხედვით, კასუმოვმა თავისი პისტოლეტი შემდეგ ეიბატოვს გადასცა. – ავტ.) და მძღოლს უბრძანა, ისიც გადასულიყო მანქანიდან. თამარაშვილი მის მოთხოვნას დაემორჩილა. ხოშტუმ კანფით გაუკრა მას ხელები, რის შემდეგაც იგი ავტომანქანის საბარგულში ჩასვეს. თამარაშვილს წინააღმდეგობა არ გაუწევია. მამედოვი საჭესთან დაჯდა და აზერბაიჯანის მიმართულებით წავიდა. რამდენიმე კილომეტრი რომ გავიარეთ, თამარაშვილმა მოახერხა და საბარგულს თავი ახადა, გაქცევას ცდილობდა, მაგრამ მამედოვმა შენიშნა ეს და მანქანა გააჩერა. ხოშტუ და შამშადინა ჩავიდნენ, საბარგულს ისევ დაახურეს თავი და გზა განვაგრძეთ. კიდევ ორი კილომეტრი რომ გავიარეთ, მამედოვმა გზიდან მარცხნივ გადაუხვია, ერთ-ერთ ხევთან ჩავედით. ამ დროს თამარაშვილმა ისევ ახადა საბარგულს თავი, მაშინ სამივენი ჩავიდნენ მანქანიდან, მეც მიბრძანეს ჩასვლა. მძღოლი საბარგულიდან ამოიყვანეს და შამშადინამ იარაღიდან გასროლით მოკლა ივი.

ამის შემდეგ გარდაცვლილი მძღოლი ოთხივემ ჩავიყვანეთ ხევში და ზემოდან მიწა მივაყარეთ“.

აბუსალამ მამედოვი ყურბანოვის ჩვენებას ეწინააღმდეგება:

„...გზაში მძღოლი წინააღმდეგობას გვიწევდა, რამდენჯერმე ახადა საბარგულს თავი და ამოხტომას ცდილობდა, მაგრამ მე ვამჩნევდი ამას და მანქანას ვაჩერებდი. საბარგულს თავს ვახურავდით და კვლავ ვაგრძელებდით გზას... მარცხნივ გადავუხვიეთ, ტბამდე არ ვიყავით მისულები, როცა მძღოლმა ისევ ახადა საბარგულს თავი. მაშინ მანქანა გავაჩერე, მაგრამ მხოლოდ კასუმოვი, ყურბანოვი და ეიბატოვი გადავიდნენ, მე საჭესთან დავრჩი. სწორედ მაშინ გავიგონე გასროლის ხმა. როცა ისევ მანქანაში ჩასხდნენ, ეიბატოვმა მითხრა – ჩქარა წადიო. შემეშინდა და მანქანა დიდი სიჩქარით წავიყვანე“, – წერს წინასწარი გამოძიებისას მიცემულ ჩვენებაში მამედოვი. იგი აღნიშნავს, რომ არც მოკლულის გვამის დამარხვაში მიუღია მონაწილეობა.

განსხვავებული ჩვენება მისცა გამოძიებას **შამსულა ეიბატოვმაც:**

„ორი მანქანა მყავდა – „ჟიგული“ და „პობედა“, რომლებითაც მგზავრები გადამყავდა ხოლმე. კარგად ვიცნობდი ხოშტუს – არასტუნ კასუმოვს. იგი აღსტაფაში, ვულკანიზაციაში მუშაობდა. ხშირად მიხდებოდა მასთან მისვლა. ვიცოდი, რომ მას ხშირად აკითხავდა საქართველოდან აბუსალამა, მერე გავიგე, რომ ის გვარად მამედოვი იყო.

1992 წლის შემოდგომაზე, თვე და რიცხვი არ მახსოვს, ხოშტუმ მითხრა – აბუსალამა ავტომანქანას შემპირდა, მანქანა საქართველოშია და მისი აზერბაიჯანში ჩამოყვანა მინდაო. რადგან მას მართვის მოწმობა არ ჰქონდა, მე მთხოვა, გავყოლოდი. არ უთქვამს ჩემთვის, ის მანქანა ნაყიდი იყო თუ მოპრული. მითხრა, რომ მანქანის წამოყვანაში ფულს გადამიხდიდა. მეც დავთანხმდი... მამედოვმა ბალი სასადილოში გამაცნო, მითხრა – ჩემი ნათესავიაო. სუფრასთან ისიც დაჯდა, ცოტა ხანში კი ხოშტუსთან ერთად გარეთ გავიდა; რაზე ილაპარაკეს, არ ვიცი. მობრუნდნენ, რამდენიმე ხანს ქეიფი გაგრძელეს, შემდეგ კი თქვეს, რომ ტაქსის დაიჭერდნენ და იმ ადგილას წავიდოდით ყველანი ერთად, სადაც მანქანა იყო გაჩერებული. გარეთ რომ გავედით, ტაქსი – მუქი ლურჯი „06“ თუ „03“ „ჟიგული“ იცდიდა. საჭესთან დახლოებით 50 წლის მამაკაცი იჯდა... დახლოებულ პუნქტს რომ გავცდით, ხოშტუმ მძღოლის სავარძლის ქვეშიდან იარაღი გამოიღო და ქურთუკის ჯიბეში ჩაიდო. მანამდე არც ერთის ხელში არ დამინახავს იარაღი... 5 წუთში მძღოლს მანქანა გააჩერებინეს, საბარგულთან მიიყვანეს და ხმამაღლა, ქართულად დაუწყეს ლაპარაკი. ამ დროს გავიგონე გასროლის ხმა; ვინ ისროლა, არ დამინახავს. დაახლოებით ნახევარ წუთში დავინახე, რომ ბალიმ და ხოშტუმ მძღოლი ხეობაში გაათრიეს. შემეშინდა და მანქანიდან გადავხტი, ფეხით გავიქეცი. დანარჩენები მანქანაში ჩასხდნენ და აზერბაიჯანის მიმართულებით წავიდნენ. ისიც დავინახე, რომ ბენზინი გაუთავდათ და ფერმაში, ვიღაც კაცს გამოართვეს საწვავი. ამ დროს მე დამალული ვიყავი, ისინი ვერ მხედავდნენ. დაახლოებით 5-6 საათისთვის ფეხით მივედი აზერბაიჯანის საზღვრამდე. პირველ სოფლამდე ვიღაცის ტრაქტორით მივაღწიე, ხოლო იქიდან უცნობი ადამიანის „უაზის“ მარკის მანქანით ჩავედი აღსტაფამდე. იმ დღეს არც ხოშტუ და არც სხვები არ მინახავს. ორი დღის შემდეგ, ვულკანიზაციასთან გავიარე, ხოშტუ შემხვდა, გამაჩერა და დამემუქრა – თუ სადმე იტყვი მომხდარის შესახებ, შენც ისევე გავისწორდებით, როგორც იმ ტაქსის მძღოლსო“.

გამოძიებამ ბოლომდე არც ერთი ბრალდებულის ჩვენება არ გაიზიარა და მიიჩნია, რომ მათ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, განგებ არასწორად დააფიქსირეს ფაქტები. საბრალდებო დასკვნის თანახმად, თამარაშვილს ეიბატოვმა ესროლა თავის არეში და სასიკვდილოდ დაჭრა იგი. შესაბამისად, მკვლელობის მუხლი პროკურატურამ მას მიუყენა. რაც შეეხება დანარჩენ პირებს – ბრალდების თანახმად, მთაც ისევე, როგორც ეიბატოვს, თავიდანვე ჰქონდათ განზრახული თამარაშვილის მოკვლა, რადგან იცოდნენ, რომ იგი ყურბანოვს იცნობდა და თუკი დაყაღაღების შემდეგ, მას ცოცხალს დატოვებდნენ, აუცილებლად განაცხადებდა პოლიციაში, ყურბანოვსაც დასახელებდა და მის თანმხლებ პირებსაც აღწერდა. გამოძიების დასკვნით, გვამის დამარხვაში ოთხივე ბრალდებულმა მიიღო მონაწილეობა.

საქმის მასალების თანახმად, მკვლელობის შემდეგ, მამედოვი და მისი თანამზრახველები შეუფერხებლად ჩავიდნენ აზერბაიჯანში და პირდაპირ კასუმოვის სახლში მივიდნენ.

ფატიმა კასუმოვას (არასტუნ კასუმოვის ცოლი) ჩვენებიდან:

„უკვე შებინდებული იყო, როცა ეზოში მუქი ლურჯი „ჟიგული“ შემოვიდა. შინ ბავშვთან ერთად ვიყავი. ოთახში ჩემი ქმარი შემოვიდა და მითხრა – სტუმრები მყავს და თვითონ გავუმასპინძლდებიო. ფანჯრიდან დავინახე მამედოვი, რომელიც რამდენჯერმე იყო ჩვენს ოჯახში ნამყოფი. მას ახლდნენ სხვებიც, რომელთაც არ ვიცნობდი. დამამახსოვრდა ერთ-ერთი მათგანი, მას დანარჩენები შამშეთი მიმართავდნენ. ავტომანქანას ზემოდან თივა და ხის ტოტები დააყარეს და დაფარეს. მეორე დღეს ყველანი ერთად წავიდნენ იმ მანქანით. ჩემი ქმარი შინ ფეხით დაბრუნდა, მხოლოდ მამედოვი ახლდა თან. ქმარმა მითხრა – მანქანა გავყიდეთ, მე 17 ათასი მანეთი შემხვდაო“.

ბრალდების თანახმად, გატაცებული ავტომანქანა ქალაქ აღსტაფაში 65 ათას რუბლად მიჰყიდეს გამოძიებით დაუდგენელ პიროვნებას და ფული, როგორც მოლაპარაკებული იყვნენ, თანაბრად გაინაწილეს.

აღსანიშნავია, რომ თამარაშვილის ავტომანქანის გატაცებისთვის მამედოვი და ყურბანოვი საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2002 წელს გაასამართლა. მამედოვმა ყაჩაღობა აღიარა, ყურბანოვმა – არა. სასამართლომ ორივე მათგანი დამნაშავედ ცნო. მამედოვს 14 წლით, ყურბანოვს კი – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. რაც შეეხება თამარაშვილის მკვლელობის ფაქტს, ამ ნაწილში საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო და დამატებითი გამოძიებისთვის პროკურატურას დაუბრუნდა. ძიება დროებით შეჩერდა მესამე ბრალდებულის – შამსულა ეიბატოვის რუსეთიდან საქართველოში ექსტრადიციამდე. ეიბატოვი 1997 წელს, ნარკოტიკების შეძენა-შენახვისა და გასაღებისთვის რუსეთის ქალაქ ტიუმენის სასამართლომ გაასამართლა და 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასჯელს იგი ტიუმენის საპყრობილეში იხდიდა, ვადა კი 2003 წლის 18 აგვისტოს ეწურებოდა. იგი საქართველოში 2003 წლის ოქტომბერში იქნა ექსტრადირებული და ძიება თამარაშვილის მკვლელობის ნაწილში ამ დროიდან განახლდა. ეიბატოვი მამედოვსა და ყურბანოვთან ერთად საქართველოს უზენაესი სასამართლოს წინაშე ამ კვირაში წარდგა. როგორც მისმა ადვოკატმა გვითხრა, ეიბატოვი ამჟამად მხოლოდ დანაშაულის დაფარვაში ცნობს თავს დამნაშავედ. საქმის არსებითი განხილვა მომავალ კვირაში დაიწყება. ■

ტაქსის მძღოლების მძარცველთა ბანდა მოსალოდნელ მსხვერპლს კალოუბნის ქუჩაზე უსაფრდებოდა

სამართალდამცავებმა ორგანიზებული ყაჩაღური დაჯგუფების ოთხი წევრი – 20 წლის თბილისელი ირაკლი ჯანჯღავა, წალენჯიხის რაიონის სოფელ ნატიფურში მცხოვრები, 19 წლის გოჩა სიჭინავა, სენაკის რაიონის სოფელ ძველ სენაკში მცხოვრები, 20 წლის ვლადიმერ ხარშილაძე და ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის მკვიდრი, 17 წლის ვლადიმერ ოთხოზორია დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, ხსენებული პირები თბილისში მომუშავე ტაქსის მძღოლებს აყაჩაღებდნენ. გამოვლენილი ფაქტებიდან გამომდინარე, ბანდის წევრები ტაქსებს ძირითადად, კალოუბნის ქუჩაზე უსაფრდებოდნენ. სამართალდამცავთა ინფორმაციით, 29 მაისს, ჯგუფის წევრებმა კალოუბნის ქუჩაზე ტაქსის მძღოლი არჩილ სულომანიძე დააყაჩაღეს. დანების მუქარით მას მობილური ტელეფონი და 10 ლარი წაჰგლიჯეს. 30 მაისს, ჯანჯღავამ მე-3 მასივის მე-10 კვარტალში, კერძო ტაქსის მძღოლს ამირან კაპანაძეს დანის მუქარით წაართვა მობილური ტელეფონი და 7 ლარი. 31 მაისს, კვლავ კალოუბნის ქუჩაზე ჯანჯღავამ და მისმა თანამზრახველებმა კერძო ტაქსის მძღოლს, ზემო ფონიჭალაში მცხოვრებ გიორგი ტოროშელიძეს მობილური ტელეფონი წაართვეს. დაკავებულ პირთა მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე მოკვლევას საგამოძიებო დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამსახური აწარმოებს.

40 ათასი დოლარისთვის საკუთარი შვილი გაიტაცა

შს სამინისტროს თანამშრომლებმა ანგარების მიზნით საკუთარი შვილის გატაცებაში ეჭვმიტანილი ბაჩუკი იოსელიანი სამ თანამზრახველთან ერთად დააკავა. როგორც შს სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე უწყების ხელმძღვანელმა პირებმა აღნიშნეს, მიმდინარე წლის 15 მაისს, მოქალაქე ციცო ვიდიანმა სამინისტროს მიმართა და განაცხადა, რომ მისი 8 წლის ვაჟი – გიორგი იოსელიანი უცნობმა პირებმა გაიტაცეს და მისი გათავისუფლების სანაცვლოდ ფული მოითხოვეს.

შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ ბავშვი საკუთარ მამას ჰყავდა გატაცებული. მათივე ინფორმაციით, ბაჩუკი იოსელიანმა ცოლის ბიძას, რომელიც რუსეთში ცხოვრობდა, 40 ათასი დოლარი მოსთხოვა გამოსასყიდის სახით. აღსანიშნავია, რომ გიორგი გარდაბნის რაიონში მამასთან ერთად ცხოვრობდა. იგი უცნობმა პირებმა – სამართალდამცავთა თქმით, მამამისის თანამზრახველებმა – მაშინ გაიტაცეს, როცა სკოლიდან შინ ბრუნდებოდა. სხვათა შორის, ბაჩუკი იოსელიანს თავადაც განუცხადებია სამართალდამცავი ორგანოებისთვის შვილის დაკარგვის თაობაზე და გარეგნულად, როგორც დაზარალებული, ისე გამოიყურებოდა.

იოსელიანი წარსულში ორჯერ გახლდათ ნასამართლევი. სამართალდამცავთა ინფორმაციით, იგი ხელმოკლედ ცხოვრობდა. ბავშვი გამტაცებლებს თბილისში წამოუყვანიათ. შს სამინისტროს თანამშრომლებმა იგი მაშინ გაათავისუფლეს, როცა გამტაცებლებმა მას სატელეფონო ჯიხურიდან დედასთან გასაუბრების საშუალება მისცეს. მომხდართან დაკავშირებით, საქმე ადამიანისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის მუხლითაა აღძრული. იოსელიანის თანამზრახველ პირებს სამართალდამცავები ჯერჯერობით არ ასახელებენ და დანაშაულში ეჭვმიტანილთა წრის გაზრდასაც ვარაუდობენ.

სამ დღეში სამი კრიმინალური ავტორიტეტი დააპატიმრეს

3, 4 და 5 ივნისს სამართალდამცავებმა ზედიზედ სამი კრიმინალური ავტორიტეტის აყვანის თაობაზე ინფორმაცია გაავრცელეს. პოლიციამ შეიტყო, რომ სოფელ განმუხურში (ზუგდიდის რ-ნი) მცხოვრებმა, როგორც შს სამინისტროში ამბობენ, ქურდული ტრადიციების მიმდევარმა გოჩა ხაფავამ 2 ივნისს, სოფელში რამდენჯერმე გაისროლა ავტომატიდან ჰაერში. სამართალდამცავებმა იგი იარაღის უკანონო შენახვისა და ტარებისთვის დააკავეს და მისგან „აკმ“-ის ავტომატი და მჭიდი ამოიღეს.

მეორე დღეს, თბილისში, კრიმინალური სამყაროს ერთ-ერთი ავტორიტეტი, წარსულში ხუთჯერ ნასამართლევი ყარამან ნასიბოვი დააკავეს. სამართალდამცავები მას ფასანაურის ქუჩაზე მცხოვრები ზურაბ რცხილაძის ბინის გაქურდვაში ადანაშაულებენ.

5 ივნისს, კასპში კრიმინალური ავტორიტეტი, მრავალჯერ ნასამართლევი ვეფხია სამხარაძე, მეტსახელად სოჩიკა აიყვანეს. მისი სახლიდან პოლიციამ ამოიღო „აკმ“-ის ავტომატი, რომლის მჭიდშიც 10 ვაზნა იდო. სამივე პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. გამოძიებას საგამოძიებო დეპარტამენტის შესაბამისი ქვეგანყოფილებები აწარმოებენ.

აკურის მოსახლეობა ლინჩის წესით დამნაშავის გასამართლებას მოითხოვდა

5 ივნისს, ღამის პირველ საათზე, თელავის რაიონის სოფელ აკურაში მკვლელობა მოხდა. აკურის ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე ქარხნის დარაჯს – 27 წლის გოგიტა ლამაზოშვილსა და იმავე ქარხანაში მომუშავე 40 წლის თბილისელ ზურაბ წილოსანს შორის ურთიერთშელაპარაკება ტრაგედიით დასრულდა: წილოსანმა ჩხუბისას გულმკერდის არეში სასიკვდილოდ დაჭრა დანით ლამაზოშვილი. სამართალდამცავებმა იგი მომხდარი ფაქტიდან მოკლე ხანში დააკავეს.

ამ მკვლელობას აკურის მოსახლეობის აღშფოთება და აგრესია მოჰყვა. დილიდან ხალხმა თელავი-თბილისის საავტომობილო გზა გადაკეტა. მოსახლეობა პოლიციისგან დაკავებულის გადაცემასა და ლინჩის წესით მისი გასამართლების უფლებას მოითხოვდა. ხალხთან შესახვედრად აკურაში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და რაიონის პოლიციის ხელმძღვანელები ჩავიდნენ. ისინი მოსახლეობას და მოკლულის ახლობლებს არწმუნებდნენ, რომ დამნაშავე საკადრისად დაისჯებოდა, თუმცა – კანონიერი, ცივილიზებული და არა ლინჩის წესით. ორი საათის შემდეგ, გზაზე მოძრაობა აღდგა. ■

თვითრეალიზაციისკენ სწრაფვა მაშინ იწყება, როცა ადამიანი ცხოვრების ფართო ასპარეზზე გამოდის და საკუთარ თავს ეკითხება — რისთვის მოვიდა ამქვეყნად. სწორედ ამ დროს უჩნდება სურვილი დაამტკიცოს, რომ სხვებისგან გამორჩეულია, საამისოდ კი აუცილებელია წარმატების მიღწევა, კარიერის შექმნა.

რას განიცდიან ადამიანები, როცა მეტისმეტად სწრაფად აღწევენ წარმატებას? რა მოაქვს თავბრუდამხვევ კარიერას?..

ჩემმა პირველმა რესპონდენტმა (პირობითად ლალი დავარქვათ) ინკოგნიტოდ დარჩენა ამჯობინა. ის მოგვითხრობს ერთი ცნობილი პროვინციის ამბავს, რომელმაც ძალზე ახალგაზრდა ასაკში განიცადა აღზევებით მოგვრილი სიხარულიც და დაცემით გამოწვეული სიმწარეც.

ცავბრუდამხვევი კარიერა

ლელა ჭანკოტაძე

ლალი:

— ჩემი ძმა ყოველთვის ყველასგან გამოირჩეოდა თავისი შრომისმოყვარეობით და სიდინჯით. ასაკთან შედარებით ძალიან თავდაჯერებული და სერიოზული იყო. მისი ტოლები ეზოში ფეხბურთს რომ თამაშობდნენ, ის ურთულეს გეომეტრიულ ამოცანებს ხსნიდა. სკოლა ოქროს მედალზე რომ დაამთავრა, ამაში გასაკვირი არაფერი ყოფილა. არც უნივერსიტეტში ჩაბარება გასჭირვებია. სამეცნიერო მოღვაწეობას აპირებდა და ზოგჯერ გვეტყოდა: ნახავთ, მსოფლიოს ავალაპარაკებო... ცხადია, გვიხაროდა მისი წარმატებები. ერთ დღეს კი, მოულოდნელი რამ მოხდა: შინ დაბრუნებულმა, ორაზროვნად გვითხრა — რას იზამთ, ჰალსტუხი რომ გავიკეთო და კაბინეტში დავჯდეო?.. ვერ მივხვდით, რას გვეუბნებოდა. ერთი კვირის შემდეგ კი შევიტყვეთ, რომ შევარდნაძემ დიდ თანამდებობაზე დანიშნა. მამამ მაშინვე თქვა: იცით, ამას რა მოჰყვება? იმდენ სიმწარეს ნახავს, რომ დიდხანს ვერ გამოვა მდგომარეობიდანო. ორი კვირა რომ გავიდა, მამამ ისევ უთხრა: სათბურში ნალოლიავები ნერგი გაყინულ ნიადაგში რომ გადარგან, ვერ გაიხარებს, ზრდას შეწყვეტს და მიწას ფესვებით შეეყინებაო... სამწუხაროდ, ეს პროგნოზი მალე გამართლდა. ჩემი ძმა ცაიტნოტში აღმოჩნდა, საკუთარი ოთახის კარი მიიხურა და განდეგილივით ცხოვრებას მიჰყო ხელი... მას შემდეგ საკმაოდ ბევრი დრო გავიდა, ის კი მაინც ვერ ახერხებს მოჯადოებული წრიდან გამოსვლას. ამბობს — ისეთი აღარასდროს ვიქნები, როგორიც თქვენ გინდათ, რომ ვიყოო. ვინც მას იცნობს, ამ სტრიქონებს მიღმა მისი უიმედო თვალების დანახვასაც შეძლებს. ის დრო, როცა დაცვა ჰყავდა, მანქანა ემსახურებოდა, ფული ჰქონდა და ყველაზე სასურველ საქმროდ ითვლებოდა, წარსულს ჩაჰბარდა.

— თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ, რატომ ველარ შეძლო, რომ ისევ სამეცნიერო მოღვაწეობას დაჰბრუნებოდა?

— თავბრუდამხვევმა კარიერამ თითქოს მოწამლა. ზოგჯერ ამბობს, 30 წლისამ ვნახე ყველაფერი ის, რაც შეიძლებოდა, 50-60 წლის ასაკში მენახა და ამან ნაადრევად დამაბერაო... როგორც მისი ფსიქოლოგი გვეუბნება, ადამიანმა განვითარების ყველა ეტაპი უნდა გაიაროს, რადგან ნებისმიერი ნახტომი მასზე უარყოფითად მოქმედებსო.

— იქნებ, ახალ სამსახურს დადებითად ემოქმედა მასზე?

— ახალი სამსახური ვერ იშოვა, თუმცა, არც უძებნია. ისეთი ფსიქიკის ადამიანი არ აღმოჩნდა, რომელიც ორგანიზაციაში რიგით ჩინოვნიკად იმუშავებდა. ცნობილია, რომ ყველა ჯარისკაცს გენერლობა უნდა, მაგრამ გენერალი თუ დააქვეითეს და იატაკის მრეცხავად გაამწესეს, ეს მისთვის სიკვდილის ტოლფასი იქნება. სამწუხაროდ, ჩემი ძმაც ასე ფიქრობს. მისი მომავალი წინა ხელისუფლებას ემსხვერპლა. ალბათ, ახალი ხელისუფლებაც ბევრი ნიჭიერი ადამიანის მომავალს შეიწირავს.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ბევრმა ადამიანმა შეძლო თავბრუდამხვევი კარიერის გაკეთება. სრულიად უცნობი სახეები მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები გახდნენ. ისინი, ვისი არსებობის შესახებ რამდენიმე თვის წინ საზოგადოებას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, ახლა სახელისუფლებო ბერკეტებს ფლობენ. თავბრუდამხვევი კარიერის დადებით და უარყოფით შედეგებზე თავის შეხედულებას ახალგაზრდა პარლამენტარი გვიზიარებს.

ნინო კალანდაძე:

— პოლიტიკა ყოველთვის მაინტერესებდა. ერთ-ერთი ფაქტორი, რის გამოც იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავბარე, ის

გახლდათ, რომ ვიცოდი — ამ სპეციალობას პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყებად გამოვიყენებდი. თუმცა არ მეგონა, რომ 27 წლის ასაკში პარლამენტის წევრი გავხდებოდი. მას შემდეგ, რაც „ნაციონალურ მოძრაობაში“, როგორც იურისტმა დავიწყე საქმიანობა, ვფიქრობდი, რომ შეიძლებოდა, დეპუტატობის შანსი მომცემო-

და, მაგრამ ამ ეტაპზე იმის ამბიცია, რომ ძალიან ცნობილი და დიდი პოლიტიკური ფიგურა გავხდე, არ მაქვს. უპირველეს ყოვლისა, იურისტი ვარ და ჩემი პროფესიით ყოველთვის სიამოვნებით ვიმუშავებ.

— გიფიქრია იმაზე, რომ შენი კარიერა ისევე სწრაფად შეიძლება დასრულდეს, როგორც დაიწყო? რას იზამ ამ შემთხვევაში?

— მარცხისგან დაზღვეული არავინაა. ამიტომ წარუმატებლობა პოლიტიკაში სრული უმოქმედობისკენ არ მიბიძგებს. ასეთ შემთხვევაში შინ არ გამოვიკეტები და უსაქმოდ არ დავრჩები. მე მაქვს კარგი განათლება, მიყვარს ჩემი პროფესია და არა მგონია, რომ წინა ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის მსგავსად, იურისტადაც ვეღარ შევძლო მუშაობა...

— ბოლო პერიოდში საკმაოდ პოპულარული გახდი. ჟურნალ-გაზეთები შენი ფოტოებით აჭრელდა. თუ შეგიძლია, შენი კარიერის დადებით და უარყოფით მხარეებზე ისაუბრო?

— დეპუტატობა ჩემთვის კარგი სამსახურია, რომელიც იმაზე მეტ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული, ვიდრე ეს დეპუტატთა უმეტესობას აქვს გააზრებული. სამსახურის გამო პრივილეგირებული ნამდვილად ვარ, მაგრამ როგორც იურიდიული კომიტეტის წევრს, საკმაოდ რთული და შრომატევადი სამუშაო მაქვს. კონსტიტუციით ადამიანს 25 წლის ასაკიდან აქვს დეპუტატობის უფლება. მიმაჩნია, რომ ჩემი ასაკისთვის სერიოზულ წარმატებას მივაღწიე, რომელიც ალბათ, თავბრუდამხვევ კარიერადაც შეიძლება ჩაითვალოს. ჩემი თავი უკვე აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც კი წარმომიდგენია...

პოლიტიკის გარდა, არსებობს სხვა სფეროებიც, სადაც ადამიანს სწრაფი კარიერის შექმნის შანსი აქვს — მაგალითად, ტელეჟურნალისტიკაში. სულ რამდენიმე თვეა, რაც სრულიად უცნობმა ირაკლი იმნაიშვილმა დიდ პოპულარობას მიაღწია და საკმაოდ გამოცდილი და მაღალრეიტინგული ტელესახეები უკან ჩამოიტოვა...

25 წლის ირაკლი იმნაიშვილის ჟურნალისტური ბიოგრაფია ტელეკომპანია „მეცხრე არხს“ უკავშირდება. შემდეგ სახელმწიფო ტელევიზიაში „მოამბის“ რედაქციაში მუშაობდა, საიდანაც ტელეკომპანია „მზეში“ გადაინაცვლა. სწორედ აქედან დაიწყო მისი თავბრუდამხვევი კარიერა.

ირაკლი იმნაიშვილი:

— შეიძლება უცნაურადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ კარიერას არ ვეგეგმავდი. მეჩვენება, რომ ოდნავ დამამცირებელია, როცა ადამიანი კარიერის გაკეთებას ცდილობს და მისი ყველა ნაბიჯი მხოლოდ ამის მისაღწევადაა გამიზნული... ძალიან გამიმართლა, რომ საქართველოში ვარ, აქ ვმუშაობ და ჩემი მაყურებელი თავისი ოჯახის წევრად აღმიქვამს. გამიმართლა იმიტომაც, რომ ტელევიზიის ხელმძღვანელობამ ჩემ მიმართ დიდი მოთმინება გამოიჩინა. „მზე“ ეთერში გავიდა 2003 წლის პირველ ივნისს. როდესაც ცოტა ხნის წინ ვნახე მაშინდელი ჩანაწერები, გავოცდი: გენერალური დირექტორის ელდარ მდინარაძის ადგილას რომ ვყოფილიყავი, ჩემნაირ წამყვანს პირდაპირ ეთერში არ გავაჩერებდი. მაშინ ჩემთან ერთად მუშაობდა სოფო მოსიძე, რომელსაც „მოამბიდან“ საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა; მის ფონზე ჩემი ყურება წარმოუდგენელი გახლდათ... ავგისტოში შვებულება ავიღე. სექტემბერში თანდათან შემეტყო წინსვლა, ოქტომბრიდან დავიწყე ეთერში მუშაობა — რაც იმას ნიშნავს, რომ მაყურებელს მიაწოდო ახალი ამბები და არა იმას, რომ შეშინებულმა წაიკითხო ინფორმაცია ეკრანიდან. საბედნიეროდ, შემდეგ გამიადვილდა პირდაპირ ეთერში მუშაობა. იმ ხნის მანძილზე, რაც დაძაბული ვიყავი და ტექსტის კითხვისას წარბებიც კი მითამაშებდა (მე მგონი ამან ჩემი მღელვარება გასცა), მითმენდა და მიტანდა როგორც მაყურებელი, ასევე არხის ხელმძღვანელობა. ამის წყალობით ვისწავლე მუშაობა რეალურ და არა ფსევდოეთერში.

— შენ მას შემდეგ გამოჩნდი პირდაპირ ეთერში, რაც დაიხურა ინგა გრიგოლიას გადაცემა, რომელიც საკმაოდ მაღალრეიტინგული იყო. რატომ შეჩერდა არჩევანი შენზე — მაყურებლისთვის ნაკლებად ცნობილ სახეზე?

— ვერ უარვყოფ, რომ გამიმართლა. გადამწყვეტი აღმოჩნდა გენერალური დირექტორის ჩემდამი ნდობა. როცა ინგა გრიგოლიას გადაცემა ეთერიდან მოიხსნა, საუბარი იყო იმაზე, თუ რა უნდა გაეკეთებინათ. მე შევთავაზე ის ფორმატი, რომელიც პირველი ივნისიდან გავიდა ეთერში — ეს არის НТВ-ს მიერ აპრობირებული გადაცემა — „Страна и мир“. მომთხოვეს იმის დასაბუთება, თუ რატომ მინდოდა, რომ სწორედ ამ ტიპის გადაცემა უნდა გაგვეკეთებინა და არა რომელიმე სხვა. ერთი თვის შემდეგ ვთქვი: თუ არ ვნახე НТВ-ზე როგორ მზადდება ეს გადაცემა, ისე არაფერი გამოგვივა-მეთქი. მართლაც, წავედით და ადგილზე ვნახეთ, რა როგორ უნდა გაგვეკეთებინა. მაგრამ თბილისში რომ დავბრუნდით, აი, როგორი სიტუაცია დაგვხვდა: სანამ ეს პროექტი ამუშავდებოდა, საჭირო იყო რაღაც სხვა გადაცემის გაკეთება, რათა არჩევნები გაგვეშუქებინა. 28 მარტის არჩევნებამდე ორი კვირა რჩებოდა. მახსოვს, ორშაბათი იყო. 8-საათიან „მზერას“ ვაკეთებდით. 15 წუთი უკლდა გადაცემის დაწყებას, რომ მითხრეს: ირაკლი, ერთ კვირაში ახალი ფორმატის გადაცემით უნდა გავიდეთ

ეთერშიო... ასე დაიბადა „არჩევანის ზღვარზე“. არ ვიცოდით, როგორ გაამართლებდა. დამზადდა მინიმალური დეკორაცია — დანახარჯი ნულის ტოლი იყო. ძალიან გამიხარდა, რომ პროექტი მაყურებელს მოეწონა. ეს ორ კვირაშივე დადასტურდა რეიტინგებით.

— ძალიან მოკლე დროში გახდი პოპულარული. შიშის გრძნობა არ გქონია?

— გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ გადაცემაში — „არჩევანის ზღვარზე“ — მე არ დავრჩენილვარ მაყურებლის წინაშე მარტო, თორემ შეიძლებოდა, გადაცემას ასეთი წარმატება არ ჰქონოდა. სტუდიაში ჩემ უკან სხედან ჩემი კოლეგები, რომლებსაც აუცილებლად ექნებათ ინფორმაცია იმაზე, რაც მე შეიძლება, იმ მომენტში არ ვიცოდე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პირველი ორი კვირის განმავლობაში, როცა საბოლოოდ უნდა გამერკვია, თუ როგორ უნდა ამეწყო თუნდაც კითხვარის ხერხემალი. გადაცემის მზადების პროცესში შიშის დრო არ მქონია. ყველა თავ-თავის საქმეს აკეთებდა. ამ კოლექტიურმა შრომამ განაპირობა ის, რომ ორ კვირაში გადაცემამ იმაზე მაღალ რეიტინგს მიაღწია, ვიდრე მოველოდით. ამ მაღალმა რეიტინგმა კი შექმნა ჩემი კარიერა ტელეკომპანია „მზეზე“.

— თუ გიფიქრია იმაზე, რომ ერთ დღეს, კარიერა, რომელიც ასე სწრაფად გაიკეთე, ასეთივე სისწრაფით შეიძლება დასრულდეს?

— გამორიცხული არაფერია. არ ვიცი, რა მოხდება, ასეთ მდგომარეობაში, რომ ჩავვარდე. ალბათ, ეს საშინელება იქნება. ვეცდები, რომ კარიერა შევინარჩუნო. ტელევიზია ვირუსივითაა. ამ საინფორმაციო ვირუსის გამო ყოველდღე გიჩნდება მოთხოვნილება, მაყურებელს აუწყო ახალი ამბები ან გაიგო პასუხები სხვადასხვა კითხვაზე... მსურს, გავაკეთო რაღაც საშვილიშვილო საქმე. საბედნიეროდ, ჩემმა მეგობარმა შემომთავაზა პროექტი მოზარდებისთვის. ჩემი ენერგიის უმეტეს ნაწილს ახლა ვუთმობ იმას, რომ ეს გადაცემა საინტერესო გამოვიდეს. 5 სექტემბრიდან, ყოველ კვირა ჩავატარებთ ვიქტორინას. ამ ვიქტორინაში გამარჯვებულს და მის კლასის დამრიგებელს მთელი წლის განმავლობაში დაენიშნებათ სტიპენდია. ეს მართლაც, დიდი სიხარულის მომტანი იქნება ბავშვებისთვის. გადაცემას ერქმევა „ეტალონი“. ჩვენ ყველგან შევაღწევთ — არა იმიტომ, რომ გადაცემის რეკლამირებას მოვახდენთ, არამედ იმიტომ, რომ ამ ბავშვების თვალებს დავანახვებთ იმათ, ვინც ასე აჭიანურებენ განათლების რეფორმას. გვგონია, რომ სიხარულს მივანიჭებთ მათ ოჯახებს და სკოლებს, სადაც ჩვენ მიერ გამოვლენილი „ეტალონები“ იცხოვრებენ და ისწავლიან. გადაცემას ეყოლება ახალი წამყვანი. ჩვენთვის მთავარი იყო, რომ ის ყოფილიყო პედაგოგი, რომელიც გამოიწვევდა დადებით ემოციებს. ის, რომ მას კამერასთან არ უმუშავია, ძალზე სწრაფად მოგვარებადი პრობლემაა. ასე რომ, იმედია, ჩვენს ტელეკომპანიაში კიდევ ერთი ახალი სახე გაიკეთებს თავბრუდამხვევ კარიერას...

ირინა ონაშვილი კარიერის გაკეთებაზე ბავშვობიდან ოცნებობდა. უნდოდა, ცნობილი და სხვებისთვის მისაბაძი გამხდარიყო. იცოდა, ამისთვის ბევრი შრომაც მოუწევდა, მაგრამ რას წარმოიდგენდა, თუ თავის ოცნებას სილამაზის კონკურსში მონაწილეობის შედეგად აიხდენდა?! ლამაზი გოგონას ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალა ერთმა ლამაზმა დღემ.

ირინა ონაშვილი:

— ყოველთვის სცენაზე წარმომედგინა თავი. მომღერლობა მინდოდა, მსახიობობაზეც ვოცნებობდი. ვერც ვიფიქრებდი, თუ ერთ მშვენიერ დღეს, სილამაზის დედოფალი გავხდებოდი. როცა „მის საქართველო-2003“-ში მონაწილეობის მიღება გადავწყვიტე, ცხადია, გამარჯვებაც მინდოდა. მქონდა იმედი, რომ ათეულში მოვხვდებოდი. ამბობდნენ, კონკურსი ობიექტური იქნება, რადგან კონტრაქტი აქვთ დადებული „მის მსოფლიოს“ მომწყობ ორგანიზაციასთანო. სწორედ ეს მაძლევდა ათეულში მოხვედრის იმედს. მოულოდნელად კი, თავზე დედოფლის გვირგვინი დამადგეს. ჟიურის გადაწყვეტილებამ მთელი ცხოვრება გამილამაზა. სიტყვებით ვერ გადმოვცემ იმ ბედნიერებას, რომელიც მაშინ განვიცადე. ერთ წუთში ჩემს ქვეყანაში ყველაზე ლამაზი და შესაბამისად, ცნობილი ქალი გავხდი. ამის გაცნობიერება მართლაც, თავბრუდამხვევი იყო. კონკურსის მეორე დღესვე მივხვდი, რომ ყველას ინტერესის ობიექტი გავხდი. ნებისმიერი ადამიანი ცნობისმოყვარეობით და ხშირად, სიყვარულით მიყურებდა. ასეა დღესაც.

— იმ დღიდან თითქმის მთელი წელი გავიდა. როგორ იცხოვრე ამ ერთი წლის განმავლობაში?

— ხალხმა გამიცნო და შემიყვარა. ეს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. დატვირთული არ ვყოფილვარ, თუმცა, სხვადასხვა ღონისძიებაში მიმიღია მონაწილეობა. „იუმორინა-2004“-ში ვმონაწილეობდი. სცენაზე ცნობილი ადამიანების გვერდით ვიდექი. „მის მსოფლიოს“ კონკურსში მონაწილეობა დაუვიწყარი იქნება ჩემთვის. სულ ვფიქრობდი — რა იქნებოდა, რომ გამემარჯვა? ვერც წარმოვიდგენ, რა მოხდებოდა, „მის მსოფლიო“ რომ გავმხდარიყავი... შიშის განცდა მაშინაც მქონდა, როცა „მის საქართველო“ გავხდი. მეორე დღიდან კი, ადამიანები სიყვარულით შემომყურებდნენ და — ჩვენი სიამაყე ხარო, — მეუბნებოდნენ. იყო წუთები, როცა მთელი ქვეყანა ჩემი მეგონა. ასე რომ, დედოფლის გვირგვინმა უბედნიერესი დღეები მაჩუქა. თუმცა, საზღვარგარეთის ქვეყნებში სილამაზის დედოფალი გაცილებით უკეთესად ცხოვრობს, უფრო დატვირთულიცაა და იქ, სილამაზის კონკურსში გამარჯვება თავბრუდამხვევ კარიერას ნიშნავს.

— თუ გიფიქრია, რა იქნება, როცა ახალ „მის საქართველოს“ აირჩევენ და შენ უკვე ყოფილი „მის“ გახდები?

— სექტემბერში „მის საქართველო-2004“-ის კონკურსი გაიმართება. გვირგვინს სხვას გადავცემ და ალბათ, ცოტას ვინერვიულებ კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ ამას თავიდანვე ვიყავი შეგუებული. საშინელება იქნება, თუ გვირგვინის გადაცემასთან ერთად, ჩემი კარიერაც დასრულდება. იმედი მაქვს, ასე არ მოხდება...

რას ფიქრობენ ფსიქოლოგები ამ საკითხზე? როგორი ადამიანები ახერხებენ თავბრუდამხვევი კარიერის გაკეთებას? და საერთოდ, ვის რა ამოძრავებს, როცა კარიერის შექმნას ცდილობს?

სოფო ვერულაშვილი, *ფსიქოლოგი:*

— ყველა ადამიანს აქვს სურვილი, წარმატებას მიაღწიოს. ეს გახლავთ ჯანსაღი ადამიანური მოთხოვნილება. ფროიდს აქვს აღწერილი რამდენიმე შემთხვევა, როცა ადამიანები, წარმატების მიღწევისას მძიმე სულიერ მდგომარეობაში ვარდებიან. ჩემს პრაქტიკაშიც ბევრი შემთხვევა იყო, როცა ადამიანს, რომელმაც წარმატებას მიაღწია, უმალ ფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემები გაუჩნდა.

— რა არის ამის მიზეზი?

— მიზეზი მრავალნაირი შეიძლება იყოს. მაგრამ მსგავსი გართულებები (ფსიქოზი, ნევროზი, დეპრესია) ძირითადად, იმ ადამიანებს ემართებათ, რომლებმაც თანამდებობა შემთხვევით მიიღეს: ისინი უბრალოდ, საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდნენ და შემთხვევით დაინიშნნენ თანამდებობაზე. ასეთი ადამიანები თანამდებობისთვის ხშირად მოუმზადებლები არიან.

— თავბრუდამხვევ კარიერას ხშირად მოსდევს მარცხი, რომელიც გადამწყვეტი, შეიძლება, საბედისწეროც ხდება ადამიანისთვის და მის შემდგომ ცხოვრებას უარყოფით დაღს ასვამს...

— თანამდებობაზე მყოფ ყველა ადამიანს სჭირდება შესაბამისი ადამიანური რესურსი საიმისოდ, რომ თავი გაართვას იმ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, რომლებსაც მისი პოსტი აკისრებს. მნიშვნელოვანია ცხოვრებისეული გამოცდილებაც. არ შეიძლება, 20-25 წლის ბიჭი, თუნდაც მას უნივერსალური განათლება ჰქონდეს მიღებული და პოლიგლოტი იყოს, დაინიშნოს მინისტრად, რადგან მას არა აქვს ყველაზე მთავარი — სიბრძნე, რომელიც არ ისწავლება და მხოლოდ ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგად მოდის. ამიტომაა, რომ ხშირად, თავბრუდამხვევი კარიერა ზიანის მომტანია. ახალგაზრდა მცენარეზე საქანელას თუ დავკიდებთ, გადატყდება, ასწლოვან ხეს კი საქანელა ვერაფერს ავნებს — ეს მარტივი ჭეშმარიტებაა.

■

ბუნებრივია, კვება და ძილი ქართველ კანონმდებლებს ისევე სჭირდებათ, როგორც საქართველოს რიგით მოქალაქეებს. ძნელი სათქმელია, რამდენი საათი სძინავთ დეპუტატებს ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი კანონპროექტების შემუშავების პირობებში, მაგრამ ძნელი დასადგენი სულაც არ გახლდათ, თუ ვინ ზრუნავს მათ გამოკვებაზე და რა თანხას ხარჯავენ ისინი პარლამენტის სასადილოსა და ბუფეტებში. ამ კითხვებით მივმართეთ პარლამენტის საზკვების კომბინატის ახლანდელ დირექტორს, ბატონ ბიბ ჩივაძეს, რომელიც შვიდი წლის მანძილზე „მარკო-პოლოს“ გენერალურ მენეჯერად მუშაობდა.



რით იკვებებიან ქართული კანონმდებლები

ანუ დაგემოძღვიოთ პარლამენტის სასადილოს მენიუს პიცა

სოფო ყარალაშვილი

— ბატონო გია, რატომ გადმოხვედით „მარკო-პოლოდან“?

— აქ დღისით ვმუშაობ, თანაც მეტი თავისუფალი დრო მრჩება. „მარკო-პოლოში“ კი ღამით ვმუშაობდი და დასვენების დღეები არ მქონდა. დროა, საკუთარ თავსაც მივხედო. მიღირს, თუნდაც ანაზღაურება ნაკლები იყოს.

— მაღალი კლასის სპეციალისტის თვალით, როგორ შეაფასეთ პარლამენტის კვების ობიექტების მდგომარეობა, როცა სამუშაოდ მიგიწვიეს?

— გაოგნებული დავრჩი. ყველა დანადგარი — ამორტიზებული, ხოლო ცენტრალური დარბაზი — გაუქმებული დამხვდა. სრულებით შეუფერებელი გახლდათ ჭურჭელიც, აშკარად გასაუმჯობესებელი იყო მომსახურების დონე. ცოტა არ იყოს, შევცბი ამდენი პრობლემის შემხედვარე, თუმცა, ერთგვარმა აზარტმაც შეიპყრო, რადგან, კიდევ ერთხელ მომიხდა საკუთარი თავის გამოცდა. რაკიღა მთავარი მაინც ფინანსების პრობლემა იყო, მუშაობის გასაუმჯობესებლად და შემოსავლის გასაზრდელად ნაწილობრივ შევცვალე მენიუ და ეტაპობრივად დავიწყე მზარეულების ჩანაცვლება. ნელ-ნელა შევიძინე ჭურჭელი, დავიწყე ძველი დანადგარების განახლება და შერემონტება. კონტრაქტებს ვაფორმებ სხვადასხვა ფირმასთან, რათა, დანადგარებთან ერთად, თავიანთი პროდუქციაც მომაწოდონ. ახლახან შემოვიტანეთ „თოლიასგან“ მაცივარი, რამაც საშუალება მომცა, ასორტიმენტი ნაყინით გავზარდო და არც შენახვის პრობლემა მქონდეს. ბატონი გოგი თოფაძეც შეპირებულია მაცივარ-დანადგარებს. დიდ სასადილოში ბარის გაკეთებას ვაპირებ და საერთოდაც, ბევრი იდეა მაქვს.

— როგორ იკვებებიან დღეს დეპუტატები და რამდენად კმაყოფილები არიან?

— ბევრ დეპუტატს არც კი ვიცნობ, მაგრამ ვისაც ვიცნობ, ამბობენ, რომ ცვლილებები საგრძნობია, რაც დიდ სტიმულს მაძლევს. გარდა ამისა, ჩვენთან გაცილებით დაბალი ფასებია, ვიდრე ქალაქის ნებისმიერ კაფეში. მაგალითად, ერთი ულუფა უხორცო ბორჩში 35 თეთრი ღირს, 100 გ ვინეგრეტი — 20, კატლეტი — 60, ქაბაბი — 95, კიბორჩხალას სალათა — 95, შემწვარი ტვინი — 75, ფინჯანი ყავა — 40, ჭიქა კომპოტი — 10, მწვადი — 1 ლარი და 90 თეთრი.

— მაშასადამე, დეპუტატები იაფად, მაგრამ ხარისხიანად იკვებებიან...

— თავისთავად ცხადია. აქ ხალხი სამსახურშია და სასადილოშიც დროის გასატარებლად კი არა, დასანაყრებლად შემოდის. თუმცა, ისინი ძირითადად, აპარატის თანამშრომლები არიან. დეპუტატებს სესიების პერიოდში უფრო ხშირად ვხედავ. მაგალითად, ელენე თევდორაძეს, ელდარ შენგელაიას, კოტე მგალობლიშვილს, ზურაბ ცქიტიშვილს.... ცენტრალურ დარბაზში სასადილოდ ჩამოსული პარლამენტის თავმჯდომარე არასოდეს მინახავს. როგორც ჩანს, ქალბატონ ნინოს ამისათვისაც არ სცალია...

— თქვენ მიერ დასახელებული ფასებით თუ ვიმსჯელებთ, პარლამენტარის სადილი საკმაოდ იაფი ჯდება...

— გაიჩნია, ვის როგორი მადა და მოთხოვნილება აქვს. ნებისმიერ თანამშრომელს შეუძლია, ნოყიერად და გემრიელად დანაყრდეს 1,5-დან 5 ლარამდე თანხაში. ჩემთვის მთავარია, გემრიელი და ხარისხიანი კერძები შევთავაზო და მნიშვნელობა არ აქვს, პარლამენტარი იქნება ეს თუ აპარატის თანამშრომელი. ძალიან მინდა, ბუფეტი კაფეს დავამსგავსო, რათა აქ ყავა და ჩაი, სასადილოში კი — ცხელი კერძები მიირთვან.

— ბუფეტში ალბათ ალკოჰოლური სასმელებიც გაქვთ. მათზე თუ არის მოთხოვნილება?

— მცირე რაოდენობით. ძირითადად, ლუდი იყიდება.

— ნასვამი დეპუტატები თუ გინახავთ?

— აქ იშვიათობაა, ვინმემ დალიოს და თუკი დალევს — ზომიერად.

— თუ შეგიძლიათ, საქართველოს მოსახლეობას შესთავაზოთ რომელიმე კერძის რეცეპტი პარლამენტართა მენიუდან?

— დიდი სიამოვნებით. მაგალითად, ბოსტნეულის სალათა შემწვარი სულგუნით და პიცა.

ბოსტნეულის სალათა: ავიღოთ 150 გ დაკეპილი კომბოსტო და 50 გ გახეხილი სტაფილო. შევაზავოთ ზეთითა და ძმრით (შეიძლება, 50 გ მაიონეზითაც). თეფშზე დადებისას გვერდზე შემოვუწყოთ ორცხობილაში ამოვლებული და ზეთში შემწვარი, ჯოხებად დაჭრილი (150 გ) სულგუნის ნაჭრები.

პიცისთვის საჭირო: 100 გ ჰოლანდიური ყველი, 1 ც ბულგარული წიწაკა, 1 ც პომიდორი, 60-70 გ ძეხვი ან შაშხი, 5-6 ც ზეთისხილი, 70 გ მოხარშული და წვრილად დაჭრილი სოკო და 50 გ სულგუნი. მომზადების წესი: ვზელთ 100 გ საფუვრიან ცომს, რომელიც ხაჭაპურისაზე ცოტა მაგარი უნდა იყოს. ფორმას მოვუსვამთ ცოტა ზეთს და ზედ თხლად გავაბრტყელებთ ცომს, რომელზეც ფენა-ფენა დავალაგებთ ზემოთ ჩამოთვლილ მასალას. შემდეგ, ფანტაზიის მიხედვით ვაფორმებთ — ე.ი. ზემოდან ვაყრით ყველს, სოკოს, პომიდვრის ნაჭრებს. ვაცხობთ ჰაერღუმელში. თუ ამდენი ინგრედიენტი არ გვაქვს, მაშინ ცომზე ვუსვამთ ნახევარ ს/კ ტომატს და ვაწყობთ 4-5 ნაჭერ სულგუნსა და დაჭრილ პომიდორს. გემრიელად მიირთვით!

■

ამჯერად, კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გიორგი გაბაშვილის ქონებრივი მდგომარეობით დავინტერესდით. ამ სამი სტრუქტურის გაერთიანების შემდეგ, მინისტრისთვის შესაფერისი ადგილი არც ერთი მათგანის შენობაში არ აღმოჩნდა. ბოლოს, ახალაღმოცენებული უწყება ნავთობკორპორაციის შენობაში „დაბინავდა“, სადაც მინისტრის კაბინეტი საკმაოდ კომფორტულად მოუწყვიათ, თუმცა, ჯერ ამ კაბინეტამდე ხმის მიწვდენა ძალზე ჭირს: უტელეფონო საშვთა ბიუროდან გაბაშვილის მდივანსაც ვერ დაუკავშირდებით...

გოკა გაბაშვილი ჯენტლმენი არ არის...

„თუ ფულს გავასესხებ, ე.ი. ახლობელს მივცემ“

სოფო ჭონიშვილი

მინდოსია: *გიორგი (გოკა) გაბაშვილი დაიბადა 1973 წლის 9 იანვარს ქ. თბილისში, მამა – კოტე გაბაშვილი პარლამენტის, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეა, დედა – მანანა ხელაია ლიტერატურათმცოდნე, გიორგი 53-ე საშუალო სკოლაში სწავლობდა, მე-7 კლასიდან – თბილისის მე-6 გიმნაზიაში გადავიდა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ჯერ ფილოლოგიის, ხოლო შემდეგ, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. მუშაობდა კომერციულ სტრუქტურაში, თბილისის „ეარ ცენტრში“, გერმანიაში, საგარეო პოლიტიკის ინსტიტუტში; თბილისში დაბრუნების შემდეგ – განათლების რეფორმების საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახურში და სოროსის ფონდში, რამდენიმე პროგრამის კოორდინატორისა და დირექტორის მოვალეობებს ასრულებდა. ბოლო 2 წელი „გაერთიანებული დემოკრატების“ გენერალური მდივანი გახლდათ. ჰყავს მეუღლე – ირინა კლდიაშვილი – გერმანისტი – და 6 წლის ქალიშვილი – თინათინი.*

„ჩემი ხელფასით კმაყოფილი ვარ“

— ბატონო გიორგი, როგორი ბავშვობა გქონდათ? მშობლებისგან იყავით თუ არა განებივრებული?

– განებივრებული ბავშვობა ნამდვილად არ მქონია, გამომდინარე იქიდან, რომ ჩემი ოჯახი მდიდარი არასოდეს ყოფილა. მაგრამ არც ის შემიძლია ვთქვა, რომ ღარიბები ვიყავით. ბაბუაჩემი საქართველოში ცნობილი ექიმი-ნევროლოგი იყო და პროფესიიდან გამომდინარე, ნორმალურად არჩენდა ოჯახს. ვერ ვიტყვი, რომ ყოველთვის მქონდა ის, რაც მინდოდა, მაგრამ არც არაფერი მაკლდა.

— რამდენი და-ძმა გყავთ?

– ერთი ძმა მყავს, ჩემზე 11 თვით უფროსი.

— ბატონო გიორგი, დეკლარაციაში აღნიშნული გაქვთ, რომ თქვენი მეუღლე არის შპს „კასაბელას“ დამფუძნებელი და პარტნიორი, რომელშიც ის 15%-ს ფლობს. რას წარმოადგენს ეს ფირმა და რეალურად რა ქონების პატრონია ქალბატონი ირინა?

– ამ ორგანიზაციის საქმიანობა იმით დაიწყო და ამოიწურა, რომ ბაკურიანში ექვსმა ახლობელმა ოჯახმა ხის სახლი ააშენა, რომელშიც ჩემს მეუღლეს – 60 კვმ ფართი ეკუთვნის. აქედან არანაირი შემოსავალი არა აქვს. ეს უბრალოდ იურიდიული ფორმა იყო.

— ვინ არიან თქვენი მეუღლის მშობლები?

– მეუღლის დედა – ლალი ლაღიძე მუსიკათმცოდნეა, მამა ექიმი, ქირურგი-ონკოლოგი. ჩვენი მშობლები ეპიზოდურად გვეხმარებოდნენ ხოლმე. ახლა უკვე რამდენიმე ხანია, დამოუკიდებელ მატერიალურ ცხოვრებას ვეწევით.

— რამდენია თქვენი მეუღლის წლიური შემოსავალი?

– ჩემი მეუღლე უნივერსიტეტში და უცხო ენების ინსტიტუტში კითხულობს ლექციებს, საიდანაც ჩვეულებრივ ხელფასს იღებს, ზუსტად ვერ გეტყვით – რამდენს. ის აგრეთვე მერიაში ასწავლის გერმანულ ენას, სადაც უფრო მაღალი ხელფასი აქვს, თუ არ ვცდები – თვეში 200 ევრო.

— თქვენი წლიური შემოსავალი რა თანხას შეადგენს?

– მინდა გითხრათ, რომ ჩემი ხელფასით კმაყოფილი ვარ, წლიური შემოსავალი დაახლოებით ალბათ 15.000 დოლარია.

ყველაზე ძვირად ღირებული ნივთი – ბებიის სახსოვარი ტილო

— თქვენ მიერ შევსებულ დეკლარაციაში გაქვთ მშენებარე სახლი თბილისში, რომელიც 20.000 ლარად შეაფასეთ. როცა სახლის აშენება დასრულდება, თუ შეგიძლიათ თქვათ, რამდენი ეღირება?

– ეს სახლი ყიფშიძის ქუჩაზე შენდება. მისი საბოლოო შეფასება ზუსტად არ შემიძლია, იმასაც ვერ გეტყვით, როდის დასრულდება მშენებლობა. საბოლოოდ დასრულების შემდეგ, ფასი, რა თქმა უნდა, გაიზრდება, ალბათ, დაახლოებით 30.000 დოლარი ეღირება.

— ოჯახში ყველაზე ძვირად ღირებული ნივთი რომელი გაქვთ?

– ძვირად ღირებული, 5.000 ლარად შეფასებული კარადა მაქვს. აგრეთვე ლადო გუდიაშვილის ფერწერული ტილო, რომელიც ბებიამ მისახსოვრა.

— მშობლებმა რა დაგიტოვეს?

– მთლიანობაში, რა ნივთებიც მაქვს შინ, როცა ცალკე საცხოვრებლად გადავედით, ყველა ჩემი ოჯახიდან წამოვიღეთ. ძვირად ღირებული არც ერთი არაა. მაგალითად, ჩემი მანქანა, ძალიანაც რომ მოვინდომო, 5.000 ლარად არ გაიყიდება.

— რა მანქანაა?

– „ოპელ ვექტრა“. 1.500 დოლარად თუ გაიყიდა, ეგრევე გავყიდი...

როდის მოხსნის დეკლარანტი მეუღლის ანგარიშიდან თანხას?

— თქვენს მეუღლეს საბანკო ანგარიშზე აქვს 13.000 დოლარი და 600 ლარი. საიდან შეაგროვა ამხელა თანხა?

— ეს თანხა ჩემს მეუღლეს მამამისმა მისცა. მან აგარაკი გაყიდა, საიდანაც რაღაც წილი ირინას ერგო. თუ ბინის გამოცვლას გადავწყვეტთ, თანხას მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოვიტანთ ბანკიდან.

— ხართ თუ არა მხარჯველი?

— ჩემი ხელფასიდან გამომდინარე, დღეს-დღეობით საწუწუნო ნამდვილად არაფერი მაქვს. მაგრამ იმხელა თანხა არასოდეს მქონია, რომ განსაკუთრებული მხარჯველის სახელი მქონდეს. ამასთანავე, არც ძუნწი ვარ.

— ძირითადად, ფულს რაში ხარჯავთ?

— მოგზაურობაში, მეგობრებთან ურთიერთობისას და ოჯახის წევრებისთვის საჩუქრებისთვის.

— რა საჩუქრებს მიართმევთ ხოლმე ოჯახის წევრებს?

— ყველანაირს — წიგნიდან დაწყებული — დისკით დამთავრებული.



ირინა კლდიაშვილი შვილთან — თინიკოსთან ერთად

— რამდენად ხშირად დადიხართ მივლინებაში და რა თანხები იხარჯება ამ მგზავრობისას?

— მივლინებაში ხშირად დავდივარ. ბოლოს უკრაინაში ვიყავი. დღიური ხარჯი 40 დოლარია. სახელმწიფო მიხდის სასტუმროსა და თვითმფრინავის ბილეთის ხარჯებს.

380 ევროდ ნაყიდი პიჯაკი და 70-ევროიანი ჰალსტუხი...

— რამდენად ხშირად აახლებთ გარდერობს?

— გარდერობს იშვიათად ვაახლებ. ძირითადად, თბილისის მაღაზიებში ვყიდულობ ტანსაცმელს, ჩემი მეუღლის დახმარებით.

— დაგვისახელეთ ყველაზე ძვირად ღირებული სამოსი, რომელიც გაქვთ.

— ყველაზე ძვირად ღირებული მაქვს პიჯაკი, რომელიც გერმანიაში 380 ევროდ შევიძინე.

— აქსესუარები თუ გიყვართ?

— აქსესუარები არ მიყვარს, მაგრამ ჰალსტუხის ტარება ჩემთვის სავალდებულოა. განსაკუთრებით ზაფხულში მეჯავრება ჰალსტუხი. აქტიურ ხმარებაში 3-4 ჰალსტუხი მაქვს, მათგან ყველაზე ძვირად ღირებულში 70 ევრო გადავიხადე.

რამდენი მონო-ბარათი და ბენზინი სჭირდება მინისტრს?

— რამდენი მონო-ბარათი გჭირდებათ თვეში?

— სამსახურებრივი ლიმიტით თვეში 3 ბარათი მაქვს. სამწუხაროდ, არ მყოფნის და კიდევ ხან 5-ს, ხან 6-ს ვამატებ ხოლმე. რაც შეეხება საწვავს — თვეში დაახლოებით 500 ლარის ბენზინი მჭირდება.

— გიყვართ თუ არა ფულის გასესხება?

— მინდა გითხრათ, რომ ხანდახან მიწევს ფულის გასესხება.

— ახლა თუ გაქვთ გასესხებული?

— ამჟამად არა.

— გასესხებულ თანხას უკან თუ ითხოვთ?

— ასეთ შემთხვევას ვერ ვიხსენებ. კრედიტორი ნამდვილად არა ვარ: თუ ფულს გავასესხებ, ე.ი. მეგობარს ან ახლობელს მივცემ. ასეთ შემთხვევაში არც შენ უნდა მოითხოვო და არც მან დაგიგვიანოს.

სად ეპატიჟება მინისტრი მეგობრებს

— ბატონო გიორგი, თავისუფალ დროს მეგობრებს თუ ეპატიჟებით ხოლმე და სად?

— რა თქმა უნდა, ვეპატიჟები. უმეტესად, ქალაქგარეთ გავდივართ, ღია ცის ქვეშ.

— რესტორანში ფულის გადახდის დრო რომ დადგება, ვინ იხდის თანხას?

— იცით, ფულიანი მეგობრები არა მყავს და არც მე ვარ ფულიანი. თუ საშუალება მაქვს, სიამოვნებით ვიხდი, თუ სხვასაც აქვს, შეიძლება ცოტა „ქართულად ვიჭიდაოთ“ კიდეც...

— როდის გქონდათ ყველაზე დიდი შემოსავალი?

— ყველაზე დიდი შემოსავალი, როცა უცხოეთში ვმუშაობდი, მაშინ მქონდა. ბოლო წლების განმავლობაში, რაც საქართველოში ვარ, ყველაზე მაღალი ხელფასი დღეს მაქვს.

— რამდენი ლარი გჭირდებათ დღეში?

— დღე შეიძლება ისე გავიდეს, არც ერთი ლარი არ დამეხარჯოს. ყოველდღიური თანხა ოჯახს სჭირდება, ძირითადად — გადასახადების დასაფარად. რაც შეეხება სამსახურს — თუ უცხოელი სტუმრები მყავს, მაშინ მიწევს ფულის ხარჯვა, მაგრამ რამდენს ვხარჯავ, ზუსტად ვერ გეტყვით.

— რა სჭირდება ახლა მინისტრს?

— მხოლოდ და მხოლოდ წარმატება საქმიანობაში.

P.S. ტრადიციულ კითხვაზე — თუ რამდენი ლარი ედო ჯიბეში ჩვენს კულტურის მინისტრს? — გვიპასუხა: დღეს 46 ლარი მაქვს და ამასაც ვერ დავხარჯავ, რადგან უკვე საღამოაო... მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბატონი გიორგი აუცილებლად დახარჯავდა თუნდაც, 2 ლარს სიგარეტში, რადგან კითხვაზე — ბევრს ეწევით თუ არა? — მიპასუხა, რომ, საკმაოდ ბევრს ეწევა და თან დასძინა — სამწუხაროდ, დღეში ერთ კოლოფზე მეტი სიგარეტი მჭირდებაო... ■

კბილების გასწორება ნებისმიერ ასაკში ბრეკეტ-სისტემით

სტომატოლოგიური კლინიკა „გეოდენტი“

გამსახურდიას გამზ. №33
☎ 37-60-16; 899-20-62-42

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. სიამაყის აღლუმს ჰომოსექსუალები ატარებენ.
2. ნიუ-იორკში 140 ცათამბჯენია, ჩიკაგოში – 68.
3. შუამდინარეთს ბერძნულად მესოპოტამია ჰქვია.
4. 2008 წლის ოლიმპიადას პეკინი უმასპინძლებს.
5. ქაშაყისგან დამზადებული ფორშმაკი ებრაული კერძია.

6. „ვოლვო“ ლათინური სიტყვაა და ასე ითარგმნება: „მივექანები“.
7. პირველი ფიჭური ტელეფონი, ფირმა „მოტოროლამ“ დაამზადა.
8. სიტყვა „კენგურუ“ ევროპაში მოგზაურმა ჯეიმს კუკმა გაავრცელა.
9. თამბაქოს მოწევა ინგლისელებს მოგზაურმა უოლტერ რელიმ ასწავლა.
10. კეტრინ ჰეპბერნმა 4 „ოსკარიდან“ სამი 60 წელს გადაცილებულმა მიიღო.
11. არქიტექტორთა დაგეგმარებით ბრაზილიის დედაქალაქს თვითმფრინავის ფორმა აქვს.
12. სტატისტიკური მონაცემებით, მსოფლიოში თითოეულ ოჯახს საშუალოდ ოთხი შვილი ჰყავს.
13. რობერტ დე ნირო, რობერტ რედფორდი, ბილი ჯოელი და ბიბი კინგი სხვადასხვა დროს სტუმრობდნენ თბილისს.
14. „არ იდარდო“, „მიმინო“, „ქინ-ძა-ძა“, „პასპორტი“ – ყველა ამ ფილმის მუსიკა გია ყანჩელის დაწერილია.
15. ლუვრის დარბაზებში გამოფენილ ყველა ექსპონატთან სამ-სამი წამი რომ შეჩერდეთ, მის მთლიანად დათვალიერებას სამ კვირას მოანდომებთ.
16. ფრანც კაფკამ სიკვდილის წინ, მაქს ბროდს სთხოვა, რომ მისი ყველა ნაწარმოები გაენადგურებინა. მაქს ბროდს მისი თხოვნა არ შეუსრულებია.
17. მონადირული ასანთის კოლოფი, რომელიც წყალში არ ქრებოდა, კომუნისტების დროს 10 კაპიკი ღირდა.
18. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალი სტილით მოჭიდავე დავით ციმაკურიძე გახლდათ.
19. ჯორჯ ბუში-უმცროსის ინტელექტუალური კოეფიციენტი 91-ის ტო-



ვლადიმერ ჩარკვიანი

«კომუნისტური პრინცი», პრეზიდენტების მრჩეველ-მასწავლებელი და ელჩების მეგობარი

უამრავი წიგნი ინგლისურ ენაზე, ჩარჩოებში ჩასმული ჯილდოები და დიპლომები, კედლებზე გაკრული ექსკლუზიური ფოტოები და არანაირი პოლიტიკური დოკუმენტაცია — ასე გამოიყურება ყოფილი სახელმწიფო მოხელის სამუშაო ოთახი მის ბინაში. ექსპრეზიდენტის მრჩეველმა საერთაშორისო საკითხებში, თანამდებობა 2 იანვარს, კონსტიტუციური ვადის ამოწურვისას დატოვა და როგორც თავად ამბობს, პოლიტიკურ ფერხულში ჩაბმას აღარ აპირებს. თუმცა, ახლანდელ ხელისუფლებასთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს, მიღებული გადაწყვეტილების შეცვლას აღარ აპირებს. ამ მდიდარი ბიოგრაფიის მქონე ადამიანს გასახსენებელი მართლაც ბევრი აქვს, თუმცა, არც გეგმების სიმცირეს უჩივის. ჩვენც ცოტ-ცოტა ყველაფერზე ვესაუბრეთ.

ემა ტუხიაშვილი

— ბატონო გელა, ინტერვიუზე იმ პირობით დამთანხმდით, თუ პოლიტიკაზე არ ვისაუბრებდით. რატომ?

– ჩემს მოღვაწეობას, საჯარო სამსახურში უკვე წერტილი დავუსვი. სიამოვნებით ვადევნებ თვალს პოლიტიკას, მაგრამ მასში მონაწილეობას, გარდა დიპლომატიურ საღამოებზე ყოფნისა, არ მივიღებ.

— არადა, პოლიტიკა მთელი ცხოვრება თან გდევდათ, — ბავშვობიდან მოყოლებული: თქვენ ხომ ცეკას პირველი მდივნის ოჯახში დაიბადეთ...

– შეიძლება ითქვას, რომ „კომუნისტური პრინცი“ ვიყავი *(იცინის)*. მართლაც, პრივილეგირებული ბავშვობა მქონდა, თუმცა ცოტა მრცხვენოდა კიდეც ამის. მრცხვენოდა მანქანით მგზავრობის, რადგან მაშინ მანქანა იშვიათობა იყო. მაშინაც მრცხვენოდა, როდესაც სკოლაში მეკითხებოდნენ: რამდენი ოთახია თქვენს ბინაშიო?.. ახლანდელი სტანდარტებით თუ შევაფასებთ, ჩვენი ხუთოთახიანი ბინა სასაცილოდაც შეიძლება მოგვეჩვენოს... დაცვა ყოველთვის დაგვყვებოდა თან, მაშინაც კი, როდესაც ბავშვები, ეზოში ვთამაშობდით. შეზღუდვებთან ერთად, ამ სოციალურ სტატუსს ბევრი სიკეთეც ახლდა თან: მაგალითად, ჯერ კიდევ პატარა ასაკში, შემეძლო სანადიროდ და სათევზაოდ წასვლა, 8-9 წლისა უკვე მანქანას ვმართავდი. მახსოვს ეს იყო, პატარა ამერიკული „დოჯის“ ჯიპი და სამხედრო „ვილისი“. ვინაიდან ეს უკანასკნელი, სამხედრო მანქანა იყო, უგასაღებოდ იქოქებოდა, ამიტომ ხშირად ვიპარავდი ხოლმე...

— ასეთ პრივილეგირებულ ბავშვს, ალბათ სამოსიც განსაკუთრე-

ბული, სხვებისგან განსხვავებული გეცვათ...

— მე და ჩემს ძმებს უმეტესად, ჩვეულებრივი, სკოლის ფორმა გვეცვა ხოლმე, მაგრამ მახსოვს, ერთხელ დედამ გადაწყვიტა, რომ ჩემთვის და ჩემი ძმებისთვის კარგი ფორმა შეეკერა. იმ დროს განთქმული მკერავი ბაბკენა მოგვიყვანეს შინ. როდესაც ბაბკენა ზომებს გვიღებდა, იმ დღეს მაგნიტოფონი მოგვიტანეს. მაშინ, მაგნიტოფონის არსებობაც კი არ იცოდა ბევრმა. ორი, მთასავით დიდი ყუთი იყო. ბავშვები გაოცებულები ვუყურებდით ამ ჯადოსნურ ყუთებს, რომლებსაც ჩვენი ხმების „დამახსოვრება“ შეეძლო. მაგრამ ჩვენზე მეტად გაოცებული, სოფლიდან სტუმრად ჩამოსული ბაბუა იყო (მამაჩემის მამა). თავისი ხმა რომ გაიგონა, მაგნიტოფონიდან, გაგიჟდა კაცი.

— **მამათქვენის თანამდებობა მასთან ურთიერთობისას გარკვეულ ბარიერს ხომ არ გიქმნიდათ?**

— რა თქმა უნდა, არა. მამა ჩემს ცნობიერებაში ყოველთვის იყო განათლებული და ჭკვიანი ადამიანი, რომელიც ბევრს გვასწავლიდა. იგი სათვალეს ატარებდა, ბევრს კითხულობდა, ხშირად დადიოდა თეატრსა და ოპერაში. სულ სხვა საკითხია, მივიჩნევდი თუ არა იმ დროს მე, მამისნაირ ტიპაჟს მისაბაძად. მაშინ მეგონა, რომ კარგი კაცია ის, ვინც ჩხუბობს, ბევრს სვამს და ქალებში დადის, რადგან ჩვენი დაცვის წევრები ერთმანეთს სწორედ ამაზე ელაპარაკებოდნენ ხოლმე...

— **რადგან ქალები ახსენეთ, იქნებ, თქვენი პირველი სიყვარული გაიხსენოთ?**

— ჩემი პირველი სერიოზული სიყვარული, ჩემი მეუღლე ნანაა. სიამოვნებით ვიხსენებ ხოლმე იმ პერიოდს. ჩვენ ორი წლის განმავლობაში ვხვდებოდით ერთმანეთს და შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ეს ურთიერთობა ქორწინებით დაგვეგვირგვინებინა. სიყვარული ყოველდღიური რუტინიდან გაგდებს და მისთვის გარკვეულ მსხვერპლზე მიდიხარ. ჩემს შემთხვევაში მსხვერპლი ის იყო, რომ ინსტიტუტში აღარ დავდიოდი და სწავლას მოვუკელი. საერთოდ მიმაჩნია, რომ სიყვარულზე ძლიერი გრძნობა არ არსებობს და მას არაფერი შეედრება. მიკვირს იმ ადამიანების, ვისაც ეს არ გამოუცდია. მე და ნანამ შევძელით, რომ ეს გრძნობა მარადიულად შეგვენარჩუნებინა.

— **გინდათ დამარწმუნოთ, რომ ქალბატონი ნანას გარდა, არავინ გყვარებიათ?..**

— სკოლა მოსკოვში დავამთავრე და, რაღა თქმა უნდა, მყავდა იქ გოგონები, რომლებიც მეგონა, რომ მიყვარდა, მაგრამ ნანას მიმართ გრძნობა გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა. სხვათა შორის, რამდენიმე რუსმა ქალბატონმა, მრავალი წლის წინ ჩემდამი გაჩენილი გრძნობები დღემდე შეინარჩუნა. ახლა ისინი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობენ და მირეკავენ ხოლმე. ისინი არიან სრულიად არაპრაგმატული ადამიანები, რომლებსაც არაფერი უნდათ ჩემგან და დღემდე ვახსოვარ. უნდა გითხრათ, რომ ამის გამო მათ ძალიან ვაფასებ.

— **თქვენი მეუღლე როგორ რეაგირებს ამაზე?**

— სავსებით ნორმალურად. ამაში ხომ ცუდი არაფერია?! სხვათა შორის, ნანაც იცნობს მათ...

— **შვილების დაბადებამ და მამობრივმა პასუხისმგებლობამ ძალიან შეგცვალათ?**

— ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, როდესაც პირველი შვილი, ირაკლი შეგვეძინა, ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ მამობამ შემცვალა. საქართველოში შვილიშვილის აღზრდას ხშირად ბებიები და ბაბუები კისრულობენ. ჩვენს შემთხვევაშიც ასე იყო. ირაკლის მამაჩემთან უფრო ხშირი ურთიერთობა ჰქონდა, ვიდრე ჩემთან. სხვათა შორის, როდესაც ირაკლიმ თავისი მოთხრობების წიგნი გამოსცა, იქ მთავარი მოთხრობა სწორედ ბაბუაზე ჰქონდა. სიმართლე გითხრათ, მე ვერც ბაბუობამ შემცვალა მაინცდამაინც...

— **ოჯახის წევრების მიმართ როგორი ხართ?**

— მიმაჩნია, რომ სითბოს ვაკლებ, თუმცა ეს მხოლოდ გარეგნულად ჩანს ასე — სინამდვილეში, მე გაცილებით მეტის თქმა მინდა ხოლმე. ჩვენი თაობის მამაკაცები ისე გაგვზარდეს, რომ ემოციების გამომჟღავნებას მიჩვეული არ ვართ.

— **ამბობენ, რომ ბევრი უცხო ენა იცით, მართალია?**

— შემიძლია ვთქვა, რომ სამი ენა

...საბედნიეროდ, კატიკა ვიპოვეთ, მაგრამ კუდი ჰქონდა მოტეხილი. ახლა ვმკურნალობთ

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეროვა დვალის **უბის წიგნაკიდან:**

ლია, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ამერიკის პრეზიდენტებს შორის.

20. ქალის საცურაო კოსტიუმი — ბიკინი 1946 წელს მოდელიერმა ლუი რეიდმა შექმნა. მის ქმნილებას რეკლამა ბრიჟიტ ბარდომ გაუკეთა ფილმში — „და ღმერთმა შექმნა ქალი“.

21. ზანგისა და თეთრკანიანის შთამომავალს მულატი ჰქვია, ინდიელისა და თეთრკანიანის შთამომავალს — მეტისი, ზანგისა და ინდიელის შთამომავალს — სამბო.

22. საცერული, ღაჯია, მაღალი აფთარი, ხვეულა და წისქვილა — ცერზე წამოსაცმელი, დასარტყმელი იარაღების ჩამონათვალია. ხევსურები მათ ჩხუბის დროს იყენებდნენ.

23. მარგალიტის სამკაულის „სიცოცხლის ხანგრძლივობა“ 250-300 წელია. ამის შემდეგ ის ელფერს კარგავს, ნაოჭდება და ბოლოს, მტვრად იქცევა. თუმცა, იტალიის ერთ-ერთ მუზეუმში ინახება მარგალიტის საყურე, რომლის ასაკი 2000 წელს აღემატება. ეს საყურე პომპეის გათხრების დროს აღმოაჩინეს და ამ წლების განმავლობაში მას ჰაერი არ მიჰკარებია.

24. შუა საუკუნეებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ტანსაცმლის ფერს. XIII საუკუნეში წითელი, მოდიდან გადავიდა და ადგილი მოლურჯო-მომწვანო ფერებს დაუთმო. წითელი საღებავებით მოვაჭრე გერმანელი ვაჭრები გაკოტრების პირას მივიდნენ. ახალ მოდასთან საბრძოლველად მათ მხატვრების დახმარებას მიმართეს. მხატვრებმა მომწვანო-მოლურჯო ფერებში ეშმაკის გამოსახვა დაიწყეს, რითიც დისკრედიტაცია გაუწიეს ახალ მოდას.

25. იემენში მეთუნეობას უძველესი ტრადიციები აქვს. ერთი მოგზაური დაინტერესდა ქოთნებით, რომლებიც ბერძნულ ამფორებს წააგავდა და იქაური სახელოსნო მოინახულა. მის გასაოცრად, იქ მეთუნის მბრუნავი დაზგა ვერ აღმოაჩინა. იქაური ოსტატები თავად დარბოდნენ ნაკეთობის გარშემო და ისე ანიჭებდნენ ქოთნებს ფორმას.

■

ჩემი პირველი სერიოზული სიყვარული, ჩემი მეუღლე ნანაა. სიამოვნებით ვიხსენებ ხოლმე იმ პერიოდს

ვიცი ერთნაირად – ეს არის ქართული, რუსული და ინგლისური. საერთოდ, ტრილინგვალიზმი იშვიათი მოვლენაა. მესმის და ვკითხულობ ფრანგულ და ესპანურ ენებზე. მამაჩემმა გერმანული იცოდა კარგად, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გადაწყვიტა, შვილებისთვის ინგლისური ესწავლებინა. ჩვენი პედაგოგი იყო აკადემიკოს გიორგი წერეთლის ინგლისელი მეუღლე – დორა. სხვათა შორის, მათი ქალიშვილი დღესაც თბილისში ცხოვრობს.

— საკმაოდ საინტერესო ფოტოების კოლექცია გაქვთ. ალბათ თითოეული აქ, მასთან დაკავშირებული განსაკუთრებული ამბის გამო მოსვდა, არა?

– ეს ფოტოები ჩემი ბიოგრაფიის ამსახველი მასალაა. თითოეული მათგანი ჩვენს ოჯახს უკავშირდება: თუ ერთ ფოტოზე მამაჩემს, ბერიასა და სტალინს ნახავთ ერთად, მეორეზე მე და ჯაბა იოსელიანი ვართ აღბეჭდილი; აქვეა ჩემთვის ძალიან ძვირფასი ადამიანის, ფიცროი მაკლეინის სურათი. ეს ის ადამიანია, რომელიც იან ფლემინგმა აგენტი 007-ის პროტოტიპად გამოიყენა. წლების წინ, ბი-ბი-სის გადამღებ ჯგუფთან ერთად თბილისში იყო ჩამოსული და საქართველოზე ფილმს იღებდა. მეც სწორედ აქ გავიცანი, შემდეგ კი ჩვენი მეგობრობა გაგრძელდა და ფიცროიმ თავის წიგნშიც მახსენა... შემდეგი ფოტო, ფილიპინების დიქტატორთან ფერდინანდ მარკოსთან ერთად მაქვს გადაღებული. მისი მეუღლე მატილდა საკმაოდ საინტერესო პიროვნება იყო; 2000 წყვილი ფეხსაცმელი ჰქონდა და ყოველ დილით საათობით ფიქრობდა იმაზე, თუ რომელი ჩაეცვა... აქვეა ამერიკელ ასტრონავტთან, მიტჩელთან ერთად გადაღებული სურათი. მიტჩელი მთვარეზე იყო და მასზე ლეგენდად დადიოდა – ღმერთი ნახაო. მიტჩელი მართლაც, განსაკუთრებული ადამიანი იყო, ფაქიზი სულისა და დიდი ინტელექტის პატრონი. მიყვებოდა, რომ როდესაც მთვარეს უახლოვდებოდა, საოცარი შეგრძნება დაეუფლა – თითქოს სამყაროს ცენტრის პულსს გრძნობდა... როგორც ხედავთ, აქვეა წლების წინ, მიხეილ საკაშვილთან და სანდრა რულოვსთან ერთად გადაღებული სურათი. მიშა ჩემი მოსწავლე იყო, ამიტომ ჩვენი ურთიერთობა დიდი ხნის წინ დაიწყო.

— ე.წ. „რევოლუციური სამეულის“ სურათი ყოფილი პრეზიდენტის ფოტოს გვერდით რომ დაგიკიდიათ, როგორ თავსდებიან ერთად?..

– მე ისტორიას ამგვარად არ ვუყურებ: ისტორია ყველაფერს ათავსებს ერთმანეთთან.

— ბატონო გელა, ახლა რას საქმიანობთ?

– ახლაც ძალიან ბევრს ვმუშაობ: ვკითხულობ ლექციებს ენებისა და კულტურის უნივერსიტეტში და სახელმწიფო უნივერსიტეტში. პერიოდულად უცხოეთშიც მიხდება ლექციების წაკითხვა (ჰარვარდსა და ვაშინგტონში). გარდა ამისა, ვმუშაობ დიდ სატელევიზიო პროექტზე ერთ-ერთ ტელეკომპანიასთან ერთად. გეტყვით, რომ ეს იქნება ძალიან საინტერესო, ისტორიული ხასიათის პროექტი მხოლოდ საქართველოზე. ჯერ-ჯერობით მეტს ვერაფერს გეტყვით. გამოდის მამაჩემის მემუარები და ამ წიგნზეც ვმუშაობდი. გამოვეცი ჩემი საფორტეპიანო პიესების დისკი. ეს გახლავთ ათი მინიატურა, რომლებიც პოლიტიკაში მუშაობის დროს დავწერე. ამას წინათ, ამერიკის ელჩთან გახლდით მიწვეული სადილზე. ჩეხეთის ელჩს ვაცილებდით და სუფრასთან მხოლოდ რამდენიმე ადამიანი ვისხედით. სამახსოვროდ მას ჩემი დისკი ვაჩუქე. გაუკვირდა: როდის დაწერეო? ვუპასუხე – სწორედ იმ პერიოდში, როდესაც პოლიტიკაში ვიყავიმეთქი და თან დავაყოლე: მაგრამ არ ვიცი, რას უფრო უკეთ ვაკეთებდი – რჩევებს ვაძლევდი ბატონ ედუარდს თუ მუსიკას ვწერდი-მეთქი...

— დისკის გარეკანზე კატასთან ერთად ხართ გადაღებული, ცხოველები გიყვართ?

– ცხოველები ყველას გვიყვარს ოჯახში. მაგალითად, ირაკლის კატაც ჰყავს და ძაღლიც. ფოტოზე კი მე და ჩემი კატა ვართ გადაღებული. მოფერებით კატიკას ვეძახით. ამ რამდენიმე დღის წინ, აივნიდან გადავარდა და დაიკარგა. ჩემმა შვილებმა რომ გაიგეს, მაშინვე მოცვივდნენ და ძებნა დაუწყეს. საბედნიეროდ, კატიკა ვიპოვეთ, მაგრამ კუდი ჰქონდა მოტეხილი. ახლა ვმკურნალობთ.

— ირაკლის სიმღერების შესრულება თუ გიცდიათ?

– მე და ირაკლის გვაქვს ერთად ნამღერი სიმღერა. მაგრამ მისი ყველა სიმღერის შესრულებას ვერ შევძლებ – არა იმიტომ, რომ რომელიმე არ მომწონს, არამედ იმიტომ, რომ სტილისტურად არ შემეფერება: მე, ბატონო, ჯაზზე ვარ გაზრდილი!..

— მსმენია, რომ კარგი იუმორის გრძნობა გაქვთ. რამე პოლიტიკური კურიოზი მოგვიყევით.

– 1994 წლის თებერვალში, საქართველოს ელცინი ეწვია სტუმრად. უამრავი ხალხი ჩამოჰყვა თან და დიდი ბანკეტიც გაიმართა მათ პატივსაცემად. ცნობილი ფაქტია, რომ ელცინს დალევა უყვარს, ამიტომ არც აქ შეუკავებია თავი. ბანკეტიდან რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი პირდაპირ აეროპორტში გავაცილეთ. ძალიან ცივი ქარი ქროდა, მე კი ერთი წმინდა ბიოლოგიური თვისება მაქვს: როდესაც ქარი სახეში მირტყამს, უნებლიე ცრემლდენა მეწყება. მთავრობის წევრებთან და დიპლომატიურ კორპუსთან ერთად ხაზზე დავდექით – ყველასთვის სათითაოდ ელცინს ხელი უნდა ჩამოერთმია. როდესაც ჩემთან მოვიდა და შემომხედა, გაოცდა კაცი, ისე „ვტიროდი“. ცოტა ხანს მომაშტერდა და მეუბნება: „Ничего, я ешё приеду...“ ■

... მაგრამ ყველა მისი სიმღერის შესრულებას ვერ შევძლებ. მე, ბატონო, ჯაზზე ვარ გაზრდილი!..

გარიგება

ძველად, როცა ქალის ან ვაჟის დაქორწინების დრო მოახლოვდებოდა, ოჯახის უფროსი გამოცდილ მაჭანკალს მიადგებოდა, შვილის სურათითა და პერსპექტიული სასიძოსა თუ საპატარძლოს მოძებნაში კარგ საფასურსაც დაჰპირდებოდა. მაშვალიც დატრიალდებოდა, შესაფერ მეწყვილეს მოძებნიდა და კიდევ ერთი ახალი ოჯახის შექმნას ზარ-ზეიმით აღნიშნავდნენ. ოჯახიც კმაყოფილი რჩებოდა, სიძე-პატარძალიც და, რაღა თქმა უნდა, მაჭანკალიც... იცვლებოდა დრო და იცვლებოდა ტრადიციებიც. მაშვალი კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილმა „დაოჯახების კლუბმა“ შეცვალა ან სულაც, ვიღას სჭირდება მაჭანკალი, როცა ახალგაზრდები ინტერნეტისა და მობილური ტელეფონების საშუალებითაც მშვენივრად ახერხებენ ერთმანეთის გაცნობას?!.

„ქალი ძალზე ცდილობდა ჩემთვის „კარგი ვარიანტის“ გამონახვას...“

მარი ჯაფარიძე

ჩემი პირველი რესპონდენტი ფშავში გაზრდილი ქალბატონი გახლავთ, სადაც დაბადებისთანავე დაწინდვის (დანიშვნის) ტრადიცია XXI საუკუნეშიც შემორჩენილია, მაგრამ „სიყვარულს რას გოუგებ, ჩემო ოლღა?!.“ ჰოდა, ეს ქალბატონიც... თუმცა, ჯობს, თავად მას მოვუსმინოთ.

„იმ დღესვე ჩემი ფუთიანად შინ წამიყვანა...“

„მე „გზისა“ და „გზავნილების“ აქტიური და ერთგული მკითხველი ვარ. არც ერთი ნომერი არ გამომიტოვებია, მაგრამ „მესიჯი“ არასოდეს გამომიგზავნია. ახლა ისეთ თემას შეეხეთ, რომ ვფიქრობ, აუცილებლად უნდა მოგიყვეთ ჩემი გათხოვების ამბავი. ფშავში გავიზარდე და ისეთ მიყრუებულ სოფელში ვცხოვრობდი, რომ მთელი სოფლიდან სულ 3-4 ადამიანი თუ იყო თბილისში ნამყოფი. ამიტომ საღამოობით, სოფლის „ბირჟაზე“ შეკრებილი გლეხები ათასგვარ კითხვას უსვამდნენ ხოლმე „ქვეყანამოვლილ“ თანასოფლელებს. ისინიც დაუღალავად ჰყვებოდნენ იმ „საოცრებების“ შესახებ, რომელიც თბილისში ჰქონდათ ნანახი. ყველას გვიკვირდა – როგორ შეიძლებოდა, სახლი სახლზე დადგმული ყოფილიყო (კორპუსს გულისხმობდნენ) და მეზობლებს არა მარტო გვერდიგვერდ, არამედ ერთმანეთის თავზე ეცხოვრათ. ან კიდევ, წყალი ჰაერში ადიოდეს (შადრევანსა და „ფანტანს“ გულისხმობდნენ), ან მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე როგორ უნდა ევლოთ... მოკლედ, ქალაქი რაღაც ზღაპრულ ქვეყნად მესახებოდა და ვოცნებობდი იმაზე, როდის ვნახავდი ამ ყველაფერს საკუთარი თვალით. მთის კანონის მიხედვით, სულ პაწაწინა ვიყავი, როდესაც საქმრო შემირჩიეს (ამას დაწინდვა ჰქვია). ჩემი საქმრო მაშინ ოთხი წლის გახლდათ. ერთად ვიზრდებოდით, ვთამაშობდით და ორივემ ვიცოდით, რომ როდესაც მე 16 წლის გავხდებოდი, ის კი 20-ის, ცოლ-ქმარი გავხდებოდით. რომ წამოვიზარდე, მის დანახვაზე ვწითლდებოდი, გავურბოდი და შორიდან ვუთვალთვალებდი. ისე მომწონდა, ისე, რომ... ის სულ ცდილობდა, ჩემ გვერდით ყოფილიყო. ცხენზე შეჯდებოდა და ჩემს სახლთან ჩაივლიდა ხოლმე. ახლა რომ ვიხსენებ, მეღიმება. ყველაფერი ძალზე ლამაზი იყო... ჩემი ბიძაშვილი უკვე მოზრდილი ბიჭი იყო და თბილისში სწავლობდა. მასაც ჰყავდა საცოლე, ძალიან უყვარდა და სოფელში ხშირ-ხშირად აკითხავდა კიდეც. ერთხელ, ასეთი ვიზიტის დროს თავისი მეგობარი, თბილისელი ბიჭი ჩამოჰყვა. ზაფხულის არდადეგები იყო და სტუმარი მთელი თვით დარჩა. ჩვენი და ბიძაჩემის სახლები ერთ ეზოში იდგა. ამიტომ, სტუმარი ორივე ოჯახმა ერთნაირად მივიღეთ. ვინაიდან ბიძაშვილი გოგო არ მყავდა, მთის წესის თანახმად, ეს თბილისელი ბიჭი მე მომიწვინეს გვერდზე. წინასწარ, ჩემმა ბიძაშვილმა ყველა წესი განუმარტა. გურამმა (ასე ერქვა სტუმარს) ჩემი საქმროც გაიცნო, ის კი ქვეშ-ქვეშ უბღვერდა. მთელი კვირა ვიწექით გვერდიგვერდ, ამ ბიჭს ხელიც არ გამოუწვდია ჩემკენ. მე კი მზიბლავდა მისი თეთრი პერანგი და პრიალა ფეხსაცმელი. ეს ყველაფერი ქალაქის ცხოვრებაზე მაფიქრებდა და გურამზე ფიქრს თავიდან ვერ ვიცილებდი. ერთი კვირის შემდეგ მე თვითონ მოვიქეცი ისე, რომ გავაგიჟე ჩემი სტუმარი და მთელი ღამე მასთან ალერსში გავატარე. ერთი კვირის შემდეგ კი, ქალწულობაც ჩავაბარე. თუმცა, არაფერს ვიმჩნევდი, რომ ოჯახის წევრებს სტუმარი ხანჯლით არ აეკუწათ. შემდეგ მოვიდა მისი გამგზავრების დრო. წინა ღამით გულში ჩამიკრა და მიყვარხარო, – წამჩურჩულა. – თან წამიყვანე-მეთქი, – ვთხოვე, მაგრამ მან შემოდგომამდე გადადო თბილისში ჩემი წაყვანა. შემოდგომაზე კი, ჩემი ქორწილი იყო დანიშნული. ამაოდ გავყურებდი გზას, რომელზეც გურამი უნდა გამოჩენილიყო და ღამეებს ტირილში ვათენებდი. რომ გავთხოვდებოდი, გამოაშკარავდებოდა ჩემი ამბავი და საშინელება დატრიალდებოდა... ქორწილის დღეც დაინიშნა. ერთი კვირით ადრე, შუაღამისას ფუთა შეკკარი, შინიდან ისეთი ნივთები წამოვიღე, რომელიც ვიფიქრე, რომ გაიყიდებოდა, ცოტა ხნით თავის გატანას შევძლებდი და შინიდან გამოვიპარე. ორი დღე და ღამე ვიარე ფეხით. ღამე ტყეში გავათენე. შემდეგ, ტრანსპორტზე დავჯექი და თბილისში ჩამოვედი. წარმოიდგინეთ, ხელში დიდი ფუთა მიჭირავს, ფეხზე – ძველმოდური ფეხსაცმელი, ასეთივე ტანისამოსი მაცვია და პირდაღებული, უცხო გარემოს თვალიერებით მივდივარ. გზაზე ისე გადავდიოდი, მანქანებსაც არ ვაქცევდი ყურადღებას. ეს ყველაფერი XX საუკუნის სამოცდაათიან წლებში ხდე-

ბოდა. გზადაგზა, რაღაც ნივთები გავყიდე – თიხის ქილა, სპილენძის თუნგი, ვერცხლის ქამარი – და ცოტა ფული მოვაგროვე. კითხვა-კითხვით მივაგენი უნივერსიტეტს და დავიწყე ჩემი ბიძაშვილის ძებნა. მის შესახებ ვერაფერი გავიგე. სტუდენტები ინტერესით მათვალიერებდნენ და ათას კითხვას მისვამდნენ. ბოლოს, ვიღაც კაცთან კაბინეტში შემიყვანეს (მერე გავიგე – დეკანი ყოფილა); დაწვრილებით გამომკითხა ყოველივე და დამეხმარა გელას მოძებნაში. ბიძაშვილი თვალებს არ უჯერებდა, რომ დამინახა. შინ წამიყვანა, იქ კი ტირილითა და სლუკუნ-სლუკუნით ვუამბე ჩემი გასაჭირის შესახებ. მეორე დილით გელა ლექციებზე წავიდა. ასე ერთ საათში კი კარზე კაკუნი გაისმა. ღია კართან ყურებამდე გაღიმებული გურამი იდგა... იმ დღესვე, ჩემი ფუთიანად შინ წამიყვანა და უკვე 32 წელია, ერთად ვცხოვრობთ. ვფიქრობ, ღირდა მოსაყოლად. თუ თქვენ საინტერესოდ არ მოგეჩვენებათ, ნუ დაბეჭდავთ, არ მეწყინება. პატივისცემით, მაია“.

სამწუხაროდ, ქალბატონმა მაიამ არ მოგვწერა იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწია მის საქმროს ან ოჯახი როგორ შეხვდა მის უეცარ გათხოვებას სხვა კაცზე, მაგრამ კითხვა ველარ შევუბრუნე, რადგან ისედაც 30 „მესიჯზე“ მეტი გამომიგზავნა, რომ ამბავი სრულყოფილად მოეთხრო.

დაოჯახება შეუძლია ყველას, მაგრამ სარფიანად – არა... თავისი ქორწინების ამბავს 38 წლის არკადი გვიამბობს.

„ვიქორწინე „ჩონჩხზე“ და...“

„მართალია, ბავშვობა კომუნისტური რეჟიმის პერიოდში გავატარე და მოგეხსენებათ, მაშინ ცხოვრება სულაც არ ჭირდა, მაგრამ ჩემი ოჯახი ძალზე ღარიბი და უქონელი იყო. მახსოვს, დედა ხშირად, გამხმარ პურს წყალში გვილობდა და ბავშვებს ისე გვანაყრებდა. მამა სულ გასული იყო შინიდან, სულ თოხი და ბარი ეჭირა ხელში, მაგრამ მაინც სიღარიბეში გვხდებოდა სული. შურით შევყურებდი ხოლმე ჩემს თანაკლასელებს, ახალ ტანისამოსში გამოწყობილები რომ მოდიოდნენ სკოლაში. მე კი სულ სხვისი გამონაცვალი მეცვა და ხან შარვალი მქონდა დიდი, ხან ფეხსაცმელი მიჭერდა. ცოტა რომ წამოვიზარდე, მიზნად დავისახე, კარგად მესწავლა, რომ უმაღლესი განათლება მიმეღო და საკუთარი ცხოვრება მომეწყო. ასეც მოვიქეცი და პირველივე ცდით უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე ჩავირიცხე. თბილისში ცხოვრება გამიჭირდა. ის ხმელი პურიც მენატრებოდა, რომელსაც ოჯახში დედა გვიზოგავდა. ერთ დღეს, ჩემმა ლექტორმა დამიბარა და ოჯახის შექმნაზე ჩამომიგდო სიტყვა. გამეცინა და პირდაპირ ვუთხარი: – ლექციას სხვისი გადაგდებული რვეულიდან ამოხეულ ფურცლებზე ვიწერ, რომელ ქორწინებაზეა ლაპარაკი-მეთქი?!. მანაც პირდაპირ მითხრა: პატიოსანი, ჭკვიანი და ნიჭიერი ბიჭი ხარ, მაგრამ ღარიბი, ჩემს გოგონაზე თუ დაქორწინდები, არაფერს გაგიჭირვებო. რამდენიმე ხნის შემდეგ, მშობლები ჩამოვიყვანე და ქალის სათხოვნელად მივედით. მანამდე, ის გოგო ნანახი არ მყავდა. რომ დავინახე, კინაღამ გული წამივიდა, ისეთი შეუხედავი აღმოჩნდა. მამაჩემთან მარტო რომ დავრჩი, ტირილით მითხრა: რას იზამ, შვილო? ახლა უარსაც ვერ იტყვი: ეგ შენი ლექტორი ისეთ დღეში ჩაგაგდებს, სწავლაც უკან დაგრჩება და ცხოვრებაცო... მოკლედ, ვიქორწინე ამ „ჩონჩხზე“ და ყველა სიკეთესთან ერთად აღმოჩნდა, რომ მისთვის პირველი მამაკაცი არ ვიყავი. ესეც „გადავყლაპე“. შვილი ექვს თვეში შეგვეძინა და არც ამაზე ამომიღია ხმა. ამასობაში დიპლომი ავიღე და დავიწყე დისერტაციაზე მუშაობა. ამ საბაბით მოსკოვში წავედი და დისერტაციისთვის მზადების პერიოდი ორი წლით გავჭიმე. შემდეგ იქვე სამსახური ვიშოვე და შვებით ამოვისუნთქე. ვიფიქრე, თბილისში აღარ დავბრუნდები და აქ მოვეწყობი ჩემს გემოზე-მეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად – ჩემი ცოლი, თავის შვილთან ერთად იქ მომადგა და უკან წამოსვლაზე აღარც უფიქრია... საქართველოში მხოლოდ 8 წლის წინ დავბრუნდით, მასთან გაყრა კი 2 წლის წინ მოვახერხე. ახლა კვლავ ვაპირებ დაქორწინებას, მაგრამ ისე „სარფიანად“ აღარ, როგორც მაშინ. პატივისცემით, არკადი“.

ლუარსაბ თათქარიძეს რომ ხორეშანმა ქალი გაურიგა, გახსოვთ ალბათ. ისიც გემახსოვრებათ, რომ ლუარსაბს სხვა ქალი აჩვენეს და ქორწილში პატარძლად სულ სხვა მიჰგვარეს. მსგავსი ამბავი გადახდა თავს ჩვენს ერთ-ერთ მკითხველს. აი, რა „დაგვიმესიჯა“ მალხაზმა.

„მივხვდი, რომ ქალი შემიცვალეს...“

„30 წლამდე უცოლოდ ვიარე. მშობლები არა და არ მომეშვნენ და როგორც იქნა, დამითანხმეს, რომ დავოჯახებულიყავი. საქმეში ათასი ადამიანი ჩაება, ხან ვის მირიგებდნენ, ხან – ვის. იყო ქალის გადანახულება და ერთი ამბავი. სოფელში გაზრდილი ბიჭი ვიყავი, მშრომელი, სოფლის კვალობაზე საკმაოდ წელგამართული ოჯახიც მქონდა. ამიტომ ყველა ცდილობდა, თავისი ახლობელი თუ ნათესავი გაერიგებინა და „კარგ ბედში“ ჩაგდო. მეზობელი სოფლიდან ერთი ქალი ძალზე ცდილობდა ჩემთვის „კარგი ვარიანტის“ გამონახვას. ჰოდა, ეს ქალი გადამეკიდა – ისეთი გოგო უნდა გაგირიგო, რომ მზეს ეუბნება, შენ ჩადი, მე უნდა ამოვიდეო... ჩემ გარშემო ატეხილი ეს ორომტრიალი სულაც არ მადარდებდა და ყველაფერს ღიმილით ვუყურებდი. ამ ქალის ნაქებმა გოგომ კი ძალზე დამაინტერესა. ერთ საღამოს, მთელი ოჯახი საპატარძლოს სანახავად გავემართეთ. ოჯახმა თბილად მივვიღო, პურმარილიც გაგვიშალეს. როცა შევთვერი, ავტყდი – ქალი მაჩვენეთ-მეთქი. ანგელოზივით გოგონა შემოიყვანეს ოთახში. – აუჰ! – გადავირიე მე. – ერთ კვირაში ქორწილი დავნიშნოთ-მეთქი. რაღა თქმა უნდა, ჩემი გავიტანე და მთელი კვირა ქორწილისთვის მზადებასა და ჩემს საცოლეზე ფიქრში გავატარე. ჩემი მაყრიონით პატარძლის სახლს მივადექი და გოგოს რომ შევხედე, მივხვდი, რომ ქალი შემიცვალეს. რას ვიტყოდი? ხმაც არ ამოვიღე, აბა, თავზე ლაფს ხომ არ დავისხამდი?! როცა ჩემი „ტურფა“ მანქანაში გვერდით მომიჯდა, მაშინ წავჩურჩულე – ის ვინ იყო, მე რომ მაჩვენეს-მეთქი? – ის ჩემი ბიძაშვილი იყოო, – არ დამიმალა. ასე დავქორწინდი და დღეს უკვე სამი შვილი გვყავს. უფროსი ბიჭი 28 წლისაა და სულ ჭკუას ვარიგებ: ქალს რომ ნახავ და მოგეწონება, ან ნიშანი დაადე, ან მაშინვე შინ წამოიყვანე-მეთქი. ცოლის მოყვანას კი არასოდეს დავაძალებ“.

როგორც ამბობენ, ქალ-ვაჟის ქორწინებას ბედისწერა წყვეტს. ამაში იოლად დარწმუნდებით, თუ მომდევნო „მესიჯს“ წაიკითხავთ.

„შუაღამისას გარეთ გავიპარე და ღამე სასტუმროში გავათენეთ...“

„მოგესალმებით. მინდა, ჩემი გათხოვების ამბავი მოგიყვეთ. ქუთაისში გავიზარდე. სასწავლებლად კი თბილისში ჩამოვედი. მეორე კურსზე რომ გადავედი, დედა შემიჩნდა – უნდა გათხოვდე, პატრონს ჩაჰბარდეო. ხან ვის მაცნობდნენ, ხან – ვის. ერთხელ, დედამ დამირეკა და მითხრა: შაბათ-კვირას აუცილებლად ჩამოდი ქუთაისში, შენს მოსანახულებლად უნდა მოვიდნენო. მეც მორჩილად გავემგზავრე შინისაკენ. თან გულში ვბრაზობდი: რას გადამკიდებიან? – სულაც არ მინდა ქმარ-შვილი, ჯერ ადრეა ჩემი გათხოვება-მეთქი, – და ვფიქრობდი, რომ ამ სასიძოსაც სხვებივით დავიწუნებდი, ძალით ხომ ვერ გამაყოლებენ-მეთქი?!. სამარშრუტო ტაქსით ვმგზავრობდი. გვერდით ახალგაზრდა, სიმპათიური ბიჭი მომიჯდა. გამომელაპარაკა და

მშვენივრად ავაწყვეთ საუბარი. შემდეგ, ზესტაფონში მანქანა გაფუჭდა და ვიდრე მძღოლი შეკეთებით იყო დაკავებული, ჩვენ იქვე, არცთუ ისე კომფორტულ კაფეში დავსხედით და საუბარი განვაგრძეთ. მგზავრების უმრავლესობა სხვა მანქანას გაჰყვა, მაგრამ როგორც ჩანს, ჩვენ დაშორება არ გვინდოდა და მანქანის შეკეთებას დაველოდეთ. როგორც იქნა, საღამოს 10 საათზე ქუთაისში ჩავედით. მძღოლი სარკიდან ღიმილით გვიყურებდა და აშკარა იყო, ხვდებოდა, რატომ შემორჩა ასე ერთგულად მხოლოდ ორი მგზავრი. დამშვიდობებისას ტელეფონების ნომრები გავცვალეთ და ის ღამე „მესიჯების" მიწერ-მოწერაში გავათენეთ. დათო უკვე მიყვარდა. ამიტომ, სულაც არ ვაპირებდი, ჩემს სანახავად მოსულ სასიძოს ღიმილით გაბადრული დავხვედროდი. დათოსთვის არ მითქვამს ქუთაისში ჩემი ჩასვლის მიზეზი და ვფიქრობდი, ამაღამ კიდევ რომ „დავუმესიჯებ", მოვუყვები, როგორ გავაბუნძულე სასიძო და ვაცინებ-მეთქი... დილიდან დაიწყეს მზადება ოჯახის წევრებმა. მე კი მთელი დღე ეზოში, საქანელაზე ვიჯექი და დათოზე ვფიქრობდი. ერთი სული მქონდა, თბილისში როდის დავბრუნდებოდი, რომ ერთმანეთს შევხვედროდით (ის ჩემზე 6 წლით უფროსი იყო და თბილისში მუშაობდა). საღამო ხანს ჭიშკართან მანქანა გაჩერდა. მაშინვე ოთახში დავიმალე და გამოჩენას არც ვაპირებდი, მაგრამ გულმა არ მომითმინა და სასიძოს ფანჯრიდან დავუწყე ჭვრეტა. ეზოში ჯერ ქალი შემოვიდა, შემდეგ მამაკაცი, მათ უკან 5-6 ახალგაზრდა გოგო-ბიჭი მოჰყვა და სულ ბოლოს, დათოც გამოჩნდა. გაოცებისგან პირი დავაღე და მუხლი მომეკვეთა, რადგან ვიფიქრე, ალბათ, სასიძოს ნათესავია-მეთქი. თურმე, ნუ იტყვით და, თვითონ ყოფილა სასიძო!.. გავბრაზდი — რატომ არაფერი მითხრა-მეთქი?! — და ამიტომ ოთახიდან ფეხიც არ გამომიდგამს. ასე კუდამოძუებული გავუშვი მთხოვნელები. ღამით კი გული მომიბრუნდა და დედასთან ჩხუბისა და კამათის შემდეგ, განვმარტოვდი და „მესიჯები" გავუგზავნე. არ დამიმალავს, რომ ის უზრდელი და უტიფარი საპატარძლო მე ვიყავი... სიხარულისგან აღარ იცოდა, რა ექნა. შუაღამისას გარეთ გავიპარე, ერთმანეთს შევხვდით და ღამე სასტუმროში გავათენეთ. დილით კი, ორივემ ოჯახებს შევატყობინეთ ჩვენი დაქორწინების შესახებ. გაბრაზებული მაშვალი და დედამთილ-მამამთილი შემოვირიგე და ბედნიერად ვცხოვრობთ. თუმცა, ჩვენმა ოჯახებმა დღემდე არ იციან, რა მოხდა მაშინ. ეს ამბავი ერთი წლის წინ მოხდა და შესაძლოა, ამ სიტყვებით დავასრულოთ: „ჭირი იქა, ლხინი აქა..." მე კი უკვე პატარა ნინოს დედა ვარ".

ახლა კი, გარიგების თემაზე მოსულ მოკლე „მესიჯებს" გავეცნოთ.

„უცხო კაცს ლოგინში როგორ ჩავუწვე?!"

„მე და ჩემს დაქალს ორი ბიჭი მოგვწონა. გავიცანით და შევუდექით „დათრევას". იცით, რა აღმოჩნდა? იმათაც შევუყვარდით, ოღონდ — პირიქით... ბედის ირონიაა, ხომ?"

„გარიგებაზე დიდი სისულელე არაფერია. უცნობ კაცს ლოგინში როგორ უნდა ჩავუწვე?! მხოლოდ იმის გამო, რომ მარებელმა „იჩალიჩა"? გაახილეთ თვალი, მოინდომეთ, შეიყვარეთ და თან, ნუ იქნებით ანგარებიანი. სალომე".

„33 წლის ვარ. სიყვარულში არ გამიმართლა. ყოველთვის ისე ხდებოდა, რომ მე ერთი მიყვარდა, მას — სხვა, მე კი სულ სხვას ვუყვარდი... ჩემს მეგობრებს 14-15 წლის შვილები ჰყავთ. მეც მინდა! ახლა გადავწყვიტე, გარიგებით გავთხოვდე. მეტი რა გზა მაქვს? ნანუკა".

„ცოლი როგორ მოვიყვანე? მოვიტაცე, სიდედრთან ერთად; რადგან დედამ ხელი არ გაუშვა, ჩემმა ძმაკაცებმა დედასთან ერთად „ჩატენეს" მანქანაში. ქალაქს რომ გავცდით, დედამისი გაქანებული მანქანიდან გადმოვაგდეთ და გზა გავაგრძელეთ. თუმცა, ვიღაცის მანქანა გაუჩერებია და გზაშივე წამოგვეწია, მაგრამ ვერაფერი დაგვაკლო, რადგან ჩემი საცოლე ისე ტიროდა — ჯონისთან მინდა, შინ არ წამოვალო, — რომ დედის გულმა ვერ გაუძლო და თვალცრემლიანმა ჩამბარა — შენ იცი და შენმა კაცობამ, ჩემს თვალისჩინს გიტოვებო..."

„სალომე, ძალიან მიყვარხარ. მენატრები. გთხოვ, დამიბრუნდი. ბიძაშენი კარგი კაცი ყოფილა, რა ვიცოდი? მაპატიე. დედაშენს და მამაშენსაც პატიებას ვთხოვ. მალე დამიბრუნდი. მენატრები. „ჩუნგა".

ჩვენს თხოვნას, გეპასუხათ კითხვაზე: რას გავაკეთებდი, მილიონი რომ მქონდეს? — მკითხველთა უმრავლესობამ საინტერესო პასუხი გასცა, მაგრამ ვფიქრობდი, მათი უმეტესობა მილიონის ნახევარს ქველმოქმედებისთვის გამოიყენებდა. როგორც აღმოჩნდა, ვცდებოდი და არც ერთ „ფანტაზიორ მილიონერს" ამის სურვილი არ გამოუთქვამს.

„მილიონი რომ მქონდეს, ღალატისთვის შურს ვიძიებდი..."

„მე რომ მილიონი მქონდეს, ვიყიდდი მაგარ მანქანას, გავემგზავრებოდი ესპანეთში, რომში, პარიზში, ეგვიპტეში, ჰავაის კუნძულებზე და... ჯანდაბას ჩემი დიეტა. გვაცა".

„მილიონი რომ მქონდეს, ჩემს ყველაზე საუკეთესო მეგობარს, ზაზა რ-შვილს გადავუხდიდი ვალებს და ჩამოვიყვანდი ესპანეთიდან. პატარა ზაზა".

„მილიონი რომ მქონდეს, ჩემს საყვარელ პაატასთან ერთად სამოგზაუროდ წავიდოდი. ეს ჩემი აუხდენელი ოცნებაა. თაკო".

„აუ, მარი, მე რომ მილიონი მქონდეს, გიორგი ა-ძეს ვიყიდდი. „პინიშკო".

„მილიონი რომ მქონდეს, გავემგზავრებოდი იამაიკაზე ჩემს მეგობარ ბიჭთან ერთად და მთელი დღეები ბობ მარლის მოვუსმენდი".

„მილიონი რომ მქონდეს, წავიდოდი ახალ ზელანდიაში, თავს მაგრად გავილამაზებდი, მაგარ ტანსაცმელს ვიყიდდი, მერე წავიდოდი და ორლანდო ბლუმს გავიცნობდი".

„ეჰ, მარი, მილიონს ვინ მომცემს? ისე, თუ ვიფანტაზიორებ, მაგდენიც არ სჭირდება ჩემი ოცნების ასრულებას. ფული კი იმისთვის მჭირდება, რომ „შური ვიძიო". ჯერ საკუთარ თავს „პლასტიკურ" ქირურგებს დავახვევდი, გავლამაზდებოდი, იდეალურ ფორმაში ჩავდგებოდი. ვივლიდი იმ სილამაზის ცენტრებში, სადაც მსოფლიოს ელიტა დადის გასალამაზებლად. იმიჯს შევიცვლიდი, მაგარ სახლსა და მანქანას ვიყიდდი, მერე კი, სხვისი სახელით, დავურეკავდი ჩემს ყოფილ შეყვარებულს, რომელმაც მიღალატა და საშინელი სიურპრიზი მომიწყო: ცოლად ჩემი მეზობელი მოიყვანა, მაგრამ იმასაც ვერ შეეწყო და 6 თვეში გაეყარა... ჰოდა, მასთან პაემანზე მაგარ ბიჭთან ერთად მივიდოდი. აი, ასე ვიძიებდი შურს ღალატისთვის. თამუნა".

„მილიონი რომ მქონდეს, თბილისიდან წავიდოდი, სავარაუდოდ — ესპანეთში და ამ ჭორიკანა ხალხს სამუდამოდ მოვშორდებოდი. ნინო".

„რა დროს მილიონებია? ხალხს კაპიკები ენატრება! მე რას გავაკეთებდი? მილიონი რომ მქონდეს, ვალებს გავისტუმრებდი, მაგარ მანქანას ვიყიდდი, საკაფო სასახლეს ავაშენებდი, მერე წავიდოდი აფრიკაში ლომებზე სანადიროდ და ყველა ოცნებას ავისრულებდი".

„მილიონი რომ მქონდეს, ვალებს გავისტუმრებდი. დანარჩენს რას ვუზამდი? დანარჩენს, მეორე მილიონი რომ მექნება, მერე გავისტუმრებ..."

„თქვენ მილიონი მომეცით და მე ვიცი, რასაც გავაკეთებ. ია".

დღეს „გზავნილებს" ამით ვასრულებთ. მომდევნო კვირის თემად კი გთავაზობთ — კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო... გამოგზავნეთ „მესიჯები" ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. გვიამბეთ, რა გახდა თქვენთვის მიუღწეველი. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. ■

ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აღდგენის ინიციატორისა და თავმჯდომარის გიორგი ჭანტურიას ვაჟი — გიორგი ჭანტურია-უმცროსი სულ ცოტა ხნის წინ ჩამოვიდა საქართველოში. რა გეგმები აქვს და აპირებს თუ არა მომავალში, მამის კვალს გაჰყვეს — ამას ჩვენი საუბრიდან შეიტყობთ.

გიორგი ჭანტურია-უმცროსი:

მზად ვარ, ვეცადოთ იმ იდეებისთვის ბრძოლას, რომლებსაც მამაჩემი შეეწირა

ეკა მინდაძე

– ბოლოს, მამა 15 წლის ასაკში ვნახე. მას შემდეგ, მისი გარდაცვალებიდან 10 წელი გავიდა. მართალია, გია ბოლო პერიოდში ძალზე აღელვებული იყო, მაგრამ ცდილობდა, მისთვის უახლოეს ადამიანებს ეს არ შეემჩნიათ. ის წინასწარ გრძნობდა, რომ პოლიტიკური ძალა, რომელსაც წარმოადგენდა, საფრთხეში იყო... მახსოვს მიტინგები, შიმშილობა, ანტიკომუნისტური აქციები და ფარული შეხვედრები ეროვნული მოძრაობის მაშინდელ ლიდერებთან. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 10 წლის ვიყავი და ბევრი არაფერი მესმოდა, მამას აბსოლუტურად ყველგან დავყვდი და მასთან ერთად ჩაბმული ვიყავი ეროვნულ მოძრაობაში. ძალიან ხშირად, მიტინგებზე, როცა გიას ხელში მეგაფონი ეჭირა, მის გვერდით ვიდექი და მასთან ერთად გავყვიროდი – „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“

იმ წუთიდან მივხვდი, რომ მე, გია ჭანტურიას შვილს, არ მეკადრებოდა დროის ფუჭად კარგვა

— როგორც ჩემთვის ცნობილია, მაშინ მამასთან ერთად შიმშილობდი. 10 წლის ბიჭუნა, რას ფიქრობდი და როგორ აღიქვამდი ყოველივეს, რაც შენ ირგვლივ ხდებოდა?

– რა თქმა უნდა, მეც მამასთან ერთად ვშიმშილობდი, მაგრამ ჯერ ბავშვი ვიყავი და ბევრი არაფერი გამეგებოდა. უბრალოდ ვიცოდი, რომ სადაც გია და მისი მეგობრები იდგნენ, მეც იქ უნდა ვმდგარიყავი. ჩემი ერთადერთი მიზანი იმ დროს ის იყო, რომ მაგალითი მიმეცა ჩემი თანატოლებისათვის...

— რომელი სკოლა დაამთავრე?

– მამას უნდოდა, რომ ძლიერი, ქართული სულის პიროვნებად ჩამოვყალიბებულიყავი. ის ბეთანიის მონასტერში ჩემს გაგზავნასაც აპირებდა. რაც დრო გადის, ვხვდები, რომ მამას ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა... მე-9 კლასიდან, 1994 წელს, სასწავლებლად სამხრეთ კალიფორნიის სკოლაში გამაგზავნა. ჩემი წასვლიდან სამ თვეში, 3 დეკემბერს მამაჩემი მოკლეს. იმ წუთიდან მივხვდი, რომ მე, გია ჭანტურიას შვილს, არ მეკადრებოდა დროის ფუჭად კარგვა და ყველაფერი უნდა მეღონა, რომ მის მიერ დაწყებული საქმე გამეგრძელებინა. სერიოზულად მოვკიდე ხელი სწავლას. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავბარე რივერსაიდის კოლეჯში და დავამთავრე საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი.

— გიორგი, შენ შეხვედრიხარ ეროვნული მოძრაობის ყველა ლიდერს. რა შეგიძლია თქვა მათ შესახებ?

– მახსენდება ერთი ეპიზოდი – როცა მამა ციხიდან გამოვიდა და ამის აღსანიშნავად, ღამის 11 საათზე ჩვენთან შამპანურებით ხელში მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია მოვიდნენ. სწორედ ამ დღეს გამაცნო მამამ ეს ადამიანები. მათ მამის გათავისუფლება აღნიშნეს. საათნახევრის შემდეგ გავიგონე, როგორ უთხრა ბატონმა ზვიადმა, უკვე ნასვამმა, მამაჩემს: შენი პოლიტიკური ნიჭი მომცა და ჩემი სახელი და გვარიო... ამ სამ ადამიანს ბევრი რამ ჰქონდა საერთო. ისინი პატიოსანი, მებრძოლი სულის ადამიანები იყვნენ.

— შენი აზრით, რამ გამოიწვია განხეთქილება მაშინდელ პოლიტიკურ ლიდერებს შორის?

– გული მწყდება, რომ მათ შორის განხეთქილება მოხდა. ზვიად გამსახურდია მართლაც, არაჩვეულებრივი პიროვნება, საოცრად განათლებული და საქართველოსთვის თავდადებული მებრძოლი იყო. მაგრამ საქართველო, როგორც თავისუფალი ქვეყანა, ჯერ მზად არ იყო საპრეზიდენტო სისტემისათვის. სწორედ ეს იყო მათი განხეთქილების მიზეზიც. მოლაპარაკება „კოლხურ კოშკში“ მიმდინარეობდა. მაშინ იქ ჩემთან ერთად მერაბ კოსტავას ქალიშვილი თამთა და ზვიად გამსახურდიას ვაჟი გიორგიც იმყოფებოდნენ. მახსოვს, მამა ეუბნებოდა ზვიადს: ორი აზრი არ არსებობს იმაზე, რომ ხალხი შენ აგირჩევს პრეზიდენტად, მაგრამ როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ჯერ ფსიქოლოგიურად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად მზად არ ვართ საპრეზიდენტო მმართველობისთვის, ამას საზოგადოების გახლეჩა და სამოქალაქო ომი მოჰყვებაო... გია ჭანტურიას სურვილი იყო, ეროვნული კონგრესის შექმნა და მისი მეშვეობით სახელმწიფოს მართვა, რათა არ მომხდარიყო ის, რაც მან იწინასწარმეტყველა: სამოქალაქო ომი, პრეზიდენტად რუსეთის კაცის დანიშვნა და საქართველოს უკან დახევა ამდენი წლის განმავლობაში...

— როგორ აფასებ ამჟამინდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს?

– დადებითად. მთელ მსოფლიოს დავუმტკიცეთ, რომ ჯანმრთელი, დემოკრატიული ქვეყანა ვართ. ძალიან მიხარია, რომ ჩვენმა პრეზიდენტმა მოახდინა ჩვენი ქვეყნის ისეთი პოპულარიზაცია, რომ მომავალში, ვთქვათ, იმავე ამერიკაში ალბათ, აღარ დამჭირდება ერთსაათიანი ახსნა-განმარტება იმისა, რომ არსებობს ქვეყანა, რომელსაც საქართველო ჰქვია...

— შენი აზრით, ქვეყანაში პირველ რიგში რა უნდა გაკეთდეს?

– პირველ რიგში უნდა დამარცხდეს კორუფცია. ყოფილი ჩინოვნიკების მიერ უაზროდ დახარჯული და გაფლანგული თანხები მაქსიმალურად უნდა დაუბრუნდეს საქართველოს ბიუჯეტს.

მეამაყება, რომ მამა ალბათ, ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც ვერანაირი სიბინძურე ვერ ამოუქექეს

— **როგორ ფიქრობ — დღეს რომ გია ჭანტურია ცოცხალი იყოს, რას იზამდა?**

— დღეს რომ გია ჭანტურია ცოცხალი იყოს, ალბათ ქვეყნის მეთაური იქნებოდა.

— **როგორი ურთიერთობა გაქვს ირინა სარიშვილთან?**

— ირინასთან კარგი დამოკიდებულება მაქვს და ვცდილობ, ის ურთიერთობა შევინარჩუნო, რაც ერთად ცხოვრების დროს გვქონდა. ალბათ ამიტომ, ირინასთან პოლიტიკაზე საუბარს ყოველთვის თავს ვარიდებ...

— **რატომ? მის პოლიტიკურ კურსს არ ეთანხმები?**

— რა თქმა უნდა, არ ვეთანხმები. მაგრამ ამაში მარტო ირინას ვერ დავადანაშაულებ — მასთან ერთად დამნაშავეა მთელი ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ირინამ შეიძლება, რაღაც ვერ განსაზღვრა, მაგრამ ის არ არის მოღალატე.

— **როგორ ფიქრობ — დღეს რას გირჩევდა მამა?**

— ეჭვი არ მეპარება, რომ როგორც მამა, პოლიტიკიდან შორს დგომას მირჩევდა. მან იცოდა, რომ პოლიტიკა ურთულესი საქმეა და ძნელია, ამ საქმეში ბოლომდე სუფთა ხელებით იარო... მეამაყება, რომ მამა ალბათ, ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც ვერანაირი სიბინძურე ვერ ამოუქექეს. იცოდნენ, რომ მხოლოდ ტყვიით იყო შესაძლებელი გიას დამარცხება — მას ხომ 48 ტყვია ესროლეს...

— **ამჟამად რას საქმიანობ და რას აპირებ მომავალში?**

— ამჟამად ვსწავლობ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სახელმწიფო მართვის ფაკულტეტზე. უნდა გავეცნო დიდძალ ლიტერატურას, საქართველოს საშინაო და პოლიტიკურ სტრუქტურას, კონსტიტუციას და ყოველივე ამის შემდეგ, ალბათ დავაკმაყოფილებ იმ მოთხოვნებს, რომელსაც საკუთარ თავს ვუყენებ და ვიფიქრებ პოლიტიკაში მოსვლაზეც. მაგრამ ჯერჯერობით, ვაპირებ, ბიზნესის სფეროში მოვსინჯო ძალები.

— **რაც შეეხება პოლიტიკას — ცალკე პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბებას აპირებ თუ მამის პარტიას მიაშურებ?**

— იმედია, ცალკე პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა არ დამჭირდება. ჩემი და კიდევ რამდენიმე ადამიანის სურვილია, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გავხდე. როგორც გია ჭანტურიას ვაჟი, მზად ვარ, ვემსახურო იმ იდეებისა და პრინციპებისთვის ბრძოლას, რომლებსაც მამაჩემი შეეწირა.

ჩემი და კიდევ რამდენიმე ადამიანის სურვილია, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გავხდე (გიორგი ჭანტურია-უმცროსი მეგობართან ერთად)

— **ბოლოს, შენი ოჯახი გაგვაცანი.**

— მყავს დედა, რომელიც ძალიან მიყვარს. რაც შეეხება ჩემს საკუთარ ოჯახს — ჯერჯერობით დაქორწინებული არა ვარ და არც შეყვარებული მყავს. მაგრამ იმედია, მალე ვიპოვი ჩემს მეორე ნახევარს. მომწონს ლამაზი, ჭკვიანი და იუმორის გრძნობით დაჯილდოებული ქალბატონები... ■

ტესტი ერუდიციაზე

1. რომელი ზღვაა დედამიწაზე ყველაზე თბილი?

ა) ბარენცის;
ბ) შავი;
გ) წითელი.

2. რა ერქვა მოახლეს სამგზავრო გემზე XIX საუკუნეში?



ა) სტიუარდესა;
ბ) შვეიცარი;
გ) მეტრდოტელი.

3. ჭექა-ქუხილი მექსიკაში ძალზე ხშირია, ეგვიპტეში დაახლოებით 200 წელიწადში ერთხელ ხდება. ძვემოთ ჩამოთვლილი რეგიონებიდან სად არ დაფიქსირებულა ჭექა-ქუხილი არასოდეს?

ა) ანტარქტიდაში;
ბ) კუნძულ მადაგასკარზე;
გ) იაპონიაში.

4. როგორი იყო ბაადურ წულაძე ბავშვობაში მისივე აზრით?

ა) ძალზე უზრდელი;
ბ) ძალზე გამხდარი;
გ) ძალზე ზარმაცი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

„ლაპარი ფენის წარმოშობაზენელი“ ოცდაოთხი ქალი მსოფლიოში ცნობილი კინოვარსკვლავი აღმოჩნდა

ხშირად ხდება ისე, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე კონკრეტულ პიროვნებასთან შეხვედრასა და მის გაცნობაზე ვოცნებობთ, ხოლო როდესაც ეს შანსი გვეძლევა, ხელიდან ვუშვებთ და მერე ვნანობთ... სწორედ ასეთი შემთხვევა გაიხსენა ნიკა მემანიშვილმა.

ხათუნა ჯავახიშვილი

— როცა სასწავლებლად ვენაში გადავედი, მოგზაურობა ხშირად მიწევდა. განსაკუთრებით პირველ წლებში. ამის მიზეზი ერთი მხრივ, შემოქმედებითი მხარე იყო, მეორე მხრივ კი — ის, რომ ქართველი სტუდენტები ვენაში არ იყვნენ, სამაგიეროდ, ბევრი იყო გერმანიის სხვადასხვა ქალაქში, მათ შორის — ჩემი

ერთ მერხს მივუსხედით... ერთ მშვენიერ დღეს მითხრა: დედაჩემი ჩამოდის იტალიიდან, მინდა, ქალაქი დავათვალიერებინოო, — და შემომთავაზა...

მეგობრებიც. კარგი წრე ჰქონდათ შეკრული და ძალიან მსიამოვნებდა მათთან ყოფნა. ევროპაში რკინიგზაზე არსებობს სტუდენტური ბილეთები, რომლებიც შაბათ-კვირას ძალიან იაფი ღირს. ამ ბილეთებით ვსარგებლობდი, პარასკევს საღამოს მივდიოდი გერმანიის რომელიმე ქალაქში და კვირას ღამით ვბრუნდებოდი. ეს მეორდებოდა ყოველ შაბათ-კვირას და ჩემთვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ერთხელ ვენიდან ბერლინში მივდიოდი. დაახლოებით 6-7 საათი უნდა იმგზავრო მატარებლით. ჩემთან ერთად კუპეში ასაკოვანი მამაკაცი მგზავრობდა. მთელი გზა გერმანულენოვან წიგნს ვკითხულობდი, ამიტომ ვერავინ ამოიცნობდა ჩემს ეროვნებას. ჩემი თანამგზავრიც წიგნს კითხულობდა. მატარებელში ადამიანს გამოეცნაურები, დაელაპარაკები ხოლმე, მაგრამ ამ შემთხვევაში ასე არ მოხდა, იმ კაცისთვის არც მიმიქცევია ყურადღება. როცა მატარებელი ბერლინის სადგურში შედიოდა, მობილური ტელეფონით ჩემს იქაურ მეგობარს დავურეკე და ვუთხარი, რომ უკვე ჩამოვედი. გამოვრთე თუ არა ტელეფონი, ვხედავ — ამ კაცს თვალებზე ცრემლები მოადგა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ვიფიქრე — ეტყობა, ქართული ფონეტიკა ისეთი ეფექტურია, რომ მის გავონებაზე ადამიანები ტირიან კიდეც-მეთქი... მატარებელი გაჩერდა. ყველანი კარის გაღებას ველოდებით. ხალხია შეჯგუფებული და ყველა ჩასვლას ჩქარობს. ჩემმა თანამგზავრმა რატომღაც სწორედ კიბეზე ჩასვლისას ყველაზე მოუხერხებელ დროს გადაწყვიტა, ეთქვა — მეც ქართველი ვარო, — თანაც, კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება ჩემი ინტერესის ობიექტს წარმოადგენდა — ედუარდ ისრაელოვი. მე მასზე საქართველოში ბევრი რამ მქონდა გაგონილი: საქართველოში 70-იან წლებში და 80-იანი წლების დასაწყისში თუ რაიმე სპექტაკლი ან ფილმია შექმნილი (მაგალითად, „ვერის უბნის მელოდიები“, „როცა აყვავდა ნუში“ და ა.შ.), მათი მუსიკის გამაორკესტრებელი და არანჟირების იმ დროს ყველაზე ძლიერი და სახელოვანი ოსტატი იყო. გია ყანჩელს, ბიძინა კვერნაძეს, გიორგი ცაბაძეს, რეზო ლაღიძეს მიჰქონდათ მასთან საკუთარი ნაწარმოებები. მახსოვს, ისინი ხშირად იგონებდნენ და ამბობდნენ: ედუარდთან რომ მივიტანდით მუსიკას, არ ვნერვიულობდით, ბოლომდე ვენდობოდით და ის ისე აორკესტრებდა, რომ განსხვავებულ ხარისხს სძენდა ჩვენს მელოდიებსო... 80-იან წლებში ის ემიგრაციაში წავიდა გერმანიაში. ჩემთვის, როგორც ახალგაზრდა მუსიკოსისთვის, ვინც ამ დარგში საკუთარ თავს ეძებს, ყოველთვის საინტერესო იყო მისი გაცნობა. ვოცნებობდი, სადმე მენახა და გამომეკითხა რაღაცები — თუნდაც, როგორ მუშაობდნენ ორკესტრთან ეროსი მანჯგალაძე, რამაზ ჩხიკვაძე და ა.შ. როდესაც მან იქ, ბერლინის სადგურის ბაქანზე მითხრა, რომ ედუარდ ისრაელოვი იყო, ძალიან დავიბენი, ის კი — გაქრა და ისიც ვერ ვუთხარი, რომ მუსიკოსი ვარ. მერე ბერლინში ყოფნის დროს ყოველთვის თვალებით ვეძებდი — იქნებ,

სენსაციაზე მონადირე ფოტოგრაფი	ბუჩქი, ისხამს ვიტამინებით მდიდარ ნაყოფს	სასახლე (ძველ.)	გამის ნოტი	... ასე, ... ისე	ჭრილობა	100 გრამი	რაში მიედინება ნავთობი	ერთ-ერთ
ქალაქ ჰასტინგსი					ისჰაკიანი			
რას ეძახიან ბაბუას კახეთში	„... მტრობას დაუნგრევია...“	„... მე ვარ, აქაც მე ვარ“	უძველესი ეპოსი ვისისა და რამინის სიყვარულზე			იგავი	მტაცებელი ცხოველი	უნგრელი კომპოზიტორი ფერენც ...

სადმე შემხვდეს-მეთქი... ეს ამბავი 5 წლის წინ მოხდა, მაგრამ ნამდვილად არ მავიწყდება. ძალიან ვნანობ, რომ ჩემთვის საინტერესო პიროვნებასთან გატარებული შვიდი საათი ვერ გამოვიყენე. მერე ვცდილობდი, მეხსიერებაში აღმედგინა — რას აკეთებდა მგზავრობის დროს, როგორ კითხულობდა...

„ვენაში ყოფნის დროს კიდევ ერთი ძალიან საინტერესო ამბავი შემემთხვა და თუ გნებავთ, გიამბობთ“, — მითხრა ნიკამ. რასაკვირველია, დავთანხმდი და მართლა საოცრად უჩვეულო ამბავი მოვისმინე.

— ვენაში ყველა სტუდენტი, ვინც მისაღები გამოცდები ჩააბარა, ოქტომბერში უნდა მივიდეს და რეგისტრაცია გაიაროს. ამისათვის აუცილებელია გქონდეს: მისამართი, ინტერნეტის მისამართი და ხელის ტელეფონი. მე ყველაფერი მქონდა, მობილურის გარდა. ამის გამო რეგისტრაციაში არ მატარებდნენ. მობილურის ყიდვას ველარ ვასწრებდი, რადგან რეგისტრაციაზე, ბოლო დღეს მივედი, როგორც ქართველს და მით უმეტეს, რაჭველს შეეფერება... ვდგავარ რიგში, ყველაფერ ამაზე ვფიქრობ და ვხვდები, რომ ვიღუპები: თუ რეგისტრაციას არ გავივლი, ამის გამო ინსტიტუტიდან გამრიცხავენ. ჩემ გვერდით რიგში ვიღაც სიმპათიური ბიჭი დგას. რიგმა რომ მომიწია, რეგისტრატორს ვთხოვე, როგორმე დაეფიქსირებინა და მეორე დღეს მივუტანდი ჩემი მობილურის ნომერს. მაგრამ ცივსისხლიანი ავსტრიელი ამაზე არაფრით არ დამთანხმდა. ამ ბიჭმა გაიგონა ჩვენი დიალოგი და უცებ მითხრა: მე ვყიდი მობილურს და თუ ფული გაქვს, ახლავე შეგიძლია, ჩემგან იყიდო, აპარატიც მაქვს და ნომერიც, სხვა მობილურიც მაქვს და ეს აღარ მინდაო. თან ისიც მოაყოლა, თუ ვინ და რატომ აჩუქა ტელეფონი, რატომ ყიდის, როგორია მისი ახალი მობილური და ვინც ის აჩუქა, მისთვის ძალიან ძვირფასია... შევატყვე, რომ ავსტრიელი არ იყო, ტემპერამენტით იტალიელს ჰგავდა. იქვე მქონდა რაღაც შილინგები, ცოტა დამაკლდა, მაგრამ მან მითხრა — ამ ნომერზე დაგირეკავ და მერე დამიმატებო. სხვათა შორის, მერე ისიც აღარ გამომართვა, იმიტომ, რომ მეორე დღიდანვე დავმეგობრდით... ედუარდი ერქვა. ამაზე ბევრი ვიცინე, რადგან ჩვენი პრეზიდენტი მაშინ ედუარდი იყო და ავსტრიაშიც პირველი ნაცნობი ედუარდი თუ შემხვდებოდა, ნამდვილად არ მეგონა. გვარი რომ ვკითხე, მიპასუხა — პონტიო. ამაზე ცალკე ვიცინე ჩემთვის — ეს რა პონტია-მეთქი?! ედუარდი სადირიჟოროზე ჩაირიცხა, მე — საკომპოზიტოროზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თეორიულ საგნებში ლექციები ერთად გვქონდა. ერთმანეთის გარდა, არავის ვიცნობდით და ერთ მერხს მივუსხედით... ერთ მშვენიერ დღეს მითხრა: დედაჩემი ჩამოდის იტალიიდან, მინდა, ქალაქი დავათვალიერებინოო, — და შემომთავაზა, შენც ჩვენთან ერთად ისეირნეო. ვიფიქრე — საწყალი, ეტყობა, სოციალურად დაბალი ფენის წარმომადგენელია, პირველად ჩამოდის ვენაში, უნდა ნახოს ეს სასწაული ქალაქი-მეთქი... მოკლედ, ამ განცდებში ვარ, თან გული მწყდება, რომ მე იმის საშუალებაც არა მაქვს, დედაჩემი დავპატიჟო, თორემ ხომ მოვატარებდით დედებს ერთად ამ ქალაქს?! მივედი „მოცარტის პარკში“ დანიშნულ დროს. ვხედავ ფენომენალური, გასაგიჟებელი გარეგნობის ასაკოვან ქალს, ძალიან უბრალოდ ჩაცმულს: აცვია ჯინსი, „გაუგებარი“ ჯინსის „კურტკა“, თავზე მოხვეული აქვს ბენდენა. სახეს ვერ გაარჩევ, რადგან უზარმაზარი შავი სათვალე უფარავს, თმას და თავს კი — ბენდენა. ვხედავ მარტო ერთს: არის მაღალი და გასაგიჟებელი, ამ ასაკშიც კი!.. გამაცნო დედამისი და დავიწყეთ სეირნობა. ესენი იტალიურად ლაპარაკობენ, მერე ედუარდი მითარგმნის: ნელ-ნელა ვამჩნევ, რომ შორიახლო სამი კაცი დაგვყვება რაციებით და დროდადრო ერთმანეთს რაღაცებს ელაპარაკებიან. მივხვდი, რომ ეს ქალი სახელმწიფო დონეზეა დაცული. ვფიქრობდი — ნეტავ, ვინ არის ასეთი-მეთქი?! თან ვერც ვეკითხები, მერიდება, იმიტომ, რომ ადამიანს, რომელსაც იცავენ, იმის პრეტენზიაც აქვს, რომ ცნობდნენ... ბოლოს და ბოლოს, შევედით კაფეში. დავსხედით და ამ ქალმა მოიხსნა ბენდენაც, სათვალეც და ჩემ წინ აღმოჩნდა... სოფი ლორენი! შოკში ჩავვარდი. მერე იმაზე დავიწყე ფიქრი — ნეტავ, მესესხა ფული, გამეგზავნა დედაჩემისთვის, რომელიც მართლა სოციალურად დაბალი ფენის წარმომადგენელია, ჩამომეყვანა და გამეცნო მისთვის ეს ქალი-მეთქი. ვდარდობდი, დედაჩემს რომ დავაკარგვინე ეს შანსი. მისი დანახვისთანავე ადგილზევე წაუვიდოდა გული... მე კი, ისე მოვიქეცი, როგორც საერთოდ იქცევიან ხოლმე ასეთ დროს: რამდენადაც შემეძლო, თავი შევიკავე. ყველაფერი დადებითად — ყავით და ხელის ჩამორთმევით დამთავრდა... აღსანიშნავია, რომ ედუარდს ყოველთვის ჰქონდა კომპლექსი, გამოჩენილი დედის გამო. ამბობდა — არ მინდა, ვინმეს სახელის ჩრდილქვეშ მოვექცე, მე — მე ვარო!.. მოკლედ, საკუთარი გზა თავად აირჩია. მერე ვენაში სწავლას თავი დაანება და ამერიკაში წავიდა. მას მერე აღარ მინახავს. ■



შოკში ჩავვარდი. მერე იმაზე დავიწყე ფიქრი — ნეტავ, მესესხა ფული, გამეგზავნა დედაჩემისთვის...



მართლმადიდებლობა ნიშნავს ღმერთის მართლად ანუ სწორად დიდებას, ამიტომაც ეწოდება ჭეშმარიტ ქრისტიანულ სარწმუნოებას მართლმადიდებელი... რას ეყრდნობა მართლმადიდებლური მოძღვრება? როდის გაჩნდა ტერმინი „მართლმადიდებელი“? რა განსხვავებაა მართლმადიდებლობასა და სხვა ქრისტიანულ მიმდინარეობებს შორის? — ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით გვესაუბრება წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის მოძღვარი, მღვდელი დავით ძვლიანიძე.

რატომ ვიწოდებით მართლმადიდებელ ქრისტიანებად?

მორენა მერკვილაძე

— მართლმადიდებლური სწავლება ეყრდნობა „წმინდა წერილს“ („ბიბლიას“), მოციქულთა ქადაგებებს და ნაკურთხია თვით უფალ იესო ქრისტეს მიერ. ე.ი. მართლმადიდებლობა რწმენას იმ სახით ინახავს, როგორითაც მოგვცა უფალმა იესო ქრისტემ და იქადაგეს მოციქულებმა — ქრისტეს მოწაფეებმა, რომლებსაც მაცხოვარმა თავისი მოძღვრების უცვლელად დაცვა უანდერძა: როდესაც უფალმა მოციქულები ხალხში საქადაგებლად წარგზავნა, უბრძანა: „ასწავებდეთ მათ დამარხვად ყოველი, რაოდენ გამცენ თქუენ“ (მათე 28, 20). ე.ი. მართლმადიდებლურ მოძღვრებაში ადამიანთა მიერ მოგონილი და შეთხზული არაფერი გვხვდება. აქედან გამომდინარე, მართლმადიდებლური სწავლება უცვლელად მოდის ქრისტიანობის პირველივე საუკუნიდან, მართლმადიდებელ ქრისტიანებად კი ვიწოდებით იმიტომ, რომ ვართ რწმენის მართლად მადიდებლები — ე.ი. ვაღიარებთ ჭეშმარიტად იმას, რაც გვიანდერძა მაცხოვარმა, დაგვმოძღვრეს მოციქულებმა და ასევეა გადმოცემული „წმინდა წერილში“.

— თუკი მართლმადიდებლური სწავლება მხოლოდ „წმინდა წერილსა“ და მოციქულთა მოძღვრებებს ეყრდნობა, რატომ ხდებოდა მსოფლიო საეკლესიო კრებებზე, კანონებისა და დადგენილებების მიღება?

— როდესაც რომელიმე ქრისტიანული საკითხის ირგვლივ სერიოზული დავა დაიწყებოდა, ასეთ შემთხვევაში, წმინდა მამები იწვევდნენ მსოფლიო საეკლესიო კრებას. მანამდე კი მოიძიებდნენ „წმინდა წერილს“ და მასზე დაყრდნობით ადგენდნენ ამა თუ იმ ქრისტიანული საკითხის ჭეშმარიტებას, რასაც შემდეგ, მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ადასტურებდნენ. ე.ი. მსოფლიო საეკლესიო კრებებზე ხდებოდა არა მოციქულთა მოძღვრებაში და „წმინდა წერილში“ ცვლილებების შეტანა ანუ ასეთი სახით ახალ სწავლებათა შემოტანა, არამედ „წმინდა წერილზე“ დაყრდნობით, ჭეშმარიტების ხაზგასმით დაფიქსირება, დამტკიცება, რაც შემდეგ, დადგენილებების და კანონების სახით მიიღებოდა.

— როდის გაჩნდა პირველად ტერმინი „მართლმადიდებელი“?

— ეს ტერმინი ჯერ კიდევ უძველესი ქრისტიანების დროს არსებობდა. მოციქულთა მოღვაწეობის დროსვე გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ღმერთს არასწორად ადიდებდნენ, ე.ი. ღმერთის შესახებ არასწორი სწავლება ჰქონდათ შეთხზული და ამ სწავლება-მოძღვრებას ავრცელებდნენ. ასეთ ადამიანთა ჯგუფები, თავიანთი მოძღვრებით გამოეყოფოდნენ ერთიან საკრებულოს, ჭეშმარიტ სწავლებას და თავიანთ საკრებულოებს ქმნიდნენ. ამიტომ თვითონ მოციქულებმა უწოდეს თავიანთ თავს ღმერთის მართლად მადიდებლები — მართლმადიდებლები. იმ ადამიანებს კი, რომლებმაც ჭეშმარიტი ქრისტიანული მოძღვრების დამახინჯება დაიწყეს, მწვალებლებად მოიხსენიებდნენ (მწვალებლობა არის ეკლესიის დოგმების წინააღმდეგ მიმართული მოძღვრებანი. მწვალებლებად იწოდებიან ადამიანები, რომლებიც მტკიცედ იცავენ არასწორ სარწმუნოებრივ სწავლებას, ამახინჯებენ ღვთივგამოცხადებულ ჭეშმარიტებას, სიტყვა „განწვალება“ ნიშნავს განყოფას).

— საინტერესოა, რატომ იწოდებიან კათოლიკეები — კათოლიკე ქრისტიანებად, როდესაც მართლმადიდებლური „რწმენის სიმბოლოში“ — მრწამსში წერია: „მრწამს... ერთი წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია...“ რას ნიშნავს სიტყვა „კათოლიკე“?

— კათოლიკეები მართლაც, დაუმსახურებლად უწოდებენ საკუთარ თავს ასე. სიტყვა „კათოლიკე“ საყოველთაოს, მსოფლიოს, კრებითს ნიშნავს. ჭეშმარიტად საყოველთაო ანუ კათოლიკური მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიაა, რომელმაც შემოინახა მსოფლიო ეკლესიასთან რწმენის ერთიანობა და მსოფლიო საეკლესიო კრებათა ერთგული დარჩა. რომის ეკლესია კი ჩამოშორდა ამ საყოველთაო კრებითობას ანუ კათოლიკურობას, ამიტომ ის არ შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტად კათოლიკურად; რომის ეკლესია, მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიას XI საუკუნის შემდეგ ჩამოშორდა. ლათინების სწავლება-მოძღვრებანი საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა, XI საუკუნეში კი რომის პაპმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა არასწორი ქრისტიანული სწავლება-მოძღვრება და მსოფლიო საეკლესიო კრებაზეც დააფიქსირა. ლათინებს მრავალი ადამიანი მიემხრო და ისინი უმრავლესობაში აღმოჩნდნენ. ამიტომ თავიანთ მოძღვრებას კათოლიკური ანუ საყოველთაო უწოდეს; მაგრამ მიმდევართა სიმრავლე არ განსაზღვრავს ჭეშმარიტებას. ეკლესიური სწავლებით, კათოლიციზმი არის ერთ-ერთი მწვალებლური მიმდინარეობა. კათოლიკეები თავიანთ სარწმუნოებაში ცვლილებების, დამატებებისა და ახალ სწავლებათა შეტანის გზით, მოციქულთა დროინდელ ქრისტიანულ სარწმუნოებას შეეწინააღმდეგნენ. როგორც აღვნიშნეთ, ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოება — მართლმადიდებლობა, ღვთივგამოცხადებული ჭეშმარიტებაა და ადამიანთა მოსაზრებებით მასში ცვლილებების შეტანა ცვლის ღვთისგან ბოძებულ ჭეშმარიტებას. სწორედ ადამიანთა მიერ ნაზრევი სწავლებები შეიტანეს კათოლიკეებმა თავიანთ სარწმუნოებაში და ცრუ, მწვალებლური სარწმუნოების მიმდევრებად იქცნენ. დასავლეთის ეკლესიას დღეისათვის მრავალი ცდომილება აქვს. მათი მოძღვრებით, რომის პაპი არის ღმერთის მოადგილე, ღმერთის ნაცვალი დედამიწაზე, რომელიც არის უცოდველი, რადგან სარწმუნოებასა და ზნეობაზე საუბრობს; ასევე მათ სწამთ, რომ სულიწმიდა გამოდის არა მხოლოდ მამისაგან, არამედ ძისგანაც; აღიარებენ განსაწმედელის არსებობას; ბავშვებს არ აზიარებენ და არ სცხებენ მირონს და სხვა. ყველა მათი ახალი სწავლება ეწინააღმდეგება „წმინდა წერილს“ და საეკლესიო გადმოცემებს, ამიტომ ადამიანის სულისთვის მათი მოძღვრება დამღუპველია.

— რაც შეეხება სხვა ქრისტიანულ მიმდინარეობებს, მათი მიმდევრებიც ხომ თავს ქრისტეს მიმდევრებს ანუ ქრისტიანებს უწოდებენ...

— დღეისათვის მსოფლიოში სამასამდე ქრისტიანული მიმდინარეობა არსებობს და თითოეული მათგანი ამტკიცებს, რომ მისი მოძღვრება ჭეშმარიტია. ბუნებრივია, ადამიანს გაუჩნდება კითხვა — მართლაც, რომელი ქრისტიანული მოძღვრებაა ჭეშმარიტი. ამის გასარკვევად უნდა მივმართოთ „წმინდა წერილს", რომელიც დაწერილია სულიწმიდის კარნახით. ქრისტეს სიტყვების თანახმად, სარწმუნოების ჭეშმარიტების უმთავრესი ნიშანია მისი უწყვეტად არსებობა — მოციქულთა დროიდან მოყოლებული, ვიდრე მეორედ მოსვლამდე, ამიტომაც ეუბნება მაცხოვარი პეტრე მოციქულს: „შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას" (მათე 16, 18). „ამას კლდესა ზედა" ნიშნავს „ჭეშმარიტ რწმენაზე აღვაშენო" — ამბობს წმინდა იოანე ოქროპირი, „მათეს სახარების" შესახებ 53-ე საუბარში. ამავე აზრს იზიარებს ნეტარი ავგუსტინე. მისი განმარტების თანახმად, „კლდეს" მაცხოვარი უწოდებს არა პეტრე მოციქულს, არამედ მის სარწმუნოებას ძე ღვთისასთან მიმართებაში — ე.ი. მაცხოვარი, პეტრე მოციქულის სარწმუნოებას გულისხმობს; მაცხოვარი ასევე ბრძანებს: „გაფრთხილდით, რომ არავინ შეგაცდინოთ, ვინაიდან ბევრი მოვა ჩემი სახელით და იტყვის: მე ქრისტე ვარ და მრავალს შეაცდენენ" (მათე 24, 4-5). მაცხოვრის ეს სიტყვები გულისხმობს, რომ უკანასკნელ ჟამს გაჩნდებიან ცრუმოძღვარნი, რომლებიც მრავალ ცრუ, სულისწამწყმედელ მოძღვრებას მოიგონებენ, ამისთვის ქრისტეს სახელს გამოიყენებენ და ადამიანთა სულებს დაღუპვისკენ წაიყვანენ. ჩვენ რომ ნებისმიერი არამართლმადიდებლური მოღვრება ავიღოთ, კათოლიციზმი იქნება ეს, მონოფიზიტობა თუ სხვა, ვნახავთ, რომ არც ერთ მათგანს დასაწყისი მოციქულთა დროიდან არა აქვს. თითოეული მათგანისთვის არსებობს დრო, როდესაც დაიწყო მათი სწავლება და არსებობს პიროვნება, რომელმაც დაიწყო ეს სწავლება ანუ ჰყავთ ცრუმოძღვარი და მის მიერ გამოგონილ ცრუ, მწვალებლურ მოძღვრებას იზიარებენ. ყველა სხვა ქრისტიანული მიმდინარეობისგან განსხვავებით, მართლმადიდებლურ სარწმუნოებას ახასიათებს მოციქულთა დროინდელი სიძველე, არ ჰყავთ ცრუმოძღვარი, ანუ ადამიანი, რომელმაც დაიწყო მართლმადიდებლური სწავლება, რადგან როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, მართლმადიდებლობა უცვლელად მისდევს იმ სწავლებას, რომელიც იქადაგეს მოციქულებმა და აკურთხა იესო ქრისტემ.

P.S. მართლმადიდებელ სარწმუნოებასთან დაკავშირებულ საუბარს „გზის" მომდევნო ნომერში განვაგრძობთ.

■

პოპლიანელი, რომელიც „ჭრიჭინას" ტიტრაჟში არ ჩაწერეს

ქართული საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი მედეა ამირანაშვილი საოცრად მხნედ გამოიყურება და არც ახალგაზრდული შემართება დაუკარგავს. თუმცა, სევდაშეპარული ღიმილით მოგვითხრობს თავის ცხოვრებაზე, სახელოვან მშობლებზე და საუბრისას, დღევანდელი თეატრის პრობლემებზეც გვესაუბრება. ქალბატონი მედეა ამჟამად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა კონსერვატორიაში, ამასთანავე, ქუთაისის საოპერო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელიც გახლავთ.

ნუცა თოფჩიშვილი

— ნადეჟდა ცომაიასა და პეტრე ამირანაშვილის შვილს საკმაოდ საინტერესო ბავშვობა გექნებოდათ...

— საოცრად მოძრავი ბავშვი ვიყავი. ძალიან მიყვარდა ეზოში თამაში, განსაკუთრებით — ფეხბურთი... გარდასახვის უნარითაც გამოვირჩეოდი. ტასო აბაშიძე ეზოში ბავშვებს შეგვკრებდა, გაგვინაწილებდა როლებს და სპექტაკლებს გვადგმევინებდა. სახლში, რომელშიც მე ვცხოვრობ, ქართველი ხალხის საამყო შვილები ცხოვრობდნენ: დავით გამრეკელი, ბათუ კრავეიშვილი, ოდისეი დიმიტრიადი, სიმონ ჩიქოვანი, დიმიტრი არაყიშვილი, გიორგი შავგულიძე, ტასო აბაშიძე, ვალერიან სიდამონ-ერისთავი და ბევრი სხვა. ჩვენს ოჯახში იმ დროს ცნობილი მომღერლები იკრიბებოდნენ... 6-7 წლის რომ ვიყავი, ოპერის თეატრი კისლოვოდსკში წავიდა გასტროლებზე. ერთ-ერთი სპექტაკლი „ჩიო-ჩიო-სანი" იყო. ერთხელაც მეუბნებიან — მედეა, ჩიო-ჩიო-სანის შვილი უნდა ითამაშოო. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ვტრიალებდი საგრიმიოროში, ხან პარიკს ვიზომებდი, ხან გრიმს ვისვამდი... ბოლოს დედაჩემს ვკითხე — რამდენს გადამიხდიან-მეთქი? გაეცინა და მიპასუხა: ნუ გეშინია, გადაგიხდიანო. სცენაზე გასვლამდე გამაფრთხილეს: ბალიშზე რომ დაგსვამენ, გაუნძრევლად უნდა იჯდე, გვერდზე არ გაიხედოო (მაყურებლისკენ ზურგით უნდა ვმჯდარიყავი). დაიწყო სპექტაკლი. ცნობისმოყვარე ბავშვი ვიყავი, ვფიქრობდი — ნეტავ, რატომ არ უნდა გავიხედო-მეთქი? გავაპარე მარ-

ჯვნივ თვალი – არაფერი მოხდა, მარცხნივ – ისევ არაფერი. მოვტრიალდი უკან და რას ვხედავ? – „იამაში“ ორკესტრანტები არ სხედან?! გადავეყუდე რამპას, ერთს ვუცინი, მეორეს ხელს ვუქნევ... მთელი სცენა გავაფუჭე... როგორ ვიფიქრებდი, რომ წლების შემდეგ, მე გავხდებოდი ჩიო-ჩიო-სანის შემსრულებელი?! ასეთი რამ ვინმეს ჩემთვის რომ გაეკეთებინა, არ ვიცი, რას ვუზამდი... მეორე დღეს, ბაღში გამასეირნეს და მითხრეს – აი, შენი ხელფასიო. მომცეს სამი მანეთი. მეგონა, ბევრი იყო. მაშინვე გავვარდი და ნაყინი ვიყიდე... იქიდან მოყოლებული, სცენის სიყვარულით ვცოცხლობ. ჩემი მშობლების პედაგოგი, კონსერვატორიის პროფესორი ოლგა შულგინა-ბახუტაშვილი იყო. 11 წლის რომ ვიყავი, დედაჩემს უთხრა – მოდი, ბავშვს ხმა გავუსინჯოთო. გამისინჯეს. წკრიალა, ზარივით ხმა მქონდა. – ნადიუშა, ამას ხმა აქვს და 3 წლის შემდეგ, ავიყვანო, – უთხრა დედას: შულგინას ჰყავდა ჯგუფი, რომელსაც ერქვა – „ბავშვების ხმების დაცვის ჯგუფი“. იქიდან ისეთი გახარებული გამოვედი, მეგონა, ყველა მე მიყურებდა... მიმიყვანეს 3 წლის შემდეგ და არავითარი ხმა არა მაქვს: გარდატეხის პერიოდი მქონდა... 16 წლისას დამიბრუნდა ხმა. ჯერ მუსიკალურ ათწლედში ვსწავლობდი, მერე კონსერვატორიაში ჩავაბარე. მისაღებ გამოცდებზე მადამ ბატერფლაის არია ვიმღერე. რასაკვირველია, ეს პარტია ჩემთვის ნაადრევი იყო, მაგრამ მიმიღეს კონსერვატორიაში. იქ სწავლისას, ისეთი მონდომებული ვიყავი, არც ერთ ლექციას არ ვაცდენდი. მიყვარდა სიმღერა. მე-4 კურსზე რომ ვიყავი, სტუდიაში სულხან ცინცაძემ მომისმინა და დაებადა აზრი – ჭრიჭინა მედეამ იმღეროსო. მალე „ჭრიჭინას“ გადაღებები დაიწყო და მთელი ფილმის სიმღერები მე ვიმღერე. „ჭრიჭინასთან“ დაკავშირებით ერთი მხიარული ამბავი მახსენდება. ფილმი ახალი გამოსულია, ყველა „ჭრიჭინას“ მელოდიას მღერის. ტიტრებში არ ჩაწერეს, რომ სიმღერებს მე ვასრულებდი და ყველას ჰგონია, ლეილა აბაშიძე თვითონ მღერის. ზაფხულია და მე და ლეილა მატარებლით ბორჯომში მივდივართ. ხაშურის სადგურზე მატარებელი გაჩერდა. კართან მივედით და ბაქანზე გავიხედეთ, სადაც ბევრი ხალხი იყო, მათ შორის პიონერები. ლეილა რომ დაინახეს, ატყდა ერთი ამბავი – ესალმებიან, ხელს უქნევენ და უყვირიან – იმღერეო! ლეილა მომიბრუნდა და მეუბნება: მედეა, მიშველე რამე, მე პირს გავაღებ და შენ იმღერეო. მე ვუთხარი: არა, ახლა მე გავაღებ პირს და შენ იმღერემეთქი...

მამას ძალიან უყვარდა ჩემთან ერთად სცენაზე სიმღერა, ბავშვივით უხაროდა

— საოპერო თეატრის სცენაზე თქვენი დებიუტი როდის შედგა?

– „ტრავიატაში“ მარგარიტას პარტია ვიმღერე. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ერთი წელი ოპერის თეატრში არ მიღებდნენ, რასაც ძალიან განვიცდიდი. როგორ ვიფიქრებდი, დედაჩემის და მამაჩემის შვილს არ მიმიღებდნენ?! – მაგრამ მოგეხსენებათ, თეატრის ინტრიგები, რაღაც სისულელეები... მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვიყავი, რომ მომღერალი გავხდებოდი. ზურიკო ანჯაფარიძე ძალიან განიცდიდა ამ ამბავს, ერთხელ მომადგა და მეუბნება: ახლავე დაწერე განცხადება, მე თვითონ შევუტან დიმიტრი მჭედლიძესო *(ოპერის თეატრის დირექტორი. – ავტ.)*. მიმიღეს, ერთი წლის გამოსაცდელი ვადით... თეატრში თითქმის ყველა წამყვანი პარტია მიმღერია. იმ პერიოდიდან კი, განსაკუთრებით მახსენდება, გლინკას სახელობის კონკურსში რომ გავიმარჯვე. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ჟიურის შემადგენლობაში, სხვა გამოჩენილ მომღერლებთან ერთად, მამაჩემიც შედიოდა. ბოლო ტურში მეფის საცოლე მარფას არია ვიმღერე. ჟიურის თავმჯდომარემ, კომპოზიტორმა ვლასოვმა თქვა: ნეჟდანოვას *(გამოჩენილი რუსი მომღერალი ქალი. – ავტ.)* შემდეგ, ეს არია ასე კარგად არავის უმღერიაო...

დედაჩემი, ნადეჟდა ცომაია არაჩვეულებრივი სილამაზის ქალი იყო

გადაუწყვეტიათ, ჩემთვის და კონკურსის კიდევ ერთი მონაწილის – ფილატოვასთვის მიენიჭებინათ პირველი პრემია. მამაჩემს კი შეშინებია – არ იფიქრონ, შვილს საქმე „ჩაუწყოო“ – და მედეას პირველი პრემია არ მისცეთო, – უთქვამს. ასე რომ, მამაჩემის „ჩაწყობით“ მეორე ადგილზე გავედი. ეს მაინც დიდი წარმატება იყო. დავბრუნდი თბილისში, მომიმატეს ხელფასი და ნელ-ნელა პარტიებიც შემომემატა.

— თქვენ მიერ შესრულებული პარტიებიდან განსაკუთრებით რომელი დაგამახსოვრდათ და თქვენი შემოქმედებითი ბიოგრაფიის შემდგომ პერიოდზე რას გვეტყვით?

– ბევრი წარმატება მახსოვს თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე, მაგრამ ყველაზე დიდი წარმატება „ტრუბადურში“ მქონდა, რომელიც რეჟისორმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა დადგა და დირიჟორი გივი აზმაიფარაშვილი იყო. არაჩვეულებრივი სპექტაკლი გამოვიდა... მერე დაიწყო ჩემი ტურნე საზღვარგარეთ, მაგრამ მას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა უძღოდა წინ. საზეიმო კონცერტზე ყველა რესპუბლიკის წარმომადგენლები იყვნენ მიწვეულნი; საქართველოდან – მე, მამაჩემი და სუხიშვილების ანსამბლი. მერე ისე მოხდა, რომ კონცერტში მე ჩამსვეს და მამაჩემი ამოაგდეს... ეს ის დროა, როცა სტალინი მავზოლეუმიდან გამოასვენეს. ქართველები ამას ძალიან განვიცდიდით და გულში ვფიქრობდით – უნდა ვუჩვენოთ, ვინ ვართ ქართველები-თქო!.. ისეთი შემართებით ვიმღერე, რომ დარბაზი ფეხზე ადგა. ოვაცია არ წყდებოდა, სცენიდან არ მიშვებდნენ. სუხიშვილების ანსამბლსაც არაჩვეულებრივი წარმატება ჰქონდა... იმ საღამოს შემდეგ, „გოსკონცერტმა“ გასტროლებზე საზღვარგარეთ წასვლა შემომთავაზა. იუგოსლავიის გარდა, სოციალისტურ ქვეყნებში არ დარჩენი-

ლა სცენა, სადაც მე არ მიმღერია. მერე იყო ავსტრალია, ახალი ზელანდია, კანადა, ფინეთი. კუბასა და საფრანგეთში კი, სოლო კონცერტები მქონდა.

— კომუნისტების დროს უმაღლესი ჯილდო — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება მოგანიჭეს, დიდი პატივითაც სარგებლობდით. საზღვარგარეთ გასტროლებისას, რომელიმე ქვეყანაში დარჩენა ხომ არ შემოუთავაზებიათ?

— კანადაში შემომთავაზეს დარჩენა და კიდევ — ავსტრალიაში. ავსტრალიაში შემომთავაზეს — სიდნეის ახალი ოპერა იხსნება და ჩვენთან დარჩითო... ავსტრალიაში ერთი თვე გავატარეთ. ორი კვირის შემდეგ, სინგაპურში უნდა წავსულიყავით, მე კი ვჩხუბობდი — არ მინდა სინგაპურში, თბილისში მინდა-მეთქი!.. დიდხანს ვერსად ვძლებდი. დარჩენა არსად მიფიქრია.

— გასტროლების დროს, კაგებეს „ყურადღებას“ თუ გრძნობდით?

— სწორედ ამ ორგანოს „დამსახურება“ იყო, იტალიაში სტაჟირებაზე რომ ვერ წავედი: ავსტრალიაში ყოფნისას ავად გავხდი და იქაურმა ქართველმა მომიარ შემეძლო. მოსკოვში საგასტროლოდ ისედაც დავდიოდი...

— ქალბატონო მედეა, მშობლებთან შემოქმედებითი ურთიერთობაც გაკავშირებდათ. გაიხსენეთ თქვენი ერთობლივი გამოსვლები.

— დედაჩემი, ნადეჟდა ცომაია არაჩვეულებრივი სილამაზის ქალი იყო და იშვიათი ხმა ჰქონდა. ბევრი მეცოსოპრანოსთვის მომისმენია, მაგრამ ასეთი სილამაზის ხმა იშვიათობა იყო. სამწუხაროდ, ცოტა ჩანაწერია შემორჩენილი... დედაჩემს ჩემი არც ერთი სპეტაკლი არ გაუცდენია, „აიდას“ გარდა: იმ დროს უკვე ცუდად იყო და „აიდაში“ ვერ მნახა. ამ სპექტაკლში მამაჩემთან ერთად ვმღეროდი. მე და დედას კი, ერთად გვიმღერია „პიკის ქალში“. სტუდენტობისას, მე-2 კურსზე რომ ვიყავი, საოპერო თეატრში „აბესალომ და ეთერში“ მარეხის პარტია შემომთავაზეს. ამ სპექტაკლში ვმღეროდით: დავით ანდღულაძე, დედაჩემი, მამაჩემი და მე. ეს ჩემთვის დიდი სიხარული იყო... მამას ძალიან უყვარდა ჩემთან ერთად სცენაზე სიმღერა, ბავშვივით უხაროდა. მასთან ერთად მიმღერია „დაისში“, „აბესალომ და ეთერში“, „ტრუბადურში“, „ჯამბაზებში“.

მერე იყო ავსტრალია, ახალი ზელანდია, კანადა, ფინეთი. კუბასა და საფრანგეთში კი, სოლო კონცერტები მქონდა

მარინა *(ქალბატონი მედეას ქალიშვილი. — ავტ.)* კორეაში იყო. ფხენიანიდან ოქროს თასი და პირველი პრემია ჩამოიტანა

— გენებმა თქვენს შვილშიც ჩინა თავი: როგორც ვიცი, თქვენმა ქალიშვილმა მარინა ფარულავამ ამას წინათ, ვოკალისტთა ფესტივალზე გაიმარჯვა...

— მარინა კორეაში ნახულა. ერთი „კაგებეშნიკი“ მაშინ შემოვიდა ჩემს ოთახში, როცა ქართულად ვსაუბრობდით. რაზე უნდა გველაპარაკა? — თბილისის ამბებს მეკითხებოდა და ვუყვებოდი. იტალიაში სტაჟირებაზე წასვლისას კი, ეს ამბავი ამოტივტივდა. იქ დამრჩენი ვიყავი, როცა ავსტრალიაში არ დავრჩი?!. მაგრამ არ გამიშვეს. ვერ გავიგე, რისი შეეშინდათ. მოგვიანებით შევიტყვე: ეშინოდათ, კარგი მომღერალია, ვაითუ, ცდუნებას ვერ გაუძლოს და მომღერლების ქვეყანაში დარჩესო?!. მოსკოვმა რამდენჯერმე შემომთავაზა, დიდ თეატრში გადავსულიყავი. არ წავედი. ვერ დავტოვე ვერც შვილი და ვერც დედა — ნა რატიანი ახლა იტალიაში მოღვაწეობს, რამდენიმე კონკურსის ლაურეატია, მათ შორის — ვერდის და მარია კალასის. ქუთაისის ოპერაში რამდენიმე სპექტაკლი გვაქვს მზად. თითოეულ მათგანს მისი ავტორის მშობლიურ ენაზე ვამზადებთ: გერმანულს — გერმანულად, იტალიურს — იტალიურად. ჩვენს დასს კარგი პოტენციალი აქვს. ქუთაისის საოპერო თეატრი ჩემი შვილია; დედა — თბილისის საოპერო თეატრია: ეს ორი თეატრი ჩემთვის უსაყვარლესია. საერთოდ, ქალაქი, სადაც საოპერო თეატრი არსებობს, განსაკუთრებულ მუხტს ატარებს და განსაკუთრებულ დამოკიდებულებას საჭიროებს. ქუთაისის თეატრს უფინანსობა აწუხებს. სპექტაკლები დაკონსერვებული გვაქვს. ახლა თეატრში გერმანელი რეჟისორი და დირიჟორი გვყავს მოწვეული, მაგრამ არ ვიცი, ეს პროექტი განხორციელდება თუ არა... თეატრებს აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება. ვიცი, რომ ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობა ძალზე რთულია და ხელოვნება და კულტურა თავის კუთვნილ ადგილს ვერ იკავებს, სახელმწიფოს ბევრი საზრუნავი აქვს, მაგრამ თუ ერის სულიერ საგანძურზე არ ვიზრუნეთ, თუ დაიკარგა ის, რაც საუკუნეების მანძილზე დაგროვდა, გამოუსწორებელ შედეგებს მივიღებთ. მე მჯერა, რომ სახელმწიფო, ბოლოს და ბოლოს, კულტურისკენაც მოიხედავს, მაგრამ ეს შეიძლება, დაგვიანებული იყოს. ამიტომ შუალედი, სანამ ეს მოხდება, რამენაირად მეცენატებმა უნდა შეავსონ... ■

მორიენტესს 10-ნომრიანი მაისური ერგო

ჩინებული სეზონისა და ჩემპიონთა ლიგის ფინალში განცდილი მარცხის შემდეგ, მადრიდის „რეალიდან“ დროებით „მონაკოში“ გასხვისებული ფერნანდო მორიენტესი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება. ორიოდე დღის წინ იგი ლას როსასში ესპანეთის ეროვნულ ნაკრებს კვლავ „სამეფო კლუბის“ მოთამაშის რანგში შეუერთდა, რადგან ფრანგულ გუნდთან ივარის ვადა უკვე ამოეწურა. ამჯერად ფერნანდოს მზერა პორტუგალიისკენაა მიპყრობილი, თუმცა, ის კვლავაც ხაზს უსვამს მადრიდული გრანტისადმი თავის ერთგულებას.



— რა განწყობით უბრუნდებით ნაკრებს?

— მშვენიერ განწყობაზე ვარ. თავს მშვიდად ვგრძნობ და ოთხდღიანი დასვენების შემდეგ, თანაგუნდელებთან ერთად ვარჯიშის სურვილით ვარ შეპყრობილი. ერთი სიტყვით, ყველაფერი რიგზეა.

— რის გამო მოგცეს ნაკრებიდან ოთხდღიანი დასვენების უფლება?

— იმის გამო, რომ ჩემპიონთა ლიგაში ძალიან რთულ ფინალურ მატჩში მომიწია თამაში. ამ თამაშში მონაწილეობა, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ფეხბურთელისთვის, ჩემთვისაც ნამდვილი საჩუქარი გახლდათ.

— გსურთ იმის გაგება, თუ რომელ კლუბში მოგიწევთ მომავალ სეზონში გამოსვლა?

— რა თქმა უნდა. ყველას სურს იცოდეს, რომელ გუნდში ითამაშებს მომავალში. ამ გადაწყვეტილების მიღება ძალზე რთული იქნება. მაგრამ ჯერჯერობით მშვიდად ვარ, თანაც ამჟამად არაფერია ცნობილი. ამიტომ მთლიანად ნაკრებზე ვარ კონცენტრირებული.

— რას გულისხმობთ, როდესაც ამბობთ, რომ გადაწყვეტილების მიღება ძალზე ძნელი იქნება?

— როგორც გითხარით, ახლა მხოლოდ „ევრო-2004“-ზე ვფიქრობ. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობენ — ე.ი. ზრუნავენ იმაზე, რომ ყურადღება არ გამეფანტოს და ჩემი საქმე ვაკეთო. ამგვარ სიტუაციებს უკვე შევეგუე. ამიტომ მშვიდად ვარ. „რეალთან“ ჩემს კონტრაქტს კიდევ ორი წლის მანძილზე აქვს ვადა და დღეს „სამეფო კლუბის“ მოთამაშედ ვითვლები. „მონაკოში“ ივარის ვადა ხომ უკვე ამოიწურა?! ასე რომ, არაფერი მაშფოთებს.

— „რეალში“ დარჩენა გსურთ?

— ჩემი მომავალი უთუოდ ამ კლუბთან იქნება დაკავშირებული და ამით კმაყოფილი ვარ. ვის არ ენდომება მადრიდში დარჩენა?! აქ მრავალი წელი მაქვს გატარებული და ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ის გახლავთ, რომ „რეალის“ მაისურის ჩაცმა უდიდესი ბედნიერებაა.

— მწვრთნელად კამაჩოს დანიშვნის შესახებ რას იტყვით?

— იმას, რომ ამაში „მადრიდიზმს“ ვგრძნობ. ვფიქრობ, ეს ძალიან გონიერი გადაწყვეტილება იყო. ჩემი აზრით, ეს კაცი კლუბს საფუძვლიანად იცნობს.

— საფრანგეთში ივარით თქვენს გასხვისებას როგორლა შეაფასებდით?

— ამ ნაბიჯის გადადგმა საჭირო იყო. ახლა შემიძლია გითხრათ, რომ შედეგით კმაყოფილი ვარ. ეს არცთუ ისე იოლი გადაწყვეტილება გახლდათ. ჩემი მთავარი მიზანი ნაკრებში მოხვედრა იყო, რასაც მივაღწიე კიდეც.

— თქვენი თამაში შეიცვალა?

— ისეთივე ფეხბურთელად ვრჩები, როგორიც „მონაკოში“ ვიყავი.

— რუსებთან შესახვედრად უკვე მზად ხართ?

— მატჩზე ფიქრს უშუალოდ მის დაწყებამდე ვამჯობინებ. შეჯიბრებაში ყველაზე ლამაზი, თვით ტურნირის მიმდინარეობის პროცესია. როდესაც იგი დაიწყება, მოვლენები უცბად განვითარდება და ამით დიდ სიამოვნებას მივიღებთ. ახლა მხოლოდ ერთი მიზანი მამოძრავებს — კარგად ვივარჯიშო, რათა ამ შეხვედრისთვის უნაკლო ფორმაში ვიყო. ეს ევროპის ჩემპიონატი ჩემთვის პირველი იქნება, ამიტომ, როგორც ნამდვილი პროფესიონალი, ამ გარემოებას დუელში გამოწვევის ტოლფასად მივიჩნევ.

— „მონაკოს“ შემადგენლობაში გატანილი გოლები რაიმის გარანტიას თუ გაძლევთ?

— გოლები არაფრის გარანტიას არ მაძლევს. ეს მხოლოდ შინაგანად მამშვიდებს, იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ — ყველაფერს ისე ვაკეთებდი, როგორც საჭირო იყო. გარანტიად კი შეიძლება, ის მივიჩნიოთ, რომ მუშაობას ვაგრძელებ.

— ნაკრებშიც 10-ნომრიანი მაისური რატომ აირჩიეთ?

— უწყვეტობის განცდა რომ შემენარჩუნებინა: უბრალოდ, მთელი სეზონი ამ ნომრით ჩავატარე. ნაკრებში იგი თავისუფალი აღმოჩნდა და ვითხოვე. ■

შეძლებს თუ არა ზიზუ ტიტულის შენარჩუნებას?

ბოლო მსოფლიო ჩემპიონატზე განცდილი მარცხის შემდეგ, საფრანგეთის ეროვნული ნაკრები დიდი პასუხისმგებლობით ემზადება „ევრო-2004“-ზე საასპარეზოდ; მამლაყინწების გუნდის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ კი, კვლავ ზინედინ ზიდანი ითვლება, რომელიც ცოტა ხნის წინ, უეფას მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ევროპის ბოლო 50 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა.

როგორც ცნობილია, წელს მადრიდის „რეალი“ ყველა ტურნირში დამარცხდა. ეს გარემოება კიდევ უფრო გაზრდის პორტუგალიის მოედნებზე წარმატების მიღწევის მოტივაციას 31 წლის ფრანგი გამთამაშებლისთვის. თანაც, კონტინენტის პირველობის შემდეგ, ზიზუ არც სანაკრებო კარიერის დასრულებას გამორიცხავს.

„ევრო-2004“-ის საკვალიფიკაციო ეტაპი ფრანგთა გუნდმა ერთი ამოსუნთქვით, ქულის დაუკარგავად ჩაატარა და ჯერჯერობით ტურნირის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლება. თუმცა ზიდანს, მისი ნაკრებისთვის კოშმარული, კორეა-იაპონიის მუნდიალი არ ავიწყდება და სამფეროვანთა შანსებზე ფრთხილად საუბრობს: „ძალებს არ დავზოგავთ და უფრო დიდი მონდომებით ვითამაშებთ, ვიდრე კორეა-იაპონიაში, რადგან ევროპის ჩემპიონატი მსოფლიო პირველობაზე უფრო მნიშვნელოვანია. აზიაში განცდილმა მარცხმა ბევრი რამ გვასწავლა. პორტუგალიაში ტიტული უნდა დავიცვათ, მაგრამ გამარჯვება ძალზე ძნელი იქნება“.

საფეხბურთო სამყაროში ყველაზე რთულ და მომქანცველ ტურნირად მსოფლიო ჩემპიონატს მიიჩნევენ. მაგრამ ზიდანი დარწმუნებულია, რომ ევროპის პირველობაზე გამარჯვების მიღწევა უფრო ძნელია: „ევრო-2004“-ზე გამარჯვება არავის გაუადვილდება, რადგან ოქროს მედლებისთვის ბევრი გუნდი იბრძოლებს. ამასთან, 4-5 ნაკრები არ მყავს მხედველობაში, არამედ ყველა მონაწილე გუნდს ვგულისხმობ. ამიტომ მაყურებლები საინტერესო ტურნირის მომსწრე გახდებიან. იტალიელები, ფრანგები, პორტუგალიელები, ესპანელები, ჩეხები – ყველას ვერ ჩამოვთვლი. ამ ნაკრებთაგან ნებისმიერს შეუძლია, ანრი დელონეს თასს დაეუფლოს. ასე რომ, „ევრო-2004“ წარმატებული იქნება“.

„კანის“, „ბორდოსა“ და „იუვენტუსის“ ყოფილი ფეხბურთელი, რომელიც 23 ივნისს 32 წლის გახდება, დარწმუნებულია, რომ პორტუგალიაში არაერთი მოთამაშე ბრწყინვალედ წარმოაჩენს საკუთარ შესაძლებლობებს. „შეიძლება, ესპანეთის ნაკრების ფორვარდი, რაული იქცეს საუკეთესო მოთამაშედ ანდა ჩემი თანაგუნდელი ტიერი ანრი. არ გამოვრიცხავ საკუთარ თავსაც...“ – ამბობს ზინედინი, რომელიც ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავად ითვლება და ჩინებული ინდივიდუალური ტექნიკით გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, ფრანგი ნახევარმცველის აზრით, „ევრო-2004“-ზე გამარჯვების განმსაზღვრელი გუნდური თამაში იქნება: „ფეხბურთელმა შეიძლება, რომელიმე მატჩის ბედი გადაწყვიტოს, მაგრამ ტურნირებს მხოლოდ ძლიერი გუნდები იგებენ“.

„ევრო-2004“-ზე გამარჯვებას ზიდანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, მით უმეტეს იმ შემთხვევისთვის, თუ ტურნირის ბოლოს იგი სანაკრებო კარიერის დასრულებას გადაწყვეტს. „შეიძლება, ეს ჩემი უკანასკნელი ტურნირი იყოს საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში. ამიტომ ვეცდები, რომ გუნდს რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოვუტანო. მე ვხმარობ სიტყვას – „შეიძლება“, რადგან საქმე გვაქვს ფეხბურთთან, რომელშიც ყველაფერი ძალზე სწრაფად იცვლება“, – აცხადებს სამფეროვანთა პლეიმეიკერი, რომელიც მოედანზე გასვლით კვლავაც დიდ სიამოვნებას იღებს: „ამჟამადაც კი, ჩემი კარიერის მიწურულს, ფეხბურთი ჩემთვის ყველაფერია“.

საფრანგეთის ნაკრების ქომაგები დიდ მოლოდინში იმყოფებიან. მთავარი კითხვა მათთვის ასეთია – იხილავენ თუ არა ზიდანს ანრი დელონეს თასით ხელში. „ჩვენ ბევრი კარგი ფეხბურთელი გვყავს, გუნდი კი შეთამაშებულია და ბრძოლისთვის მზადაა, – ამბობს ზიზუ. – ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ევროპის პირველობის მსვლელობისას, 32 წლის გავხდები და ვფიქრობ, ეს ყველაზე კარგი პერიოდია ჩემთვის. მოხარული ვარ, რომ მიმდინარე, წარუმატებელი სეზონი უკვე დასრულდა. არადა, ჩემი ფიზიკური ფორმის გამო შეშფოთებული ვიყავი. ამჟამად თავს ჩინებულად ვგრძნობ. ეს არა მარტო მე, არამედ მთელ გუნდსაც ეხება, განსხვავებით 2002 წლისგან, როდესაც მუნდიალისთვის ვემზადებოდით“.

■

რუი კოშტას, ქომაგების დიდი იმედი აქვს

პორტუგალიის ეროვნული ნაკრების გამთამაშებელი რუი კოშტა მიიჩნევს, რომ „ევრო-2004“ მისთვის კონტინენტის პირველობაზე უკანასკნელი გამოსვლა იქნება. „პირველ რიგში ვიტყვი, რომ ეჭვი არ მეპარება – ჩემი თანამემამულენი ტურნირის მსვლელობისას გუნდის მაისურებში იქნებიან გამოწყობილი. მათთან ერთად ჩვენ ბევრს მივაღწევთ. ოცნების უფლება ყველას აქვს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნებისმიერი გუნდი ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებისთვის იბრძვის. მათ შორის სუსტები არ არიან. ცხადია, ჩვენ სხვებთან შედარებით ერთი უპირატესობა გვაქვს: შინ ვთამაშობთ. მაგრამ ჩვენ წინაშე დასახულ ამოცანას რეალურად უნდა შევხედოთ და იმაზე უნდა ვიფიქროთ, რომ ღირსეულად ვიასპარეზოთ და როდესაც ყველაფერი დასრულდება, ქვეყანა ჩვენით უნდა ამაყობდეს. ტურნირის მაღალ დონეზე ჩასატარებლად დიდი მოტივაცია გვაქვს. ჩემთვის კი ეს უკანასკნელი ევროპის ჩემპიონატი იქნება. არა მგონია, შემდგომ პირველობაზე თამაში შევძლო: მაშინ ხომ უკვე 36 წლის ვიქნები. პორტუგალიის ნაკრები კი არასოდეს ყოფილა ვეტერანებზე დამოკიდებული, მას ყოველთვის აქვს მოთამაშეების არჩევის საშუალება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ევრო-2004“-ის დასრულებისთანავე ნაკრებს დავტოვებ, მაგრამ მისთვის მაინც ისე ვემზადები, როგორც ბოლო ტურნირისთვის. სანაკრებო კარიერის დასრულებამდე კი, ტიტულის მოპოვება მსურს. არა აქვს მნიშვნელობა, რამდენი ხანი დავყავი მოედანზე მიმდინარე სეზონში. ევროპის ჩემპიონატის მსგავს შეჯიბრებებზე გასასვლელად, პირველ რიგში, არა ფიზიკური, არამედ სულიერი მზადყოფნაა საჭირო. ბოლოს და ბოლოს, ფინალამდეც რომ მივიდეთ, სულ რამდენიმე მატჩის ჩატარება მოგვიწევს. სულიერი სიმტკიცე კი, ვფიქრობ, ყველას გვეყოფა. რაც შეეხება მე, საკუთარი თავის რწმენა ნამდვილად მაქვს“.

■

„ვიაგრელი“ ანა დეპრეტში ფეხბურთელმა გაგზავნა

პოპულარულ უკრაინულ ტრიო „ვიაგრაში“ კიდევ ერთი ცვლილება მოხდა: წითურმა ლამაზმანმა ანა სედაკოვამ ორსულობის გამო დატოვა ჯგუფი. იგი (დროებით თუ მუდმივად — ეს ჯერჯერობით უცნობია) ვინმე სვეტლანა ლობოდამ შეცვალა. ალბათ, „ვიაგრის“ ქართველ ფანებსაც აინტერესებთ, თუ ვისგან ელოდება შვილს შოუბიზნესის პოსტსაბჭოურ სივრცეში მოღვაწე ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ქალბატონი. როგორც ირკვევა, ანას მომავალი ბავშვის მამა, არა კრიმინალური ავტორიტეტი, ალექსანდრ ლოშენკო (რომელმაც ცოტა ხნის წინ მომღერალს კიევში სახლი უყიდა), არამედ კიევის „დინამოს“ 31 წლის ნახევარმცველი ვალენტინ ბალკევიჩია. ცნობილია ისიც, რომ ფეხბურთელი ათი წლის განმავლობაში სხვა უკრაინელ გოგონაზე ყოფილა დაქორწინებული, რომელიც ასევე ჩინებული ფიზიკური მონაცემებით გამოირჩევა. მაგრამ ბოლო დროს, ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობა გაუარესებულა, რის გამოც ვალენტინ ბალკევიჩის „მერსედესში“ სულ უფრო ხშირად ხედავდნენ ანა სედაკოვას. მიუხედავად ამისა, „ვიაგრის“ პროდიუსერი დიმიტრი კოსტიუკი მაინც უარყოფს ჯგუფის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილების ფაქტს. ოფიციალური ცნობით, სედაკოვა გაცივების გამო დროებით ჩამოშორდა შოუბიზნესს. ■

ალან სმიტის მეზობელს „ლიდსის“ ფანებმა შეუტიეს

იორკშირის საგრაფოს სოფელ ტორპის ერთ-ერთ ოჯახს თავს დაესხნენ „ლიდსის“ ფანები, რომლებიც სახლის მიმართულებით ღობის გარედან აგურებს ისროდნენ და იგინებოდნენ. აღმოჩნდა, რომ სახლის მეპატრონეს, ენდი იტონს, რომელიც ასევე კლუბის ძველი ქომაგია, საცხოვრებელი ცოტა ხნის წინ გაურემონტებია. იტონის თქმით, „ლიდსის“ გულშემატკივრებს მისი სახლი გუნდის თავდამსხმელის ალან სმიტის საკუთრება ეგონათ, მას კი ქომაგებმა „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლა ვერ აპატიეს (აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელის მშობლების სახლი მართლაც, იქვე ახლოს მდებარეობს). როგორც ჩანს, გულშემატკივრები ენდი იტონის სახლის კარზე გამოსახულმა იორკშირული კლუბის გერბმა შეიყვანა შეცდომაში. უფრო მეტიც, — ენდის თქმით, ფანები თავიანთი კერპისთვის სურათის გადაღების იმედით თურმე, წინათ ხშირად იპარებოდნენ მის სახლში. „დღემდე

ამას არავითარი ზიანი არ მოუყენებია ჩემთვის, — ამბობს დაზარალებული, — და ეს ყველაფერი მხოლოდ ღიმილს მგვრიდა. კოშმარი მას შემდეგ დაიწყო, რაც სმიტი „ლიდსიდან“ წავიდა. თუმცა, როგორი გაღიზიანებულიც არ უნდა იყვნენ გულშემატკივრები სხვა გუნდში მისი გადასვლით, ალანი ასეთ რამეს მაინც არ იმსახურებს. ვიმედოვნებ, ამ უმსგავსობას მალე დაესმება წერტილი“. ■

სუპერლოთი მარიო მწვრთნელად მოგვევლინება

სკანდალური ცხოვრების წესითა და ლოთბაზარას სახელით ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი, მარიო ბასლერი ცოტა ხნის წინ კლუბ „რეგენსბურგის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ეს გუნდი გერმანიის ერთ-ერთ ქვედა დივიზიონში ასპარეზობს. მწვრთნელის ლიცენზია სუპერმარიოს ჯერჯერობით არ გააჩნია, ამიტომ მას ოფიციალურად „რეგენსბურგის“ მენეჯერად მოიხსენიებენ. მიუხედავად ჩინებული საფეხბურთო მონაცემებისა, მარიო ბასლერმა პროფესიონალური კონტრაქტი მხოლოდ 23 წლის ასაკში გააფორმა. მანამდე ბუნდესლიგაში მოთამაშე გუნდების თავკაცები უთუოდ ნიჭიერ ფეხბურთელთან ურთიერთობისგან ყოველმხრივ იკავებდნენ თავს, რისი მიზეზიც ალკოჰოლური სასმელებით ბასლერის გატაცება გახლდათ. სახელგატეხილ ფეხბურთელს მხოლოდ საბერძნეთის ნაკრების ამჟამინდელი თავკაცი, ოტო ტრეჰაგელი ენდო, როდესაც მარიო „ვერდერში“ მიიწვია, სადაც ეს უკანასკნელი მალე გუნდის ლიდერად იქცა. მიუხედავად ამისა, ბასლერი არც ამის შემდეგ გამოსწორებულა, იგი მწვრთნელებთან პერმანენტულად კონფლიქტში იმყოფებოდა და სკანდალური ქრონიკების მუდმივი „სტუმარიც“ გახლდათ. მიუხედავად ამისა, სუპერმარიო „ვერდერთან“,

„კაიზერსლაუტერნთან“ და „ბავარიასთან“ ერთად მაინც გახდა გერმანიის ჩემპიონი. მაგრამ ბერტი ფოგთსი მას მაინც იშვიათად იწვევდა ეროვნულ ნაკრებში, რისი მიზეზიც ისევ და ისევ, მოთამაშისადმი უნდობლობა გახლდათ. მაგალითად, 1994 წელს, მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას, ბასლერმა თვითნებურად მიატოვა ნაკრების საწვრთნელი ბაზა...

2003 წელს, მარიომ დიდი დახმარება გაუწია „კაიზერსლაუტერნს“ ბუნდესლიგაში დასარჩენად გაჩაღებულ დაძაბულ ბრძოლაში, მაგრამ მთავარ მწვრთნელთან ერიკ გერეტსთან უთანხმოების გამო, იძულებული გახდა, გუნდი დაეტოვებინა და კარიერა ახლო აღმოსავლეთში გაეგრძელებინა. თუმცა მან ვერც მუსლიმანურ კატარში მოიკიდა ფეხი, მალე სამშობლოში დაბრუნდა და მწვრთნელობას მიჰყო ხელი. „ახლა „რეგენსბურგის“ ფეხბურთელებს გასახდელში თამბაქოს მოწევას არავინ დაუშლის“, — წერს გაზეთი „ბილდი“, რომლის პროგნოზი უსაფუძვლო ნამდვილად არ არის: მარიო ხომ არა მარტო ბუნდესლიგის დიდ ლოთბაზარად ითვლებოდა, არამედ გამოუსწორებელ მწევლადაც. მას დღეში ორი კოლოფი „მარლბოროც“ ვერ აკმაყოფილებდა. თანაც, სადაც არ უნდა ეთამაშა, ყველგან მოითხოვდა, რომ გასახდელსა და სათადარიგოთა სკამზე მოწევის უფლება მიეცათ. ■

ახლებური Grand Cherokee

პოპულარული ყველგანმავლის – Jeep Grand Cherokee-ის ახალი ვერსია უკვე ამ შემოდგომაზე გამოჩნდება ამერიკულ ბაზარზე. მანქანა იწარმოება როგორც აშშ-ში, ისე ავსტრიაში – Magna Steyr-ის ქარხანაში, რომელიც 2005 წლის დასაწყისში ევროპელ დილერებს მიაწვდის მას. Grand Cherokee-ის დიზაინსა და კონსტრუქციაში საკმაოდ ბევრი ცვლილებაა შეტანილი. მანქანის სიგრძე 13 სმ-ით გაიზარდა (ახლა ის 4,74 მ-ა), საბორბლე ბაზამ კი 9 სმ-ით მოიმატა. რაც შეეხება ძარის მონახაზს, აქ სერიოზული ცვლილებები არ მომხდარა: დიზაინერებმა შეინარჩუნეს მკვეთრი კონტური, რომელიც ტრადიციულად განსაზღვრავდა ამ მოდელის სახეს. მრგვალი, ორმაგი მაშუქები ჩვეულებრივი Cherokee-ის – Grand-ის „უმცროსი ძმისას“ მოგაგონებთ. საგრძნობლად დაიხვეწა სალონი, მასში პლასტიკის ძვირად ღირებული სახეობებია გამოყენებული. შეიცვალა წინა პანელი, ხელსაწყოებიც მეტი ინფორმაციის მატარებელი გახდა: ახლა, სურვილისამებრ შესაძლებელია, შეუკვეთო სანავიგაციო სისტემით აღჭურვილი კომპლექტაცია, რომლის წყალობითაც წინა პანელზე მოთავსებულ ეკრანზე მრავალგვარ მონაცემს მიიღებთ. უკანა სავარძელში მოკალათებულ მგზავრებს DVD-პლეერით სარგებლობის შესაძლებლობა ექნებათ. ბევრი სიახლეა მანქანის ტექნიკური აღჭურვილობის მხრივაც. უფრო სრულყოფილი გახდა სრული ამძრავის სისტემა, მანქანას შეემატა სტაბილიზაციის ელექტროპროგრამა ESP; დამოუკიდებელი გახდა წინა საკიდარი, რისი წყალობითაც, ყველგანმავალი სამართავად უფრო მოსახერხებელი გახდა. დაბოლოს: ახალი Grand Cherokee აღჭურვილია ორი ბენზინის ძრავათი: ერთი – 6-ცილინდრიანი, 3,7 ლ მოცულობისაა და 325 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს; მეორე – 8-ცილინდრიანი, 5,7 ლ მოცულობის და 325 ცხ.ძ. სიმძლავრისაა. ორივე 5-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი, თუმცა, ხელით გადართვის შესაძლებლობაცაა გათვალისწინებული. ამ ნოვაციების წყალობით, კონსტრუქტორებმა გადაჭრეს Jeep Grand Cherokee-სთვის აუცილებელი პრობლემა – საწვავის ხარჯი. ახალ მოდელში ის 20%-ითაა შემცირებული. ■

სპორტული Fiesta

კომპანია Ford კომპაქტური მანქანის – Fiesta-ს ყველაზე სრულყოფილი ვერსიის გამოსაშვებად ემზადება. Ford Fiesta ST უკვე წლის ბოლოს გამოჩნდება ბაზარზე. მანქანა 150 ცხ.ძ-ის მქონე, 2 ლ მოცულობის ძრავათია აღჭურვილი, რაც წინა თაობის სპორტულ ვერსიას 50%-ით აღემატება. მანქანა გარეგნულადაც შეიცვალა: შეიცვალა რადიატორის ცხაური; კარის სახელურები და სარკეები ახლა ძარისფრად იღებება. ავტომობილზე დაყენებულია 17-დუიმიანი საბორბლე დისკები. ახალი „ფიესტა“ კონკურენციას გაუწევს ანალოგიური მონაცემების მქონე მოდელებს, რომლებსაც სხვა ავტომწარმოებლები, კერძოდ – Renault, Peugeot, Seat უშვებენ. მაგალითად, Peugeo-ს კომპაქტური მოდელი – 206 – 136 და 177 ცხ.ძ. სიმძლავრის ვერსიებს აწარმოებს. 150 ცხ.ძ-იანი მოდიფიკაცია აქვს Seat Leon-საც. ყველაზე მძლავრი კი Renault Clio-ა, რომლის სიმძლავრე 177 ცხ.ძ-ს აღწევს. ■

ჯოხმოსული Lexus

სპორტული კუპე Lexus LF-C ჯერ-ჯერობით ექსპერიმენტული ნაწარმია, მაგრამ მასში გამოყენებული ტექნიკური მიგნებები მალე ალბათ, სერიული ავტომობილების ატრიბუტებად იქცევა. მანქანის მთავარი ხიბლი ტრანსფორმირებული სახურავია, რომელიც საშუალებას იძლევა, LF-C ჩაკეტილი კუპედან თავაზდილ კაბრიოლეტად ან სპიდსტერად აქციოს. მანქანის ინტერიერი ფუტურისტულ სტილშია შესრულებული: განსაკუთრებით აღსანიშნავია ნეონის შუქით განათებული ცენტრალური კონსოლი. სალონში ოთხი განცალკევებული სავარძელია, რაც მას კოსმოსური ხომალდის კაბინას ამსგავსებს. კონცეპტუალური მოდელი 8-ცილინდრიანი, V ტიპის, 4,3 ლ მოცულობის ძრავათია აღჭურვილი. მისი სიმძლავრე 300 ცხ.ძ-ს შეადგენს. ექვსსაფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფი სიჩქარის ხელით გადართვის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს. LF-C უკანამძრავიანია. წინა ბორბლების დიამეტრი 20 დუიმია, უკანასი – 21 დუიმი. ■

თავისუფალი თემა

რუსუდან ბერიძე

თბილისის ომის დროს მხატვარ ირაკლი იაშვილისაგან ორსულად დარჩენილი გვანცა, მისი ძმის, ლაშას თანაშემწედ მუშაობს. მას ირაკლისგან შვილი — პატარა ლუკა ჰყავს. გვანცას მოულოდნელად გამოეცხადება აფხაზეთის ომში დაკარგული მისი ყოფილი თანაკლასელი და ფიქტიური ქმარი ლუკა ჩადუნელი, რომელიც აუწყებს, რომ თბილისში მამამისი, მოსკოველი ბიზნესმენი გიორგი ჩადუნელი ჩამოდის. ლაშას მასთან სარფიანი ხელშეკრულების გაფორმების იმედი აქვს, მაგრამ ეს საქმე ჯერ ლუკას გატაცების, შემდეგ კი, ლაშას დაჭრის გამო, ჩაიშლება. სარეანიმაციო განყოფილებაში ლაშას ორი უცნობი სასუნთქ აპარატს გამოურთავს, მაგრამ ექიმები ამჯერადაც დროზე მიუსწრებენ და ხელმეორედ გადაარჩენენ. მომხდარით შეშფოთებული მისი თანამშრომელი ივიკო, გვანცას აფრთხილებს — იცოდე, ლაშა ცუდ საქმეებშია გარეული და შენც თავის წუმპეში მიგათრევსო. ლაშას პატრონების დიდად არც გიორგი ჩადუნელს სჯერა... ცოტა ხანში, ის საბოლოოდ რწმუნდება, რომ კანონიერი ქურდების ჩარევის გარეშე შვილს ტყვეობიდან ვერ გამოიხსნის და მოსკოვში დაბრუნებას გადაწყვეტს. ის გვანცას და პატარა ლუკასაც წაიყვანს თან. მოსკოვში ჩასული გვანცა სრულიად მოულოდნელად, წლობით უნახავ მამას გადაეყრება... მიშა ჩოხელი იქ პურის მცხობლად მუშაობს. მოგვიანებით, მიშა მას დედასაც შეახვედრებს, რომელსაც ფსიქიკური აშლილობის კრიზისი გამოვლილი აქვს... ანას გამოჯანმრთელებას მიშა რესტორან „ლილეში“ აღნიშნავს და, ცხადია, გიორგისა და მის ცოლს, ლიდიასაც დაპატიჟებს. შუა ქეიფში გიორგის, ლუკას გამტაცებლების მოსკოველი თანამზრახველები დაურეკავენ და ეტყვიან — შვილი ვაგანკოვის სასაფლაოზე დაგხვდებაო. გიორგი შვილს სასაფლაოზე მართლა იპოვის და შინ მშვიდობით დააბრუნებს. შვილის გადარჩენით აღტაცებული გიორგი, ლუკასა და გვანცას სასწრაფო შეუღლებასაც გადაწყვეტს, რაზეც ლუკასგან ცივ უარს მიიღებს: გონს მოსვლა მაცალეო. მაგრამ როგორც კი ლუკა გვანცასთან მარტო დარჩება, ისიც შესთავაზებს — რაც შეიძლება მალე ვიქორწინოთო... მაგრამ ჯვრისწერის დღეს, გვანცას შვეიცარიიდან ჩამოსული ირაკლი წამოადგება თავზე და ძველებურად აურევს თავგზას... გვანცა თბილისში გამოიქცევა. აქ მას კიდევ ერთი სიურპრიზი ხვდება: სრულიად მოულოდნელად, თბილისში მისი მხსნელი, თურქ უმარ-ეფენდი ჩამოდის...

— უმარ-ეფენდი!.. თქვენ აქ საიდან გაჩნდით? — შესძახა აღტაცებულმა გვანცამ, წამში სტუმართან გაჩნდა, დაიხარა და შინაურულად გადაეხვია.

უმარი გვანცას ასეთ საქციელს ნამდვილად არ ელოდა, ამიტომ როგორც კი მისი გახშირებული სუნთქვა ასე ახლოს ჩაესმა, ინსტინქტურად უკან გადაქანდა. გვანცა კი ისევ გასწორდა წელში და ირგვლივ ცოტა არ იყოს, დაბნეულმა მიმოიხედა. თუმცა, ლაშას და ივიკოს ირიბ მზერას წააწყდა თუ არა, ორივეს ამაყად გამოუცხადა:

— ამ ადამიანმა ძალიან დიდ უბედურებას გადამარჩინა!

— ანუ იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ... — დაიწყო ლაშამ, მაგრამ გვანცამ აღარ აცალა:

— დიახ, სწორედ მაგის თქმა მინდა!

— მაინც, რის? — ცნობისმოყვარეობამ სძლია ივიკოს, მაგრამ გვანცამ მისი კითხვა საერთოდ უპასუხოდ დატოვა და ისევ სტუმარს მიუბრუნდა:

— როგორ ბრძანდებით?

— გმადლობ, კარგად. — გამართული ქართულით უპასუხა სტუმარმა და შემდეგ გვერდულად გახედა ლაშას: — თუ, რა თქმა უნდა, განწყობილება არაფერმა გამიფუჭა.

— აბა, რას ბრძანებთ?!. — როგორც იქნა, სტუმრისთვის ხელის ჩამორთმევა მოიფიქრა ლაშამ და შემდეგ, რომელიღაც სარეკლამო რგოლის გმირივით, გაზეპირებული ფრაზები დაუმატა: — ჩვენ ვზრუნავთ ჩვენი სტუმრების განწყობაზე...

— ბატონო ლაშა! — საუბარში ჩაერია ივიკო, მაგრამ ლაშამ მაშინვე თვალები გადაუბრიალა: აქაოდა, შენ აქ საერთოდ, ზედმეტი ხარო...

ნირწამხდარმა ივიკომ კაბინეტის კარი უხალისოდ გამოაღო, თუმცა გასვლამდე, სტუმრისთვის ყავის შეთავაზება მაინც მოასწრო.

— სიამოვნებით დავლევდი, ოღონდ თუ ქალბატონი გვანცა მომიდუღებს... — შავი ბრიალა თვალები შეანათა უმარმა გვანცას.

— რა თქმა უნდა! ახლავე!.. — სასწრაფოდ დაფაცურდა გვანცა.

— შენ ამ მდიდარ თურქს საიდან იცნობ, გოგონი? — კაბინეტიდან გამოსვლისთანავე ეცა ივიკო.

— „ტუმბოჩკიდან“, — უპასუხა გაღიზიანებულმა გვანცამ და თან, კარადის კარი გამოაღო.

— საიდან? — ჩაეკითხა ივიკო. — რაღაც ვერ გავიგე!..

— არცაა საჭირო, — ახლა უკვე მშვიდად უპასუხა გვანცამ, კარადიდან ფინჯნები და მადუღარა გამოალაგა და ყავის მოდუღებას შეუდგა.

— ე, გოგო, ნუ დამტანჯე! — თავისას არ იშლიდა ივიკო. — ამიხსენი, ამ გადამთიელმა ისეთს რას გადაგარჩინა, რომ სიხარულით კინაღამ ზედ დაადნი?

— შენთვის არავის უთქვამს, რომ უწესობამდე ცნობისმოყვარე ხარ? — კითხვაზე კითხვითვე უპასუხა გვანცამ.

— შენ კი — წესიერი უმადური! — სკამზე მოწყვეტით დაჯდა ივიკო, შემდეგ ფეხი ფეხზე გადაიდო და სიგარეტს მოუკიდა.

ამასობაში, გვანცამ ყავა მოადუღა, ფინჯნებში გაანაწილა და ლანგარზე სათითაოდ დადგა.

— მოიტა, მე შევუტან! — სანახევროდ მოწეული სიგარეტი სასწრაფოდ საფერფლეში ჩაჭყლიტა ივიკომ.

— ვერ გაიგონე, ,,გადამთიელმა'' საგანგებოდ გაუსვა ხაზი გვანცამ — ყავა აუცილებლად გვანცამ მომიდუღოსო!

— მერე ხომ მოუდუღე!. — ლანგარს ხელი მაინც წამოავლო ივიკომ და სანამ გვანცა რაიმის თქმას მოასწრებდა, კაბინეტში გაუჩინარდა. თუმცა, მალევე უკანაც გამოიძურწა.

— ეგეც შენ! ხომ გამოგაბუნძულეს!.. — ნიშნი მოუგო მას გვანცამ.

— აქედან ხომ მაინც ვერავინ გამაგდებს?!. — ისევ სკამზე მოკალათდა ივიკო და თან, გვანცას მანჭვით გამოაჯავრა: — უმარ-ეფენდი, ჩემო სიყვარულო, აქ საიდან გაჩნდით?

მაგრამ გვანცამ ივიკოს გესლიანი ხუმრობა ამჯერად სრულიად ურეაქციოდ დატოვა. ივიკომ მისაღებში ცოტა ხანს კიდევ იწრიალა და უკმაყოფილომ დატოვა იქაურობა.

მარტოდ დარჩენილმა გვანცამ ყავა თავისთვისაც მოიდუღა, მისი სასიამოვნო სურნელი ღრმად ჩაისუნთქა და ფიქრით თავისი ხანმოკლე წარსულის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე ეპიზოდს გადასწვდა. ჯერ გერმანიაში გატარებული უღრუბლო დღეები მოაგონდა, შემდეგ თურქეთში ჩასვლის პირველმა შთაბეჭდილებებმა შეახსენა თავი, ბოლოს კი ზეინაბ-ხანუმის გამეხებული სახეც ისე ცხადად წარმოუდგა თვალწინ, რომ დამფრთხალს, ყავა სასულეში გადასცდა და გაბმული ხველა აუტყდა.

სწორედ იმწუთას ხმაურით გაიღო კაბინეტის კარი და ლაშამ გამოიხედა:

— რა გჭირს? — ჰკითხა მან აჭარხლებულ გვანცას.

— არაფერი. უბრალოდ, ყავა გადამცდა, — უპასუხა გვანცამ.

— კარგი, მოითქვი სული და შემოდი! გავიგოთ ერთი, ამ ტიპს ჩვენგან რა უნდა?..

გვანცამ ყავის რამდენიმე ყლუპი კიდევ მოსვა და ლაშას კაბინეტის კარი ფრთხილად შეაღო. უმარი გრძელ სათათბირო მაგიდას მისჯდომოდა, რაღაც დოკუმენტები გაეშალა და ერთ-ერთს გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდა. ხმაურზე მან კარისკენ მოიხედა და გამომცდელად შეავლო თვალი გვანცას. დაბნეული ქალი კართანვე იდგა.

— შემოდი, რაღას უდგახარ! — შეაგულიანა ლაშამ და თან, უმარის პირდაპირ მდგარ სკამზე ანიშნა: — დაჯექი და ჩვენს სტუმარს ერთად მოვუსმინოთ!

— მაგრამ მე რომ მოსაყოლი აღარაფერი მაქვს? — დოკუმენტები ფრთხილად წამოკრიფა უმარმა და ლაშას გაუწოდა. — ამას თქვენ გიტოვებთ, გაეცანით და დასკვნებიც თავად გამოიტანეთ.

— კი, მაგრამ... — შეპასუხება სცადა ლაშამ, მაგრამ უმარმა მაინც განაგრძო:

— ზეგ დილამდე თბილისში ვრჩები, ჩემი სასტუმროს ტელეფონის ნომერს დაგიტოვებთ, თუ შეკითხვები გაგიჩნდებათ, დამირეკეთ. ახლა კი უნდა წავიდე! — და შორიახლოს მდგარი ეტლი თავისკენ სწრაფად მისწია.

— მოგეხმარებით! — სასწრაფოდ ფეხზე წამოხტა გვანცაც, მაგრამ სანამ ის სათქმელს დაასრულებდა, უმარი უკვე ეტლში იჯდა.

— იქნებ, ლიფტამდე მიმაცილო. — სთხოვა მან გვანცას. — თორემ შეიძლება, თქვენს მიხვეულ-მოხვეულ დერეფნებში გზა ვეღარც კი გავიგნო!

სტუმარი ლიფტამდე ლაშამაც მიაცილა და იქვე დაემშვიდობა, გვანცა კი უმარს ლიფტშიც შეჰყვა და სანამ კარი ავტომატურად დაიკეტებოდა, ლაშას მიაძახა:

— უმარ-ეფენდის მანქანამდე მივაცილებ და დავბრუნდები!

ლიფტში, სადაც გვანცას და უმარის გარდა, არავინ იყო, წამით უხერხული სიჩუმე ჩამოწვა, შემდეგ უმარმა ერთი ჩაახველა და გვანცას სრულიად მოულოდნელი კითხვა დაუსვა:

— მოსკოვიდან რატომ გამოიქეცი, გვანცა?

— რა იცით, რომ მოსკოვში ვიყავი? — შეცბა გვანცა. — ლაშამ გითხრათ?

— არა. — მოკლედ მოუჭრა უმარმა და შემდეგ დასძინა: — შენობით რატომ აღარ მელაპარაკები?

— რა ვიცი... — დამნაშავე ბავშვივით აიჩეჩა მხრები გვანცამ. — ეტყობა, გადავეჩვიე, უკვე იმდენი დრო გავიდა, რომ...

— მე კი — რატომღაც ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ერთმანეთს გუშინ დავცილდით.. — თვალებში ნაცნობი სითბო ჩაუდგა უმარს...

ამასობაში, ლიფტიც გაჩერდა და კარი ხმაურით გაიღო. გვანცამ პარლამენტის შემოსასვლელთან მდგარი უმარის ორი ახმახი მცველი მაშინვე შეიცნო. ისინი კი წამში უმართან გაჩნდნენ და აქეთ-იქიდან ამოუდგნენ. მაგრამ უმარი მათ თურქულად გამოელაპარაკა და ორივე კვლავ განზე გადგა.

— ერთად ხომ არ გვესადილა? — მიუბრუნდა უცბად უმარი გვანცას.

— სად? — მაშინვე დაუფიქრებლად ჰკითხა გვანცამ.

— სადაც გაგიხარდება! თუნდაც — ჩემს სასტუმროში. იცი, რა მყუდრო რესტორანია, რას იტყვი, წავიდეთ?

— წავიდეთ! — ისევ სწრაფად დაეთანხმა გვაცნა.

ცოტა ხანში ყველანი უმარის ,,მერსედესში'' ჩასხდნენ და ქალაქის ძველ უბანში მდებარე სასტუმროსკენ გასწიეს.

სასტუმროს მართლაც, მყუდრო რესტორანი ჰქონდა და შუადღის კვალობაზე, არც მომსვლელი აკლდა. ახმახებმა უმარი და გვანცა რესტორნის ერთ-ერთ კუთხეში მდგარ მაგიდამდე მიაცილეს, შემდეგ თავი მდაბლად დაუკრეს და თავად მოშორებით მდგარ თავისუფალ მაგიდას მიუსხდნენ.

უმარმა ოფიციანტს ხმადაბლა რაღაც აუხსნა და სულ მალე, სუფრა სულ ნარჩევ-ნარჩევი ქართული კერძებით აივსო. ოფიციანტმა ღვინოც სწრაფად მოარბენინა და ფეხიან ჭიქებში ოსტატურად ჩამოასხა.

— ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს! — ჭიქა ფრთხილად მიუჭახუნა უმარმა გვანცას. — როგორ ამბობთ ქართველები?.. მთა მთას ვერ შეხვდებაო, თორემ...

— ადამიანი ადამიანს ყოველთვისო... — სასწრაფოდ შეეშველა უმარს გვანცა და თან, ღვინით სავსე ჭიქას შუქზე გამოცდილი მსმელივით გახედა.

— ნამდვილად კარგი ღვინოა, — გაეღიმა უმარს, — გუშინ საღამოს თავად დავაჭაშნიკე...

გვანცამ რამდენიმე ყლუპი მოსვა და ჭიქა მაგიდაზე ფრთხილად დადგა.

— ახლა შენ თქვი, რას გაუმარჯოს!.. — ჭიქა შეუვსო მას უმარმა.

— როცა სუფრას ერთი მამაკაცი მაინც უზის, ქართველი ქალები სადღეგრძელოებს ნაკლებად ვამბობთ...

— თუნდაც, ის მამაკაცი ჩემსავით ,,ურჯულო'' იყოს? — გაეღიმა უმარს.

— თუნდაც... — დაუფიქრებლად დაუდასტურა გვანცამ, მაგრამ მაშინვე ენა მოიკვნიტა და უმარს დამნაშავე თვალები შეანათა. — მაპატიეთ, ამის თქმა ნამდვილად არ მინდოდა, თუმცა...

— დაასრულე, რა თუმცა? — ჩაეძია უმარი, მაგრამ გვანცამ საუბარი სასწრაფოდ სხვა თემაზე გადაიტანა:

— მოსკოვში ჩემი ყოფნის ამბავი მაინც როგორ გაიგეთ?

— ჩემმა ბათუმელმა მეგობრებმა შემატყობინეს.

— თქვენი მეგობრები მე საიდან მიცნობენ?

— ჩემი ბათუმელი მეგობრები ყველა იმ ქართველ გოგონას იცნობენ — ცხადია, დაუსწრებლად, — ვინც კი ჩემი დის კლანჭებიდან გამოვიხსენი და შინ დავაბრუნე...

— ისე, კიდევ ბევრი დაგრჩათ გამოსახსნელი თუ ზეინაბ-ხანუმს ქართველი მონები შემოაკლდა? — ხმაში ბოღმა გამოურია გვანცამ.

— არც ერთი და არც მეორე... — ამოიოხრა უმარმა. — ჩემი და ცოცხალი აღარ არის...

— როგორ თუ აღარ არის?!. — შეცბა გვანცა და თავისდა გასაკვირად, ისიც დააფიქსირა, რომ თავისი ყოფილი მტარვალი, გულის სიღრმეში მაინც შეეცოდა. — რა დაემართა?

— ავტოკატასტროფაში მოყვა... მორიგი ღრეობის შემდეგ, უგონოდ მთვრალი თვითონ მიუჯდა საჭეს და...

— მერე თქვენ სად იყავით?.. რატომ არ შეაჩერეთ?..

— ალბათ, დაგავიწყდა, რომ ზეინაბი ღრეობებს მხოლოდ მაშინ აწყობდა, როცა შინიდან შორს გამიგულებდა...

— დიახ, დიახ, — მაშინვე დაეთანხმა უმარს გვანცა. — ყოველი ასეთი ღრეობის შემდეგ თავდაყირა დაყენებულ სახლს კი ზულეიჰა და სხვა ქალები რის ვაი-ვაგლახით აწესრიგებდნენ... მართლა, ზულეიჰა ისევ თქვენთან მუშაობს? — დაინტერესდა უცბად იგი.

— კი და უკვე თითქმის ყველა ქართული კერძის მომზადებაც ისწავლა. ასე რომ, ჩემს ოჯახში ყოველდღე პატარა ქართული სუფრა იშლება.

— ყოჩაღ, ზულეიჰა! — გამხიარულდა გვანცა. — ეტყობა, ქართული სამზარეულო წიგნი ჩაუვარდა ხელში...

— არა. ზოგი კერძის მომზადება ხომ ჯერ კიდევ შენგან ისწავლა, შენი წამოსვლის შემდეგ კი ჩემს დას კიდევ ერთი ქართველი გოგონა გამოვგლიჯე ხელიდან და იმან უკვე საფუძვლიანად დააკვალიანა.

— მართლა?.. — თავისთვის ჩაილაპარაკა გვანცამ და ჩაფიქრდა.

— რაზე ფიქრობ? — ჰკითხა მას ცოტა ხნის შემდეგ უმარმა.

— რა არის, იცით? — მხრები აიჩჩა გვანცამ. — თავადაც მიკვირს, მაგრამ ზეინაბ-ხანუმი მართლა ძალიან შემეცოდა...

— მეც... — სახე მოეღუშა უმარს. — მის დაკრძალვამდე ბებიაჩემი მესიზმრა. ვითომ ულამაზეს ბაღნარში ჩაკარგულ პატარა კოპწია სახლში ცხოვრობდა და დამტვრეულ-დაძონძილი ზეინაბი მიადგა კარზე. კაკუნზე ბებიამ სახლის კარი ფართოდ გამოაღო, მაგრამ როგორც კი ზეინაბი დაინახა, მაშინვე კოპები შეკრა და კარი ცხვირწინ მიუხურა... ამის შემდეგ კიდევ უფრო შემეცოდა ჩემი უბედური და. როგორც ჩანს, მისი ცოდვილი სული სიმშვიდეს ვერსად პოვებს...

— ზეინაბ-ხანუმის მონა ქალებს რა ბედი ეწიათ? — კვლავ რეალობას დაუბრუნა უმარი გვანცამ.

— მართალია, ცოტა გვიან, მაგრამ მაინც ყველანი გავათავისუფლე.

— გვიან რატომ?.. ხელს ვინღა გიშლიდათ?

— საქმე ისაა, რომ იმ ქალების ადგილსამყოფელს ჩემი დის სიკვდილის შემდეგ მთელი ნახევარი წელი უშედეგოდ ვეძებდი. მისმა თანამზრახველებმა ყველა კვალი სასწრაფოდ გააქრეს. ბოლოს ისევ ჩემი კარისკაცი შეაწუხა სინდისის ქენჯნამ და ყველაფერი მიამბო. ასე რომ, ახლა ყველა ქალი თავისუფალია...

— ჩემი თანაკურსელებიც?

— კი. ჩვენთან მარტო მოხუცი ჯინაღა დარჩა. გახსოვს ჯინა?

— როგორ არ მახსოვს?!. ჩემი უფროსი მეგობარი და მრჩეველი იყო.

— სხვათა შორის, ახლა ზულეიჰას და სხვა ქალების მრჩეველია.

— სამშობლოში დაბრუნება თავად არ ისურვა?

— ჰო. თანაც, ზეინაბის არქივში ჯინას დოკუმენტებიც ვერ აღმოვაჩინე. ის ხომ ჯერ კიდევ მამაჩემის დროს ჩამოიყვანეს თურქეთში და ეტყობა, მისი საბუთები მაშინვე სადღაც გაიბნა.

— გამოდის, რომ ზეინაბ-ხანუმის ბოროტების პატარა იმპერია აღარ არსებობს... — თავისთვის ჩაილაპარაკა დაფიქრებულმა გვანცამ.

— ასე გამოდის... — დაეთანხმა უმარი. — თუმცა, ქართველ გოგონებს თურქეთის სხვა ბორდელებში ისევ ძველებურად ყიდიან...

— დიახ, სამწუხაროდ... — დაეთანხმა გვანცა. — ისე, რაღაც-რაღაცებს მეც მოვკარი ყური...

— მაინც რას? — დაინტერესდა უმარი.

— თურქეთიდან დაბრუნების შემდეგ, პირველ ხანებში, ტრეფიკინგის საკითხებით მეც დავინტერესდი და გავიგე, რომ ამ საქმეში ზოგიერთი ქართველი მაღალჩინოსნის ხელიც ერია... მახსოვს, ისიც კი მითხრეს, ეს იმდენად შემოსავლიანი ბიზნესია, რომ ზოგიერთი პარლამენტარიც არ თაკილობს ხელის გასვრასო. თუმცა, მაშინ ეს ინფორმაცია მაინც ვარაუდის დონეზე თუ არსებობდა და მგონი, ახლაც ასეა...

— არა! — გააწყვეტინა უმარმა. — ახლა ასე ნამდვილად აღარ არის. მე, მაგალითად, უკვე დოკუმენტურად მაქვს დადგენილი, რომ შენი უშუალო შეფის, ლაშა რჩეულიშვილის შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს ადამიანების გატაცება, ანდა სხვა ქვეყნებში მოტყუებით გაყვანა და იქ მონებად გაყიდვაა.

— მართლა?! — შეცბა გვანცა. — თქვენ ამის დამამტკიცებელი დოკუმენტები ნამდვილად გაქვთ?

— რა თქმა უნდა!.. აბა, წელან ლაშას რა დავუტოვე?.. — უპასუხა უმარმა და მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ დასძინა: — სხვათა შორის, ბატონი ლაშას გარეშე არც შენ ჩავარდნიხარ ხელში ჩემს დას. ძალიან ბევრი ვიმუშავე, სანამ იმის მტკიცებულებებს მოვაგროვებდი, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ლაშა რჩეულიშვილი და ვთქვათ, ვინმე თვითმარქვია თურქი ალი, ერთი დიდი საშინელი ჯაჭვის ორი ურთიერთდამაკავშირებელი რგოლი იყო...

— რა-ა?! — გააწყვეტინა გვანცამ. — გამოდის, რომ ლაშამ წინასწარ იცოდა, გერმანიაში რისთვისაც მაგზავნიდა?!

— გამოდის კი არა, ასეა!

— არამზადა! — პატარა ხელები ბრაზიანად მომუშტა გვანცამ. — ყაჩაღი!.. ნამდვილი შარაგზის ყაჩაღი!.. იცით, რომ ჩემი კლასელიც მაგან გაატაცებინა?.. მაგრამ მამამისი, სამწუხაროდ, ვერაფრით უმტკიცებს...

— ეგ რომელი შენი კლასელია, ცოლად რომ ვერა და ვერ გაჰყევი? — ქვეშქვეშ გაეღიმა უმარს.

— ეგ ამბავიც იცით?.. — შეკრთა გვანცა.

— სწორადაც მოიქეცი! — განაგრძო უმარმა. — იმიტომ, რომ შენისთანა ქალი მამაკაცთან უსიყვარულოდ ვერ გაჩერდება! ამას მე სულ რამდენიმე თვეში მივხვდი და მიკვირს, შენმა კლასელმა მთელი ცხოვრება რით ვეღარ გაიგო...

— რა თქვით?.. რას მიხვდით?.. — ყურებამდე გაწითლდა გვანცა.

— მართლა, — ისევ მშვიდად განაგრძო უმარმა, — იცი, რომ ცოლად მაინც ქართველი გოგონა მომყავს?

— მართლა? — გაუკვირდა გვანცას. — ვინ?..

— წელან ხომ გითხარი — შენ შემდეგ ზეინაბს კიდევ ერთი ქართველი გოგონა გამოვაცალე-მეთქი ხელიდან... ფერიდე ჰქვია... აჭარის ერთი მიყრუებული სოფლიდანაა... სხვათა შორის, სარწმუნოებით მუსლიმანია და ამან არჩევანის გაკეთება ორივეს გაგვიადვილა... ახლა ცოტა მამამისი ჯიუტობს: რაც არ უნდა იყოს, ქალიშვილს უცხო ტომის კაცი, თანაც ხეიბარი სთხოვს, — მაგრამ ალბათ, მაინც დავითანხმებთ. ასე რომ...

— კარგად რომ გაგიცნობთ, აღარც თქვენი უცხოტომელობა გაახსენდება და აღარც ხეიბრობა! — გააწყვეტინა უცბად გვანცამ. — მე კი, ახლავე, სულითა და გულით გილოცავთ! მართლა, მართლა!

ძალიან მიხარია!

— მჯერა! — სახე გაუნათდა უმარსაც. — სხვათა შორის, ქორწილში წინასწარ ხარ დაპატიჟებული. ხომ ჩამოხვალ?

— რატომაც არა?!. — უპასუხა გვანცამ. — თქვენს ქორწილს რომ თავი დავანებოთ, იმ სახლის კიდევ ერთხელ ნახვაც ძალიან მინდა, რომელთანაც უამრავი ტკბილ-მწარე მოგონება მაკავშირებს...

— მაშინ, როგორც კი ყველა ფორმალობას მოვაგვარებ, მოსაწვევსაც მაშინვე გამოგიგზავნი. ახლა კი ისევ ბატონ ლაშას მივუბრუნდეთ.

— ბატონი მაგას და არგადარჩენა! — დედაბერივით დაიწყევლა გვანცამ.

— სულ ტყუილად წყევლი! — გაეღიმა უმარს. — ლაშასნაირი გაქნილი არამზადები სამკაოდ დიდხანს ცოცხლობენ და ბევრი ცუდი საქმის ჩადენასაც ასწრებენ. ამიტომ გირჩევ, რაც შეიძლება მალე ჩამოშორდე!

— ჰო, მაგრამ... — დაიბნა გვანცა. — რა ვუთხრა?.. შენგან რატომ მივდივარ-მეთქი?..

— არაფრის თქმა აღარ დაგჭირდება. მე მას უკვე საკმარისად ავუხსენი ყველაფერი. ასე რომ, ალბათ თავადვე გამოიტანს გონივრულ დასკვნებს...

— თქვენ ეგრე გგონიათ?.. — გააწყვეტინა გვანცამ. — მეც ვუთხარი — ლუკას გატაცებაში შენც გდებენ-მეთქი ბრალს, მაგრამ ერთ ყურში შეუშვა და მეორიდან გამოუშვა...

— შენგან განსხვავებით, მე ჩემს ნათქვამს დოკუმენტებიც თან მოვაყოლე. ასე რომ, თუ ბატონი ლაშა ჭკუით არ იქნება, სადაც საჭიროა, ყველაფერს იქ დავახვედრებ...

— გასაგებია.. — დაფიქრდა გვანცა. — ლაშასგან კი წამოვალ, მაგრამ ახალი სამსახური სადღა ვიშოვო?!. ჩემი ოჯახი ხომ თითქმის მთლიანად ჩემს შემოსავალზეა დამოკიდებული...

— მე მგონი, სამსახურის შოვნა ძალიან არ უნდა გაგიჭირდეს. წეღან ხომ მითხარი, ტრეფიკინგის საკითხებით ვიყავი დაინტერესებულიო.

— ჰო, მაგრამ ეგ ხომ წლების წინ იყო... — ამოიოხრა გვაცამ. — მერე ლაშამ იმდენი საქმე დამაყარა თავზე, რომ ტრეფიკინგისთვის კი არა, ხანდახან თავის მოსაფხანადაც კი აღარ მეცალა...

— კარგი, — გააწყვეტინა უცბად უმარმა, — სამსახურის შოვნაშიც მე დაგეხმარები, ოღონდ — ისევ ტრეფიკინგს თუ მიუბრუნდები... ამ საკითხზე საქართველოში უკვე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს, ერთ-ერთი — თბილისში. შემიძლია, რეკომენდაცია გაგიწიო. სხვათა შორის, საკმაოდ სოლიდური ანაზღაურება გექნება...

გვანცას დაჟინების მიუხედავად — ტაქსით წავალო, — უმარმა ის სახლამდე მაინც თავისი მანქანით მიაცილა, თანაც, საჭესაც თავად ეჯდა. მცველები კი უკან ისხდნენ და მის ყველა მოძრაობას გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს. გვანცა უმარს მანქანაშივე დაემშვიდობა.

— ხომ არ დაგავიწყდა, ხვალ ახალ სამსახურში რომ უნდა გამოცხადდე! — კიდევ ერთხელ შეახსენა უმარმა.

— მაგას რა დამავიწყებს?!. — გაეღიმა გვანცას, შემდეგ უმარს პატარა ბავშვივით შუბლზე აკოცა და მანქანიდან მკვირცხლად გადახტა...

— სად ბრძანდებოდი, ქალბატონო? — კარის გაღებისთანავე შეუღრინა შვილიშვილს ლამარამ.

— საქმეზე, — მოკლედ მოუჭრა ბებიას გვანცამ.

— ღამის თორმეტ საათამდე? — გამოსაჩენ ადგილზე დაკიდებულ კედლის საათისკენ თითი გაიშვირა ლამარამ.

— სხვათა შორის, ეს საათი სამი წუთით წინაა... — მშვიდად შენიშნა გვანცამ და ვიწრო ფეხსაცმელი წვალებით გაიძრო.

— ამირან! — იკივლა უცბად ლამარამ. — გამოდი და შენც უთხარი რამე ამ უსინდისოს, თორემ, მე ნევრები აღარ შემრჩა!

ლამარას კივილზე ამირანმა კაბინეტიდან თავი გამოყო და გვანცას ჰკითხა:

— უკვე მოხვედი, ბაბუ?

— უკვეო?!. — ისევ იკივლა ლამარამ. — მიდი, მიდი, მოუჩლიქე ენა და შეიძლება, ხვალ უკვე გამთენიისას მობრძანდეს შინ!..

— კარგი, ერთი, რა! — მოულოდნელად შეეპასუხა ამირანი ცოლს და ისევ შვილიშვილს მიუბრუნდა: — დედაშენმა დარეკა.

— მართლა?!. — გააწყვეტინა გვანცამ. — მერე რა თქვა? ბავშვი როგორ არისო? — ყველანი კარგად არიან. უბრალოდ, შენთან უნდოდა ლაპარაკი, რაღაც საქმე მაქვსო...

— მეც მთელი დღე ვრეკავდი და ტელეფონი სულ დაკავებული იყო...

— დაკავებული კი არა, საერთოდ გამორთული ჰქონია... კორპუსის კაბელი დაზიანდაო... წეღანაც საქალაქთაშორისოდან რეკავდა... დაიბარა, კიდევ დავურეკავო, მაგრამ ახლა ავტომატიდან რაღას დარეკავს?!.

ამირანმა სათქმელის დასრულება ვერ მოასწრო, რომ ტელეფონი აწკრიალდა.

— ნეტავ, ახლა ვიღას გავახსენდით? — ყურმილი დინჯად აიღო ამირანმა და მაშინვე სახე გაებადრა: — ანა, შვილო, შენ ხარ?.. უკვე ჩაგირთეს ტელეფონი?.. არა?.. აბა, საიდან რეკავ?.. კარგი, კარგი, ახლავე დაგალაპარაკებ...

ამირანმა შვილიშვილს ყურმილი მაშინვე გადასცა და თავად ისევ კაბინეტში შეიკეტა. გვანცამ კი ტელეფონის აპარატი თავის საძინებელში შეიტანა, საწოლზე ფეხი მოირთხა და ყურმილში მერეღა ჩასძახა:

— ჰო, დედა, გისმენ! როგორაა საქმე?.. ბავშვი რას შვრება?

— ბავშვს რა უჭირს?! — შენ დიდები გვიკითხე!.. — ამოიოხრა ანამ.

— მამაჩემი ძალიანაა გაცოფებული?

— გაცოფებამდე ვერ მიაღწია — ჯერ მხოლოდ გაოგნებულია...

— ლუკა რას შვრება?

— რამდენჯერ უნდა მკითხო? ხომ გითხარი, კარგად არის-მეთქი!

— მე დიდი ლუკას ამბავს გეკითხები!

— დიდმა ლუკამ, კი ჩემო კარგო... — ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა ანამ, — უკვე ახალი ცოლის მოყვანაც მოასწრო...

— რა-ა?!.. — ტელეფონის ყურმილი ყურზე მიეყინა გვანცას...

დასასრული შემდეგ ნომერში

ვარსკვლავთა შორის ყველაზე უკარება და იდუმალმა ქალმა თავის ცხოვრებას ფარდა ახადა. კატრინ დენევი მუდამ ამბობდა — მემუარებს არასოდეს დავწერო. მიუხედავად ამისა, სულ ახლახან თავისი დღიურები გამოაქვეყნა.

კატრინ დენევი

თვრამეტი ყინულისფერი ქალი

...თვითმფრინავი ჰონკონგი–პარიზი–კოპენჰაგენის აეროდრომზე ბენზინის ჩასასხმელად ეშვება. კატრინი ტრაპზე ჩამოდის. ის წვრილმანი ნივთების საყიდლად მიდის. უკან რომ ბრუნდება, თვითმფრინავი ადგილზე აღარ ხვდება – უკვე გაფრენილა. რა მოხდა მერე? ფრანგი მზეთუნახავი სხვა თვითმფრინავით, უბილეთოდ მიფრინავს. „ოთხთვიანი გადაღებების შემდეგ პარიზი სამოთხედ მეჩვენება. მიყვარს კომფორტი“.

სხვაგან კატრინ დენევი უძილობას უჩივის. ეს გეტებორგში, ლარს ფონ ტრიერის ფილმის – „ბნელში მოცეკვავე“ – გადაღებების დროს დაიწყო. „სასტუმროში არ იყო ორმაგი ფარდა, მე კი სრული სიბნელე მჭირდებოდა“, – ჩივის ეკრანის დედოფალი და ისიც აწუხებს, რომ შამპანურისთვის განკუთვნილ საყინულეში ყინულის ნატეხები ცისფრად არ ციმციმებს და „სადღესასწაულოდ არ სუნთქავს“... დილაობით ის ფანჯრიდან უვალთვალებს საყვარელ რეჟისორს, რომელიც წელზემოთ შიშველი, მძიმე კამერას მიათრევს: „მისი ნაზი და მზედაუკრავი ტორსი მაგონებს იმ პლასტმასის თოჯინას, რომელიც ბავშვობაში მქონდა და ხშირად ვბანდი...“

ვერავინ იფიქრებდა, შეუდარებელი კატრინ დენევი ოდესმე მსგავს ამბებს თუ მოჰყვებოდა. მუდამ მტკიცედ აცხადებდა – მემუარებს არასდროს დავწერო. ეტყობა, დიდი იყო საზოგადოების ზეწოლა: მშვენიერ ქალბატონს, ელეგანტურობით განთქმულ მსახიობს ხომ მთელი მსოფლიო ეთაყვანება?! ის 80-ზე მეტ ფილმში მონაწილეობდა, 1985 წელს შექმნილი, საფრანგეთის სიმბოლო – მარიანა კი, მისი გარეგნობის მიხედვით გამოაქანდაკეს.

„ძალზე ძნელია, დენევისგან ინტერვიუს აღება, ის ან საერთოდ არ პასუხობს კითხვებს, ან არაფრისმთქმელ, უადგილო პასუხებს იძლევა. მაგალითად, შეკითხვაზე – რომელია თქვენი ბოლო როლი? – ის ჭიქას უყურებს და ამბობს – „ყინულის კუბურები ვისკით სავსე ჭიქაში“... მეტისმეტად პრეტენზიული პარიზელი ქალბატონია“, – გამოთქვამდა უკმაყოფილებას ერთ-ერთი ამერიკული გაზეთის კორესპონდენტი. ინგლისელებმა მას Catherine Ded nerve – ე.ი. „სხვის ნერვებზე მოთამაშე კატრინი“ უწოდეს. ერთხელ ასეთი პრიზიც კი მიანიჭეს – Citron – მასმედიის საშუალებების იგნორირების გამო.

და მაინც, დღეს 60 წლისამ, სამი შვილიშვილის ბებიამ, სრულიად მოულოდნელად, სეიფში საიდუმლოდ შენახული თავისი ჩანაწერები გამოამზეურა.

„საკუთარ „მეს“ ჩრდილში“ – ასეთი სათაური აქვს წიგნს, რომლის გარეკანსაც ძველი საოჯახო ფოტო ამშვენებს. ის გამოსვლისთანავე ბესტსელერად იქცა და როგორც ფრანგული გაზეთები წერენ, დღეს საფრანგეთის ყველა კუთხეში ერის სათაყვანო ქალის მემუარებს კითხულობენ. თუმცაღა, აქილიკებენ კიდეც, მაგალითად, ასე: „მასთან შედარებით, მკითხველს მერილინ მონროც კი ინტელექტუალად მოეჩვენება“ („ფიგარო“). არადა, უნდა მიექციათ ყურადღება იმისთვის, რომ ავტორი დასაწყისშივე აღნიშნავს – დღიურებს „თერაპიული მიზნით“ ვწერდიო. ასეც არის: დენევმა ხომ წერა 25 წლის ასაკში დაიწყო – მაშინ, როცა მძიმე ხანა დაუდგა: დიდი წარმატებები რომან პოლანსკის Ekel-ში და ლუის ბუნუელის Belle de jour-ში უკან დარჩა. კატრინი იმ სამყაროს მიეკუთვნებოდა, სადაც ურთიერთობები დიდხანს არ გრძელდება. რეჟისორ როჟე ვადიმს, რომლისგანაც კატრინს ვაჟი კრისტიანი ჰყავდა, ჯეინ ფონდა შეუყვარდა და მასთან წავიდა. თავად დენევი კი (მისი ხელისმომკიდე მიკ ჯაგერი იყო) ცოლად გაჰყვა ცნობილ ფოტოგრაფ დევიდ ბელის, რომელმაც ერთ დროს კატრინის სურათები „პლეიბოიში“ გამოაქვეყნა.

1967 წელს, მისი საყვარელი და ფრანსუაზა, ვისთანაც ერთად კატრინმა „შერბურის ქოლგებში“ ითამაშა, ნიცასთან ახლოს ავტოკატასტროფაში დაიღუპა. 1968 წელს კი, ის აშშ-ში წავიდა – სრულიად მარტო, ნერვული აშლილობის ზღვარზე მყოფი – და ფილმში – The April Fools გადასაღებად ემზადება, მაგრამ როლზე კონცენტრირებას ვერ ახერხებს. „ამ დროს ჩემთვის ერთადერთი ხსნა, პატარა იაპონური ბლოკნოტი იყო...“ – წერს დენევი.

1968 წლის 22 ოქტომბერს – ე.ი. მისი დაბადების დღეს, ის წერს: „ვქვითინებ, 25 წლის ვარ – ჩემი საყვარელი ფრანსუაზას ტოლი. მთელი ღამე მასზე ვფიქრობ“. მისთვის შვება იმასაც ვერ მოაქვს, რომ ამერიკული გაზეთი – Look მას „მსოფლიოს უმშვენიერეს ქალბატონს“ უწოდებს.

ქალიშვილთან
კიარა მასტროიანისთან ერთად

რამდენიმე დღის შემდეგ კი, კეტრინის ცხოვრებაში მზის სხივი შეიჭრება: მასთან ჩადის კრისტიანი. „ვამაყობ, რომ რვა დღეში ცურვა ისწავლა და ჩემთან ერთად ყვინთავს“.

...ფრანგული კინოს სიამაყე 48 წლისაა. ის ჰანოიში მიემგზავრება. მან რეგის ვარგნირის მელოდრამაში – „ინდოჩინეთი“ მთავარი, პლანტაციის მფლობელის როლი უნდა შეასრულოს. „გადაღების თითოეული დღე ნამდვილი სიამოვნებაა, – ასეთ ჩანაწერს აკეთებს იგი 1991 წლის 11 ივნისს. – ფიზიკურად თავს კარგად ვგრძნობ, მიუხედავად იმისა, რომ 54 კგ-ს ვიწონი. ეს კარგია ფიგურისთვის, მაგრამ პრობლემატურია სახისთვის, უპირველეს ყოვლისა კი – თვალებისთვის, რომლებიც სიცხისა და უძილობისგან ისედაც მტკივა“. ამას უკვე ივ სენ-ლორანის „სახე“ ამბობს, რომელმაც იცის, სილამაზის შესანარჩუნებლად რა ხერხები უნდა გამოიყენოს. ის კი არა და, ბიოიოგურტიც და თვალებისთვის სპეციალური ნათურებიც მისთვის ჰანოიში პარიზიდან თვითმფრინავით ჩაჰქონდათ.

ხშირად დენევი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თავისებური, არაორდინარული მამაკაცების მიერ გამოთქმულ აზრს. როცა ფილმის – „ბოლო მეტრო“ (1980 წ.) პრემიერაზე ტაშმა იქუხა, მის გვერდით მდგარმა ფრანსუა ტრიუფომ ამოიოხრა და წაიბურტყუნა: „დასაფლავება. ეს კი სამძიმარია...“ მადამს თითქოს სილა გააწნეს: „ამით ფრანსუამ ჩემი მორალი და ნიჭი დაასამარა. გაქრა აღტაცება, სევდა დამეუფლა. თითქოს სული შემეხუთა. დარბაზი დავტოვე და ელისეს მინდვრების სიმწვანეს მივაშურე“.

■

კატრინი და
მარჩელო

მძათერი ტექსტების მიზეზი ჰამბურგერები ყოფილა

კანადელმა მომღერალმა ავრილ ლავინმა აღიარა, რომ რამდენად უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, მისი სიმღერების მძაფრი ტექსტები ბავშვობაში არასწორი კვებით ყოფილა გამოწვეული. ავრილის თქმით, ტკბილეულმა და ჰამბურგერებმა, რომლებსაც დიდი რაოდენობით მიირთმევდა, მისი ჯანმრთელობა შეარყია, რაც თავის მხრივ, მისი სიმღერების განწყობაზე აისახა. „როცა ცუდად ვიგრძენი თავი, ექიმთან მივედი. მან კი გამომიცხადა, რომ სისხლში შაქრის დაბალი შემცველობა მქონდა. დიეტა შევადგინეთ და ახლა თანდათან ვახერხებ ჯანმრთელობის აღდგენას“, – ამბობს ავრილი ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში. ტინეიჯერების კერპი სკანდალურ როკერ მერილინ მენსონთან თავის ურთიერთობასაც შეეხო. „ჩვენ უბრალოდ ვმეგობრობთ, ერთმანეთი გვაინტერესებს, – ამბობს მომღერალი, – მის კონცერტებს ვესწრები, შოუს შემდეგ კი ერთმანეთს ვხვდებით. ერთხელ მის ოთახში მთელი ღამე კინოს ვუყურებდით. მაგრამ ჩვენს ურთიერთობაში არანაირი რომანტიკა არ არის“. ■

მარბრა სტრეიზანდმა სასამართლო პროცესი წააგო

მსახიობმა და მომღერალმა ბარბრა სტრეიზანდმა წააგო სასამართლო პროცესი მოყვარულ ფოტოგრაფთან, რომელმაც მალიბუში მისი ადგილმამულის ფოტოები გადაიღო. ბარბრა ამტკიცებდა, რომ ჰაერიდან გადაღებული ფოტოები უკანონო გზით იყო მოპოვებული და კომპენსაციის სახით 10 მლნ დოლარს ითხოვდა. ახლა კი თვითონ მოუწევს თანხის გადახდა – მოპასუხის დანახარჯები 177 ათას დოლარად არის შეფასებული.

ბარბრა ჩიოდა, რომ კენეტ ადელმანის ზოგიერთ ფოტოზე სახლი ისეთი რაკურსით იყო გადაღებული, ეს ფოტოები შეიძლებოდა ბოროტმზრახველებს გამოეყენებინათ. თვით ფოტოგრაფი კი ამტკიცებდა, რომ ფოტოები არანაირი ცუდი განზრახვით არ გადაუღია, უბრალოდ, ეს მისი პროექტის ნაწილი იყო – ადელმანი სანაპირო ზოლს იკვლევს. ცნობისათვის, ყველა ფოტო, რომელიც ჰაერიდან იყო გადაღებული, თავის საიტზე განათავსა. „ჩემი საიტი სულაც არ ეხება ბარბრა სტრეიზანდს, – თავს იმართლებდა ფოტოგრაფი, – ის კალიფორნიის სანაპირო ზოლს ასახავს და რა ჩემი ბრალია, რომ ამ სანაპიროს რაღაც ნაწილი, თუნდაც ძალიან მცირე, ცნობილ მომღერალს ეკუთვნის“. ■

ჰიუ გრანტს სიყვარული გაახსენდა

ბრიტანელმა მსახიობმა ჰიუ გრანტმა გადაწყვიტა, აღადგინოს ურთიერთობა ყოფილ შეყვარებულთან – მსახიობ ელიზაბეტ ჰარლისთან. 2000 წელს, ცამეტწლიანი თანაცხოვრების შემდეგ წყვილი ერთმანეთს დასცილდა, მაგრამ კარგ მეგობრებად დარჩნენ. ახლა კი პაპარაცებმა კვლავ ერთად „გამოიჭირეს“.

წყვილი მაღაზიებში დასეირნობდა, მეორე დილას კი, ლიზის სახლის ეზოდან ჰიუ გრანტის შავი „მერსედესი“ დაიძრა, რომლის უკანა სავარძელზე ლიზი და მისი ვაჟი დემიენი ისხდნენ. არადა, ჯერ კიდევ შარშან, როცა ლიზს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ინდოელ მილიონერთან – არუნ ნაიართან და ლამის ცოლადაც კი გაჰყვა, ჰიუ გრანტი ირწმუნებოდა, რომ ისინი მეგობრები არიან და ამიერიდან აღარასდროს დაწყვილდებოდნენ. ■

ემინემმა ძმას სტუდია აჩუქა

ემინემმა თავის უმცროს ძმას – ნეიტს (ისინი დედით ერთნი არიან) მე-18 დაბადების დღეზე შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა. მომღერალმა უკვე სრულწლოვან ძამიკოს საკუთარი ხმის ჩამწერი სტუდიის კომპლექტი მიართვა, რომელიც დაახლოებით 17-18 ათას დოლარად არის შეფასებული.

ემინემს საკმაოდ ახლო ურთიერთობები აქვს ძმასთან. როცა მათ დედასთან პრობლემები გაუჩნდათ, ემინემმა ძმა დეტროიტში, თავის მამულში გადაიყვანა, სადაც ის ახლა მუდმივად ცხოვრობს. ნეიტს რომ მისთვის საინტერესო საქმის კეთების ყველა შესაძლებლობა ჰქონდეს, რეპერმა მას საშინაო სტუდია მოუწყო.

„მისი მაგალითი მე შთამაგონებს, – ამბობს ნეიტი თავის გამოჩენილ ძმაზე, – ჩვენ ყოველთვის ძალიან ახლოს ვიყავით. ის მუდამ მეხმარება, როცა ეს მჭირდება. იცის, რომ მეც მიტაცებს მუსიკა და ამიტომაც მაჩუქა სტუდია“. ■

ფათერაკი რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზეა „ჩასაფრებული“, ეს ყველაზე მეტად ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობისას ვიგრძენი, თუ მოგზაურობას დავარქმევთ იმ უჩვეულო თავგადასავლებს, რომლებიც ამერიკაში ჩემს ორწლიან „ტურნეს“ სდევდა თან.

ღომის, საკვისა და წითელი ღვინის იმედზე... ამერიკაში!

წინამდებარე წერილი იხ. „გზა“ № 22

აკაკი გეგენავა

დამეთანხმებით, განერვიულებული ადამიანი, ნებსით თუ უნებლიეთ, ბევრ შეცდომას უშვებს. მეც ასე დამემართა, როდესაც ბუფალოდან კოლუმბუსამდე ტვირთი გადამქონდა ერთი ებრაელისთვის, რომელმაც ლამის წონასწორობიდან გამომიყვანა. გარდა იმისა, რომ ორთოდოქსი ებრაელობით თავი მოჰქონდა, ქართველებისა და საერთოდ, მართლმადიდებლების მიმართ აგრესიულად იყო განწყობილი. მისმა ამ განწყობამ მაიძულა, შუა გზაზე ჩამომესვა და მიმეტოვებინა. თუმცა, გულმა მაინც ვერ გამიძლო, უკან მივბრუნდი და ისევ მანქანაში ჩავისვი ტრასაზე საცოდავად მდგარი ისაკი. მაგრამ რად გინდა? ჩავდა თუ არა ტრაილერში, მაშინვე გაყოყოჩდა. ეტყობა, იფიქრა, აკაკის შეეშინდა და იმიტომ დაბრუნდა ჩემს წასაყვანადო.

„მაინც მოგხსნიან სამსახურიდან!..“

ერთი საათი ისე ვიარეთ, ისაკს ხმა არ ამოუღია. არც მე მეხატებოდა გულზე ჩემი იძულებითი თანამგზავრი და საჭეს ისე ვატრიალებდი, თითქოს გვერდით არავინ მეჯდა. ბოლოს, ეტყობა, ისაკმა თავმოყვარეობას სძლია და ჩუმი ხმით იკითხა:

— ეს ქართველები ყველანი ასეთი ფიცხები ხართ?

არ მიპასუხია. ვაგრძნობინე, რომ არად ვაგდებდი. ეტყობა, ამან მეტისმეტად შეულახა პატივმოყვარეობა და ახლა უკვე ხმამაღლა განაგრძო ლაპარაკი.

— რა მოგვიდა, ლაპარაკი დაგავიწყდა?

ხმა ისევ არ გამიცია.

— რომ იცოდე, ვისთან ერთად მგზავრობ, ასე არ მოიქცეოდი. რასაც შენ იწონი, ათი იმდენი ნაღდი ფული მიდევს სეიფში... საბანკო ანგარიშებზე აღარაფერს ვამბობ! — ეს თქვა და ჩემს რეაქციას დაელოდა. ვითომ არაფერი გამეგონოს, თვალს არ ვაშორებდი ტრასას. თუმცა, მისმა ტრაბახმა მაინც მიაღწია მიზანს და გამოვეპასუხე:

— მერე რა? გქონდეს, მე რა ხეირი?!

— მდიდრებს პატივს სცემენ, შენ კიდევ როგორ დამამცირე?! უკანასკნელი მათხოვარივით მომექეცი!..

— არ გელაყბა ზედმეტი და ხმასაც არავინ გაგცემდა!

— ასეთ ტონს შეჩვეული არა ვარ!.. — ლამის იყვირა ისაკმა. მას ისევ დაუბრუნდა ძველებური სიამაყის გრძნობა და მთელი ლექცია წამიკითხა იმაზე, თუ როგორ უნდა სცენ პატივი ღარიბებმა მდიდრებს (მე ღარიბების „რანგში“ გამიყვანა!). ლამის დასაბმელი გავხდი, ისე მექავებოდა ხელები...

ამასობაში, მოსაცდელიც გამოჩნდა. მანქანა დავაყენე, ძრავა გამოვრთე, მთელი ტანით შევბრუნდი ისაკისკენ და პირდაპირ მივახალე:

— ეი, შენ, ფულის ტომარავ! ან გაჩერდები და კოლუმბუსამდე ხმას აღარ ამოიღებ, ან არა და, ახლა მართლა ჩამოგსვამ მანქანიდან! გესმის?

ბოლო სიტყვაზე ისაკს ნირი წაუხდა. სავარძელში მოიკუნტა და გაისუსა. ვგრძნობდი, ერთი სული ჰქონდა, აფეთქებულიყო, მაგრამ ვერ ბედავდა. არადა, რამე რომ ეთქვა, თავს ნამდვილად ვეღარ შევიკავებდი. თანაც, აშკარა იყო, რომ ფიზიკურად მასზე ბევრად ძლიერი ვიყავი...

ნახევარ საათში მობილურზე კომპანიის ბოსმა, ედმონდმა დამირეკა. არც მომსალმებია, პირდაპირ საქმეზე გადავიდა. აშკარად ვიგრძენი, რომ საქმე მთლად რიგზე ვერ იყო.

— აკაკი, სად არის ტვირთის პატრონი?

— მანქანაში ზის...

— კიდევ კარგი, რომ მართლა გზაში არ მიატოვე, თორემ, ვერაფერი გიშველიდა. გადაეცი ყურმილი!

— თქვენ საიდან იცით, რომ გზაში მივატოვე?! — გაოცება ვერ დავფარე.

— მე ყველაფერი ვიცი! ყურმილი მიეცი, შენ მერე მოგელაპარაკები! — ცივად მომიჭრა.

ისაკსა და ჩემს ბოსს შორის საუბარი სულ ცოტა 15 წუთი გაგრძელდა. სამწუხაროდ, ვერაფერი გავიგე, ელემენტარული მიზეზის გამო — ისინი ივრითზე ლაპარაკობდნენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, დიდი მიხვედრა არ უნდოდა, რომ მე მლანძღავდნენ. იმასაც ვგრძნობდი, რომ კარგი არაფერი მელოდა. სხვა რა გზა მქონდა? ბედს უნდა შევგუებოდი...

გზა განვაგრძე. ისაკი ისე იჯდა, ვითომც აქ არაფერიო. ცნობისმოყვარეობამ მძლია და ვკითხე:

— ისაკ, ედმონდს შენ უთხარი, რომ მანქანიდან ჩამოგსვი?

— აბა, რა გეგონა? ვეტყოდი, ყურადღებით მომექცა-მეთქი?.. ჯერ სადა ხარ?! კაცი არ ვიყო, თუ შენ სამსახური არ დაგაკარგვინო! შენ ამერიკა საბავშვო ბაღი ხომ არ გგონია?!. — დაიქოქა ებრაელი. თუმცა, ბოლო სიტყვები აღარც გამიგონია. ფიქრებში ვიყავი წასული, ვსაზღვრავდი, თუ რა მელოდა...

სასწრაფოდ, ნიუ-იორკში!

როგორც იქნა, კოლუმბუსამდე ჩავედით. იქ, სადაც დანადგარები უნდა გადმოეტვირთათ, მუშები დაგვხვდნენ. კიდევ კარგი, საკმაოდ სწრაფად გადმოტვირთეს ჩარხები და ტრაილერი გამითავისუფლეს. ისაკი აღარც დამლაპარაკებია. თუმცა კი, რამდენჯერმე ნიშნის მოგებით გადმომხედა, თითქოს მეუბნებოდა — ნახავ, რასაც მიიღებო! ეზოდან ტრაილერი რომ გამოვიყვანე, ჩვეულებისამებრ გავიფიქრე — ახლა კოლუმბუსს დავათვალიერებ-მეთქი, — მაგრამ გამახსენდა, რომ ედმონდისთვის უნდა დამერეკა და გულიც კარგს არაფერს მიგრძნობდა.

— მისტერ ედმონდ, ტრაილერი უკვე თავისუფალია და ველოდები მორიგ დავალებას... — დავურეკე ბოსს.

— ტრაილერი ავტოსადგომზე დააყენე, აიღე საბუთები და ნიუ-იორკში ავტობუსით წამოდი. სასწრაფოდ გამოემგზავრე!

— მისტერ ედმონდ, შეკვეთები აღარ არის?

— შეკვეთები კი არა, სამსახურიდან გათავისუფლებ. ხელფასს გადაგიხდი და თავისუფალი ხარ!..

— კი, მაგრამ რა მოხდა?

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, ჩამოხვალ და აქ გაგარკვევ ყველაფერში. დროზე წამოდი! — მითხრა ბოლოს და ტელეფონი გამორთო.

რომ იტყვიან, შოკში ჩავვარდი. ისაკი თავის დანაპირებს ასრულებდა — სამსახურიდან მათავისუფლებდნენ...

ღომი, საცივი და წითელი ღვინო...

კოლუმბუსიდან ნიუ-იორკამდე მგზავრობას 20 საათი მოვანდომე. მიუხედავად იმისა, რომ გზა დამქანცველი იყო, დაღლა არ მიგრძნია. ანდა რა დამღლიდა, როდესაც მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, თუ რა ხდებოდა ჩემს თავს. რა თქმა უნდა, სამსახურის დაკარგვა არ მინდოდა. რომ გამახსენდებოდა, თუ რამდენი ვიწვალე სატვირთო მანქანაზე სამუშაოდ რომ მოვხვედრილიყავი, საშინლად მწყდებოდა გული. მაგრამ შეურაცხყოფილად უფრო ვგრძნობდი თავს. ვიღაც გაზულუქებული, ფულით გაყოყოჩებული ისაკის ამბიციების გამო, სამსახური უნდა დამეკარგა. თანაც, არაფრის გამო ვისჯებოდი... მთელი გზა ათასგვარი ვარიანტი მოვსინჯე (მე შენ გეტყვი და დრო არ მქონდა!). ხან რას ვფიქრობდი და ხან რას. ბოლოს, ტვინის ჭყლეტამ თავისი ქნა და გამოსავალიც ვიპოვე...

ნიუ-იორკში საღამოს ჩამოვედი. იმის მაგივრად, რომ შინ წავსულიყავი, რესტორან „Золотое кольцо“-სკენ ავიღე გეზი. მომხიბვლელი კისა, ჩემი ძველი კეთილი ნაცნობი, ამ რესტორნის მფლობელი და ჩემი ყოფილი შეფი, ჩვეულებისამებრ სიხარულით შემხვდა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაკავებული იყო, დრო ჩემთვის მაინც გამონახა. კაბინეტში შემიყვანა, ქერათმიან მიმტან გოგონას ვისკისა და ფორთოხლის წვენის მოტანა უბრძანა, გვერდით მომიჯდა და შინაურულად გამომკითხა, რას ვსაქმიანობდი. მიუხედავად ჩემი თავაზიანი პასუხებისა, კისა რის კისა იქნებოდა, რომ არ მიმხვდარიყო — რაღაც ძალიან მიჭირდა?!.



— აკაკი, შენ რაღაც გაწუხებს და რატომ არ მეუბნები?

— რა ვიცი, კისა, რამდენი ხანია არ მინახიხარ. ხომ იტყვი — აკაკის მხოლოდ მაშინ ვახსენდები, როცა ძალიან უჭირსო... — შორიდან მოვუარე მე. ბოლოს კი, კისამ მაინც შეძლო ჩემი ალაპარაკება და მეც გულახდილად ვუამბე ყველაფერი, რაც კოლუმბუსში გადამხდა და ისიც, რომ ახლა სამსახურის დატოვების საფრთხე მელოდა...

— ძალიან უცნაური კაცი ხარ, აკაკი, რა ყველა ფათერაკს შენ უნდა გადაეყარო?!. — თანამიგრძნო კისამ. მაგრამ იმავე წუთს დაამატა, რომ მზად იყო, კვლავ მხარში ამომდგომოდა. მაგრამ ამ შემთხვევაში, მართლა არ იცოდა, რას ვითხოვდი მისგან.

— შენ რომ შეფმზარეული გყავს, საშა, ჩემი მეგობარი, ხომ იცი?..

— როგორ არ ვიცი? შენ ხომ მას ქართული კერძების მომზადება ასწავლე...

— ჰოდა, ახლა, შენი ნებართვით, საშა უნდა დამეხმაროს, საცივი და ღომი უნდა მოვამზადებინო — ხვალისთვის მჭირდება...

— ვერ გავიგე... — გაუკვირდა კისას.

— ხომ გახსოვს, თბილისიდან რომ რეცეპტები გამომიგზავნეს და საცივი მოვამზადეთ?..

— როგორ არ მახსოვს? ისე, რომ იცოდე, რამდენჯერმე, ქართველი კლიენტები გვყავდა და სიურპრიზი მოვუწყვეთ, შენი რეცეპტით მომზადებული კერძებით...

— მით უკეთესი, საქმე უფრო იოლად ყოფილა.

— ასე ძალიან მოგენატრა ეროვნული კერძები?

— ჩემს მონატრებას ვინ დაეძებს? საცივი და ღომი ჩემს ბოსს უნდა მივართვა... გული უნდა მოვულბო!

— Ну ты даешь! Только грузин мог это придумать!..— გადაიკისკისა კისამ. — როგორ ფიქრობ, საცივით მოიგებ ბოსის გულს და თანაც, გგონია, რომ ის ებრაელს დაუპირისპირდება?! არ იცი, რომ ებრაელები ერთმანეთის საწინააღმდეგოს არაფერს გააკეთებენ?

— არა, რას ამბობ?! მე სულაც არ მინდა, ედმონდი და ისაკი ერთმანეთს გადავკიდო. უბრალოდ, არ მინდა, რომ სამსახურიდან გამიშვას.

— იქნებ, რამე სხვა მოგვეფიქრებინა...

— მე ამას ვცდი. თუ გამიმართლა, ხომ კარგი, თუ არა და, მოსახდენი მაინც მოხდება!.. — უფრო საკუთარ თავს ვუთხარი, ვიდრე კისას. ვისკით ლამის პირამდე ავავსე მოზრდილი ბოკალი, სულმოუთქმელად გადავკარი და კისას გავხედე. ის ჩვეული, შემპარავი ღიმილით წამოდგა და სამზარეულოსკენ გამიძღვა.

საშას ძალიან გაუხარდა ჩემი დანახვა. ლამის ხელში ამიტაცა, თან მსაყვედურობდა — სად დაიკარგეო?!

რესტორნის სამზარეულოში თითქმის არაფერი შეცვლილა. ძველებურად ელაგა სხვადასხვა ზომის ქვაბი და ტაფა, ზუსტად ისე, როგორც მაშინ, როცა მეც იქ ვმუშაობდი. მეხსიერებაში ამომოტივტივდა ის პირველი დღეები, როდესაც შტატებში ახალჩამოსულმა, იქ დავიწყე მუშაობა. რატომღაც თავი ისე წარმოვიდგინე, როგორც დიდი ხნის შემდეგ შინ დაბრუნებულმა, თანაც, ჩემ გარშემო სულ ახლობელი ადამიანები ტრიალებდნენ, მხოლოდ ორი ახალი ბიჭი მიეღოთ ჩემ შემდეგ...

ინდაურის საცივი იმ საღამოსვე მოვამზადეთ. ღომი კი, გადავწყვიტეთ, დილით გაგვეკეთებინა, რომ ცხლად მიმერთმია ბოსისთვის.

შინ გვიან ღამით მივედი. დიმა ბაზელს (ჩემს ქუთაისელ მეგობარს, რომელთან ერთადაც ბინა მქონდა დაქირავებული) გაუკვირდა ჩემი დანახვა. არ მელოდა, გამგზავრებისას ვუთხარი — ალბათ, რამდენიმე თვე ვერ მნახავ-მეთქი... როცა ყველაფერი ვუამბე, მასაც გადაედო შიში — სამსახურიდან რომ გამოგიშვან, რა გეშველებაო?! — და ჩემზე არანაკლები ინტერესით ელოდა ხვალინდელ დღეს.

ხვალ ჩემი ბედი წყდებოდა!

თავის გადარჩენის ახლებური „მეთოდი“

ჩემი გეგმა მარტივი იყო. ქართული კერძებით უნდა მომეხიბლა ბოსი და თავი გადამერჩინა. რატომ გადავწყვიტე ასე, ახლავე მოგახსენებთ.

კომპანია Allpoint Amerika-ს მფლობელი ედმონდი საქმიანი და მკაცრი კაცი იყო და მასთან ბევრს უჭირდა საერთო ენის გამონახვა. თანაც, ედმონდი იოლად არავის აპატიებდა მცირეოდენ შეცდომასაც კი. მაგრამ ერთი სისუსტეც ჰქონდა — გურმანი გახლდათ. ე.წ. „ლანჩთაიმის“ დროს მასთან ვერავინ ბედავდა ლაპარაკს...

კომპანიის ოფისში იმ დროს მივედი, როდესაც ნახევარი საათი იყო დარჩენილი „ლანჩთაიმამდე“. ადმინისტრაციაში მომუშავე გოგონებში, პოპულარობით

ვსარგებლობდი. ყოველი რეისის შემდეგ, როცა ოფისში შევიდოდი, გოგონებს ათასგვარი ნუგბარით და ორიგინალური სუვენირებით ვანებივრებდი. განსაკუთრებით შეფის პირად მდივანს, ვნებიან მულატ გოგონას ვათამამებდი. ლანა ჩემს დანახვაზე ლამის აცეკვდებოდა ხოლმე. იმ დღესაც, ჯერ გოგონებს ჩამოვურიგე ტკბილეული, მერე ლანას დავუგდე მაგიდაზე ძვირფასი შოკოლადების მთელი შეკვრა, შემდეგ კი ღიმილად ქცეულ, საოცრად სექსუალურ „მულატკას“ კომპლიმენტი ვუთხარი: ცოლიანი რომ არ ვიყო, შენს თავს არავის დავუთმობდი-მეთქი, – და „საქმეზე გადავედი“: საგანგებოდ შეფუთული საცივი, ღომი და შავი ღვინო გადავეცი – ეს ედმონდს ლანჩზე შეუტანე-მეთქი...

– ეს რა არის, ასეთი ცხელი?

– ოო, ლანა, ეს ის არის, რამაც უნდა გადამარჩინოს. ამიტომ, ახლა შენზე ბევრი რამ არის დამოკიდებული...

რა თქმა უნდა, ლანამ ვერაფერი გაიგო და გაოცებულმა ამომხედა.

– ლანა, ბოსი სადმე წასვლას ხომ არ აპირებს?

– არა მგონია. თანაც, მითხრა – აკაკის ველოდებიო...

– ჰოდა, დღეს უნდა მიშველო. ჩემი საქმე ცუდადაა, ბოსი ჩემს გაშვებას აპირებს, უნდა დამეხმარო!

– ვინ გითხრა? – აშკარად ეწყინა ლანას.

– ვიცი... ამიტომ, ახლა მჭირდება შენი დახმარება. ამ შეკვრაში ქართული კერძებია. შესვენებაზე შეუტანე, საუკეთესო ჭურჭელზე გაუწყვე. ღვინისთვისაც ყველაზე ლამაზი ბოკალი დაუდგი... მე თუ მიკითხა, შესვენების შემდეგ შევალ...

– ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც შენ გინდა. მაგრამ ის მაინც მითხარი, რა ხდება?

ლანას მოკლედ ავუხსენი, რაც მჭირდა. ისიც ვუთხარი, როგორ უნდა დაელაგებინა თეფშებზე ღომი და საცივი. თანაც, ცხელ ღომში ყველის მოზრდილი ნაჭრების ჩადებაც არ უნდა დავიწყებოდა... მერე კი, თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა, შენც დაგპატიჟებ ეროვნულ კერძებზე ერთ ცნობილ რესტორანში-მეთქი, – ვუთხარი (რა თქმა უნდა, „Золотое кольцо“ ვიგულისხმე).

ოფისიდან სასწრაფოდ გამოვედი და ქუჩაში უაზრო ხეტიალს მივყავი ხელი. მოგვიანებით, ბოსთან შეხვედრა მელოდა, რომელზეც ჩემი ხვალინდელი დღე იყო დამოკიდებული.

P.S. ამ შეხვედრის შესახებ „გზის“ 26-ე ნომერში შეიტყობთ. ■

გრანდიოზული კონცერტი „ლაგუნა ვერეზე“

10 ივნისს, 21 საათზე „ლაგუნა ვერეზე“ ნატო გელაშვილის ბოლო ალბომის – „მიყვარხარო ძალიან“ – პრეზენტაცია და გრანდიოზული კონცერტი იმართება. შესრულდება მისი ყველა ჰიტი, მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი მომღერლები: ლელა წურწუმია, გიო ხუციშვილი, დათო გომართელი, თემურ თათარაშვილი, თამუნა ამონაშვილი, მაია ჯაბუა, აგრეთვე მალალო ლორთქიფანიძე, უნივერსიტეტის კვარტეტი და ანსამბლი „ფესვები“. როგორც ნატომ აღნიშნა, ამ მასშტაბის კონცერტი არასოდეს გაუმართავს და ძალიან ელავს. საღამო სანახევროდ საქველმოქმედოა: მასზე ეპატიჟებიან მშობელთა ზრუნვას მოკლებულ ბავშვთა სამ სახლს, მოხუცებულთა თავშესაფარს და ჯარის ერთ-ერთ ნაწილს. შემოსული თანხის ნაწილს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის მშენებარე ეკლესიაშიც გადარიცხავენ. ■

პიკასო ჯვლავ სცენაზეა

ჯგუფის – „ქუჩის ბიჭები“ – ყოფილი წევრი ირაკლი ნოზაძე (პიკასო) ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, სცენას უბრუნდება და დიდი იმედი აქვს, რომ მაყურებელი ისეთივე სითბოთი და სიყვარულით მიიღებს, როგორითაც წლების წინ – „ქუჩის ბიჭობის“ დროს. ირაკლი ახლა სოლო კარიერას იწყებს. მან უკვე ჩაწერა რამდენიმე სიმღერა, ახლა კი კლიპსაც იღებს.

ეს იქნება უცხოური სიმღერა, რომელსაც პიკასო ახლებური ინტერპრეტაციით შემოგვთავაზებს. სიმღერის ქართული ტექსტის სახელწოდებაა – „მაპატიე შეცდომები“. ის პოეტმა ნანა ცინცაძემ და მომღერალმა ერთობლივად შექმნეს. კლიპს კი, ახალგაზრდა რეჟისორები – დაჩი დარჩია და ლევან (ბასა) სამხარაძე გადაიღებენ. როგორც დაჩიმ გაგვიმხილა, ეს საკმაოდ პესიმისტური, მაგრამ ლამაზი ვიდეორგოლი იქნება. ირაკლი და მისი შეყვარებული, რომლის როლსაც ნინო ზარქუა ასრულებს, დაშორდებიან და ერთმანეთისგან საჩუქრად მხოლოდ შავი კატა და „რიჟა“ ძაღლი დარჩებათ. თუ რა მოხდება შემდეგ – ამას კლიპიდან შეიტყობთ. ჩვენ კი ირაკლის შემოქმედებით წარმატებებსა და წინსვლას ვუსურვებთ. ■

„ჩემი ცხოვრების გაზაფხული“ „მეტეხში“

სასტუმრო „შერატონ-მეტეხი პალასში“ ახალგაზრდა დიზაინერის ნანა მელქაძის ჩვენება, სახელწოდებით – „ჩემი ცხოვრების გაზაფხული“ – გაიმართა. კოსტიუმები, რომელთა დიდ ნაწილს საღამოს კაბები წარმოადგენდა, სამოდელო სააგენტო VIP-ის მოდელებმა წარმოადგინეს. კოლექციაში გამოყენებული იყო კოტონი, ტილო, ორგანზა და აბრეშუმი. დიზაინერი უპირატესობას „პრეტ-ა-პორტეს“ ანიჭებს, რადგან როგორც თვითონ აღნიშნა, მოდის ეს მიმართულება ნაკლებად პრეტენზიულია, ამასთანავე, იგი სხვადასხვა გემოვნებისა და ასაკის მომხმარებლისთვისაა განკუთვნილი.

ჩვენების შემდეგ, ქართველი და უცხოელი მაყურებლებისთვის ახალგაზრდა მომღერლებმა – ქეთი გომართელმა და ანი ცხადაძემ იმღერეს, საღამო კი თანამედროვე და სამეჯლისო ცეკვების ბათუმის სტუდიის – „ახალი ვარსკვლავების“ გამოსვლით დაიხურა, რის შემდეგაც დისკოთეკა გაიმართა. აქვე დავძენთ, რომ ანა მელქაძეს აგვისტოში, ბათუმში საცურაო კოსტიუმების ჩვენება აქვს დაგეგმილი. ■

ჟურნალი კომპოზიტორები საავტორო უფლებების დაცვას იცავენ

სულ ერთი თვეა, რაც „საქართველოს პოპულარული სიმღერების ავტორთა გაერთიანება“ შეიქმნა, რომლის პრეზიდენტიც კომპოზიტორი გია მაჭარაშვილია. რამდენიმე დღის წინ გაიმართა პრესკონფერენცია, სადაც ბატონმა გიამ და ამ კავშირის სხვა დამფუძნებლებმა (კომპოზიტორებმა: ნუგზარ ერგემლიძემ, ნოდარ ნიკოლაიშვილმა, მიხეილ ზაქარიაშვილმა...) მათ მომავალ მიზნებსა და ამოცანებზე ისაუბრეს. პრესკონფერენციის შემდეგ კი შევეცადეთ, ბატონი გიასგან ამ გაერთიანების შესახებ მეტი ინფორმაცია მიგველო.

— როგორ გაჩნდა ამ კავშირის ჩამოყალიბების იდეა და სათავეში მაინცდამაინც თქვენ რატომ ჩაუდექით?

— იდეა იმ რეალობამ გვიკარნახა, რომლის წინაშეც ბოლო 5 წელია ვდგავართ: დღეს, მსმენელის ყურადღების ცენტრში მომღერლები მოექცნენ და სიმღერის ტექსტისა და მუსიკის ავტორებმა რატომღაც, უკანა პლანზე გადაინაცვლეს. რაც დრო გადის, მათი გვარების ხსენება უფრო და უფრო იშვიათად ხდება. თუნდაც ეს ფაქტი, კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ აუცილებელია ჩვენი უფლებების დაცვა. ნუთუ, ასეთი რთულია, რომ მომღერალმა, რომელიც პოპულარული სწორედ ამა თუ იმ კომპოზიტორის მიერ დაწერილი სიმღერით გახდა, ამ სიმღერის ტექსტისა და მუსიკის ავტორს გარკვეული თანხა გადაუხადოს? ეს კანონი ხომ მთელ მსოფლიოში არსებობს?! თუკი სხვებს ჩაცმულობასა და ტრადიციებში ვბაძავთ, ხომ შეიძლება, ესეც ვისწავლოთ მათგან?.. ჩვენში ეს კანონი 1999 წლიდან არის ძალაში შესული, მაგრამ რად გინდა?! მომღერალი, სიმღერაში „ერთჯერად“ თანხას რომ გადაგვიხდის, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მას ჩვენი საავტორო უფლებები ვაჩუქეთ?! ის ამ სიმღერით მილიონებს შოულობს, ჩვენ კი არაფერი გვხვდება... არსებობს „საქართველოს ავტორებისა და შემსრულებლების უფლებების დაცვის ორგანიზაცია“, მაგრამ მან ვერ შეძლო ჩვენი საავტორო უფლებების დაცვა. ამიტომ გამოვედით ამ ორგანიზაციიდან და ცალკე კავშირი ჩამოვაყალიბეთ, რომელიც კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით იმოქმედებს. რაც შეეხება ჩემს პრეზიდენტობას — სიმართლე გითხრათ, ყველა დამფუძნებელმა რატომღაც მე „დამადო ხელი“. თავიდან ვიუარე, მაგრამ მერე მაინც დამითანხმეს. პრეზიდენტი მქვია, თორემ, გაერთიანებაში გაწევრებულ ყველა კომპოზიტორს აბსოლუტურად თანასწორი უფლებები გვაქვს.

— ეი. თქვენ ითხოვთ, რომ რამდენჯერაც მომღერალი თქვენს სიმღერას შეასრულებს, იმდენჯერ ჰონორარი გადაგიხადოთ?

— რა თქმა უნდა. ეს სირცხვილი სულაც არ არის. მომღერალი ხომ ამით, კომერციას ეწევა და მხოლოდ მან რატომ უნდა ნახოს მოგება?! ჩვენც ხომ გვყავს ოჯახები შესანახი?!. ტელევიზიებისა და რადიოარხების ხელმძღვანელებს მოველაპარაკებით, რომ დაფიქსირონ, თუ ვისი სიმღერა რამდენჯერ გავა ეთერში და ამის მიხედვით მოვითხოვთ გარკვეულ ჰონორარს. იგივე მოხდება, თუ ისინი სადმე კონცერტს გამართავენ. ჩვენს საავტორო უფლებებს აუცილებლად დავიცავთ.

— პრესკონფერენციაზე ნუგზარ ერგემლიძემ დღეს გარემიქსებულ სიმღერებთან დაკავშირებითაც გამოთქვა პრეტენზია. თქვენს წესდებაში ეს საკითხიც ხომ არაა დაფიქსირებული?

— არა. ამით ნუგზარი ერთ-ერთ საჭირბოროტო საკითხს შეეხო, რომელიც ნებისმიერი ავტორისთვის მტკივნეულია. 12-15 წლის ახალგაზრდას გემოვნებას ვერ მოჰკითხავ. მაგრამ როცა ადამიანი პიროვნებად ჩამოყალიბდება, მერე გემოვნება ეცვლება. ამიტომ არ შეიძლება, ყველაფერს ტინეიჯერების გონებით და ტვინით მივუდგეთ. რაც დღეს ინტენსიურად ტრიალებს, მხოლოდ ეს არაა ჩვენი ესტრადა. ეს სიმღერები ხომ ორ და ოთხტაქტიანი მუსიკაა — როგორ შეიძლება, რომ ასეთი მარტივი პროდუქცია კარგი იყოს?! ეს ყველაფერი მხოლოდ დისკოთეკებზე უნდა ჟღერდეს. ჩვენი ტინეიჯერების გემოვნება უკვე შელახულია. ამას ნუგზარი გულისტკივილით შეეხო, თორემ, ჩვენი ძირითადი მიზანი, საესტრადო მუსიკის ავტორების უფლებების დაცვაა.

— დასახელებულთა გარდა, კიდევ რომელი კომპოზიტორები არიან ამ კავშირში გაწევრებული?

— სრულყოფილი სია ალბათ, რამდენიმე დღეში გვექნება. ჩვენთან იქნება 50-მდე ავტორი. „საქართველოს ავტორებისა და შემსრულებლების უფლებების დაცვის ორგანიზაციიდან“ შემოგვიერთდნენ სხვა კომპოზიტორებიც, რომლებიც ჩვენს აზრს იზიარებენ. ვნახოთ, რა იქნება. დიდი სურვილი გვაქვს, რომ გეგმები განვახორციელოთ. ■

მოამზადა ნათია ქინიძემ

ინფორმაცია, ანალიზი, პროგნოზი, რჩევები...

ნოემერშია:

პოპულარული ქართველი მომღერლის გია ავაგუმაშვილის (ანსამბლი „ოთხი გია“) და — საქვეყნოდ აღიარებული პარაფსიქოლოგი დალი ავაგუმაშვილი უამრავ გაჭირვებულ ადამიანს მოევლინა მხსნელად. სუხიშვილების ყოფილმა მოცეკვავემ, პროფესიით ექიმმა, ღვთის ნებით ყველაფერი მიატოვა და ახალი ცხოვრება დაიწყო. მისი ლოცვის ძალა სასწაულებს ახდენს. როცა არ უნდა მიხვიდეთ, ქალბატონი დალის მოსაცდელში ყოველთვის იმდენი ხალხია, რომ იტყვიან, ნემსიც არ ჩავარდება. საიდან აღარ ჩამოდიან პაციენტები, რომლებიც მასზე ლეგენდებს ჰყვებიან?!

სპირიტული სეანსის დროს

გაბოროტებულმა თვითმკვლელის სულმა ერთი ახალგაზრდის სიცოცხლე უკვე იმსხვერპლა

ნანა სისაური

— მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა ინტერვიუში ხაზგასმით აღვნიშნავ მკითხაობის შესახებ, მაინც მრეკავენ მარჩიელობის მსურველები. არ ვიცი, რატომ ვერ ივჯერებენ, რომ არც მკითხავი ვარ და არც ნათელმხილველი. დედა ეკლესია, ჩვენი ქრისტიანული მრწამსი, არაღვთიურ საქმედ მიიჩნევს მარჩიელობასა და მკითხავებში სიარულს... ამას წინათ, ნათესავებმა ხელით მოიყვანეს ახალგაზრდა ქალი, რომელიც თავის ქმარზე ეჭვიანობდა. ეგონა, რომ მეუღლე უახლოეს დაქალთან ღალატობდა.

— ეჭვიანობის გამო გახდა ცუდად?

— არა, მკითხავმა ჩააგდო ლოგინად ჯანმრთელი ქალი.

— როგორ მოახერხა?

— ეჭვიანობით დაბრმავებულმა ცოლმა გადაწყვიტა, მკითხავთან წასვლა, რათა მისგან შეეტყო სიმართლე. აინტერესებდა, მართლა ღალატობდა თუ არა მეუღლე. მარჩიელმა უთხრა, შენს ქმარს საყვარელი ჰყავს, რომელმაც სასიკვდილო ჯადო გაგიკეთაო. საბრალომ დაიჯერა მისი ნათქვამი და ნერვიულობისგან 7 დღეში 15 კილო დაიკლო, ისე დასუსტდა, ფეხზე ვეღარ დგებოდა, ლოგინად იყო ჩავარდნილი. საბედნიეროდ, ამ ქალის ახლო ნათესავებიდან ერთ-ერთი ჩემი ყოფილი პაციენტი აღმოჩნდა და მომიყვანა — შეამოწმე, მართლა აქვს სასიკვდილო ჯადო გაკეთებული თუ არაო.

— როგორ ადგენთ ადამიანის ბიოველზე ნეგატიური ზემოქმედების კვალს?

— ენერგეტიკულად!.. ჯადოიანის გვერდით ერთ წუთსაც ვერ ვჩერდები, ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს, ასე რომ, ჩემი დიაგნოზი უტყუარია... ოჯახი დანგრევის პირას იყო მისული, მკითხავის მიერ შეშინებული ქალი კინაღამ მართლა მოკვდა ნერვიულობით.

— მართლა ჰქონდა ჯადო გაკეთებული?

— არა, მკითხავმა მოატყუა. დავამშვიდე, დავაწყნარე, შევულოცე და თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემგან თავისი ფეხით წავიდა, ნათესავების დახმარება აღარ დასჭირვებია... უარესს გეტყვით. დედამ მომიყვანა 18 წლის ქალიშვილი, რომელსაც ფსიქიკა სერიოზულად შეერყა სპირიტული სეანსის შემდეგ. ჩემმა პაციენტმა და მისმა სამმა მეგობარმა თეფში დაატრიალეს სამკითხაოდ და გამოიძახეს ახალგაზრდის სული, რომელმაც 19 წლის ასაკში ჩამოიხრჩო თავი. ოთხივენი იცნობდნენ გარდაცვლილს. სპირიტული სეანსის ჩატარებიდან გარკვეული დროის შემდეგ, ჩემს პაციენტსა და მის ერთ დაქალს თვითმკვლელის სული გამოეცხადათ და კრუნჩხვებში ჩაცვივდნენ. გოგონები ცხადად ხედავდნენ მიცვალებულს, რომელიც მათ ეძახდა, თავისკენ უხმობდა.

— როგორ გამოვიდნენ მდგომარეობიდან?

— ამხანაგებმა გოგონები მაშინვე ტაქსიში ჩასვეს და ეკლესიაში წაიყვანეს. ბავშვები გზაში ძალიან ცუდად იყვნენ, მაგრამ როგორც კი მეგობრებმა ტაძარში შეიყვანეს, გამოვიდნენ მდგომარეობიდან და კარგად გახდნენ. ამ ამბის შემდეგ, გოგონებს ფსიქიკა სერიოზულად შეერყათ. ამას დაემატა სპირიტული სეანსის ერთ-ერთი მონაწილის სიკვდილი, უფრო სწორად — თვითმკვლელობა. ბიჭი, რომელმაც გამოძახებულ სულს უთხრა — შენნაირი ლაჩარი არა ვარ, თავი რომ ჩამოვიხრჩოო, — 19 წლის გახდა თუ არა, მეზობელ სადარბაზოში თოკზე ჩამოეკიდა. თვითმკვლელის სულმა სპირიტული სეანსის ერთი მონაწილის სიცოცხლე უკვე იმსხვერპლა, დანარჩენებს ეშინიათ, რომ 19 წელს ვერც ისინი გადაბიჯებენ, სული უთუოდ შურს იძიებს და გარდაცვლილი მეგობრის ბედს გაიზიარებენ... აი, რა შეიძლება მოჰყვეს მკითხაობას!

— ამ ბოლო დროს ქალაქში გავრცელებული, ახალი ტიპის სასიყვარულო ჯადოების შესახებ რას გვეტყვით?

— საკმაოდ შეძლებული ოჯახების მქონე თბილისელებმა მომიყვანეს თავიანთი ქალიშვილები... სასიყვარულო ჯადო ანუ ნივთიერება, რომლის შემადგენლობაშიც შენელებული მოქმედების საწამლავიც შედის, იყრება საჭმელში ან სასმელში და ადამიანს დროებით აკარგვინებს ლოგიკური აზროვნებისა და ობიექტური განსჯის უნარს, რის გამოც იოლად ექცევა სხვისი ზეგავლენის ქვეშ. მდიდარი საცოლეების გამოსაჭერად უფულო ახალგაზრდები თავიანთ რჩეულებს პატიჟებენ რესტორნებში ან ბარებში და საკვებში უყრიან სასიყვარულო ჯადოს, რომლის ზემოქმედებითაც გოგონები კარგავენ რეალობის შეგრძნებას, ეწინააღმდეგებიან მშობლებს და მათთვის სრულიად შეუფერებელ პარტნიორებზე თხოვდებიან. მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ, როცა ჯადო ძალას კარგავს, გონს მოდიან და ნანობენ თავიანთ საქციელს.

— თქვენს მოსაცდელში უამრავი, დეპრესიაში ჩავარდნილი ადამიანი ელოდება თავის რიგს. რატომ გაიზარდა მათი რიცხვი?

— ერთმანეთის უბედურებისა და გაჭირვების გარდა, ხალხს აღარაფერი ესმის. უარყოფითი ინფორმაცია, ნეგატიური ემოციები, სტრესული მდგომარეობა საგრძნობლად აბინძურებს ადამიანის აურას და როცა პიკს აღწევს, სახეზეა დეპრესიის სიმპტომები, რომლის მიზეზიც ენერგეტიკულია და არა ორგანული, ამიტომაც არ იკურნება ქიმიური პრეპარატებით. დაბინძურებულ აურას მხოლოდ ლოცვები ასუფთავებს, ამ შემთხვევაში კლასიკური მედიცინა უძლურია... ამას წინათ ჩემს ძმას, გიას ქუჩაში შემთხვევით შეხვედრია თავისი ძმაკაცის დედა, რომლისთვისაც უკითხავს — სად დაიკარგა თქვენი შვილი? რატომ აღარ ჩანსო?.. სხვათა შორის, ისიც მომღერალია. ქალს თვალები ცრემლით ავსებია, — არ ვიცი, რა დაემართა, სახლიდან გარეთ გასვლა არ უნდა, ადამიანებთან კონტაქტი აღიზიანებს, ძირითადად თავის ოთახშია ჩაკეტილი, მუსიკასაც კი აღარ უსმენს, სიმღერას

თავი დაანება, გადარია ცოლ-შვილი, ჩემი რძალი ბავშვებიანად დედამისთან გაიქცა; თუ ასე გაგრძელდება, ოჯახი დაენგრევაო. გიას დაუმშვიდებია – დალის დაურეკეთ და ყველაფერი რიგზე იქნებაო. მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ, ტელეფონით შემეხმიანა – დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, როგორც იქნა, თქვენთან მოსვლაზე დავითანხმე და გემუდარებით, ურიგოდ შეიყვანეთ, თორემ, მისაღებში იმდენ ხალხს რომ დაინახავს, არ დაიცდის და ყველაფერი წყალში ჩამეყრებაო. რა თქმა უნდა, მოვიდა თუ არა, მაშინვე მივიღე. შვიდი ლოცვის შემდეგ, სხვა ადამიანად იქცა. თვითმკვლელობამდე მისული კაცი, დეპრესიიდან გამოვიდა და სიცოცხლის ხალისი დაუბრუნდა. ადამიანის აურა დღეს ისეა დასუსტებული და დაბინძურებული, რომ ენერგეტიკულად დაუცველი რჩება, რის გამოც მის სხეულს იოლად იპყრობს ავსული. სწორედ ამ მიზეზით გაიზარდა შეპყრობილთა რიცხვიც... ორი თვის წინ მომიყვანეს ახალგაზრდა ქალი, რომელიც სრულიად უმიზეზოდ, ტიკივით იბერებოდა, მუცელი 1-2 წუთში ორსულივით ეზრდებოდა და ხან აბოყინებდა, ხანაც გაზებისგან იცლებოდა. გარდა ამისა, უჩვეულოდ აგზნებული, საშინლად იგინებოდა, ისეთ უწმაწურ სიტყვებს ისროდა უნებლიეთ, რომ მერე, გონს მოსული, ცხარე ცრემლით ტიროდა.

— **ექიმს თუ გაასინჯეს?**

– დიახ, მაგრამ მუცლის ღრუში დიდი რაოდენობით გაზების დაგროვების მიზეზი, ორგანული დარღვევა არ აღმოჩნდა, ქალი სრულიად ჯანმრთელი იყო. პერიოდულად მის სხეულს ავსული ეპატრონებოდა და აწვალებდა.

— **ახლა როგორ არის?**

– უწმინდური ლოცვებს ვერ უძლებს, როგორც კი ერთი კურსი დავამთავრეთ, ისევ იქ წავიდა, საიდანაც მოვიდა. ისეთი ბედნიერი და გახარებული იყო საბრალო ქალი, რომ ფეხებში ჩამივარდა, ხელებს მიკოცნიდა, ძლივს წამოვაყენე... სხვათა შორის, დაბინძურებული აურის გასუფთავების შემდეგ, ადამიანს შეუძლია, თამამად წამოიწყოს ნებისმიერი ახალი საქმე ან საზღვარგარეთ წავიდეს, რადგანაც წარმატების იმედით, შელოცვის დროს ბიოველი დადებითი ენერგიით იმუხტება, ძლიერდება და სასურველი შედეგიც არ აყოვნებს. შესანიშნავ ეფექტს იძლევა ბავშვების შელოცვა გარდამავალ ასაკში. მოზარდების უმეტესობა აუწყობელი მუსიკალური ინსტრუმენტივითაა აშლილი, რადგანაც რწმენაში გაუძლიერებელ სულს უწმინდური განსაკუთრებული გულმოდგინებით ებრძვის. მისი მიზანია, ერთადერთ ჭეშმარიტ გზას აცდინოს ბავშვი და გადაიბიროს. გარდამავალ ასაკში მოზარდი არჩევანის წინაშე დგება – ღმერთი თუ ეშმა. სწორედ ამ დროს უნდა გავაძლიეროთ ბავშვი ლოცვებით, რათა უფლის გზას დაადგეს და ცხოვრებაში ხელი მოემართოს.

— **რატომ ჭირს შეპყრობილისა და სულიერად დაავადებულის ერთმანეთისგან გარჩევა?**

– გიჟსაც და შეპყრობილსაც ერთნაირი სიმპტომები აღენიშნებათ, კერძოდ – ვიზუალური და სმენითი ჰალუცინაციები, მათ საუბარში ლოგიკა არ არის. მაგრამ შეპყრობილი, უწმინდურ ძალთა ზემოქმედებით, მართლა ხედავს და ესმის, ხოლო სულით ავადმყოფს ეჩვენება – ჰალუცინაციები მისი ავადმყოფი ტვინის წარმოსახვის შედეგია. ცუდია, როცა საბედისწერო გაუგებრობის გამო, შეპყრობილი ფსიქიატრიულ კლინიკაში ხვდება, რადგანაც სხეულიდან ავსულის განდევნა ქიმიური პრეპარატებით შეუძლებელია, სამწუხაროდ, პაციენტის მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება ხოლმე. შიზოფრენიას ლოცვა ვერ შველის, ხოლო შეპყრობილს – ექიმი და წამალი.

— **შელოცვით ოჯახური პრობლემებიც გვარდება?**

– არაჩვეულებრივი შედეგები დაფიქსირდა მუშაობის პროცესში. საკმარისია, ოჯახის თუნდაც ერთ წევრს აღმოაჩნდეს მაქსიმალურად დაბინძურებული აურა, რომ ტალახიანი ღორივით, დანარჩენებიც გასვაროს და უდანაშაულო ადამიანების ცხოვრება ჯოჯოხეთად აქციოს. როცა ბიოველის დაბინძურება პიკს აღწევს, ადამიანი თავად იწყებს უარყოფითი მუხტის გამოსხივებას, რათა დაიცალოს ნეგატიური ენერგიისგან – ერთი სიტყვით, ავტომატურად იწყებს განმუხტვას და ამ პროცესში, ოჯახის წევრების გარდა, საცხოვრებელ სივრცესა და ბინაზეც ახდენს უარყოფით ზემოქმედებას. დაბინძურებული აურის მქონე პიროვნება მუდმივად გაღიზიანებულია და სისტემატურად ეძებს ჩხუბის მიზეზს, ნებისმიერი წვრილმანი მისთვის აყალმაყალის საბაბს წარმოადგენს, რადგანაც სწორედ ამ დროს ხდება მისი ავტომატური განმუხტვა. უარყოფითი ენერგია ოჯახის დანარჩენ წევრებისა და ბინის აურაზეც გადადის, რის გამოც ხშირად, საცხოვრებელი ფართის გასუფთავებაც აუცილებელი ხდება. სხვაგვარად, ოჯახური პრობლემა დროებით მოგვარდება და ნაკლებეფექტური იქნება.

— **ჯადოს დამკვეთი უფრო მეტად ისჯება თუ მჩხიბავი?**

– ცოდვას ჯადოს დამკვეთი იღებს, მჩხიბავი, რომელსაც სული ეშმაკისთვის აქვს მიყიდული, იარაღია მის ხელში. როცა ვინმეს მოკვლა გსურთ, მაგრამ თავად არ გსიამოვნებთ მის სისხლში ხელის გასვრა, ფულს უხდით დაქირავებულ მკვლელს და შეკვეთას აძლევთ... ერთი სიტყვით, მჩხიბავი კილერის როლშია, ასე რომ, ვინც ერთხელ მაინც წაიწყმიდა სული და მერკანტილური მიზნის მისაღწევად, სხვას ჯადო გაუკეთა, აუცილებლად უნდა მოვიდეს ჩემთან გამოსალოცად, რადგანაც ჩადენილი ცოდვის გამო, მისი შთამომავლები აგებენ პასუხს უფლის წინაშე და უდანაშაულო ადამიანები უსამართლოდ დაიტანჯებიან.

— **მოუხსნელი ჯადო ოჯახის სხვა წევრებზეც გადადის?**

– დროთა განმავლობაში, უარყოფითი პროგრამა, რომელიც მჩხიბავმა ხელოვნურად შეიყვანა მსხვერპლის ბიოველში, ოჯახის დანარჩენი წევრების აურაზეც გადადის. ერთი სიტყვით, ჯადო ვირუსივით გადადდება, ამიტომ თუ შინ შემთხვევით აღმოაჩენთ, აუცილებლად მიუტანეთ სპეციალისტს, რათა გაანეიტრალოს მისი ზემოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში, საფრთხე ოჯახის სხვა წევრებსაც დაემუქრება. ჯადოს მასალის დაწვა, მიწაში ჩამარხვა ან გამდინარე წყლისთვის გატანება, გამოსავალი არ არის. განადგურების შემთხვევაში, სპეციალისტს გაუჭირდება ჯადოს ტიპის დადგენა და სრულყოფილ დახმარებას ვერარ აღმოგიჩენთ.

— **რატომ?**

– ჯადოს ზემოქმედების გასანეიტრალებლად აუცილებელია, რომ სპეციალისტმა იცოდეს, რასთან აქვს საქმე. მან უნდა იმუშაოს იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის ჯადოა გაკეთებული. ქიმიური ზემოქმედება სხვანაირად იხსნება, მენტალური შელოცვის გარეშე არ განეიტრალდება და ა.შ. მოკლედ, ნაპოვნი ჯადო ჯერ სპეციალისტს აჩვენეთ, მისი განადგურება მოხსნას არ ნიშნავს. ამიტომ გირჩევთ, დროულად და სწორად იმოქმედოთ, რათა საქმე არ გაირთულოთ.

— **მოუხსნელი ჯადო შთამომავლობაზე გადადის?**

– უარყოფითი პროგრამა დროთა განმავლობაში მშობლების აურიდან შვილების აურაზე გადადის და ა.შ. ერთი სიტყვით, მოუხსნელმა ჯადომ შესაძლოა, თაობებს დაუმახინჯოს ცხოვრება. სამწუხაროდ, უარყოფითი პროგრამა თავისით არ გაქრება. თუ მისი ზემოქმედების უნარი დროულად არ განეიტრალდა, ბევრს გაუმწარებს ცხოვრებას. გარდა ამისა, 15-20 წლის მოუხსნელი, ძველი ჯადო იწვევს ავესტიკურ ანუ ენერგეტიკულ დაავადებებს, რომელთა განკურნებაც ქიმიური პრეპარატებით შეუძლებელია. ექიმები ვერც კი ადგენენ ხოლმე პაციენტის ჩივილების მიზეზს, ასე რომ, გირჩევთ, დროულად მიმართოთ სპეციალისტს.

P.S. გაითვალისწინეთ, რომ ქალბატონი დალი არავის იღებს წინასწარი ჩაწერის გარეშე. თუ სიაში მოხვედრა გსურთ, დარეკეთ ყოველდღე 9-დან 16 საათამდე, კვირის გარდა.

საკონტაქტო ტელეფონებია: 96.79.00, 8(99) 10.73.06.

R

ამერიკელი ანთროპოლოგის, ჰელინ ფიშერის აზრით, ქალს უფრო მეტი ძალა აქვს, ვიდრე სილამაზე. თავის წიგნში — „ქალის ბუნებრივი ნიჭი და მსოფლიოს შეცვლის უნარი“ ავტორი ასაბუთებს, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლები ამ საუკუნეში „ფრთებს გაშლიან“ მასმედიის, მედიცინისა და განათლების სფეროში. ფიშერი ხაზს უსვამს ქალის ყველა იმ შესაძლებლობას, რომელთა მაქსიმალურად გამოვლენის შემთხვევაში, სუსტი სქესის წარმომადგენლები უკან ჩამოიტოვებენ მამაკაცებს.

რით სჯობს ქალი მამაკაცს?

1. ქალი უფრო ხელმარჯვეა, ვიდრე მამაკაცი

არავინ დაობს იმის შესახებ, რომ ქალები ხელმარჯვეობით გამოირჩევიან და ადვილად მანიპულირებენ თვით ყველაზე პატარა საგნებითაც კი. ამ უნარს ქალის ორგანიზმში ესტროგენის ჰორმონის სიჭარბე განაპირობებს. ანტიკური პერიოდის ქალები, დროის უმეტეს ნაწილს კენკროვანი ხილის შეგროვებაში ატარებდნენ. ხელმარჯვეობა როგორც ბუნებრივი, ასევე ისტორიულად შეძენილი თვისებაა და საკმაოდ შვენის ქალს.

2. ქალებს უკეთესი სმენა აქვთ

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ქალებს მამაკაცებთან შედარებით, გაცილებით უკეთესი სმენა აქვთ. გარდა ამისა, ქალები თურმე ექვსჯერ მეტად მუსიკალურები არიან, ვიდრე საპირისპირო სქესის წარმომადგენლები.

3. ქალი უკეთ ცეკვავს, ვიდრე მამაკაცი

ამის მიზეზი ის არის, რომ ქალებს გაცილებით კარგი კოორდინაციის უნარი აქვთ, ვიდრე მამაკაცებს.

4. ქალი არ დაიმშევა

ქალის ორგანიზმი ბუნებრივად მდიდარია რეზერვებით, რომელიც მას სხეულის გამოშრობისა და ავიტამინოზისგან იცავს. რა თქმა უნდა, ამას უარყოფითი მხარეც აქვს. ზედმეტი კვების შემთხვევაში ქალი გაცილებით იოლად და სწრაფად იმატებს წონაში.

5. ქალი უფრო დაკვირვებული და ყურადღებიანია

ფიშერის აზრით, ქალებს დეტალების დამახსოვრების გამორჩეული უნარი აქვთ. ამას პოლიციელებიც ადასტურებენ. პოლიციის თანამშრომლებმა მოწმეებთან ურთიერთობის გამოცდილებიდან ერთი საინტერესო რამ დაასკვნეს: ქალები საოცარი სიზუსტით იმახსოვრებენ ისეთ დეტალებს, როგორიც არის თმის ფერი, ჩაცმულობა, წონა და სიმაღლე.

6. ქალი სექსში უფრო სტაბილურია, ვიდრე მამაკაცი

ცნობილია, რომ მაშინ, როდესაც მამაკაცი თავისი სექსუალურობის პიკს 20 წლის ასაკში აღწევს, ქალი ამ მხრივ წინსვლას 30-35 წლამდე აგრძელებს. მამაკაცის სექსუალურობა ზიგზაგივით იცვლება, ქალი კი სტაბილური პარტნიორია.

7. ქალებს ნაკლები უბედური შემთხვევა მოსდით

მამაკაცები სამჯერ უფრო ხშირად იღუპებიან უბედური შემთხვევის შედეგად, ვიდრე ქალები. გამოკვლევებისას აღმოჩნდა, რომ ბიჭები უფრო რისკიან და სახიფათო სპორტსა და საქმიანობას ირჩევენ. ტესტოსტერონის მომატებული გამომუშავების შედეგად იზრდება ძლიერი სქესის აგრესიულობა. მათგან განსხვავებით ქალებს გამძაფრებული აქვთ თავდაცვის ინსტინქტი.

ქალს გველი ნაკლებად ერჩის

ეს ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ მამაკაცებს უფრო მეტად იზიდავთ ისეთი საქმიანობა, როგორიც არის ალპინიზმი, ლაშქრობები ისეთ ადგილებში, სადაც გველები უფრო ხშირად გვხვდება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მამაკაცს ალკოჰოლიც აქვს მიღებული, გველი სხვა მიმართულებით არ წავა.

ქალებს უკეთესი ორიენტაციის უნარი აქვთ

აბა, სცადეთ და სთხოვეთ თქვენს მეგობარ ბიჭს, დახუჭოს თვალები და ისე გაჩვენოთ, სით არის ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი. არ გაგიკვირდეთ, თუ იგი უშეცდომოდ გიპასუხებთ. მაგრამ თუ ორნი სადმე დაიკარგებით, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, რომ თქვენ იქნებით ის, ვინც შინისკენ გზას გააგნებს. ექსპერტები ამბობენ, რომ ქალს ისტორიულად მოსდევს ადგილის დამახსოვრების უნარი. ეს იმ დროიდან მოდის, როცა ქალები საკვებს სხვადასხვა სეზონზე ერთსა და იმავე ადგილებში აგროვებდნენ.

ქალები უკეთესი ფინანსური მენეჯერები არიან

საზღვარგარეთ ის საინიციატივო ჯგუფები, რომლებსაც ქალები ხელმძღვანელობენ, წელიწადში საშუალოდ 21,3% მოგებას იღებენ. მაშინ, როდესაც მამაკაცები დროის იმავე მონაკვეთში მოგების მხოლოდ 15%-ს აღწევენ. აღმოჩნდა, რომ ქალები უფრო ფრთხილობენ გარიგებების დროს. მამაკაცები ხშირად მიდიან უაზრო რისკზე. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ქალებს ერთი საინტერესო თვისებაც ახასიათებთ. ისინი საგულდაგულოდ აგროვებენ ინფორმაციას მანამ, სანამ ბიზნესში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებენ. გარდა ამისა, ქალები უფრო მეტად ცდილობენ ბიზნესპარტნიორებთან, კონსულტანტებთან და თანამშრომლებთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნონ, რაც საქმეში წაადგებათ კიდეც.

ქალები უფრო ვერბალურები არიან

საგანგებო ტესტებმა ცხადყო, რომ მეტყველების უნარითა და ეფექტურობით, როგორც წესი, გოგონები ბიჭებს სჯობნიან. ამის მიზეზი შეიძლება ესტროგენი იყოს, რომელიც თურმე ნეირონებს შორის ინფორმაციის გადაცემას უწყობს ხელს, რაც საბოლოო ჯამში ქალს უფრო ვერბალურს ხდის.

ქალებს უკეთესი მხედველობა აქვთ

ქალის თვალის გუგის მიხედვით, სპეციალისტებმა ერთი საინტერესო დასკვნა გააკეთეს. თურმე ქალს მამაკაცზე უკეთესი პერიფერიული მხედველობა ჰქონია. ეს ნიჭი ქალს ხელს უწყობს ადამიანის შეცნობაში და მას მნიშვნელოვან არავერბალურ ინფორმაციას აწვდის.

ქალი უფრო ბეჯითია

დააკვირდით, როგორ მუშაობს მამაკაცი. ცოტას წაიმუშავებს და უკვე წახემსება უნდა. შემდეგ ლუდით გაგრილება მოუნდება... ერთ ადგილზე დიდხანს ვერ ჩერდება. ქალი კი საქმეს მუყაითად ასრულებს და ამ სიბეჯითის წყალობით ის ზარმაც, მაგრამ მასზე ნიჭიერ მამაკაცზე მეტ წარმატებას აღწევს. ■

ღვიძლის ციროზი

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ღვიძლის ციროზი ქრონიკული პროგრესირებადი დაავადებაა, რომლის დროსაც ზიანდება ღვიძლის ქსოვილი და სისხლძარღვები. ღვიძლის ჩვეულებრივი ქსოვილის ნაცვლად კი, შემაერთებელი ქსოვილი ვითარდება. ეს დაავადება უპირატესად შუახნისებსა და ხანდაზმულებს ემართებათ, ამასთანავე, მამაკაცებს – ორჯერ უფრო ხშირად.

მიზეზები

ღვიძლის ციროზი შეიძლება გამოიწვიოს ნებისმიერმა ფაქტორმა, რომელიც ღვიძლის უჯრედების (ჰეპატოციტების) დაზიანებასა და კვდომას იწვევს. თუმცა, დაავადების მთავარი მიზეზი ვირუსია (განსაკუთრებით – B და C ჰეპატიტის გამომწვევი ვირუსები), რომლის ღვიძლში შეჭრასაც 17-70%-ში ციროზი მოჰყვება.

კარგა ხანს, მთავარ მიზეზად ქრონიკული ალკოჰოლიზმი მიაჩნდათ. დიდი ხანი არ არის, რაც დაადგინეს, რომ ალკოჰოლური ინტოქსიკაციის გარდა, ციროზს ცუდი კვება და საკვებში ცილებისა და ვიტამინების უკმარისობაც განაპირობებს, ყველაზე მეტად კი B1-ის, B6-ისა და ფოლიუმმჟავას დეფიციტი. ციროზს ღვიძლის პარაზიტული და ჰელმინთოზური დაზიანებაც იწვევს.

ღვიძლზე მავნე ზემოქმედებას ახდენს საკვებისმიერი შხამები და სხვადასხვა წამალიც. პირველ შემთხვევაში ვითარდება ტოქსიკური, მეორეში კი – წამლისმიერი ციროზი.

თუ ღვიძლის უჯრედები ნაღვლის გამოყოფის დარღვევის გამო დაზიანდა, ციროზს ბილიარულს უწოდებენ. ციროზი ვითარდება ნივთიერებათა ცვლის დარღვევებისა და ენდოკრინულ მოშლილობათა (თირეოტოქსიკოზის, შაქრიანი დიაბეტის...) გამოც.

საკმაოდ ხშირად (20-30%-ში) ღვიძლის ციროზის მიზეზი უცნობია. ასეთ დროს ვარაუდობენ, რომ ავადმყოფს ფარული (უსიყვითლო) ვირუსული ჰეპატიტი ჰქონდა გადატანილი.

დაავადების ღვიძლისმიერი ნიშნები

დაავადების გამოვლინება ყველაზე მეტად იმაზეა დამოკიდებული, თუ ციროზის რომელ ფორმასთან გვაქვს საქმე, რომელ სტადიაზეა იგი – კომპენსირებულია თუ დეკომპენსირებული პროცესი და რამდენად აქტიურად ვლინდება პათოლოგიური ნიშნები, რომლებიც უშუალოდ მიუთითებს ღვიძლის უჯრედების დაზიანებაზე. სხვაგვარად მათ ღვიძლისმიერ ნიშნებს უწოდებენ. ესენია:

● *სისხლძარღვოვანი ვარსკვლავები.* ამ დროს კანზე კარგად ჩანს სისხლძარღვოვანი ქსელი, რომელიც კანის ზედაპირზეა ამოწეული და ვარსკვლავებს მოგვაგონებს. თუ სისხლძარღვს ხელს დავაჭერთ, კანი სისხლის უკუდენის გამო გაუფერულდება, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ვარსკვლავი კვლავ გამოისახება. ვარსკვლავები უპირატესად კისერზე, სახეზე, მხრებზე, მტევნებსა და ზურგზე ჩნდება. იშვიათად – სხეულის ქვედა ნაწილში.

სისხლძარღვოვანი ვარსკვლავებისმაგვარი გამოსახულებანი შეიძლება გაუჩნდეს ორსულსაც და ჯანმრთელ ადამიანსაც. ასე რომ, მათი არსებობა ციროზის უტყუარი ნიშანი არ გახლავთ.

● *ღვიძლისმიერი ხელისგულები* (ხელისგულების ერითემა). ამ დროს ხელისგულებზე შენიშნავთ შემოსაზღვრულ მუქ წითელ ლაქებს. თავად ხელისგულები თბილია.

● *ტუჩებისა და პირის ლორწოვანი გარსის სიწითლე და პრიალი.* ასეთ დროს ენა ჟოლოსფერია, თითქოსდა აალებული. ეს ნიშანი ციროზით დაავადებულთა უმრავლესობას ახასიათებს.

● *ჰორმონული დარღვევა.* მამაკაცებს უვითარდებათ გინეკომასტია (უდიდდებათ სარძევე ჯირკვლები), ჩნდება სხვა „ქალური“ ნიშნებიც, ხოლო თუ პროცესი დიდხანს გაგრძელდა, ხშირად იმპოტენციაც ვითარდება. ქალებს კი მენსტრუაციული ციკლი ერღვევათ.

● *ქსანთომური ფოლაქები.* კანზე (უმეტესად ქუთუთოებზე, ხელისგულებზე, გულმკერდზე, ზურგზე, მუხლებზე) ჩნდება მოყვითალო-მოყავისფრო წარმონაქმნები. ეს ნიშანი ბილიარულ ციროზს ახასიათებს.

სხვა ნიშნები

ღვიძლის ციროზით დაავადებულს ღვიძლი უდიდდება, უფრო გვიანდელ სტადიაზე კი, პირიქით, უპატარავდება. დიდდება ელენთაც (ამას ჰიპერსპლენიზმი ჰქვია). ციროზის ერთ-ერთი ნიშანია პორტული ჰიპერტენზია. ამ დროს ფერხდება ღვიძლში ვენური სისხლის უკუდენა, ირღვევა ღვიძლში სისხლის მიმოქცევა, რის გამოც, იზრდება პორტული წნევა (წნევა ღვიძლის ვენებში). სისხლის მიმოქცევის შეფერხების კომპენსაცია ხდება ერთგვარი დამატებითი სისხლძარღვების წარმოქმნით. ამ დროს, ჭიპის ირგვლივ ჩნდება სხვადასხვა მხარეს მიმავალი გაგანიერებული ვენები, რასაც „მედუზის თავს“ უწოდებენ. პორტული ჰიპერტენზიის კიდევ ერთი ნიშანია ასციტი – მუცლის ღრუში სითხის დაგროვება.

ხშირია სისხლდენა საყლაპავიდან, კუჭიდან, ჰემოროიდული (ბუასილის) კვანძებიდან, ცხვირიდან, საშვილოსნოდან.

გარდა ამისა, ღვიძლის ციროზის დამახასიათებელ ნიშანთაგანი გახლავთ ტკივილი ღვიძლის არეში, დისპეფსიური მოვლენები (საჭმლის მონელების დარღვევა), ცხელება, გახდომა, სიყვითლე.

ტკივილი ძირითადად ღვიძლის არეში შეიგრძნობა, თუმცა შეიძლება, მთელი მუცელი მოიცვას. ტკივილი ყრუა, ძლიერდება ჭამის შემდეგ (განსაკუთრებით მაშინ, თუ დიდი რაოდენობით ნოყიერი საკვები და სითხე მიიღეთ) და ფიზიკური დატვირთვის დროს.

დისპეფსიურ მოვლენებს შორის, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვახსენოთ მადის დაქვეითება ან სრული გაქრობა – ანორექსია. გარდა ამისა, დამახასიათებელია ჭამის შემდეგ სიმძიმის შეგრძნება ფერდქვეშა არეში (ღვიძლის ადგილას), გულისრევა, მეტეორიზმი (გაზების დაგროვება), დეფეკაციის მოშლა – ფაღარათი, განსაკუთრებით – ცხიმიანი საკვების მიღების შემდეგ. ღვიძლის ციროზით დაავადებულნი ხშირად უჩივიან შრომის უნარის დაქვეითებას, საერთო სისუსტეს, უძილობას.

წონის დაკლება ციროზის დროს ჩვეულებრივი მოვლენაა. ციროზით დაავადებულებს ხშირად თავისებური გარეგნობა აქვთ: გამხდარი სახე, რუხი, ოდნავ მოყვითალო კანი, ძლიერ წითელი ტუჩები და ენა, წვრილი კიდურები, გადიდებული მუცელი, გამოხატული ვენური ქსელი და შეშუპებული ფეხები.

სიყვითლე პირველად თვალის სკლერაზე (თეთრ გარსზე), რბილ სასასა და

ენის ქვედა ზედაპირზე ჩნდება. შემდეგ ყვითლდება ხელისგულები და ფეხისგულები, ბოლოს – მთელი ტანი. სიყვითლეს თან სდევს კანის ქავილი. ადამიანს ტანზე მრავალი ნაფხანი აღენიშნება.

დიაგნოზი და მკურნალობა

ცირროზით დაავადებულის ლაბორატორიული გამოკვლევა ავლენს ანემიას, მომატებულ ბილირუბინს, შრატში ალბუმინების ნაკლებობასა და გლობულინების სიჭარბეს. ჭარბადაა ამინოტრანსფერაზები და ტუტე ფოსფატაზა. გარდა ამისა, ღვიძლის ციროზის დასადგენად ატარებენ ექოგრაფიულ გამოკვლევას, სკანირებას, რთულ შემთხვევაში – ბიოფსიას.

ავადმყოფს უნიშნავენ კალორიულ, სრულფასოვან დიეტას – ცილებითა და ვიტამინებით გავჯერებულ საკვებს. დღიური ულუფა უნდა მიიღოთ დანაწევრებულად, 4-5-ჯერზე. არაფრით არ შეიძლება ალკოჰოლი. მძიმე შემთხვევაში, ასციტის დროს, იზღუდება მარილი.

დეკომპენსაციის პერიოდში მკურნალობა აუცილებლად სტაციონარში უნდა ჩატარდეს. ინიშნება კორტიკოსტეროიდები, ვიტამინები, ღვიძლის პრეპარატები. ■

ცხოველები გვიტევენ

ადამიანთა დაავადება იმ სნეულებებით, რომლებითაც ჩვეულებრივ ცხოველები ავადმყოფობენ, რაიმე სიახლეს არ წარმოადგენს. მაგრამ ბოლო წლებში მსგავსი შემთხვევები გახშირდა: ვირუსები, ბაქტერიები და პარაზიტები ცხოველიდან ადამიანზე სულ უფრო და უფრო ხშირად გადადის.

ამერიკის ალერგიისა და ინფექციურ სნეულებათა ინსტიტუტის ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია: ახლო მომავალში ახალი დაავადებები კიდევ უფრო გახშირდება. ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების გამო ადამიანებსა და ცხოველებს შორის მჭიდრო კონტაქტის შემთხვევა ხშირია. ბევრი ისეთი ცხოველი მოშინაურდა, რომელიც ადრე ადამიანის გვერდით არასოდეს ცხოვრობდა. ეგზოტიკური ცხოველები (მაგალითად, აზიიდან) ევროპელი ადამიანების მენიუს ნაწილად იქცა. კვების პროდუქტების წარმოების თანამედროვე სტრუქტურა კი ისეთია, რომ შინაურ ცხოველებში განვითარებული ეპიდემია შესაძლოა, ათასობით ადამიანის ჯანმრთელობას დაემუქროს. კლიმატის ცვლილება ფრინველებისა და მწერების (კოღოების) საცხოვრებელი ადგილების შეცვლას იწვევს. მათ კი დაავადების გამომწვევები საკმაოდ შორს გადააქვთ.

ცნობილია ისიც, რომ ცხოველთა დაავადებების გამომწვევები დროთა განმავლობაში მუტაციას განიცდის და ადამიანისთვის საშიში ხდება. დასნებოვნება შეიძლება შუამავალი-ცხოველის (გადამტანის) მეშვეობით, ანდა მაშინ მოხდეს, როცა ადამიანი საკვებად დაავადებულ ხორცს იყენებს.

ითვლება, რომ გრიპის ვირუსი ადამიანს წყალში მცურავი ფრინველებისგან, კერძოდ, იხვისგან გადაედო. თუმცა დასნებოვნება მაშინ მოხდა, როცა ადამიანმა შეჭამა იმ ღორის ხორცი, რომელსაც ვირუსი, შინაური ფრინველისგან ჰქონდა მიღებული.

პრობლემა ამოუწურავია და დღითი დღე მწვავდება, თუმცა ამის მიუხედავად, არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს განსაკუთრებული პროგრამა, რომელიც ადამიანებს ცხოველური დაავადებებისგან დაიცავდა.

ზოგიერთი დაავადება, რომელიც ადამიანს ცხოველისგან გადაედო

შიდსი. ადამიანმა ეს ვირუსი ადამიანის მსგავსი მაიმუნისგან მიიღო, სავარაუდოდ, აფრიკაში მცხოვრები შიმპანზისგან. 42 მლნ ადამიანია ამ ვირუსის მატარებელი, 5 მლნ 2002 წელს დასნებოვნდა. შიდსით 3,1 მლნ ადამიანი გარდაიცვალა.

ატიპური პნევმონია. ადამიანი გარეული კატისგან დასნებოვნდა. ეპიდემიამ ათასობით ადამიანი მოიცვა, რამდენიმე ასეული გარდაიცვალა.

დენგეს ცხელება. გამომწვევის გადამტანია კოღო. პირველი ეპიდემიები 1950 წელს ტაილანდში გავრცელდა. 1970 წელს ეპიდემიამ 9 ქვეყანა მოიცვა. დღეს დენგეს ცხელების შემთხვევები მსოფლიოს 100 ქვეყანაშია აღნიშნული. 1998 წელს ცხელებით ავადობის 1,1 მლნ შემთხვევა დაფიქსირდა.

ებოლის ცხელება. ადამიანმა ეს ვირუსიც მაიმუნისგან მიიღო. გამომწვევი გადაეცემა დაავადებულის სისხლთან და გამონაყოფთან კონტაქტის გზით. 1970 წელს სუდანში დაფიქსირდა ებოლის ცხელების ეპიდემია, რომლის დროსაც დაავადებულთა 90% დაიღუპა.

ყვითელი ცხელება. ვირუსის პირველწყარო, აფრიკაში მობინადრე ადამიანის მსგავსი მაიმუნია. დაავადების გადამტანია კოღო. პირველი შემთხვევები 400 წლის წინ დაფიქსირდა. ვაქცინა კი 60 წლის წინ შექმნეს.

დასავლეთნილოსური ცხელება. ადამიანმა ეს ვირუსი ფრინველებისგან მიიღო, კერძოდ, კოღოებისგან. ეს დაავადება მაღალი სიკვდილიანობით გამოირჩევა. დაავადების შემთხვევები დაფიქსირებულია არა მხოლოდ აფრიკაში, არამედ ევროპაში, აზიაში, სამხრეთ ამერიკაში.

მალარია. მალარიის გამომწვევი, ადამიანს კოღო ანოფელესის კბენის გზით გადაეცემა. ყოველწლიურად 300 მლნ-მდე ადამიანი ავადდება და მათგან 1 მლნ იღუპება.

ლაიმას დაავადება. გამომწვევი ბაქტერია ადამიანს ირმისგან და თაგვისგან გადაედო. დაავადების სიმპტომები გრიპის მსგავსია,თუმცა იგი უფრო მძიმედ მიმდინარეობს და საბოლოოდ ართრიტს იწვევს.

ყვავილი. ადამიანი აქლემისგან დასნებოვნდა. დაავადება ჯერ კიდევ სამი ათასი წლის წინ იყო ცნობილი და ბავშვების სიკვდილიანობის მთავარ მიზეზად ითვლებოდა. XIX საუკუნის ბოლო პერიოდის მონაცემებით, ყოველწლიურად ყვავილი 50 მლნ ადამიანს ემართებოდა და მათი 30% იღუპებოდა. ამ დაავადების უკანასკნელი შემთხვევა 1977 წელს დაფიქსირდა.

მაიმუნის ყვავილი. ადამიანი თრიასგან დასნებოვნდა. დაავადების პირველი შემთხვევა შარშან მაისში დაფიქსირდა აშშ-ში. კლინიკური სურათი ჩვეულებრივი ყვავილისას ჰგავს, თუმცა იგი უფრო მსუბუქად მიმდინარეობს და სიკვდილიანობის შემთხვევა ჯერჯერობით არ დაფიქსირებულა.

შავი ჭირი. გამომწვევი წყარო ვირთხა და სხვა მღრღნელები არიან. კბენის გზით გადადის. პირველი ეპიდემია VI საუკუნეში ბიზანტიაში გაჩნდა. 50 წლის განმავლობაში 100 მლნ ადამიანი გარდაიცვალა. XIV საუკუნეში მსოფლიო შეძრა „შავი სიკვდილის“ ეპიდემიამ – ბუბონურმა შავმა ჭირმა აზიის მოსახლეობის ნახევარი და ევროპის მოსახლეობის მესამედი გაანადგურა. 1999 წელს შავი ჭირის „აფეთქებები“ მსოფლიოს 14 ქვეყანაში მოხდა. დაავადდა 2,6 ათასი ადამიანი, მათგან 212 გარდაიცვალა.

კრეიცფელდ-იაკობის სინდრომი (ცნობილია, როგორც „ძროხის ცოფის“ სინდრომი). ადამიანი ძროხისგან დაავადდა. დაავადება აზიანებს ტვინს. ადამიანი ძროხის ცოფით დაავადებული საქონლის ხორცის მიღებისას ავადდება. დაფიქსირებულია ამ დაავადებით სიკვდილის რამდენიმე შემთხვევა.

ენცეფალიტი. ენცეფალიტის გამომწვევი ადამიანს მღრღნელებისა და ფრინველებისგან ერგო. ვირუსის გადამტანები კი კოღოები და ტკიპები არიან. ყოველწლიურად ენცეფალიტის სხვადასხვა ფორმით 100-200 ათასამდე ადამიანი ავადდება, მათგან 10-15 ათასი კვდება.

სალმონელოზი. ადამიანის დასნებოვნება ძროხის, ღორის, თხის და შინაური ფრინველისგან ხდება. დაავადება სალმონელებიანი ხორცის ან კვერცხის მიღებისას გადადის. ცნობილია სალმონელოზის შემთხვევები, რომლებიც სიკვდილის მიზეზი გახდა.

■

ხელსაწყომანია

GADJET – ადიკცია – ალბათ პირველად გესმით ამ დაავადების სახელწოდება, თუმცა ადვილი შესაძლებელია, იგი თქვენც გქონდეთ. თუ ვერ წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი მობილურის, პლეერის, ნოუთბუქის და ტექნოლოგიის სხვა ახალი პროდუქციის გარეშე, დროა, იმკურნალოთ.

GADGET ინგლისურად „ტექნიკურ სიახლეს“ ნიშნავს. ფსიქოლოგიური დამოკიდებულების ახალი სახე – GADJET-ადიკცია, ექიმების ვარაუდით, ისეთივე საშიშ ეპიდემიად შეიძლება იქცეს, როგორიც ინტერნეტთან დამოკიდებულება ან თამაშების მანიაა. ეს ყველაფერი კი 2003 წლის შემოდგომაზე დაიწყო, როცა აუდიო და ვიდეოტექნიკის მწარმოებელი ფირმის შეკვეთით ჩატარდა ჩვეულებრივი მარკეტინგული გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო, მიეღო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენ ადამიანს ჰქონდა DVD-პლეერის შეძენის სურვილი. შედეგებმა გააოგნა მწარმოებლებიც და ფსიქოლოგებიც. აღმოჩნდა, რომ პორტატული ელექტრული ხელსაწყოების შეძენის გადაწყვეტილებას ევროპელები ღებულობენ არა მათი საჭიროების ან ფუნქციურობის მიხედვით, არამედ მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი მოდაშია.

ფსიქოლოგებმა გადაწყვიტეს „მოაზროვნე ადამიანის“ უაზრო ქმედებების შემდგომი შესწავლა. აღმოჩნდა, რომ 18-დან 45 წლამდე ასაკის თითოეული ევროპელი გარშემორტყმულია მინიმუმ სამი (მისთვის საყვარელი), პირადი ხელსაწყოთი: 93% – აქტიურად იყენებს ფიჭურ ტელეფონს, 73% – ნოუთბუქს, 60% – DVD-პლეერს. გამოკითხულთა თითქმის მესამედი აპირებს ციფრული ვიდეოფოტოკამერების შეძენას.

გამოკითხულთა 10% აღიარებს, რომ აქვს აშკარა ფსიქოლოგიური მიჯაჭვულობის ნიშნები. ასეთი მიჯაჭვულობის არსებობაში ადვილად დარწმუნდებით, თუ ლექციის დროს აუდიტორიაში სტუდენტებს შეათვალიერებთ: მათი ნახევარი მაგიდის ქვეშ ხელის კანკალით გზავნის SMS-ებს. არავითარი მუქარა ამ შემთხვევაში არ ჭრის. ასეთი SMS-ების მიზანი ხშირ შემთხვევაში ინფორმაციის მიღება კი არა, მხოლოდ კომუნიკაციის პროცესია. ევროპაში ახლა კამერიანი მობილურებია მოდაში და მისი შედეგიც ახალი „დაავადება“ – სურათების გაგზავნა გახლავთ.

ფსიქოლოგების აზრით, ასეთი პათოლოგიური მიჯაჭვულობის პრობლემა მაშინ ჩნდება, როცა ადამიანი ცდილობს, გაექცეს რეალობას და ამ მიზნით, თუნდაც ელექტრონული სათამაშოს ათვისებას იწყებს.

ჩვენში ეს ავადმყოფობა უპირველეს ყოვლისა, მობილურ ტელეფონებზე მიჯაჭვულობით გამოიხატება. 18-დან 35 წლამდე ახალგაზრდების 70%-ს მის გარეშე არსებობა ვერ წარმოუდგენია. ასევე პრობლემებს უქმნის მათ კომპიუტერი და CD-პლეერი.

შესაძლებელია და საჭიროა თუ არა GADJET-მიჯაჭვულობასთან ბრძოლა? რა თქმა უნდა, საჭიროა, რადგან რეალური პრობლემებისგან გაქცევის ნებისმიერი მცდელობა აშორებს ადამიანს სოციუმს და აღარიბებს მას, როგორც გადატანითი, ისე პირდაპირი მნიშვნელობით. საჭიროა საკუთარი თავის კონტროლირება.

ხელსაწყომანიით ხართ დაავადებული, თუკი:

- განიცდით ძლიერ ემოციას ან ეიფორიას რომელიმე ხელსაწყოს მოხმარებისას.
- არ გაქვთ სურვილი, მოსწყდეთ მას; არ შეგიძლიათ შეამციროთ მასთან ურთიერთობის საათები.
- თავს ვერ აღწევთ ახალი „სათამაშოს“ ყიდვის სურვილს, ან ვერ აკონტროლებთ ძველ GADJET-თან დაკავშირებულ ხარჯებს.
- ხელსაწყოს გარეშე დეპრესიასა და სიცარიელეს განიცდით; მუდმივად გეუფლებათ მისი განახლების სურვილი; არ გახსოვთ ოჯახი და მეგობრები. გიჩნდებათ სამუშაოსთან და სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები.
- გაწუხებთ თავის ტკივილი, თვალების სიმშრალე, უძილობა, ხელის კუნთების ტკივილი გადაღლილობის გამო.

როგორ დავაღწიოთ თავი GADJET-მიჯაჭვულობას

- როგორც კი გაგიჩნდებათ „სათამაშოსთან“ ურთიერთობის სურვილი, წადით სასეირნოდ.
- ხშირად მოიპატიჟეთ შინ სტუმრები.
- საკუთარი თავი შეზღუდეთ:
  – ხელსაწყოს დღეში ერთ საათზე მეტს ნუ დაუთმობთ.
  – ახალი ნივთის შეძენამდე ერთი კვირა მაინც იფიქრეთ.
- და ბოლო ეშმაკობა: ყურადღებით წაიკითხეთ ხელსაწყოს ინსტრუქცია, რათა დარწმუნდეთ, რომ ყველა მისი შესაძლებლობა ამოწურეთ. მომხმარებელთა უმრავლესობა ხშირად საყვარელი ნივთის ფუნქციათა ნახევარსაც კი არ იყენებს.

■

კვირის (14-20 ივნისი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: წინა კვირაში რეალიზებული პროექტები ამ კვირაში დიდ მოგებას მოგიტანთ. ნუ დაგავიწყდებათ ვალის დაბრუნება. კარგი იქნება, თუ მეგობრებს საჩუქრებით გაახარებთ. კვირას სტუმრები გეწვევიან და ხელგაშლილობა გამოიჩინეთ.

მამაკაცი: ამ კვირაში ყველაფერი თქვენს წისქვილზე დაასხამს წყალს. წარმატება გელით ფინანსური გარიგებისას. ასე რომ, ნუ დაიხევთ უკან და რისკზე წასვლასაც ნუ შეუშინდებით. უქმე დღეებში სასიამოვნო სიურპრიზები და შეხვედრები გელით.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: მეტი დრო დაუთმეთ ჯანმრთელობას და მოეშვით თვითმკურნალობას, დროულად მიმართეთ ექიმს. კვირის მეორე ნახევარში ხელმძღვანელობასთან კამათს მოერიდეთ, რადგან ეს შეიძლება თქვენთვის ცუდად დამთავრდეს.

მამაკაცი: კვირის პირველ ნახევარში მატერიალური მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება გელით. წვრილმანებზე ნუ მოცდებით, სერიოზული პროექტების რეალიზების დრო დადგა და ძალები შემოინახეთ.

მარტხეკი – 22/V-21/VI

ქალი: თუ ჯერ კიდევ მარტოხელა ხართ, ეს კვირა სერიოზულ სიურპრიზს გპირდებათ. არ არის გამორიცხული, თქვენი მომავალი სრულიად შეიცვალოს, თანაც, სასიკეთოდ. ოჯახშიც რაღაც სასიამოვნო სიახლე გელით.

მამაკაცი: თქვენი მერყევი ხასიათი უკვე ყოველგვარ ზღვარს გადასცილდა. ეცადეთ, ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტოთ, რა გინდათ. ბოდიში მოუხადეთ იმ ადამიანებს, რომლებსაც აწყენინეთ. კვირის ბოლოს ალკოჰოლს მოერიდეთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: ოჯახური თუ სამსახურებრივი ვალდებულებებისგან მეტისმეტად გადაიტვირთეთ. ეცადეთ, ამ კვირაში დაისვენოთ. ახლობლისგან სასიამოვნო და მოულოდნელ საჩუქარს მიიღებთ.

მამაკაცი: კვირის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება საქმიანი გარიგებისთვის. ამიტომ ეცადეთ, ძირითადი საქმეები ამ დროს მოაგვაროთ, კვირის მეორე ნახევარი კი დასვენებას დაუთმეთ.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: რთულ ვითარებაში ხართ და გადაწყვეტილების მიღება გიჭირთ. დინებას მიჰყევით და დროთა განმავლობაში ყველაფერი მოგვარდება. სამსახურში ხელმძღვანელობასთან მცირე გაუგებრობა გელით.

მამაკაცი: ნუ ეცდებით, ყველა საქმეს წაეპოტინოთ, პრიორიტეტები განსაზღვრეთ და მხოლოდ თქვენთვის მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებას დაუთმეთ დრო. პირად ცხოვრებაში საკმაოდ სასიკეთო ცვლილებები გელით.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: ამ კვირაში ნებისმიერი მოვლენა, თუნდაც თქვენთვის მეტად ნეგატიური, მშვიდად შეაფასეთ და თავი აარიდეთ ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღებას. ჯობია, მეტი დრო დაუთმოთ ოჯახსა და მეგობრებს, საქმიანი შეხვედრები კი მომავალი კვირისთვის გადადოთ.

მამაკაცი: თქვენგან იმაზე მეტს მოელიან, ვიდრე შეგიძლიათ, თუმცა ეს ნუ დაგაკომპლექსებთ, ცოტა მეტი მოინდომეთ და ყველაფერი კარგად იქნება. ამ კვირაში ნუ იქნებით ზედმეტად ხელგაშლილი, რადგან შემდეგი კვირა მატერიალური თვალსაზრისით არც ისე დამაკმაყოფილებელი იქნება.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: ჩვეული მიზანდასახულობა გამოიჩინეთ და ამ კვირაში ბევრ მნიშვნელოვან პრობლემას გადაწყვეტთ. პირადი ცხოვრება არც ისე აქტიური იქნება, ამიტომ მეტი გულისყურით მოეკიდეთ სამსახურებრივ მოვალეობებს.

მამაკაცი: დროის უყაირათოდ ხარჯვა არ გარგებთ. ეს პერიოდი საკმაოდ პოზიტიურია დასახული გეგმების განსახორციელებლად. მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება თქვენს მონდომებაზე იქნება დამოკიდებული.

ღრიანცელი – 24/X-22/XI

ქალი: მნიშვნელოვანი დანახარჯები გელით, თუმცა არა უსარგებლო და უყაირათო. ნუ დაინანებთ ფულს, რადგან შემდეგი კვირა მატერიალური მდგომარეობის მხრივ საკმაოდ ნაყოფიერი იქნება.

მამაკაცი: ნუ მოდუნდებით, ძალები მოიკრიბეთ და დასახული გეგმები განახორციელეთ. ჯანმრთელობასაც მიხედეთ. მოერიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს და კონფლიქტურ ადამიანებს.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: კარიერაში შესამჩნევი წინსვლა გელით, ეცადეთ, ზედმეტი ემოციურობით ამ წინსვლას ხელი არ შეუშალოთ. ოჯახში მცირე კონფლიქტი არ აგცდებათ, თუმცა, თუ სიმშვიდეს შეინარჩუნებთ, ყველაფერი მალე მოგვარდება.

მამაკაცი: თქვენი მატერიალური მდგომარეობა საკმაოდ სტაბილური გახდება, თუმცა ძალიან ნუ გაილაღებთ, ფული ყაირათიანად დახარჯეთ. კვირის მეორე ნახევარი დასვენებას დაუთმეთ, მოინახულეთ მონატრებული მეგობრები.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად, ამ კვირაში ნუ ჩაებმებით ცხარე დისკუსიებში. განსაკუთრებით მოერიდეთ მეტოქეებთან ურთიერთობას. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებს და მათთან ერთად ბუნებაშიც გაისეირნეთ.

მამაკაცი: ოცნებებში ფრენა არას გარგებთ, რეალური და რაციონალური გადაწყვეტილებების დრო მოვიდა. ეცადეთ, სათანადოდ ჩამოაყალიბოთ უახლოესი მომავლის გეგმები და თანდათანობით იზრუნოთ მათ განხორციელებაზე.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: გამოუვალ მდგომარეობაში ხართ და გიჭირთ გადაწყვეტილების მიღება. განსაკუთრებით, პირადი ცხოვრება იწვევს თქვენს მელანქოლიურ განწყობას. ეცადეთ, სიმშვიდე შეინარჩუნოთ. გადაწყვეტილებების მიღება კი შემდეგი კვირისთვის გადადეთ.

მამაკაცი: თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეტაპი დგება. პირად ცხოვრებაში ან კარიერაში საკმაოდ მკვეთრი ცვლილებები გელით. თქვენს გონივრულობაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: კვირის დასაწყისში ისეთ ადამიანებს გაიცნობთ, რომლებიც თქვენს შემდგომ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ. სამსახურში მოვალეობები მოგემატებათ, თუმცა, მატერიალური მდგომარეობაც გაგიუმჯობესდებათ.

მამაკაცი: პრობლემების გადაჭრაში მეგობრები დაგეხმარებიან. კვირის პირველი ნახევარი საქმეებს დაუთმეთ, მეორე ნახევარში კი ეცადეთ, რაც შეიძლება კარგად დაისვენოთ, რადგან შემდეგი კვირა მოვლენებით მეტისმეტად დატვირთული იქნება.

ტბა უნგრეთში | ბ | ნოხი | ლ | ნოტი / მათხოვარი | პოლ გასკონის მეტსახელი | დ | ინგლისის პრინცესა / მაუგლის მეგობარი | კ
ა | ხ | ა | ლ | ბ | ა | ზ | ა
სალვადორ დალის მუზა | ლ | ა | სუნთქვის დროებითი შეწყვეტა | ქნარი | ლ | ი | რ | ა
ბ | ა | ლ | ა | აქილევსის როლის შემსრულებელი | კიდობნის მესაჭე | ა | დ | დედმამისშვილი
ი | ტ | ი | კ | ლევან მგალობლიშვილის მეტსახელი | ინგლისური ლუდხანა | ნ | ო | ე
ტოპ-მოდელი კემპბელი | ო | ჩ | ნ | ა | პ | ა | ბ | ი
ა | დ | ნ | ო | კ | ა | ნ | ა | ო | მ | ი | ყიზილ ..., ...-აჩუკი | ა | ლ
ფალიაშვილის ოპერა | ა | ვ | დ | ა | რ | ი | ტროპიკული მახრჩობელა | ე | უ | ნ | ე | შ | ო
ცუდი ამინდი | ი | ტ | ა | კ | ა | დიდი თუთიყუში | ა.დიუმა „დედოფალი ...“ | წინასწარ გადასახდელი თანხა | ნ | თურმანი | ფოთლებიანი ხის მოკაფული შტო | ი | კ
ვექილი | ს | ოდისევსის სამშობლო | ბ | სხვისი ბავშვის აღმზრდელი | უ | მ | გამოჩენილი დიდი პოეტი | ბ | ა | აქვსენტი ცაგარელის პიესა | ცაცხვი, თელა, წიფელი | | ქალის გულსაკიდი
ა | ი | დ | ა | გ | ლ | ა | მ | ე | ხ | რ | ე | ხ | ე
დ | თეთრი ლაქები კანზე | ა | განქმული იტალიელი დირიჟორი | ერთი მილიონი ჟარგონზე | საფრანგეთის უდიდესი მდინარე | რ | გ
ვ | ი | ტ | ი | ლ | ი | გ | ო
ო | ზ | ე | რ. ჩხეიძის ფილმი „ჩვენი ...“ | ი | ნ | ო | ს
კ | ხის საჭმელად ვარგისი ნაყოფი | ხ | ე | მ | ი | იაპონური ფირმა | ა
ა | ესტონეთის დედაქალაქი | ი | ვიოლინოზე საკრავი ჯოხი | ო | ს | ქართ. ფილმი „... ჩამოვდნენ მთიდან“ | ნ
ტ | ა | ლ | ი | ნ | ი | ოდნავ შესამჩნევი საცურაო კოსტიუმი | ი
ი | ნ | ი | კ | ი | ბ | შეადგინა რამაზ ალანიამ



31-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-ა; 4-ბ.

ფაქიზული აღამიანების მოსწრებული ფაქიზოთქვამები

მღელვარება

ცნობილ იტალიელ მომღერალს ბენიამინო ჯილის ნარკოზით ოპერაციას უკეთებდნენ. არტისტმა მღელვარებისაგან თვლა შეუსაბამოდ დაიწყო:

— ერთი... ხუთი... რვა...

ექიმმა სთხოვა, უფრო ყურადღებით დაეთვალა, რაზედაც ჯილიმ მიუგო:

— ბატონო ექიმო, ნუ გავიწყდებათ, რომ უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ვიმყოფები — ჩემი სუფლიორი თან არა მყავს.

კულისებს მიღმა

— რა უმსგავსობაა, — აღშფოთდა მომღერალი, — ყვავილებით სავსე სულ სამი კალათი მომართვეს!

— განა საკმარისი არ არის?

— მე ოთხისა გადავიხადე!

მხიარული ბახი

ძველ კინოკომედიაში — „ანტონ ივანიჩი ჯავრობს“, დაბეჯითებით ამტკიცებენ: „იოჰან სებასტიან ბახი სქელი და მხიარული კაცი იყო“.

ბახის პირველი ბიოგრაფი ფორკელი ადასტურებს, რომ ბახს „ბრძენი კაცისათვის დამახასიათებელი ხუმრობა და მხიარულება უყვარდა“.

სხვას ვის შეეძლო შეექმნა იმგვარი სალაღობო კანტატები, როგორიცაა: „საყავახანო“ და „საგლეხო“; დაუნდობელი და მამხილებელი, ქარაგმებითა და მახვილსიტყვაობით აღსავსე მუსიკალური ნაწარმოებები: „პოპური“ და „ვისაც როგორ ემარჯვება“; იუმორისტულ-ფილოსოფიური სიმღერები: „დონდლო“, „ჩიბუხი“ და „თალგამმა და კომბოსტომ დამანელა კაცი“?..

ჩანს, თავის დროზე ბახი ისევე აფრთხობდა მსუბუქი ჟანრის მდევნელებს, როგორც ახლა აფრთხობს ამ ჟანრის ზოგიერთ თავგამოდებულ უმეცარ დამცველს. ყოველ შემთხვევაში, მაშინაც, მეთვრამეტე საუკუნეში ბახის მუსიკის ერთ-ერთი უმოწყალო მტერთაგანი ჩიოდა: „ეკლესიაში უკვე ყოველგვარ მუსიკალურ ნაგავს ეზიდებიან, და რამდენადაც უფრო მხიარულია მუსიკა, იმდენად მეტი წარმატება აქვს, ასე რომ, სადაცაა ქალები და კაცები ერთმანეთს ჩაეხუტებიან და აცეკვდებიან“.

ბახი პასუხად მხიარულად ხარხარებდა. და აი, მისმა სიცილმა ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ჩვენამდეც მოაღწია.

ბახის დიდებული მელოდიები „უკვდავების წყლით“ არწყულებენ ჯაზკვარტეტების ვარიაციებისა და ბიგ-ბენდების კომპოზიციების სილაღესა და სიმხიარულეს, თანამედროვე ბალეტების ცეკვებს და ბაროკო-როკის რთულ ჰარმონიას...

ბახი იცინის...

ანეკდოტები

***

ახალი რუსი „მერსედესით“ მიდის, ხედავს, გზის პირას მაწანწალა გამხმარ ბალახს ძოვს. გააჩერა მანქანა და ეკითხება:

— რას აკეთებ მანდ?

— ძალიან მშია...

— ჩაჯექი მანქანაში, წაგიყვან, კარგად გაგიმასპინძლდები.

მაწანწალა ჩაჯდა, გული აუჩუყდა:

— ტყუილად ამბობენ ახალ რუსებზე, სუყველანი ბანდიტები და არამზადები არიანო, თქვენ შორის კარგი ხალხიც ყოფილა.

— აბა, რა... აი, ნახავ, ჩემს კოტეჯთან რა ხასხასა ბალახი იზრდება.

***

ვახშამზე ცოლმა, როგორც იქნა, გაბედა და ბიჭიკიას ჰკითხა:

— ქე ვარ დარწმუნებული, რომ მღალატობ, ვიცი ვისთან, ვხვდები როდის და სად, მაგრამ ვერ გამიგია — რით?

***

16 წლის გოგონამ საცურაო კოსტიუმი იყიდა, რომელიც თითქმის არაფერს უფარავს. გამოეწყო და დედას ეკითხება:

— როგორ მოგწონს?

— ...მე რომ შენს ასაკში ასეთი რამ ჩამეცვა, ახლა შენ 10 წლით უფროსი იქნებოდი.

***

— დედიიი... ამ კანფეტს რატომ ჰქვია „ვაშლის კანფეტი“?

— იმიტომ, რომ ვაშლის ჯემით არის გაკეთებული.

— აჰაა... ახლა მივხვდი, იმ მეორეს რატომ ჰქვია „ფისო-ფისო“.

***

— პაპაჩემი გმირი იყო, — ტრაბახობს პატარა ფირუზა.

— მაინცა რა ქნა ეგრეთი? — ინტერესდება მიხო.

— ჩვენების საიდუმლო ინფორმაცია ფაშისტებს რომ არ ჩაეგდოთ ხელში... საფოსტო მტრედი შეჭამა.

***

ფსიქიატრიულში:

— ექიმო, რატომაა, რომ ყველა ცდილობს ზურგზე შემომაჯდეს?

— უნაგირი მოიხსენი!..

***

— ეჰ, არ ვიცი, რა ვიღონო... ექიმი ამბობს, მეხსიერების სრული დაკარგვა გემუქრებაო!

— მართლა?.. ერთი-ორი ათასი მასესხე რაა?..

***

ოქროს ქორწილზე ვანია სტუმრებთან ტრაბახობს:

— რომ იცოდეთ, მთელი ამ ხნის მანძილზე რამდენ ქმარს დავადგი რქები.

— მე კი მხოლოდ ერთს... — ამოიოხრა ვანიას ცოლმა ტანიამ.

***

ჟურნალისტი კინოვარსკვლავს ჩამჭრელ კითხვას უსვამს:

— რამდენი ქმარი გყავდათ?

— ჩემი თუ... სხვისი?

როგორია თქვენი თვითშეფასების დონე

ყურადღებით გაეცანით ქვემოთ შემოთავაზებულ წინადადებებს და შემდეგ საკუთარი დამოკიდებულება მათ მიმართ ხუთქულიანი სისტემით გამოხატეთ. ამასთან, ქულები დაიწერეთ შემდეგნაირად:

ამაზე მე ვფიქრობ...
ძალიან ხშირად — 4 ქულა;
ხშირად — 3; ხანდახან — 2;
იშვიათად — 1; არასოდეს — 0.

1) მსურს, რომ ჩემი მეგობრები გამუდმებით მამხნევებდნენ.

2) ჩემ მიერ შესრულებულ თუ შესასრულებელ სამუშაოზე, გამუდმებით პასუხისმგებლობას ვგრძნობ.

3) მაღელვებს ჩემი მომავალი.

4) ბევრი ვინმე ვერ მიტანს.

5) ამა თუ იმ საკითხისადმი მე უფრო ნაკლებ ინიციატივას ვიჩენ, ვიდრე სხვები.

6) მაღელვებს ჩემი ფსიქიკური მდგომარეობა.

7) მეშინია, სულელის როლში არ აღმოვჩნდე.

8) ვფიქრობ, გარეგნულად სხვები ჩემზე ბევრად უკეთესად გამოიყურებიან.

9) უცხო ადამიანების წინაშე სიტყვით გამოსვლა მაკრთობს.

10) შეცდომას საკმაოდ ხშირად ვუშვებ.

11) რა სამწუხაროა, რომ ადამიანებთან, როგორც საჭიროა, ისე დალაპარაკება არ შემიძლია.

12) რა სამწუხაროა, რომ თავდაჯერებულობა მაკლია.

13) მსურს, რომ სხვები ჩემს საქციელს უფრო ხშირად იწონებდნენ.

14) მეტისმეტად მოკრძალებული და თავმდაბალი ვარ.

15) ფუჭია ჩემი ცხოვრება.

16) ბევრს არასწორი წარმოდგენა აქვს ჩემზე.

17) საკუთარ აზრებს ვერავის ვუზიარებ.

18) ირგვლივმყოფები ჩემგან მეტისმეტად ბევრს ელიან.

19) გარშემომყოფები ჩემი მიღწევებით დიდად არ ინტერესდებიან.

20) თავს უხერხულად ვგრძნობ.

21) ვგრძნობ, რომ ბევრს ჩემი არ ესმის.

22) თავს უსაფრთხოდ ვერ ვგრძნობ.

23) ხშირად ტყუილუბრალოდ ვღელავ.

24) როცა შევდივარ ისეთ ოთახში, სადაც უკვე ვიღაცები სხედან, რატომღაც თავს უხერხულად ვგრძნობ.

25) ვგრძნობ, რომ სხვები ჩემზე ზურგს უკან ლაპარაკობენ.

26) თავს შებოჭილად ვგრძნობ.

27) დარწმუნებული ვარ, რომ სხვები ყველაფერს უფრო მსუბუქად აღიქვამენ, ვიდრე მე.

28) ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს რაღაც უსიამოვნება უნდა შემემთხვეს.

29) მაღელვებს იმაზე ფიქრი, თუ რა აზრის არიან ჩემზე სხვები.

30) რა სამწუხაროა, რომ გულღია ხასიათით არ გამოვირჩევი.

31) კამათისას, საკუთარ აზრს მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოვთქვამ, როცა ჩემი პოზიციის სისწორეში ბოლომდე დარწმუნებული ვარ.

32) ვფიქრობ იმაზე, თუ რას მოელის ჩემგან საზოგადოება.

დააჯამეთ ქულები

0-25 ქულა: თქვენი თვითშეფასების დონე საკმაოდ მაღალია. უნდა გითხრათ, რომ საკუთარ ქმედებებში ზედმიწევნით დარწმუნებული ბრძანდებით.

26-45 ქულა: თვითშეფასების საშუალო დონით გამოირჩევით. ზოგჯერ ზედმიწევნით დარწმუნებული ხართ საკუთარ თავში, ზოგჯერ კი, საკუთარ ქმედებებში ეჭვი გეპარებათ.

46 ქულა და მეტი: თვითშეფასების დაბალი დონით გამოირჩევით. თქვენი მისამართით გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს ავადმყოფურად განიცდით. საკუთარი ქმედებების სისწორეში კი, თითქმის ყოველთვის ეჭვი გეპარებათ. გირჩევთ, იყოთ უფრო თავდაჯერებული და იქონიოთ საკუთარი თავის რწმენა.

არგენტინელმა მანანწარამ 50 ათასი დოლარი იპოვა

არგენტინის ქალაქ კორბოდაში, მაღაზიის მეპატრონე ქალი, ემილია მასკოი სარჩელის შეტანას აპირებს მეზობლის – ყოფილი მენაგვის სახელზე, რომელმაც ნაგავსაყრელზე მისი კუთვნილი 50 ათასი დოლარი იპოვა და ფულის დაბრუნებაზე უარს აცხადებს.

70 წლის ემილიამ მოსამსახურეს სხვენის დალაგება დაავალა – ისე, რომ ერთ დროს იქ გადამალული დიდძალი თანხის შესახებ არც კი გახსენებია. მოსამსახურემ დავალება შეასრულა და ნაგავს შემთხვევით ნაღდი ფული – 50 ათასი დოლარი გაატანა.

ამ ამბის შემდეგ, ემილიას მეზობელი პაოლო ალტომირანო, რომელსაც თვიდან თვემდე თავი ძლივს გაჰქონდა, საეჭვოდ სწრაფად გამდიდრდა. ემილიამ გუმანით რაღაც იგრძნო და არც შემცდარა: მეზობლის კეთილდღეობა მთლიანად მისი კუთვნილი თანხის „დამსახურება“ აღმოჩნდა. მასკოიმ თანხის სასწრაფოდ დაბრუნება მოითხოვა, თუმცა, არგენტინული კანონების მიხედვით, ეს არცთუ ისე იოლი იქნება – მით უმეტეს, რომ იღბლიანმა პაოლომ ნაპოვნი ფულით სახლის, ორი ავტომანქანისა და მაღაზიის შეძენაც კი მოასწრო.

ამჟამად კონფლიქტში სხვა მეზობლებიც ჩაერივნენ. ერთნი ამტკიცებენ, რომ ფული კანონიერ მფლობელს უნდა დაუბრუნდეს, მეორენი კი ყოფილ მენაგვეს უჭერენ მხარს. ■

მსოფლიო ჩეჯოჩდი ლუდის სმაში

ჩეხებმა, ლუდის სმაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს, რომელიც გინესის რეკორდების წიგნში შევა: ქალაქ შუმპერკის მცხოვრებლებმა 17 საათის განმავლობაში 2662 ნახევარლიტრიანი კათხა გამოცალეს და გადააჭარბეს წინა რეკორდულ მაჩვენებელს. წინა რეკორდი სლოვაკებს ეკუთვნოდათ – მათ ამდენივე ხნის მანძილზე მხოლოდ 2001 კათხა ლუდი დალიეს.

გაანგარიშებით დადგინდა, რომ ერთი კათხა ლუდის დალევას საშუალოდ 23 წამი დასჭირდა.

ესტაფეტა 30 მაისს, დილის 7 საათზე დაიწყო. შუადღისთვის შეჯიბრის მონაწილეებს 1000 კათხა ლუდი ჰქონდათ გამოცლილი, საღამოსთვის – უკვე 2000-ზე მეტი. საბოლოო შედეგი 2662 კათხა, შუაღამეს – ესტაფეტის დასრულების მომენტისთვის დაფიქსირდა. ■

პოლიციამ ანტ-გამოფენა ჩაშალა

შვედი მხატვრის ნახატების გამოფენა, რომლის ძირითადი თემა კანაფი იყო, ჩაშლის საფრთხის წინაშე დადგა.

მხატვარ შტურ იოჰანსონის გამოფენა, სახელწოდებით „მოძრაობა საათის ისრის საწინააღმდეგოდ“ საუნივერსიტეტო ქალაქ ლუნდში უნდა გახსნილიყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ავტორი ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა „მოინახულეს“, გამოფენაზე გასატანი პრაქტიკულად აღარაფერი დარჩა. სამართალდამცავებმა ნახატებიდან კანაფის ყველა ყლორტი ამოჭრეს და თან რამდენიმე „სამხილიც“ გაიყოლეს.

აღსანიშნავია, რომ შვეიცარიაში კანაფი სავსებით ლეგალურად იზრდება – მისგან ბოჭკოს იღებენ. როგორც ავტორი ამტკიცებს, მის მიერ დახატული მცენარეები კანაფის სწორედ ასეთ სახეობას განეკუთვნებოდა და „პლანთან“ საერთო არაფერი ჰქონდა. ■

სექსუალური ტყვე ჩინეთის ზონაში

ჩინეთის ხელისუფლება, ბოლოს და ბოლოს თანახმაა, რომ სცენის პოპრინცესამ – ბრიტნი სპირსმა, მის ქვეყანაში გასტროლები ჩაატაროს, მაგრამ ერთი პირობით: მომღერალი ძალიან არ უნდა გაშიშვლდეს. მომღერლის ჩინეთში ყოფნის მანძილზე, მის გარეგნობაზე თავად კულტურის მინისტრი იზრუნებს, რომელიც შეშფოთებულია ვარკვლავის სექსუალური იმიჯის გამო.

ბრიტნი სპირსი ამჟამად თავისი ბოლო ალბომის, სახელწოდებით – „ზონაში“ მსოფლიო ტურნეს ასრულებს. მას დაგეგმილი აქვს 5 კონცერტი შანხაისა და პეკინში. გასტროლების ორგანიზატორების ჩინური მხარის წარმომადგენლები, რომელთაც კონცერტების ჩაშლა არანაირად არ აძლევს ხელს, იმედოვნებენ, რომ ყველაფერი ნორმალურად ჩაივლის. ამასთან ერთად, მათ მიაჩნიათ, რომ მომღერლის კოსტიუმები და სასცენო მორთულობა ტურნეს ყველა კონცერტზე ერთნაირი უნდა იყოს და სპეციალურად ჩინეთისთვის საგანგებო კოსტიუმების შეკერვა სრულიად ზედმეტია. ■

ფოტოკოლიაჟები



555/22

№12(72) 10.VI–23.VI 2004

ოჯახის მეუღლეობა

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

ვინ შეიძლება დაავადდეს ბრუცელიოზით

იაურნება თუ არა ბუდობრივი გამოლოტება

ცოფთან ხუმრობა არ შეიძლება

ეს მსუქნე... მკურნალობის ბრალია?

მთავარი თემა

როგორ შევარჩიოთ კურორტი

პოტენციის პოტენციალი

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის